

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და საგარეო ინსტიტუტი
ქართული საგარეო ისტორიის საკითხები. II.

ი. ფუტყარაძე

**ქართული ვალდებულებითი
საგარეო ისტორიის
ნარკვევები**



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1976

ნაშრომი ეძღვნება ძველი ქართული ვალდებუ-
ლებითი სამართლის ხუთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს.
აქ, პირველად ქართულ ისტორიულ-სამართლებრივ
მეცნიერებაში, მონოგრაფიულად განიხილება ნაჩუქ-
რობა, ქონებრივი ქირავნობა, პირადი ქირავნობა და
ქონებით უსასყიდლო სარგებლობა (ნათხოვრობა),
აგრეთვე სამისდღეშიო რჩენა. გამოკვლევები დაწე-
რილია ქართულ საკანონმდებლო ძეგლთა მონაცემე-
ბის, იურიდიული პრაქტიკისა თუ სხვაგვარი საბუ-
თების, აგრეთვე ნარატიულ წყაროთა ცნობებისა და
ისტორიულ-შედარებითი მასალების საფუძველზე.

რედაქტორი ი. დოლიძე

წინასიტყვა

წინამდებარე ნარკვევები ეძღვნება ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს. ნაშრომში, სახელდობრ, განხილულია ნაჩუქრობა, ქონებრივი ქირავნობა. პირადი ქირავნობა, ქონებით უსასყიდლო სარგებლობა (ნათხოვრობა) და სამისდღეშიო რჩენა. სამი ამთავანი (ქონებრივი ქირავნობა, პირადი ქირავნობა და სამისდღეშიო რჩენა) განეკუთვნება სასყიდლიან, ხოლო ორი (ნაჩუქრობა და ნათხოვრობა) — უსასყიდლო გარიგებათა ჯგუფს. მაშასადამე, წიგნში გაერთიანებულია ვალდებულებითი სამართლის არსებითად განსხვავებული ბუნებისა და დანიშნულების ინსტიტუტები. ასე, რომ იგი ერთგვარ ზოგად წარმოდგენასაც უნდა იძლეოდეს ძველი ქართული სამართლის ამ ერთ-ერთი ძირითადი და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ.

ცალკეული სამართლებრივი საკითხები და თვით იურიდიული ინსტიტუტებიც განყენებულად კი არ წარმოისახება, არამედ განიხილება ძველ სოციალ-ეკონომიურ გარემოსთან მჭიდრო კავშირში. საჭიროებისამებრ გათვალისწინებულია იმდროინდელი ცხოვრების პირობები და შეხედულებანი. იურიდიული საკითხების ამგვარი კვლევა-ძიებით ვლინდება სოციალური ცხოვრების ბევრი საყურადღებო მხარე, საზოგადოებრივ ძალთა მძაფრი ქიდილი და ნიშანდობლივი ყოფითი მოვლენები. ერთი სიტყვით, სწორედ ამ გზით წარმოჩნდება ხოლმე უამთა ვითარების შესატყვისად მოწესრიგებული მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრების ავ-კარგი.

საკვლევაძიებო თემები თანაბარი სისრულითა და გამოწვლილით ვერაა განხილული. მაგრამ სხვაგვარად ძნელად თუ იქნებოდა. წინამდებარე ნაშრომი არის ნაჩუქრობის, ნათხოვრობის, სამისდღეშიო რჩენის, ქონებრივი და პირადი ქირავნობის გამოცალკევებითი შესწავლის პირველი ცდა. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები კერძოდ ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახები ფაქტობრივი მონაცემების, იურიდიული პრაქტიკის მასალების მეტ-ნაკლები სიტყვა, საკანონმდებლო ნორმათა ნაკლებობა და კაზუსტიკური

ხასიათი. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების თანამშრომელთა დახმარება, მათი საქმიანი კრიტიკული შენიშვნები, რაც ზოგი საკითხის ჭეროვნად გაშუქებისა თუ ნაშრომის დახვეწის ერთერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა.

ავტორი

ნაჩუქრობა

შესავალი. ნაჩუქრობის ცნება (ნაჩუქრობის ძველქართული ტერმინოლოგია; ნაჩუქრობის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები). ჩუქებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი (ჩუქების მოტივები; ხელშეკრულების დადების მომენტი; მეუღლისა და შვილის დასაჩუქრების შესახებ; ნაჩუქრობის დამძიმება; ხელშეკრულების ფორმა).

შესავალი

ნაჩუქრობა ვალდებულებითი სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იგი, ამავე დროს, საკუთრების უფლების შექმნა-მოსპობის ერთ-ერთ საკმაოდ გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს. თუმცა საკვლევი თემა ვალდებულებითი სამართლის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მისი განხილვა მთლიანობაში, თავისთავად ცხადია, იმასაც გულისხმობს, რომ დახასიათდეს ნაჩუქრობის ხელშეკრულება ვითარცა საკუთრების უფლების შექმნისა თუ მოსპობის საშუალება.

ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები და, მათ შორის, ნაჩუქრობის ხელშეკრულება ნაკლებადაა შესწავლილი ისტორიულ-იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩუქებას ეხება ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ (წიგნ. II, ნაკვ. II). ვალდებულებითი სამართლისადმი მიძღვნილი ნაწილის III თავი ასე იწოდება — „ნიჭი“, შეწირულება და აღაპი. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხს ეძღვნება ამ თავის პირველი პარაგრაფი. მისი სათაურია „ნიჭი და წყალობა“. აქ განხილულია ტერმინოლოგიის საკითხი, რომელიც მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის სოციალურ მდგომარეობასთანა დაკავშირებული (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 435—436).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ძველ ქართულში ჩუქებას „ნიჭი“ ეწოდებოდა. ამ ცნების გამოსახატავად ჩვეულებრივ ეს ტერმინი იხმარებოდა. მაგრამ მჩუქებლის მდგომარეობისა მიხედ-

ვით საჩუქარსა და ჩუქებასაც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. მაგ. სოციალურსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მაღლა მდგომისაგან მასზე უფრო დაბლა მდგომისათვის ჩუქებას „წყალობა“ და „შეწყალება“ ან „ბოძება“ ეწოდებოდა. ხოლო ასეთ საჩუქარს „ნაწყალობევი“ ან „ნაბოძვარი“ ერქვა (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ. 435). აქედან მოყოლებული, ამ პარაგრაფში მთლიანად ბოძებასა და წყალობაზეა მსჯელობა.

წყალობისა და ბოძების თაობაზე უნდა ითქვას, რომ ისინი, ძირითადად, საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნებიან. ამასთან ერთად, წყალობა და ბოძება ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა მეტად მნიშვნელოვანი, თავისთავადი და განმსაზღვრელი ინსტიტუტებია. თვით ივ. ჯავახიშვილიც წყალობას არსებითად „ქართული სამართლის ისტორიის“ სხვა ნაწილში, სახელდობრ კი სახელმწიფო სამართლისადმი მიძღვნილ განყოფილებაში იხილავს (ქართ. სამართ. ისტ., II, ა, „კარი პირველი: სახელმწიფო სამართალი... თავი პირველი: მიწა-წყალი და მოსახლეობა... § 5. პატრონყმობა“, 78—93).

ამგვარად, ამჟამად, რომ წყალობა და ბოძება არ შეიძლება მოთავსდეს კერძო ხასიათის მქონე სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის — ნაჩუქრობის ხელშეკრულების ფარგლებში. აღარას ვამბობთ იმაზე, თუ როგორ გაზრდიდა თემის მოცულობას და უზომოდ გაართულებდა საკვლევადიებო საგანს წყალობისა და ბოძების განხილვა ნაჩუქრობის ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. არსებითად იგივე ითქმის ფეოდალურ საზოგადოებაში მეტად გავრცელებული, ძალზე დიდი და რთული ინსტიტუტის — შეწირულების შესახებაც.

ნაჩუქრობას ეხება აგრეთვე ი. დოლიძე ნაშრომში „ძველი ქართული სამართალი“. აქ იგი ჩუქებას განიხილავს, როგორც საკუთრების უფლების შექმნის ერთ-ერთ საშუალებას ბეჟა-ალბულას სამართლის წიგნის მიხედვით (ძვ. ქართ. სამართ., 161—162).

ჩუქების ობიექტი, ავტორის აზრით, შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება. ბეჟა მანდატურთუხუცესის დადგენილებით, მოყვრობისა და კარგი დამოკიდებულებისათვის ნაჩუქარ ქონებას („გინა სამამულო, გინა სასაქონლო და რა გინდა რა“) გამჩუქებელი, თუნდაც დროთა განმავლობაში კიდევ გადაარბეზებულიყო, უკან ვერ გამოართმევდა. იმ შემთხვევაში კი, როცა მხარეებს შორის მოყვრობა და კეთილი განწყობილება მო-

იშლებოდა, დასაჩუქრებულს საჩუქარი უკლებლივ უნდა დაებრუნებინა. ჩუქების ასეთსავე წესს შეიცავდა აღბუღას სამართალიც. ერთგვარი განსხვავება ის იყო, რომ საჩუქარი აქ გაიცემოდა სამაგიერო პატივისცემის ნიშნად, ვითარცა გარკვეული გასამრჯელო „კარგად ყოლისა და საურავისათვის“.

ამის შემდეგ ი. დოლიძე ნაჩუქრობის ხელშეკრულებას ეხება უშუალოდ მისთვის საინტერესო კუთხით, სანივთო სამართლის ძირითადი ინსტიტუტის — საკუთრების უფლების შექმნის თვალსაზრისით. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ბეჭა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, „საჩუქრის მიცემა საკუთრების უფლებას წარმოშობს საჩუქრად მიღებულ ქონებაზე. სამამულო ქონების საჩუქრად მიცემა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც ადგილ-მამული ეკუთვნოდა. მხოლოდ მიწის პატრონს ჰქონდა საკუთარი მამულის სხვაზე გადაცემის უფლება. ცხადია, საკუთრების ამ გზით წარმოშობას ადგილი უნდა ჰქონოდა ფეოდალთა კლასის ზედა ფენის წარმომადგენელთა შორის“ (ძვ. ქართ. სამართ., 162).

ამ უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩუქების გზით საკუთრების უფლების შექმნას ბრუნვიდან გამოურიცხავ ყოველგვარ ქონებაზე და, მათ შორის, სამამულოზედაც უთუოდ ჰქონდა ადგილი ფეოდალთა კლასის ქვედა (თუ სუბვასალიტეტსაც ვიგულებთ, მაშინ აგრეთვე შუა) ფენის წარმომადგენელთა შორისაც. გარდა ამისა, მართებული არ იქნება ფეოდალური საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების წევრთა გამოურიცხვა იმ პირთა წრიდან, რომელთაც თუნდაც სამამულო ქონებაზე შეეძლოთ საკუთრების უფლების შექმნა ჩუქების საშუალებით. სხვა საქმეა, თუ ვის ჰქონდა გაჩუქების უფლება, ვინ გამოდიოდა მჩუქებლის როლში. თავისთავად ცხადია, რომ მჩუქებლად (დავძენთ — როგორც წესი) ფეოდალური საზოგადოების ყველაზე უფრო შეძლებული წრის წარმომადგენლები გვევლინებიან.

მეტად მოკლედ, ასევე საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, შეეხო ნაჩუქრობას ივ. სურგულაძეც. მისი სიტყვით, „ჩუქების შესახებ ვახტანგის სამართალი თითქმის არაფერს ამბობს. მაგრამ ჩუქება, უეჭველად, წარმოადგენდა საკუთრების წარმოშობის საფუძველს, როგორც ამაზე მიგვიითებებს ბეჭა-აღბუღას სამართალი“. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „ბეჭა-აღბუღას სამართლით ნაჩუქების უკან წამოღება მჩუქებელს

საერთოდ არ შეუძლია“. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა მხარეებს შორის ჩუქების მიზეზი მოისპობა (სურგ., 1).

განსახილველი ინსტიტუტის ზოგიერთ მხარეზე მსჯელობს ეკლესიური რუდოლფ კლუტმანი ნაშრომში, რომელიც მიედგენა ქართული ვალდებულებითი სამართლის საკითხებს ვახტანგ VI-ის საქართლის წიგნის მიხედვით. ნაჩუქრობას ავტორი ეხება ნასყიდობისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან ერთად (კლუტმ., 444—445).

რ. კლუტმანიც მიუთითებს, რომ ნასყიდობისა და გაცვლილობის მონათესავე ნაჩუქრობა ვახტანგის სამართლის წიგნში არ წარმოადგენს სპეციალური განხილვის საგანს. ეს, მისი აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ ნაჩუქრობის ინსტიტუტი თავისი უმნიშვნელობის გამო არ საჭიროებდა საგანგებო საკანონმდებლო მოწესრიგებას, ანდა, რაც უფრო სარწმუნოა, ძალაში რჩებოდა აღრინდელი დადგენილებანი: „აღბულას კანონში გვხვდება ორი პარაგრაფი, რომელთა საგანსაც ნაჩუქრობა წარმოადგენს, და, აღბათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ კანონს იყენებდნენ“.

ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ამ ორი მუხლის „ძირითადი შინაარსი, — განაგრძობს რ. კლუტმანი, — შეეხება საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლებას“. ორივეგან „თვალში გვხვდება მნიშვნელობა მოტივისა, რომელიც ამოძრავებდა მჩუქებელს ჩუქების დროს“. გალარიბებულ მჩუქებელს არ შეუძლია ნაჩუქების გამოთხოვა. მაგრამ მაშინვე წარმოიშობა უკან დაბრუნების უფლება, თუ „მათი მეგობრული ურთიერთობა შეწყდა კანონიერი საფუძვლის გარეშე“ (კლუტმ., 444).

ნაჩუქრობის ცალკეული კერძო საკითხები განხილულია აგრეთვე ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა სხვა ნაშრომებშიც. ამ რიგის საკითხთა შორის საქმაოდ სრულადაა შესწავლილი ქორწინებასთან დაკავშირებული ნაჩუქრობა (ქართ. საოჯ. სამართ., 28—44).

ახლა რაც შეეხება ნაჩუქრობის ინსტიტუტის მომწესრიგებელ ნორმატიულ მასალას. ასეთი მასალების მოპოვება შეიძლება როგორც საკუთრივ ეროვნულ, ისე უცხოურ საკანონმდებლო ძეგლებში, რომლებიც თავმოყრილია ვახტანგ VI-ის საქართლის წიგნთა კრებულში.

სახელდობრ, საინტერესო მასალებს შეიცავს ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო

მუხლები საგანგებო სათაურითაა გამოყოფილი („ქ. სჯულის კახონი მისაცემლისათვის“, მუხ. 177—183). ნაჩუქრობას ეხება აგრეთვე სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის 112 მუხლი.

მეტად მნიშვნელოვანია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში დაცული ცნობები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 34-ე და 61-ე მუხლები და აღბუღა ათაბაგ-აძირსპასალარის სამართლის 85-ე მუხლი.

ნაჩუქრობის ხელშეკრულების სხვადასხვა მხარის მომწესრიგებელი წესები მოცემულია საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულში („საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ცალკეულ იურიდიულ აქტებში გაბნეული მონაცემები. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამცხომასათვს საქართველომასა“, მუხ. 14, 17 და 18 (ქართ. სამართ. ძგლ., II, 512—513), აგრეთვე პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის 32-ე თავი — „საკარგავისა არავისდა მიცემისათვს, არცა განსყიდისა“ (პეტრიწონ. ტიპიკ., 117). ყურადსაღებია ჩუქების შესახები ცნობებიც, რომელთაც შეიცავს შედარებით გვიანდელი ძეგლი — „სჯულის დადება სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველის დავით დადიანის მიერ“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 585).

ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხის გასაშუქებლად არ შეიძლება არ გამოვიყენოთ ისეთი ხასიათის ძეგლები, როგორცაა, დავით ბატონიშვილის სამართალი და იოანე ბაგრატიონის სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი).

თემის დამუშავებისას სხვადასხვა ლიტერატურულსა თუ ისტორიულ წყაროში დაცული ცნობებითაც ვისარგებლეთ. მათზე აქ საგანგებოდ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმ მიზნით, რომ თვალნათლივ დავინახოთ ამ ძეგლთა მონაცემების მნიშვნელობა საკვლევი თემის გასაშუქებლად, მოვიტანთ მარტოოდენ ერთ ადგილს XII საუკუნეში შექმნილი ისეთი ცნობილი სარაინდო რომანიდან, როგორცაა „ამირანდარეჯანიანი“.

მზეკაბუქს „აბრამ ეგრე მოახენა, — ვკითხულობთ ხსენებული თხზულების მე-10 კარში („ამბავი მზისა ქაბუქისა“), — „გხედავ

რომე ამა ქვეყანისა პატრონი შენ ხარ და მინახავს ჭაბუკობა შენი. აწ თქვენ ნადირობით წამოსრულნი ხართ და არა გაქვს რა, და აქა ანა ჭაბუკთა მიცემა ნუთუ რა ხამდეს. მიბრძანეთ, მოგართმევ და უბოძეთო“. დაუმაღლა დიდად მზემან ჭაბუკმან და ეგრე უბრძანა: „მიცემა ხამს. განა შენ რად იჭირვიო?“ გაგზავნა კაცი და მოაღებინა შესამოსლები და სტავრები მეტად ტურფა. ქალაქი იყო დიდი და მისსა პირსა ვლდეგით. და იგი კაცი მის ყველასა სამეფოსა უხუცესად და თავად ჩენილ იყო ხაზართა მეფისაგან. და უბოძა საბოძვარი დიდი მზემან ჭაბუკმან დორათ დილაშსა და ამირ იამა-ნელსა. და წავიდეს შინა“ (ამირანდარეჯ., 139).

აქ წარმოდგენილი ამონაწერი მრავალმხრივია საინტერესო.

1. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით — ჩუქება გამოხატულია სიტყვით „მიცემა“.

2. გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ნაჩუქრობის საგანზე, მის რაობაზე („შესამოსლები და სტავრები მეტად ტურფა“).

3. ნაჩუქრობაზე, როგორც ჩანს, ადგილობრივი, პარტიკულარული წეს-ჩვეულებებიც ახდენდნენ გავლენას და ეს ინსტიტუტი ამგვარი ნორმებითაც წესრიგდებოდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს სიტყვები — „აქა ამა ჭაბუკთა მიცემა ნუთუ რა ხამდეს... მზემან ჭაბუკმან... უბრძანა: „მიცემა ხამს...“ ამგვარად, ამ შემთხვევაში „ალაგის წესი“ მოქმედებდა. „ალაგის წესი“, „ალაგისა და გვარის წესი“ აღიარებულია ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 49-ე მუხლში.

4. რაკი „მიცემა ხამს“, რაინდმა აუცილებლად, ყოველგვარ პირობებში უნდა გასცეს საჩუქარი. სანადიროდ გამოსული მზექაბუკი სხვის ქვეყანაში მოხვდა. აქ მას ისეთი არაფერი აქვს, რომ ხაზართა მეფის ასულის შესართავად მოსული რაინდების საჩუქრად გამოდგეს. დასაჩუქრების აუცილებლობის შეგნება იმდენად ძლიერია, რომ მზექაბუკი სხვისი ქონების მიღებასა და საჩუქრად გაცემაზეც კი თანხმდება. ამით გამოწვეული უხერხულობის შეგრძნების გასაქარვებლად მზექაბუკს, ხაზართა მეფის სიძეობის ერთ-ერთ კანდიდატს, ეუბნებიან, რომ ეს ქონება მაინც მისი გახდება, რადგან სასიძოებს შორის უთუოდ იგი გაიმარჯვებს და შეიქმნება „ამა ქვეყნის პატრონი“.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ნაჩუქრობის მომწესრიგებელი თუ მისი ცალკეული მხარეების ამსახველი ნორმატიული მასალისა და სხვა წყაროების საკითხი, საჭიროა შევეხოთ ხსენებული ინსტი-

ტუტის ადგილს ძველი ქართული სამოქალაქო სამართლის სისტემაში (ზოგადისტორიული ვითარების შესახებ იხ. გრიმი, 123, განსაკუთრებით კი — უმოვი, 119—151).

ამ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ საქმე გვაქვს ფეოდალიზმის ეპოქასთან. ფეოდალური საქართალი კი, როგორც ცნობილია, ნაკლებადაა სისტემაში მოყვანადი. შიდადარგობრივ სისტემატიზაციასა და ცალკეულ ინსტიტუტებად დაყოფა-დალაგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აქ თვით დარგებიც კი (სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, სახელმწიფო სამართალი, სასამართლო სამართალი და ა. შ.) არაა ერთმანეთისაგან გამიჯნული.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ამ თვალსაზრისითაც გადავხედოთ ძველ ქართულ მასალებს, ვნახოთ, თუ რომელ ინსტიტუტებთანაა მოთავსებული ნაჩუქრობა, რა ადგილი უჭირავს მას სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაში.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი ჩუქებას ნასყიდობასთან ერთად ეხება: მონასტრის ქონების „გ ა ნ ს ; ყ ი დ ა ს ა დ ა გ ა ნ ი ჰ ე ბ ა ს ა ვისსაცა პირსა არა უწამებთ და ამას ყოვლითა სიმტკიცითა ვამცნებთ, რომელი-ესე ნუ იყოფინ ყოფად ოდესვე“ (პეტრიწონ. ტიპიკ., 117).

აღძრული საკითხის გარკვევაში გვეხმარება აგრეთვე „განწელებანი საქართულოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამეფო მასათვს საქართულო მასა“ (მუხ. 14). აქ ნაჩუქრობა სესხის ხელშეკრულების გვერდითაა წარმოდგენილი: „კანონად მე დამიდვია ასე“, — აცხადებს მეფე ერეკლე, — „რაც ამ ჩემს შვილებს თავთავისთვის წილი აქვსთ მიცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში ვისაც უნდა, აჩუქებენ და ვისაც უნდა, ასე სხე ბენ...“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 512).

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ნაჩუქრობას ფეოდალურ საქართველოში ვალდებულებითი სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების გვერდით განესაზღვრებოდა ადგილი, როგორც იყო ნასყიდობა და სესხის ხელშეკრულება.

ნაჩუქრობა ძველ ქართულ სამართალში წარმოგვიდგება ვითარცა „რეალური ხელშეკრულება, რომლის დროსაც არსებითი ვალდებულებითი ნიშნები მხოლოდ უკან მოთხოვნის უფლების შემთხვევაში არსებობს“ (კლუტმ., 445).

ნაწუქრობის ცნება

§ 1. ნაწუქრობის კვლავართული ტერიმინოლოგია

რომაულ სამართალში ნაწუქრობას donatio ეწოდებოდა. თანამედროვე ქართულში ამ მნიშვნელობით მტკიცედაა დამკვიდრებული ტერმინები „ჩუქება“ და „ნაწუქრობა“. რამდენაღმე განსხვავებული მდგომარეობა იყო ძველ ქართულ სამართალსა და საზოგადო სიტყვათხმარებაში.

თანამედროვე „ჩუქების“, „ნაწუქრობის“ უძველეს ქართულ შესატყვისს „მიცემა“ და „ნიქი“ წარმოადგენდა.

„მიცემა“ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა იყო და მინიჭება-ჩუქებასაც აღნიშნავდა (აბულ., 253). თვით საჩუქარი კი ქართულ ოთხთავში „მისაცემელად“ და „საცემელად“ იწოდებოდა (ოთხთ. სიმფ., 349, 524; აბულ., 249). რაც შეეხება მჩუქებელს, მას თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) „მიმცემელი“ ეწოდება (ქ. ცხ., II, 57, 577).

ტერმინი „მიცემა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჩუქების“ მნიშვნელობით იხმარება „ამირანდარეჯანიანში“. საჩუქარს ამ თხზულებაშიც, ისევე როგორც ქართულ ოთხთავში, „მისაცემელი“ ეწოდება: „ვიყვენით ერთსა დღესა ჩვენსა და მეორესა მათსა. და მისციან ერთმანერთსა მისაცემელნი. ნადიმი გარდავიხადით... მექამესა დღესა დედოფლისაჲსა ვიყვენით, და მუნცა დიადი გვიბოძის“ (ამირანდარეჯ., 122, 184).

(საჩუქარი „ამირანდარეჯანიანში“ „მოსაცემელის“ ფორმი-თაც გვხვდება. ერთგან, მაგალითად, ნათქვამია: მან კაცმან... პატივ-მცა დიდად და მომცა დიადი მოსაცემელი და ეგრე მითხრა, ვითა... ესე ჩემი საქონელი შენთვის... უშურველი იყოს (ამირანდარეჯ., 109). ასევეა გვიანფეოდალური პერიოდის ძეგლშიც (ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“): ყაენმა „გაოუშუნა ბარათიანი შეწყალებულნი და უბოძნა მრავალნი მოსაცემელნი“ (ქ. ცხ., II, 342, 582).

ზემოაღწერილის ანალოგიური სურათია ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში. სახელდობრ. ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნი ჩუქების, ნაწუქრობის გამოსახატავად მარტოოდენ „მიცემას“

ხმარობს. სამართლის წიგნში, მაგალითად, ნათქვამია: „...კაცმან კაცსა კარგად და პირისწყლიანად ყოფისათვის სამოყვროდ მისცეს რამე...“ (მუხ. 61).

აღბულა ათბაგ-ამირსპასალარის სამართლის 85-ე მუხლიდან ჩანს, რომ იგი საჩუქარს „მისაცემელისა“ და „მიცემულის“ სახელწოდებით იცნობდა: „თუ კაცს კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის ქრთამად მიეცეს რამე, გინა სამამულო და გინა სასაქონლო, და მას კიდე რომელმან გამოუაროს იგი მისაცემელი, თხოვასა და წაღებასა არას ემართლების“. სამართლის წიგნის მეორე ნუსხის მიხედვით კი, „იგი მიცემული“ („ქრთამი... რამე, გინა მამული“) უალალოს, თხოვასა არა ემართლების“.

(მიცემა“ „ჩუქების“ მნიშვნელობით გვხვდება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც. ეს ჩანს ვახტანგის სამართლის 80 მუხლიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „სიცოცხლეში მამამ რომელსაც უვილს ან იარალი და ან საქონელი მისცეს“, გაყრისას „ერთიმეორეს ვერ უქსენებს“.

ზემოაღნიშნულის მსგავსი ვითარებაა ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში. აქ „მისაცემელით“ გადმოცემულია ბერძნული ტექსტის „საჩუქარი“ — δωρεά, ἡ (ბერძნ. სამართ., 88—89, 201, 230), რომელიც დემოსთენეს მიხედვით, ვითარცა იურიდიული ტერმინი მოავლობით რიცხვში ნაჩუქრობასა და ანდერძსაც გამოხატავდა) (დვორეცვი, I, 443).

(ჩუქების, ნაჩუქრობის აღსანიშნავად ძველ საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, ტერმინი „ნიჭიც“ იხმარებოდა. მისი ხნარების რამდენიმე შექთხვევა დამოწმებულია პირველსავე ქართულ თარიღიან ხელნაწერში — სინურ მრავალთავში (სინ. მრავალთ., 208). „ნიჭი“ საჩუქრის აღმნიშვნელი ტერმინია ქართულ ოთხთავში. აქ „მისაცემელი“, „ნიჭი“ და „საცემელი“ ერთმანეთს ენაცვლებიან (ოთხთ. სიმფ., 349, 429, 524), რითაც აშკარად დასტურდება, რომ ისინი ტოლფარდი ტერმინებია.

წყაროებში ჩუქების მნიშვნელობით გვხვდება „ნიჭება“ (ქ. ცხ., II, 589), „მინიჭება“ და „მონიჭება“ (სინ. მრავალთ., 191, 197; აბულ., 248, 272; ძვ. აღთქმ. აპოკრიფ., 89, 447); გაჩუქებას აღნიშნავდა „განიჭება“ (პეტრიწონ. ტიპიკ., 153), ხოლო „მომნიჭებელი“ „მბოთებლის“ მნიშვნელობით იხმარებოდა (აბულ., 269).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ვახტანგ VI-ის სა-

მართლის წიგნთა კრებულში შესული საკანონმდებლო ძეგლები-სათვის უცნობია ტერმინი „ნიჭი“. მისი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვებიდან იქ ნახმარია მარტოდენ „სანიჭარი“, და ისიც მხოლოდ ერთხელ: ბექა მანდატურთხუცესის სამართლის წიგნის 34 მუხლის მიხედვით, „ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედან“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI შეზღუდული მნიშვნელობით წარმოგვიდგენს „ნიჭს“ „ვეფხის ტყაოსანში“, სადაც ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელაა დამოწმებული (იხ. ვეფხის-ტყ. სიმფ., 252). პოემის „თარგმანში“ ვახტანგი იმას კი სწორად ამბობს, რომ „ნიჭი მისაცემელია“, მაგრამ მისი შინაარსი ვიწროდ აქვს გაგებულნი: „ნიჭი მისაცემელია თეთრისათუ ფარჩისა“ (რუსთვ. 1712, გვ. ტკვ, 380). „თეთრი“ ფულია, მაგრამ რაა „ფარჩისა“ — „ფარჩა“ თუ „ფარჩი“? საეჭვოა, რომ აქ იგულისხმებოდეს „ფარჩი“, რომელიც შეტანილია „თარგმანში“ და ახსნილია ვითარცა „საღვინე“ (რუსთვ. 1712, გვ. ტმშ, 383). როგორაც არ უნდა იყოს, „ნიჭის“ შინაარსი მაინც შეზღუდული გამოდის, რაც თვით „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტიდანაც კარგად ჩანს: „ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალ-გვარითა“ (რუსთვ., 105). „ნიჭი“ მარტო „თეთრისა და ფარჩისა“ კი არაა, არამედ რაგინდარა „მისაცემელის“ აღმნიშვნელი ტერმინი იყო.

ტერმინი „ნიჭი“ იშვიათად გვხვდება საერო ხასიათის კერძოურიდიულ დოკუმენტებშიც. იგი სრულებით არ იხმარება ისეთ იურიდიულ ძეგლში, როგორიცაა იოანე ბაგრატიონის სჯულდება. დავით ბატონიშვილის სამართალში ჩვენთვის საინტერესოა სიტყვის ხმარების ორიოდ შემთხვევაა დამოწმებული (ზმნური ფორმით): „... მოჭირნახულე მამულისა მის, ვისდაცა ნიჭები ეს მებატონისაგან მისისა“; აზნაურობის წოდება „არამცთუ მისტაცეს... მეფეთა, არამედ ანიჭეს ცა...“ (დ. ბატონიშვ., 27, 151, 332).

შედარებით ხშირად „ნიჭი“ და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა სიტყვები გვხვდება საეკლესიო იურიდიულ დოკუმენტებში (ქართ. სამართ. ძგლ., III), საისტორიო ლიტერატურაში (ქ. ცხ.: I, 448; II, 577, 589), მეტადრე კი — აგიოგრაფიულ თხზულებებში, რომელთა ოთხტომეული 1964—1971 წლებში გამოიცა.

განსახილველი ტერმინი თავისებური ფორმითაა ნახმარი 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში: „... ნიჭნიმცა მიანიჭენით“; „ნი[ჭ]ი მიენიჭების...“ (ქართ. სამართ. ძგლ., III, 162). „ნი-

კის მინიჭება“ იგივეა, რაც დღევანდელი ქართულით რომ ვთქვათ „ნაჩუქრის ჩუქება“.

ს.-ს. ორბელიანი „ნიქს“ ნაჩუქრობის ხელშეკრულების სუბიექტთა სოციალურ მდგომარეობას უკავშირებს. მისი განმარტებით „ნიქი“ არის „უ ფ ა ლ თ ა მიერ საბოძარი“. ასეთ განმარტებას ლექსიკონის მხოლოდ ერთი — ყველაზე ადრინდელი ნუსხა უქერს მხარს. ნუსხათა უმრავლესობაში კი „ნიქი“ განსაზღვრულია როგორც „საბოძარი“, სხვა ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე (საბა, I, 597). მაგრამ ეს საქმეს არ ცვლის, რადგან საბას განმარტებითვე „საბოძარი“ არის „უ ა ღ რ ე ს თ ა გ ა ნ მი-საცემ(ელ)ი“ (საბა, II, 23).

„ნიქს“ საბა ნაჩუქრობის ხელშეკრულების მონაწილეთა სოციალური მდგომარეობის მიხედვით რომ განსაზღვრავს, ეს „სიტყვის კონის“ სხვა ადგილიდანაც კარგად ჩანს. სახელდობრ, „ჩუქებასთან“ დაკავშირებით იგი ტერმინ „ნიქსაც“ ეხება და აღნიშნავს: „ნიქი — უაღრესისაგან უდარების მინაცემი“ (საბა, II, 324).

ახლა თვით „ჩუქების“, „ნაჩუქრობის“ შესახებ.

როგორც ირკვევა, „ჩუქება“ და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა სიტყვები საზოგადოდ ქართულ ენაში, კერძოდ კი საპამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ ძეგლებში შედარებით გვიან მკვიდრდება. ყოველ შემთხვევაში, ეს ტერმინი არ გვხვდება არც ერთ ჩვენს ეროვნულ საკანონმდებლო ძეგლში, რომლებიც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულშია თავმოყრილი.

ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“ გვიჩვენებს, რომ „ჩუქება“ და მისი ძირის დანარჩენი სიტყვები ლექსიკონის შედგენის დროს არ იხმარებოდა მთლად იმ მნიშვნელობით, როგორც დღევანდელ ქართულში. მათი შინაარსი მაშინ, ახლანდელთან შედარებით, გაცილებით ვიწროდ იყო გაგებული.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა ჯგუფს საბა თავისი ლექსიკონის რამდენსამე ადგილას ეხება. „ჩუქებაჲ — ნათქვამია ლექსიკონში, — აჩს ს ტ უ მ ა რ ს რაჲ მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ მ ა ნ მ ი ს ც ე ს რამე“. „სიტყვის კონის“ ზოგიერთ ხელნაწერში ასეთი განმარტებაა: „... ჩუქებად ვიტყვით სტუმარი რა გაისტუმრონ, მ ა ს პ ი ნ ძ ლ ი ს (ა) ს წ ო რ ი იყოს, გ ი ნ ა ე ლ დ ა რ ე ს ი, ანუ (გინა) უ დ ი დ ე ს ი მ ა ს პ ი ნ ძ ლ ი ს ა მიერ(სა) მისაცემელსა“ (საბა, II, 324).

ამგვარად, სულხან-საბას ლექსიკონის თანახმად ჩუქება სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც მასპინძელი სტუმარს მისცემს რაიმეს. ამას-

თან, სტუმრის გასტუმრება მასპინძლისეული მისაცემელით ჩუქებად იწოდება სტუმარ-მასპინძლის სოციალურ-წოდებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ „სიტყვის კონაში“ არაა დაცული ერთგვაროვნობა. საქმე ისაა, რომ ზემომოყვანილ დებულებას არ ეთანხმება ტერმინ „ნაჩუქრის“ საბასეული განმარტება. „საჩუქარი“, „სიტყვის კონის“ მიხედვით, არის „სწორის ძღვენი“ (საბა, II, 68).

თავისებურად განმარტავს საბა „ნაჩუქარსა“ და „ნაჩუქებსა“.

თანამედროვე ქართულში (განმარტ. ლექსიკ., V) „ნაჩუქები“ „იგივეა: რაც ნაჩუქარი“, ხოლო „ნაჩუქარი“ — „რაც აჩუქეს, — ჰუქებული“. მაშასადამე, „ნაჩუქარი“, „ნაჩუქები“ ჩვენ გვესმის, როგორც ნივთი, ნაჩუქრობის საგანი. საბას განმარტება კი ასეთია: „ნაჩუქარი“ — „სტუმარი მისაცემ-წაღებული“; „ნაჩუქები“ — „საჩუქარწაღებული“. თვით „წაღება“ კი ნიშნავს „სხვაგან გატანას“ (საბა: I. 585; II, 367).

ამგვარად, საბას გაგებით „ნაჩუქარი“, „ნაჩუქები“ ის კი არაა, რაც აჩუქეს, არამედ დასაჩუქრებული სტუმარი, რომელმაც საჩუქარი გაიტანა თუ წაიღო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას ლექსიკონის ერთ ხელნაწერში (საბა, I, 585) „ნაჩუქარი“ თანამედროვე მნიშვნელობით („მინართმევი“) არის გაგებული.

მაშასადამე, აშკარად ჩანს, რომ „ჩუქების“ ჯგუფის სიტყვების განმარტებისას „სიტყვის კონაში“ სხვადასხვაობაც შეიმჩნევა. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, რამდენადაც სახეზე გვაქვს ერთ ნაშრომში მოცემული ურთიერთსაპირისპირო განმარტებები და, ამასთანავე, საქმე ეხება წიგნს, რომელიც დაწერილია ისეთი დაკვირვებული ლექსიკოგრაფის მიერ, როგორიცაა სულხან-საბა ორბელიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ჩუქება“ და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა სიტყვები იმ დროისათვის არ იყო მტკიცედ ფეხმოკიდებული და ფართოდ გავრცელებული.

ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის, რომ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ასე ხშირია ქონების უსასყიდლოდ საკუთრებად მიცემა, „ჩუქების“ ბუღის სიტყვები იშვია-

თია. აქ მხოლოდ „ჩუქება“ და „საჩუქარი“ გვხვდება და, რაც მთავარია, მათი ხმარების მარტოოდენ ორ-ორი შემთხვევაა დამოწმებული — 1. „ჩუქება: სიყვარული და ჩუქება 1557, 2; ჩუქებისაარ მოწყენა 777,3“. 2. „საჩუქარი: დიდი საჩუქარია 1456,2; ფრიდონ მისცემს საჩუქარსა 1389,2“ (ვეფხისტყ. სიმფ., 288, 370). თანაც პოემის ზოგიერთ ძველ (XVII—XVIII საუკუნეთა) ხელნაწერში ხსენებული ტერმინები შერყენილი — „ჩუქებისა“ და „საჩუქვარის“ სახითაა წარმოდგენილი; ზოგან კი „საჩუქარია“ — „საჩუქვარია“ შეცვლილია სიტყვებით „სანუკვარია“ და „საომარია“ (რუსთვ., 256, 458, 480, 514).

ვანტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში „ჩუქება“ მხოლოდ უცხოური წარმომავლობის ორ ძეგლში გვხვდება.

სომხური (სირიულ-რომაული) სამართლის ქართული ვერსიის 112-ე ნესლში ლაპარაკია იმაზე, „ვინც... მისცეს... ჩუქებით სოფელი ანუ სხვა რაგინდარა“; ბერძნული სამართლის 176 მუხლი გათვალისწინებულია იმ შემთხვევათვის, უკეთუ ვინმემ „აზატნაქმარი“ კაცი „იყიდოს, ანუ აჩუქოს ვისმე, ანუ ზითვად გაატანოს, გინა სხვაზედ გამოსცვალოს“.

„ჩუქება“ („მაჩუქე“, „მაჩუქა“, „აჩუქა“, „უჩუქებია“, „აჩუქებენ“, „ჩუქება და არ-ჩუქება“) გვხვდება იურიდიულ დოკუმენტებშიც, როგორცაა 1620, 1703—1722 წლების სასამართლო განჩინებანი და 1749 წლის გასამყრელო წიგნი (ქართ. სამართ. ძგლ. IV, 61, 293, 382), 1756 წლის საჩივრების ნუსხა (სამდივანბ. სასამ. მას., 29), 1785 წლის ახლო დროის დანახარჯის ნუსხა (ეკონ. ისტ. მას., I, 77), ერეკლე II-ის 1791 წლის „განწესებანი“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 512—513).

ასევე, იურიდიულ აქტებში, ისე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გვხვდება „საჩუქარი“ ვითარცა ნაჩუქრობის საგნის აღმნიშვნელი ტერმინი. მაგალითად, ერეკლე II-ის ზემოხსენებულ „განწესებათა“ მიხედვით (მუხ. 17), უფლისწულები „უცხოს ქვეყნიდამ“ „საქვეყნოსა და ძმათ საერთოს საქმეზედ“ მოსულ სტუმარს „საერთოდ უნდა დახედ[ნ]ენ სმით, კამით, საჩუქრის მიცემით“.

ამავე მნიშვნელობით სამართლებრივ ძეგლებში ტერმინი „ნაჩუქებიც“ იხმარებოდა. იგი საქართველოს ჩვეულებით სჯულში, „სიტყვის კონისაგან“ განსხვავებით, სავსებით თანამედროვე შინაარსისაა — ნიშნავს ჩუქების გზით შექმნილ რაიმე ნივთს, ქონებას. „სჯულნის“ 52-ე მუხლის მიხედვით, „გაყრისას დედას ანუ დედის-

ნაცვალს... კმრისაგან ნ ა ჩ უ ქ ე ბ ი ს ა რ ა ც რომ ექნებოდა, ისინი მათვე მიეცემოდით“ (ჩვეულ. სჯ., 68). 1785 წლის ახლო დროის საბუთში კი დამოწმებულია „ნაჩუქარი“: „ერისთვისაგან ნ ა ჩ უ ქ ა რ ი ხარი და ძროხა“ (ეკონ. ისტ. მას., I, 80). ეს მეორე ფორმა, როგორც ზემოთ დავინახეთ, უპირატესად მიიჩნევა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ წარმოდგენილია თავისებური ფორმა — „სასაჩუქრე“. ქართლის აღწერასთან დაკავშირებით ძეგლში ნათქვამია, რომ „თუ სხვა მეუღლუფე, ან სხვა ს ა ს ა ჩ უ ქ რ ე კაცი გაჩნდეს, ხარჯი სარდალმა უნდა გასწიოს და მდივანმა აღარ დახარჯოს, ამიტომ რომე ულუფისა ორი წილი მიაქვს“ (დასტურლ.: 517). აქ „სასაჩუქრე“ „დასაჩუქრებულის“ მნიშვნელობითაა ნახმარი.

„ჩუქების“ ბუდის სიტყვები („ჩ უ ქ ე ბ უ ლ ი“, „ნაჩუქარი“, ნაჩუქები“, „საჩუქარი“, თვით „ჩუქება“ და სხვა ზმნური ფორმები) საკმაოდ ხშირად იხმარება XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ სამართლებრივ ძეგლებში, როგორცაა „სამართალი ბატონისშვილის დავითისა (დ. ბატონიშვ., 75—76, 185, 330, 372) და იოანე ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი (სჯულდება, 30, 43, 51). როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდისაა იწყება გასხახილველ ტერმინთა ფართოდ გავრცელება.

ნაჩუქრობის ტერმინთაგან აღსანიშნავია აგრეთვე „ძღვენი“, „ქრთაჲნი“ და „ფეშქაჲნი“ (ნაჩუქრობის ზოგ ტერმინს გზადაგზა, თემის სხვადასხვა საკითხების განხილვის დროსაც შეეხებებით).

„ძღვენი“ უძველესი ქართული სიტყვაა. მისი „მარტივი ფუძე — ძღუ — იგივეა, რაც ზმნაში უ-ძღუ-ის... მო-ძღუ-არ-ი... წარუ-მ-ძღუ-არ-ა... მი-უ-ძღუ-ნ-ა — მიუ-ძღუ-ან-ა“ (ფუძის უძვ. აგებ., 95). ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია ძღვენის წარმომავლობისა და მისი ბუნების გარკვევის თვალსაზრისით. ძღვენის დანიშნულება ის იყო, რომ იგი წინ მიუძღოდა კაცს ჯა საჭირო აღამიანთან მისასვლელი გზის გამკვალავ საშუალებას წარმოადგენდა.

ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ძღვენი არს მოყვარემან მოყვარეს ანუ სწორმა(ნ) სწორს შორით წარუგზავნოს, გინა უღარესმან უღარესს მიუძღვნას, ანუ თვით მიართვას“ (საბა, II, 324). მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ძღვენისათვის დამახასიათებელია ნების ორმხრივი გამოვლინება. საკმარისი არაა მარტო-

ოღენ ძღვნობა, ძღვნის მირთმევა; საჭიროა აგრეთვე მეორე მხარის თანხმობა, ის, რომ მან მიიღოს ნაძღვნევი.

ამასთან ერთად, ძღვნობა უფლებასაც წარმოადგენდა. ფეოდალიზმის ეპოქაში საზოგადოების მტკიცე და კანონით განსაზღვრული შეუნიღბავი წოდებრივი სტრუქტურა განაპირობებდა იმას, რომ ამ მხრივ ზოგიერთი შეზღუდვა იყო დაწესებული. ამა თუ იმ სოციალური ფენის ყველა წევრს როდი ჰქონდა უფლება სენიორისათვის ძღვენი მიერთმია. ასეთი შეზღუდვის ანარეკლს ეპოულობთ ალბულას სამართლის წიგნის 96-ე მუხლში, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას სხვადასხვა ხარისხის ჯაჭრის მკვლელობისათვის. აქ ჯერ განსაზღვრულია „საპატრიოსა ვაჭრისა“ სისხლის საზღაური, — „ასეთისა, რომე პატრონთა კარგად ყვეს საპატრიოთ და საქმის მქნელად“; შემდეგ კი — „მას ქვეშეთისა, რომე... პატრონთა ნახვისა და ძღვნისა მიღებასა ღირს იყოს“ (სამართლის წიგნის უძველეს — 1672 წლის ხელნაწერში: „... ბატონთა ნახვა და ძღვნის მიღება შეეძლოს და ღირს იყოს“).

აქედან აშკარად ჩანს, რომ საზოგადოების შეძლებულ ფენათა ყველა წევრსაც კი არ ჰქონდა პატრონის ნახვისა და მისთვის ძღვნის მირთმევის უფლება

ტერმინი „ქრთამი“ წყაროებში სხვადასხვა გაგებით გვხვდება. ალბულას სამართლის წიგნის 85-ე მუხლის მიხედვით, ქრთამი ჩვეულებრივი საჩუქარია, რომელიც გაიცემა „კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის“. ამგვარად, აქ „ქრთამი“ ვისიმე კეთილგანწყობილების მოპოვებისა და რაიმე საქმის მოგვარებისათვის გაცემული საჩუქრის აღმნიშვნელია. ასეთი ქრთამი მხარეთა შორის წარმოშობს ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთაც ალბულას სკულმდებლობის ხსენებული მუხლი აწესრიგებს.

„ქრთამი“ სამართლით განსაზღვრულ გასამრჯელოსაც წარმოადგენდა. ასეთი იყო ე. წ. „ქრთამი სიგლისა“. იგი სიგელისათუ წყალობის წიგნის მიმღებ კერძო პირს მოხელეთა მსარგებლოდ უნდა გამოეღო (კარის გარიგ., 36; ქართ. სამართ. ისტ., II, 137—138).

ასეთ თუ სხვაგვარ კანონიერ გასამრჯელოსა და ნებადართულ საჩუქართან ერთად ტერმინი „ქრთამი“ ხშირად აღნიშნავდა უკანონო, ხელისუფლის მოსყიდვის მიზნით გაღებულ ქონებრივ მიწნართმევს. „ქრთამის“ ასეთი ორგვარი გაგება ასახულია ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 197-ე მუხლში: „ყოველთა თავადთა

მიერ ჯერ არს, რათა მოსამართლეს ქრთამი არ ააღებინოს და დააყენონ. სამართალში ქრთამის აღება არა ჯერ არს, თვინიერ მისსა, რომელიცა განწყესებული არს შეფეთაგან“.

წყაროებში „ქრთამი“ უმეტესწილად სწორედ გასაკიცხი და უკანონო ნაქლენევის გამომხატველი ტერმინია. სახელდობრ, ასეთ მნიშვნელობას ადასტურებს კათალიკოზთა სამართალი (მუხ. 1,18), აღბუღას სამართლის წიგნი (მუხ. 90), ბაგრატ კურაპალატის სამართლის ფრაგმენტი (მუხ. 99) და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (შესავალი, მუხ. 4, ბოლოსიტყვაობა). აღნიშნული გაგებით „ქრთამი“ არის „საცოლავი ძღვენი“ (საბა, II, 233), რომელიც „დააბნელებს თუალთა სულისათა“ („ცხოვრებაჲ ილარიონ ქართველისაჲ,“ — აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ., III, 237).

რაც შეეხება „ფეშქაშს“, იგი სპარსული წარმომავლობის ტერმინია („ფეშქაშ“) და ქართულ იურიდიულ აქტებში გვიანფეოდალურ პერიოდში მკვიდრდება საჩუქარ-მისართმეველის, ძღვენის მნიშვნელობით. „ფეშქაში“ ა.-ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ არაა შეტანილი; „სიტყვის კონის“ უცხოურ ნაწილში კი „ფეშქაშ“ მოყვანილია „ჩუქებისა“ და „ძღუენის“ თურქულ შესატყვისად (საბა, II, 581, 585). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესულ ძეგლთაგან „ფეშქაში“ მარტოოდენ მხითარ გოშის კანონების ქართულ ვერსიაში გვხვდება (მუხ. 151, 307, 332, 400).

ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის 51-ე მუხლში (ვეველ. სჯ., 67—69) „ფეშქაში“ სიმამრის მხრიდან სიძისთვის პირთმეულ ფულად საჩუქარს აღნიშნავს („... სიმამრიანდგან ფეშქაშათ მოსული თეთრი...“). ვახტანგ VI-ის „დასტურლამალსა“ და ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ (აგრეთვე „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში) კი „ფეშქაში“ (მაგ., „ყუენის ფეშქაში“) „ხარკის“ მნიშვნელობისაა (დასტურლ., 536, 551. 573, 663, 829; ქ. ცხ., II, 336, 393, 421, 425, 468).

საბუთების მიხედვით „ფეშქაში“ რაიმე წყალობისა თუ ბოძების წინაპირობაა. მაგალითად: მოგვადექით კარსა და გვეაჯენით... პარტახტი გუთხოვეთ... და ფეშქაშიცა მოგვართვით, როგორათაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა, და გიბოძეთ... პარტახტი...“ (საქ. სიძე, II, 88—89). ასეთი ბოძების მოშლა ფეშქაშის სახით გაღებული ხარჯების ანაზღაურებას იწვევდა, რასაც ადასტუ-

რებს ევდემონ კათალიკოზის წყალობის წიგნი ელიოზიძეებისად-
მა: „... ამას წინად ეს მამული ბადაშვილს შოშიტას მივეციოთ და
წიგნიცა ჰქონდა. აწე იმ ჩუენს წყალობას მამულსა სხუავან ჰყიდ-
და. და რაცა შოშიტამა ჩუენ ფეშქაში მოგვიტანა, ეს ფეშქაშის
ფასი ისრევე მიგაცემინეთ და მამულის წყალობა თქვენ გიყავით...“
(ქართ. სამართ. ძგლ., III, 495—496).

მნიშვნელოვანი ფეშქაში უნდა გავღო იმას, ვისაც ესა თუ ის
სახელი, თანამდებობა ებოძებოდა. ასეთი ფეშქაშის შესახებ, იპოვ-
თაობაზე, თუ სახელდობრ ვისა და რა რაოდენობით ეძლეოდა იგი,
საინტერესო ცნობებს შეიცავს 1794 წლის საბუთი. მასში აღნუს-
ხულია ქალაქის ნაცვლობის ბოძების გამო ფეშქაშის სახით გაწე-
ული სხვადასხვაგვარი ხარჯები („...ბედნიერმა მეფემ ქალაქის ნაც-
ვლობა მიბაძა, რაც ფეშქაში დამეხარჯა, ამას ქვეით სწერია...“).
ამ საბუთის მიხედვით (ეკონ. ისტ. მას., I, 128—129), მეფეს „მი-
ერთო“ 22 თუმანი და შვიდ მინალთუნსახევიარი, ბატონიშვილს —
4 თუმანი, ეშიკალასბაშს — „მეფის მუხლის საკოცნი“ (7 მინალ-
თუნი და 1 აბაზი), მდივანბეგს — „ბატონი დედოფლის მუხლის სა-
კოცნად მოვი“ (2 მინალთუნისა), „სარდარს საბეჭდისთვის“ —
1 თუმნის ღირებულების ნივთები და ა. შ.

იოანე ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექ-
ტით (სჯულდება, 039,57) გათვალისწინებულია მეფისათვის ფეშ-
ქაშათ მირთმეული ნივთების გაყიდვა სამეფო დუქნებში: „იყოს სა-
მეფო დუქნები... საიდგანაც ფეშქაშები მოერთმევა მეფესა, რაც
ეხებება იმგვარს ნივთებსაც გააყიდვინებს... და აქედამაც კარგი
შემოსავალი ექმნება...“

§ 2. ნაწილობრივი სახელმწიფოებრივი კირითაღი ნიშნები

ტერმინი *donatio* რომის სამართალში ორგვარი გაგებით —
ვიწრო და ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა.

ვიწრო გაგებით ჩუქება ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებ-
რივ ინსტიტუტს წარმოადგენდა. იგი ხელშეკრულება იყო და მის
საფუძველზე წარმოშობილი იურიდიული ურთიერთობანი სამო-
ქალაქო სამართლის სათანადო ნორმებით წესრიგდებოდა.

რომის სამოქალაქო სამართლის ცნობილი სპეციალისტის ი. ბა-
რონის აზრით, ფართოდ გაგებულ ნაჩუქრობა გულისხმობდა გუ-
ლუხვობის ყოველნაირ აქტს ქონებრივ უფლებათა სფეროში, ე. ი.
ყოველგვარ გარიგებას, რომლის შინაარსსაც შეადგენდა კეთილგან-

წილობა-ს სურვილებით ნაკარნახევი და ნებაყოფლობით განხორციელებული მატერიალური სიკეთე (ბარონი, I, 154).

კიდევ უფრო შორს მიდის ვ. უმოვი, რომელმაც საგანგებო მონოგრაფია უძღვნა ნაჩუქრობას და ეს ინსტიტუტი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით გამოიკვლია (უმოვი, 4—5). მკვლევარი. კერძოდ, აღნიშნავს, რომ რომაელი იურისტები ზემოსაყენებულ ტერმინს იყენებდნენ ისეთი სიკეთის მინიჭების გამოსახატავად. რომელიც არ წარმოადგენდა ხოლმე ქონებრივ სარფასა თუ გამორჩენას. ამ თვალსაზრისით იგი საზოგადოდ ყოველგვარი სიკეთის აღმნიშვნელი ტერმინი იყო: ზმნური ფორმით, მაგალითად, ხშირად ნიშნავდა ისეთი არაქონებრივი სიკეთის ქმნას, როგორცაა მონის გააზატება, მამის ძალაუფლებისაგან ვაჟიშვილის განთავისუფლება და სხვ. მისთ. სავინიც ფიქრობდა, რომ ხსენებული სიტყვა რომაელთა ყოველდღიურს ცხოვრებასა და სიტყვათხმარებაში რაგინდარა სიკეთის მნიშვნელობითა და გამოსახატავად გამოიყენებოდა.

ისევე როგორც donatio, მისი შესატყვისი ძველი ქართული ტერმინებიც ხშირად გამოიყენებოდა ფართო მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ისინი არ გამოხატავდნენ ჩუქების საფუძველზე აღმოცენებულ ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს და არაიშვიათად უჩვეულო, ფანტასტიკური შინაარსის შემცველებადაც კი გვევლინებიან. ასეთ ვითარებასთან, სახელდობრ, საქმე გვაქვს რელიგიური ხასიათისა თუ შინაარსის წყაროებში.

ნაჩუქრობის ძველი ქართული ტერმინი „მონიჭება“, ცხადია, არაა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის გამომხატველი ქეთევან დედოფლის ვრცელ, დოდორქელისეულ რედაქციაში: „მეფეო, ყრპაჲ ეგე ჭე ჩემი, რომელ მოგცა მამის-ძმამან მისმან შურიითა, აწ მოგუანიჭე ეგე და თვთ მეფე ყავ ქუეყანასა ამას“ (ქეთევ. ცხ., 257).

რეალურ-ცხოვრებისეული, მაგრამ არაქონებრივი სიკეთის განიხატველია ტერმინი „ჩუქება“ გამოთქმაში — „სიცოცხლის ჩუქება“ („სიცოცხლე მაჩუქა“, „სიცოცხლე ვაჩუქე“ და სხვ. მისთ.). ასევე არაქონებრივი, ოღონდ ღვთიური ძალიდან მომდინარე სიკეთე იგულისხმება გამოთქმაში — „შვილის ჩუქება“ („ღმერთმა შვილი მაჩუქა“). „შვილის მონიჭებაზე“ ლაპარაკია მაკარის თხზულებაში „ცხოვრებაჲ პეტრე ქართველისაჲ“: „არა ესუა მას შვილი წული. ამრსთვსცა ევედრებინ ღმერთსა... რათა მონიჭოს მას

შვილი“. ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციაში კი „ღმრთივ მონიჭებული ძე“ იკითხება (აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ.: II, 216; IV, 384).

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ნაჩუქრობის ტერმინებით გამოხატულია რაიმე მატერიალური სიკეთის მიკუთვნება, მაგრამ მჩუქებლის არარეალურობის გამო მას, ცხადია, ვერ მოვაქცევთ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში. მაგალითად, ღმერთმა იოანე ზედაზნელს ადგილი, ხოლო წმინდა შიოს „წყალიცა კმა-საყოფელი მოანიჭა“; იოანე ზედაზნელის ცხოვრების მიხედვით, „უფლისა არს ქვეყანა და სავსებაჲ მისი“, რომელიც „სამკვდრებელად... კაცთათჳს მოუნიჭებია“ (აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ., III, 97, 271).

ზოგჯერ თვით სიკეთეც არარეალურია, როგორც ამჟ ადგილი აქვს, ვთქვათ, იმავე იოანეს ცხოვრებაში (აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ., III, 87) — „მადლი სასწაულთა სრულქმნისაჲ მოენიჭა მას ღმრთისა მიერ“. აბო ტფილელის მარტვილობაში კი ურთიერთდაპირისპირებულია, ერთი მხრით, ამქვეყნიური „ნიჭი“ — „ოქროჲ და ვეცხლი“, ხოლო, მეორე მხრით, „ნიჭი ქრისტჳსმიერი, გვრგვნი ცხოვრებისა და უხრწნელებისაჲ“ (იქვე, I, 65).

ზემოთ წარმოდგენილი „ნაჩუქრობითი ურთიერთობანი“ რელიგიის სფეროს განეკუთვნება, ქრისტიანულ მოძღვრებას ემყარება და მისი დოგმებითაა „მოწესრიგებული“.

სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით წესრიგდება ნაჩუქრობა ვიწრო გაგებით. ჩვენც ძირითადად სწორედ ასეთი ჩუქება და მის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობანი გვაინტერესებს. ამგვარ ნაჩუქრობას განმარტავენ ვითარცა უსასყიდლო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე — მჩუქებელი მეორე მხარეს — დასაჩუქრებულს საკუთრებად გადასცემს რაიმე ქონებას.

ნაჩუქრობის საგნის უშუალო გადაცემის გარდა ჩუქება ისეთი გზითაც შეიძლება განხორციელდეს, როგორცაა ვალის პატიება თუ რაიმე სანივთო უფლებაზე უარის თქმა და ა. შ. (ეკლოგა. 107; გრიმი, 125). ამდაგვარი ჩუქების ამსახველი ზოგიერთი ცნობა ქართულ მასალებშიც შემოინახა.

1756 წლის ივნის-ნოემბრის საჩივრების ნუსხის მიხედვით (სამდივანბ. სასამ. მას., 29), „ბულღუტურმან კლიმიასშვილს დავითს გალ[ა]ხვა, სასაფლაო და ოთხის დღის მიწა უჩივლა... მიწის ს[ა]მდიოვანბეგო ბატონმა აჩუქა“. ასევე, ნაზირმა ხითარისშვილს „კაც[ი] უჩივლა“. ამისი „საიასაულო ეშიკალ[ა]თს აუ-

ლა“, მდივნებსაც თავიანთი წილი მიეცათ, ხოლო „ს[ა]მდ[ი]ვ[ა]-
ნბეგ[ო] ბატონმა აჩუქა“.

გვიანფეოდალური პერიოდის ერთ-ერთ გასამყრელო წიგნში (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 382) მოხსენიებულია სხვადასხვაგვარი „ასალების“ ჩუქება: „რაც სტეფანას ან ასაღებ ბიშპონდა, ან ნალდი, ან ჯინსი, ან სახლის რიგი ყველა აღამ სტეფანას მაჩუქე... წილი აღარ ითხოვე...“

ლუკებისაგან ყვარლის ციხის დაცვისას გმირული საბრძოლო მოქმედების „საჯილდაოთ“ თეიმურაზმა და ერეკლემ გაააზატეს გოგილასშვილი და უბოძეს მას „ჟამთა და ხანთა გასათავებელი საჯილდაოს აზატობის წიგნი და ნიშანი“: „ამისათ საჯილდაოთ ასე გაგვიაზატებ ბიხარ, რომ არაფერი საჩვენო გამოსაღები... არა გეთხოვება-რა“ (საქ. სიძვ., I, 172—173). ამავე ამბებთან დაკავშირებით „საჯილდაოდ ნაშოვნის სოფელი“ ხოდაშენი შეფეებმა ციციშვილს „სამოურაოთ მოსცეს საუკუნოღ“ (სამოხ. წყობ. მას., 35).

ჩუქება გულუხვობის, ხელგაშლილობის აქტს წარმოადგენს. მჩუქებელს ამოძრავებს სიკეთის გრძნობა, რომელიც ქონების უსასყიდლოდ გადაცემით ვლინდება. თავის გულუხვობა-ხელგაშლილობას გამჩუქებელი, როგორც ეს წინამდებარე ნაშრომის სხვადასხვა ადგილას დამოწმებული ფაქტობრივი მასალიდანაც კარგად ჩანს, „ნიჭითა მრავალ-გვართა“ გამოხატავდა. ცხადია, მხოლოდ ისეთი რამის გაჩუქება შეიძლებოდა, რაც გამჩუქებელს საკუთრების უფლებით ექნებოდა. არ შეიძლებოდა, მაგალითად, მფლობელობის უფლებით მიღებული ნივთის გაჩუქება.

ნაჩუქრობის ცალკეული ელემენტებისა და საერთოდ ამ ინსტიტუტის ზოგადისტორიული განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რომაული სამართალი. აღიარებულია, რომ ნაჩუქრობის ის ცნება, რომელიც რომაელმა იურიისტებმა შეიმუშავეს, თითქმის მთლიანად შევიდა ყველა ახალ კანონმდებლობაში. საერთო-გერმანულ სამართალში, მაგალითად, რომაული მოძღვრება ნაჩუქრობის შესახებ უცვლელად იქნა შენარჩუნებული; შეიძლება ითქვას, რომ მას არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილება არც კანონიკურ სამართალში და არც საიმპერიო კანონმდებლობაში (უმოვი, 3).

ნაჩუქრობა ქონებრივი ხასიათის იურიდიული გარიგებაა; ოღონდ აქ მთავარია ის, რომ იგი მხოლოდ ერთი მხარისთვისაა

სარფიანი. ჩუქების შედეგად ქონებრივი გამორჩენა მხოლოდ ერთ მხარეს — დასაჩუქრებულს აქვს. სწორედ ესაა ნაჩუქრობის ხელშეკრულების თავისებურება ეკონომიკური თვალსაზრისით.

ნაჩუქრობის ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგია დასაჩუქრებული მხარის გამდიდრება მჩუქებლის ქონების ხარჯზე: დასაჩუქრებულის ქონება იზრდება იმდენით, რამდენითაც მცირდება მჩუქებლის ქონებრივი მასა. ნაჩუქრობის ხელშეკრულება აღნიშნული ეკონომიკური შედეგის იურიდიულ გაფორმებას, მის სამართლებრივ გამოხატულებას წარმოადგენს.

ჩუქება ძირეულ ცვლილებებს იწვევს ხელშეკრულების მონაწილეთა სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობებში. ნაჩუქრობის იურიდიული შედეგია ის, რომ საკუთრების უფლება მჩუქებლისაგან დასაჩუქრებულზე გადადის. დასაჩუქრებული საჩუქრის მიმართ იძენს აბსოლუტურ უფლებას აქედან გამომდინარე ყველა იურიდიული შედეგით.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც ნაჩუქრობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვება, არაა შეზღუდული გარკვეული დროით. ეს იქას ნიშნავს, რომ ნაჩუქრობით შექმნილი უფლება მუდმივია. იგი არ შეიძლება ამა თუ იმ ვადით იყოს პირობადებული და მოისპოს მისი გასვლის შემდეგ. ნაჩუქრობის ხელშეკრულების ამ თვისებაზე პირდაპირაა მითითებული ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში (მუხ. 61): „თუ კაცმა კაცსა კარგად და პირისწყლიანად ყოფისათვის სამოყვროდ მისცეს რამე, გინა სამამულო, გინა სასაქონლო და რა გინდა რა, ხანთა გამოსვლისათვის... თხოვასა არასემართლები... მისის მოყვრობისავე ზედა იყოს“.

იგულისხმება, რომ ნაჩუქრობა, ვითარცა ხელშეკრულება, თავისუფლებისა და ნაბაყოფლობის საფუძველზე ზორციელდება. თუ ერთი პირი გადასცემს მეორეს რაიმე ქონებას ვალდებულების შესრულების მიზნით, ეს არ იქნება ჩუქება. რა თქმა უნდა, სხვა საქმეა ინტიმური გრძნობა: სიყვარულზე, ნათესაობაზე, თანაგრძნობასა და მეგობრობაზე დამყარებული თუ მათთან დაკავშირებული მოვალეობანი სრულიადაც არ გამორიცხავს ნაჩუქრობის არსებობას (ბარონი, I, 155).

ამგვარად, იგულისხმება, რომ პიროვნებამ ნაჩუქრობის აქტის ნებაყოფლობით უნდა განახორციელოს. არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში რაიმე იძულებას ექნეს ადგილი.

ჩუქების ნაბაყოფლობითობის პრინციპმა სახეცვლა განიცადა ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელიც საერთოდ დიდი სიჭრელითა და მრავალგვარობით ხასიათდება. საქმე ისაა, რომ ნაჩუქრობის ინსტიტუტში შეიქრა და, როგორც მასალებიდან ირკვევა, საგრძნობლადაც დამკვიდრდა სავალდებულობის ელემენტი. აქვე უნდა ითქვას, რომ სავალდებულობის მომენტი აშკარად გამოსჰვივის წყალობასა და ბოძებაში. სენიორს უდავოდ ეკისრებოდა თავისი ვასალის მიმართ წყალობისა თუ ბოძების ვალდებულება.

დასაჩუქრება, რომელიც თავდაპირველად ნებაყოფლობითს აქტს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამო, სავალდებულო ხდება. აქ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, როდესაც გაბატონებული კლასი თავისი ინტერესების შესაბამისად ცვლის ძველ ხალხურ ჩვეულებებს, ახალი შინაარსით ავსებს მათ და ამის შემდეგ ამკვიდრებს ვითარცა სამართლებრივ ნორმებს.

ქართული მასალებითაც თვალნათლივ დასტურდება ის ზოგადისტორიული ვითარება, რომ საზოგადოებრივი განვითარების პროცესში „ნებაყოფლობითი გამასპინძლება და ძღვენი გამოსალებად და რენტად იქცეოდა ზოლმე“ (გურგენიძე, 194). უეჭველად ასეა დაკანონებული ფეოდალურ საქართველოში ისეთი ფართოდ გავრცელებული გადასახად-გამოსალები, როგორიცაა სამასპინძლო და ძღვენი.

ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „სამასპინძლო მასპინძლობის ძღვენია“ (საბა, II, 39). სამასპინძლო ბატონის მიპატიება-გამასპინძლების ვალდებულებას ანდა მასპინძლობის შემცველ ნატურალურ თუ ფულად გამოსალებს ეწოდებოდა. „დასტურლამალით“ გათვალისწინებულია „ბატონის მიბრძანებაზედ შეძლებით სამასპინძლოს გამოლება“; „თუ ბატონი ზემო ქართლში წაბრძანდა, ვინც არ დაჰპატიჯებს და ან სამასპინძლოს არ მიართმევს, მოხელენი სამასპინძლოს შეაწერენ“ (დასტურლ., 528, 595, 821). ასევე, ძღვნის მირთმევა მტკიცედ დაკანონებულ გადასახად-გამოსალებს წარმოადგენდა: ყმა გლეხი ვალდებული იყო, რომ ღლესასწაულებში თავისი ბატონისათვის მიეტანა დაწესებული საქმელ-სასმელი.

ბიჰენტიცადმი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის შეწირულების სიგელის თანახმად (ქართ. სამართ. ძგლ., III, 649), „მეხადილეს საჩუქართემაართა“. სულხანის „ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, „ხადილი იმერულად სამასპინძლოა“.

ამასთან, „ხადილი“ არის „უადრესთ მოწოდება“; „მოხადეს ვიტყვით, რა ჩვენგან უპატროსნეს(ა) ჩვენდა მოსლვად მოუწოდ(ო)თ, სამასპინძლოსაც იმერელნი „ხადილს“ მით უკმობენ“ (საბა, II, 411). სწორედ ამ „ჩვენგან უპატროსნესის ჩვენდა მოსლვად მოწოდების“ სახეცვლილებაა ზემოხსენებული სიგელის საჩუქარგამოწალები.

ქალაქის მოურავის სარგოს განწესების (1784—1790 წწ.) მე-9 მუხლის ძალით, „მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდამ მოვიდეს, პირველად მოურავი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს, რომ ეს დებულება არის“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 494). „ვეფხის ტყაოსნის“ მიხედვითაც (რუსთვ., 370), დიდვაჯრებსა და მათ ცოლებს პირდაპირ ევალებათ, რომ ძღვენი მიართვან მეფე-დედოფალს („ჩვენ დიდ-ვაჟართა ზედა-გვაც დარღაზს მიღება ძღვენისა“: „დედოფალსა ძღვენსა ვუძღვით. მდიდარი თუ გლახა კინ-ა“).

ისეთი ჩვეულებანი, როგორც იყო საჩუქრების მირთმევა ქორწილში, მატერიალური დახმარება გარდაცვლილის ჰირისუფალს და საჩუქრის მიცემა მოლაშქრისათვის, ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის 34-ე მუხლში იურიდიულ ვალდებულებადაა მიჩნეული: „ქორწილისა სანიჰარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედან, აგრე ლაშქარსა წამავლისათა შთასადებელიცა ვალია კაცისაგან კაცსა ზედა. აგრევე საჰირისუფლო შესაწევარიცა ვალია — წახურვა მიცვალბულისა — და სხვა მისალბელიცა“. სამართლის წიგნი სასარჩელო დაცვასაც კი ითვალისწინებს. ხსენებული მუხლითვე, „სამღურავი[თ] რასათვიამე“ „სანიჰარისა“ და „შთასადებლისა“ თუ „შესაწევრის“ „დაჰირვასა არას ემართლების, თუ არა, ოდესცადა გაიბჰობიან, დაურვებას ემართლების დაუკლებლად“.

საჰირისუფლო შესაწევრის ჩვეულება იურიდიული ნორმის სახითაა წარმოდგენილი მეფე ერეკლეს 1791 წლის „განწესებანშიც“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 514). შესაწევრის ოდენობის განსაზღვრა თვით ვალდებული პირის მიხედულობაზე იყო დამოკიდებული („რასაც მოუმზადებენ და მისცემენ შესაწევარს, იმას უნდა დასჯერდეს“).

სიძისა და რძლის დასაჩუქრება საზოგადოდ წესად იყო მიღებული. გამოთქმა „ჩუქება ვით სიძისა და სძალისა“ საჩუქრის უხვად გაცემის გამოსახატავად იხმარებოდა (რუსთვ., 514). ქორწილ-

ში საჩუქრების ნებაყოფლობით მირთმევის ჩვეულება იურიდიული მასალების თანახმად მებატონის სასარგებლო გადასახად-მოსაჯრების სახით ვლინდება. ერთ-ერთ საბუთში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „საქართველოში განწესება არის, ყმაში სააქორწილოს მოკრეფენ“ (ეკონ. ისტ. მას., III, 372). ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს განწესების შესაბამისად (ქართ. სამართ. ძგლ., II, 410), „საქორწილო... ყველას შეძლებით შეეწერება“.

„საქორწილოს“ ოდენობა, ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და მის თაობაზე მებატონე სახლიკაცებს უკმაყოფილებაც მოსდიოდათ ხოლმე. ამის დამადასტურებელია განჩინება გერმანოზიშვილების გაყრის საქმეზე. პაპუა და გუგუნა გერმანოზიშვილებმა „საქორწილო ილაპარაკეს“. მოსამართლეებმა „გაიგონეს“ და კიდევ გადაწყვიტეს მათი „სარჩელი და საჩივარი“ (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 203—205).

ნაჩუქრობის ხელშეკრულების ძირითად ნიშნად, მის დამახასიათებელ თავისებურებად უსასყიდლობაა მიჩნეული. მაგრამ რას ნიშნავს უსასყიდლობა სამართალში? „იურიდიული თვალსაზრისით უსასყიდლობა უნდა გავიგოთ მხოლოდ ისე, რომ გადასაცემ ღირებულებას არ შეესაბამება ეკვივალენტი. არ შეიძლება, მაგალითად, სასყიდლიანად ჩაითვალოს ნაჩუქრობა იმიტომ, რომ ნაჩუქები დანისა ანდა თოფისათვის დასაჩუქრებული აძლევს მჩუქებელს მონეტას, ხელმძღვანელობს რა ხალხური ცრურწმენით, რომ საშიშია რკინისა და ფოლადის ჩუქება“ (შერშენ., 128; იხ. აგრეთვე პახმ., 103).

ჩვენის მხრივ აქ გავიხსენებთ ცხვირსახოცის ჩუქებასთან დაკავშირებულ ხალხურ ჩვეულებას. დასაჩუქრებული მჩუქებელს ამ შეპთხვევაშიც, ისევე როგორც დანისა და თოფის ჩუქებისას, ლითონის ფულს აძლევს. აღნიშნულ წესჩვეულებას საფუძვლად უდევს ის შეხედულება, რომ ცხვირსახოცის ჩუქებას მწუხარება და ცრემლი მოსდევს, თითქოსდა მჩუქებელი და დასაჩუქრებული ამ ნიადაგზე ერთმანეთს შეიძულებენ.

ბნელი მისახვედრი არაა, რომ ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ნაჩუქრობა, მხარეები კი ამ ფაქტობრივ ვითარებას ნასყიდობის საბურველში ახვევენ. ეს გარემოება, თავისთავად ცხადია. ვერ შეცვლის ხელშეკრულების ნამდვილ შინაარსსა და მის ბუნებას. ხსენებული ფორმალური ნიშნები მხედვე-

ლობაში არ მიიღება და უდავოა, რომ ასეთი ურთიერთობანი უნდა განვიხლოთ, ვითარცა ნაჩუქრობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულება სასყიდლიანი არ იქნება და ნაჩუქრობასთან გვექნება საქმე მაშინაც, როდესაც დასაჩუქრებული მჩუქებელს, მართალია, თავის მხრივ აძლევს რაიმე მატერიალურ ღირებულებას, მაგრამ მხარეები ამ ფაქტს იურიდიულად არ აკავშირებენ იმ პირველ სამართლებრივ ურთიერთობებთან. ამ შემთხვევაში სახეზე იქნება ნაჩუქრობის ახალი ხელშეკრულება.

ახლა ავიღოთ ისეთი ვითარება, როდესაც ერთი პირი აძლევს მეორეს რაიმე ნივთს და მათ შორის დადებული პირობის თანახმად მისგან ღებულობს გადაცემულის თანაბარღირებულ საგანს. ცხადია, ასეთ სამართლებრივ ურთიერთობას ვერ მივიჩნევთ ნაჩუქრობად; იგი გაცვლის ხელშეკრულებას წარმოადგენს.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი. თუ ნაჩუქრობას გამოვირიცხავდით ყველა და ყოველგვარი ქონებრივი ნაცვალგებითი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობისას. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 254-ე მუხლის მიხედვით, მოლაშქრე ომში დანარჩუნებულ კაცს „თუ კელმწიფეს მ ი ა რ თ ო მ ს“, მეფე მას, თავის მხრივ, „ჭ ი ლ დ ო ს მ ი ს ც ე მ ს“. ასეთი ტყვე, ჩვეულებრივ, ყმა ხდებოდა; ამ მინარტმევით შეპარობებული ჭილდო კი არის „გამარჯვებისათვის (გამარჯვების) ნიჭი“, „გამარჯვებულის მეომრის სანაქარი“ (საბა, II, 454—455). აღნიშნული ურთიერთობა, როგორც ვხედავთ, თვით კანონმდებლის მიერაა მიჩნეული ნაჩუქრობად.

როდესაც ერთსა და იმავე გარიგებაში უსასყიდლობა შეერთებულია სასყიდლიანობასთან (მაგალითად, მყიდველისადმი გამოყიდველის კეთილგანწყობილების გამო ნივთის ძალზე იაფად გაყიდვა), საჭიროებისას, თუკი შესაძლებელია, გამოჰყოფენ ხოლმე გარავების იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს ჩუქებას (ბარონი, I, 155). ამ დროს სახეზე გვაქვს ნაწილობრივ სასყიდლიანი გარიგება, ხოლო ნაწილობრივ—ნაჩუქრობა. მთლიანად კი ასეთი სამართლებრივი ურთიერთობა იწოდება ნაჩუქრობასთან შერეულ გარიგებად (უშოვი, 79).

მასალებიდან ჩანს, რომ ასეთი შერეული გარიგება სხვადასხვა ფორმითა და საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში. დავიმოწმოთ რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი.

თავისებურ ნაცვალგებით სამართლებრივ ურთიერთობაზეა ლაპარაკი არაგვის ერისთვის-შვილის ავთანდილის საჩუქრის

წიგნში ელისბარ დავითიშვილისადმი (ებრ. ისტ. დოკ., 182),
ყმებს, რომლებიც ავთანდილს თავიანთი ნებით მისვლიან („ური-
ები მომივიდნენ. არაგვის პირას მესახლნენ“) ძალზე უჭირდათ
(ბიჭშილობა, ვალები, შვილის დაგირავება). „ბატონყმობის რიგის“
მიხედვით, მებატონე ვალდებული იყო დახმარებოდა მძიმე ეკონო-
მიურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ყმას. ავთანდილმა კი არ შეას-
რულა თავისი მოვალეობა („ჩუენ არა თავს შევიდეთ“). სამაგიე-
როდ, ვალები გადაიხადა, დაგირავებული დაიხსნა და დამშეულე-
ბი გამოკვება ელისბარ დავითიშვილმა. ამ ხარჯებისათვის მან ავთან-
დილისაგან საჩუქრის სახით („სხვა საჩუქრის მაგიორად გაჩუქეთ“)
ორი „კუამლი“ ყმა მიიღო. ამგვარად, ასეთი ნაცვალგების აქტს
მხარეები ნაჩუქრობად მიიჩნევენ.

ახლა ვნახოთ ყმის ჩუქების 1669 წლის წიგნი: „... ჩუენი ყმა...
აგუეყარა და თქუენს მამულში მოვიდა. რადგან თქუენ მოინდო-
ნეთ, ჩუენ თქუენის გულისათვის დავთმევიტ და თქუენ მო გ ვ ა რ-
თ ვ ი თ ფ ე შ ქ ა შ ი ს რ უ ლ ი, რ ი თ ა ც ჩ უ ე ნ ი გ უ ლ ი შ ე-
ჯ ე რ დ ა. და მოგართვით ყოვლის კაცის უცილებლად...“ (სოც.
ისტ. დოკ., I, 47).

ხაზგასმულმა სიტყვებმა არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ აქ
ყმის სრულ ფასთან, ეკვივალენტთან გვაქვს საქმე. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში, შემძენისათვის უფრო საიმედო საბუთი—ნასყიდობის
წიგნი გაფორმდებოდა და ფორმულაც სხვა იქნებოდა: „მოგვეცით
ფასი სრული, რითაც ჩუენი გული შეჯერდებოდა“. რადგანაც
ტერმინი „ფასი“ „ფეშქაშითაა“ შეცვლილი, ეს იმის უდავო დამა-
დასტურებელია, რომ საბუთი ნაჩუქრობის წიგნია და იგი არ წარ-
მოადგენს, ნასყიდობის გაზოხატულება-გაფორმებას.

ფეშქაშით შეპირობებული ჩუქების ზემომოყვანილი ფორმუ-
ლა („მოგვართვით ფეშქაში სრული, რითაც ჩუენი გული შეჯერ-
და“) საბუთებში სხვა სახითაც გვხვდება. ყმა-გლეხის მიცემის 1713
წლის წიგნში (სოც. ისტ. დოკ., I, 157—158) „ფეშქაში სრულის“
ნაცვლად ნახმარია „კაი ფეშქაშები“. ამასთანავე, გამოტოვებულია
გამოთქმა — „რითაც ჩუენი გული შეჯერდა“. ამას, ვფიქრობთ,
არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან მასში გამო-
ხატული აზრი, მჩუქებლის კმაყოფილება დასაჩუქრებულისაგან
მიღებული ფეშქაშით ისედაც კარგად ჩანს — „კაი ფეშქაშები მო-
გვართვი“.

განხილული საბუთების მიხედვით შეუძლებელია საჩუქრი-
სა და ფეშქაშის ზუსტი თანაფარდობის დადგენა. მაგრამ ეს არცაა.

აუცილებელი. მთავარია ის, რომ ფეშქაში არ წარმოადგენდეს ნაჩუქების ეკვივალენტს. -ეს გარემოება ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტშიც შეიმჩნევა, ზოგიერთ საბუთში კი იგი პირდაპირაც არის აღნიშნული. ავიღოთ, მაგალითად, 1777 წლის 8 ივლისის წიგნი, რომელიც მიუცია ნიკოლოზ აბაშიძეს თავის ბიძაშვილ იოანე აბაშიძისათვის: „... ერთი კომლი კაცი ჩვენი ყმა შოლის პირს ნამოსახლები ჭაბუკაძე გიორგი კახეთში ვეჯინს იყო და ეს კაცი შენ მოინდომე და ცოტა რამ ფეშქაშიც მოგვეცით და ჩვენც შენის ძმობისა და სიყვარულის გულისათვის და ახლის მოსახლეობის მიზეზით ეს ჭაბუკაძე გიორგი თავისის ცოლშვილით თქვენ მოგვეცით ყოვლის კაცის უცილებლად..“ (სოც. ისტ. დოკ., II, 280).

აქ პირდაპირაა აღნიშნული, რომ ფეშქაში „ცოტა რამ“ არის, ე. ი. ნაჩუქებზე აშკარად ნაკლებია. ყმა-გლეხი გაიცა „ცოტა რამ ფეშქაშის“ საფუძველზე, აგრეთვე „ძმობისა და სიყვარულის გულისათვის და ახლის მოსახლეობის მიზეზით“. მაშასადამე, უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს ნაჩუქრობასთან. მიუხედავად ამისა, ხსენებულ საბუთს მისი გამომცემელი შეცდომით „ნ ა ს ყ ი დ ო ბ ა ს წიგნს“ უწოდებს.

ზემოთქმული იმის მტკიცე საფუძველს იძლევა. რომ ნაჩუქრობა ფეოდალურ საქართველოში ნაწილობრივ სასყიდლიან გარიგებადაც მივიჩნიოთ. ჩვეულებრივი, წმინდა ნაჩუქრობის გვერდით იგი განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობათა ერთგვარ ნაირსახეობად წარმოგვიდგება.

სასყიდლიანობის თუნდაც საგრძნობი როლი ნაჩუქრობითა სამართლებრივ ურთიერთობებში არც უნდა გვეჩვენოს უჩვეულოდ და გასაკვირად ისეთი ვითარებისას, როცა „ეკლესია-მონასტრებისათვის მიძღვნილი „შეწირულება“ ჩვეულებრივ ქონებრივი თვისების ხელშეკრულებას წარმოადგენდა და შეწირულების მიმღები დაწესებულება სამაგიეროდ ვალდებული იყო, რომ შემწირველისათვის ან სახსენებელი, ან და აღაპი გაეჩინა. ამგვარად შეწირულება არსებითად უსასყიდლო საჩუქარს არ წარმოადგენდა“ (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 436).

საერთოდაც, ჩუქება თავიდანვე სასყიდლიან გასხვისებას გულისხმობდა (მურომც., 397). უთუოდ ნაჩუქრობის ამ ნიშან-თვისების გამოძახილსა და თავისებურ ასახვასთან უნდა გვეკონდეს საქმე ქართულ ანდაზაში (სახოკ., 162) — „რეგვენს ნაჩუქარი მუქთი ეგონაო“.

ჩუქებით წარმოშობილი სამართლებრივი
ურთიერთობანი

§ 1. ჩუქების მოტივები

ნაჩუქრობის მორალური საფუძვლები, ის მოტივები, რომლებიც ამოძრავებენ და აქეზებენ მჩუქებელს, სრულიად სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. ჩუქება ინდივიდუალური აქტია და მას პიროვნება თვითონ, თავისი ნება-სურვილით ახორციელებს. ამასთანავე. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უყურებს ჩუქებას ესა თუ ის საზოგადოება. ცნობილია, რომ ნაჩუქრობამ სომხეთში ვერ მოიპოვა რომაელებში. ულპიანეს აზრით, მაგალითად. რაიმეს გაჩუქება იგივეა, რაც საკუთარი ქონების განთავება. ასეთი შეხედულება, ცხადია, გავლენას ახდენდა ნაჩუქრობის ინსტიტუტის ბუნებაზე და განაპირობებდა ჩუქების თავისუფლების შეზღუდვას. ნაჩუქრობა საგრძნობლად იყო შეზღუდული რომის სამართალში (ხვოსტოვი, 356—357; მურომც., 398).

ქართულ იურიდიულ მასალებში არ გვხვდება აშკარად გამოკვეთილი შეხედულება ნაჩუქრობაზე. რამდენადმე ხელშესახებ და ზოგადი ხასიათის ცნობას შეიცავს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 183 მუხლი: თუ უშვილო კაცმა „თავისი საქონელი თავის აზატნაქმარს კაცს მისცეს... და მასუკან შვილი ეყოლოს, ის მისაცემელი ისევ მობრუნდება, — თუ რამ ემეტება, კიდევ მისცემს, და სხვას გამოართმევს“.

ამგვარად, ამ მუხლის მიხედვით ჩუქება ნივთის გამეტებადაა მიჩნეული. გაჩუქება იმის მაუწყებელია, რომ ადამიანს თავისი ქონება სხვისთვის არ ენანება და უანგაროდ გასაცემად ემეტება.

იმის თაობაზე, თუ როგორ უყურებდნენ ნაჩუქრობას ფეოდალურ საქართველოში, საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართული ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანი“. აქ „მიცემა და არას შური, ჩუქების სარმოწყენა“ მეგობრობის აუცილებელ პირობადაა დასახული (რუსთვ., 256). ასევე, დავით აღმაშენებლის ისტორიის მიხედვით (ქ. ცხ., I, 351), მეფეს „მსახურებულთა ნიჭ-მრავლობანი“ მოეთხოვება.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ნათარგმნ ძეგლებში დაცული ცნობები. სათარგმნი ლიტერატურა საზოგადოების მოთხოვნილე-

ბათა შესაბამისად შეირჩევა ხოლმე და, ამდენად, ასეთ წყაროთა მონაცემები წარმოაჩენს როგორც მთარგმნელთა, ისე მათ თანაზედროვეთა შეხედულებებს. ფილოსოფიურ-დიდაქტიკური შინაარსის მახვილგონივრულ თქმათა კრებულში „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისაჲ“, რომელიც რუსთველის ეპოქაშია შედგენილი და შოთასთვისაც ყოფილა ცნობილი (სწავლ. და სიბრძნ., 13—14), სამაგალითოდაა მიჩნეული ქონების უშურველად და უანგაროდ გაცემა: „მადალი ჯელი უმჯობეს არს მდაბალსა და ჯელი გამცემა და უხვ უმჯობეს არს მომზიდვარსა და წამლებსა“ (იქვე, 75). ასეთი შეხედულება, ჩანს, მართლაც დამახასიათებელი იყო ქართული სინამდვილისათვის. ა. დიუმას დაკვირვებით, საჩუქრის გაცემა არის „ქართული ხასიათის გამომქლავნება. ქართველ ხალხს ისევე უყვარს გაჩუქება, როგორც სხვა ხალხს საჩუქრის მიღება“ (კავკასია, 251).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ნაჩუქრობის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი სოციალური როლი, მეტადრე შუა საუკუნეების ეპოქაში.

უძველესი წარმოდგენებით, რომლებიც გადმონაშთურად შემდგომაც არაიშვიათად ვლინდებოდნენ, სიმდიდრე უპირველეს სოცლისა სოციალურ ფუნქციას ასრულებდა: ხელგაშლილობითა და ქონების გაცემით ხანდახან უფრო მეტი საზოგადოებრივი გავლენის მოპოვება შეიძლებოდა ხოლმე. ვიდრე მომპირნეობითა და სიმდიდრის დაგროვებით; გაჩუქება სიმდიდრის მაჩვენებელი იყო და საგრძნობლად ზრდიდა გამჩუქებლის გავლენა-ძლიერებას (გურევიჩი, 184—185, 187).

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულება სიმდიდრის სოციალურ დანიშნულებაზე ასახულია „ვეფხისტყაოსანში“. ამის მკაფიო დამადასტურებელია „უხვი ახსნილთა დაბამს“ და „უხესა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“ (რუსთვ., 15). აქ აშკარადაა გამოხატული სიმდიდრის ხელგაშლილად გაცემის უადრესად დიდი მნიშვნელობა პატრონ-ყმურ ურთიერთობათა დამყარებასა და განმტკიცებაში.

ასეთი ზოგადი ვითარების ფონზე უფრო გასაგები ხდება ჩუქების ის კერძო მოტივები, რომლებიც „შეიძლება ძალზე დაშორებულნი იყვნენ უანგარობის გრძნობისაგან“. ამას არაერთგვაროვანი მნიშვნელობა არა აქვს საკითხის იურიდიული მხარისათვის. მჩუქებელს შეიძლება მიზნად ჰქონდეს დასაჩუქრებულის გულის მონა-

დირება, რათა მან, მადლობის ნიშნად, დაუტოვოს მემკვიდრეობა (შერშენ., 128. იხ. აგრ. კოლერი, 76).

პირადი მიზანი. როგორც მასალებიდან ირკვევა, ხშირად ამოძრავებს გაჩუქებულს. ჩუქება ამ შემთხვევაში გარკვეული მიზანდასახულობის განხორციელების საშუალებაა. ეს კარგად ჩანს აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლიდან (მუხ. 85). აქ მჩუქებელი მიზნად ისახავს, რომ საჩუქრის მიცემის გზით კეთილად განიწყოს პატრონი და მოაგვაროს თავისი საქმეები.

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 61 მუხლში საჩუქრის გაცემის მოტივს წარმოადგენს მოყვრობის. კეთილგანწყობილების დამყარება: „თუ კაცმა კაცსა კარგად და პირისწყულიანად ყოფისათვის სამოყვროდ მისცეს რამე...“

ჩუქება ზოგჯერ რაიმე პირადი სამსახურისა თუ სიკეთის სამაგიერო, მის საპასუხო იურიდიულ აქტს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ე. წ. სამადლობელი ნაჩუქრობა ანუ ჭილდოსაჩუქარი. ამგვარი ნაჩუქრობა ცნობილი იყო ქართულ ფეოდალურ სამართალშიც. მაგალითად, ბეჟა-აღბულას სამართლის წიგნის 92 მუხლის თანახმად, „თუ კაცმა კაცსა დაკარგული რამე უპოვნოს, პარუტყვი იყოს თუ საქონელი, რაჟამს სორახი ესმას, გამოუჩინოს და.. მსგავსიერი საპოვნელა მისცეს და დასჯერდეს“. მაშასადამე, დაკარგული ნივთის პატრონი მპოვნელს გაწეული სამსახურის სამაგიეროდ აძლევს სამადლობელ საჩუქარს, რომელსაც „საპოვნელა“ ეწოდება.

სპეციალურ სამადლობელ საჩუქარს შეადგენდა ე. წ. „ღუშალიკი“ — „მეძღვნის ნიჭი“ (საბა, I, 232), „ძღვენთა და ფეშქაშთა მომტანის საჩუქარი“ (ეკონ. ისტ. მას., I, 374).

სამადლობელი საჩუქრის ბუნების გასარკვევად საინტერესოა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ცნობა: „და ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა. რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი... მეძღუნეთა ჭეროვანნი მისაგებელნი... მოსაკითხვათა შესატყვისნი მოკითხვანი“ (ქ. ცხ., I, 351).

ამგვარად, სამადლობელი საჩუქარი მარტო სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს არ წარმოადგენდა. იგი, როგორც აქ მოყვანალი ამონაწერიდან ჩანს, სახელმწიფო სამართლის სფეროშიც ფართო გამოყენებას პოულობდა.

ჩუქება სიბრალულის, კაცთმოყვარეობის გრძნობითა და რე-

ღიგობრივ მოსაზრებებითაც იყო ნაკარნახევი. ეს ყველაზე კარგად ჩანს გლახაკთათვის მიცემული მოწყალების მაგალითზე.

ამასთან, რაოდენ გასაკვირი და მოულოდნელიც არ უნდა იყოს, გაჩუქებისავენ ადამიანს თვით ეკონომიური სიფიწროვე. გაჭირვებაც უბიძგებდა. ამის დამადასტურებელია 1718—1720 წლების „დის მიცემულობის წიგნი“ (სოც. ისტ. დოკ., I, 179—180): „ეს... და მოგ[გ]ვარეთ... ასე რომ ერთი პატარა და დაგ[ვ]რჩა და შენახვა ვერ შევიძლებოდა... მოგეცით... ღმერთმა მოგცეს და გიბედნიეროს რაგვართაც გინდოდეს, საშინაოთ გინდოდეს თუ საზოგადოებრივად, ვერ[ა]ვინ შემოგეცილოს, რათაც-ვრავ ჰოსახმარისათ გინდოდეს...“.

ძალზე ხშირად ჩუქება ჩვეულებითა თუ ტრადიციით იყო შეპირობებული. ასეთია, მაგალითად, ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 34-ე მუხლით გათვალისწინებული „ქორწილისა სამარხისა“ — „მოლაშქრისა თანა-შთასადებელი“, „საჭირისუფლო შესაწევარი“ — „წახურვა მიცვალებულისა — და სხვა მისალებულიცა“.

ჩუქება. რასაკვირველია, სტუმრისადმი მასპინძლის კეთილგანწყობილებისა და პატივისცემის ნიშნადაც სრულდებოდა.

სტუმრის დასაჩუქრება უძველესი ჩვეულებაა და განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო საზოგადოებრივი განვითარების აღრეულ საფეხებზე. „მასპინძლობის წესისამებრ სტუმრის მიღება-გასტუმრება“, „სტუმრისა მასპინძლობის წესისამებრ ძვირფასი საჩუქრებით გასტუმრება“ ხშირად იწინებდა „ოდისეაში“ მტკიცედ დამკვიდრებული და გარდაუვალად შესასრულებელი ჩვეულების სახით (პომერ., 21, 131, 147, 241, 312, 380). ამ გზით, როგორც ჩანს, დიდძალი ქონების დაგროვებაც შეიძლებოდა. პოემის მიხედვით, ოდისევსმა, რომელმაც „იცის, სად და როგორ ნახოს სარგებელი“, განიზრახა უცხო ქვეყანათა მოვლა: მას, ვითარცა სტუმარს, იმდენი რამ უძღვნეს, რომ „ეს ქონება მეათე მუხლამდე ეყოფოდა ერთ საგვარეულოს“. იგი „ამდენი დოვლათის პატრონი მამინაც ვერ იქნებოდა, ტროადან წამოდებული თავისი წილი ნადავლი უკლებლივ რომ მოეტანა სამშობლოში“ (იქვე, 214, 311—12).

სტუმრის დასაჩუქრების საკითხის მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ იგი საგანგებო სახელმწიფო-სამართლებრივი მოწესრიგების საგნადაც კი ქცეულა. იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ თანახმად (სჯულდება, 43), სახელმწიფო ფულადი შემოსავლის გარკვეული ნაწილი უნდა „ინახებოდეს სტუმრებისა ხარჯად და საჩუქრად“.

ამავე ძეგლის მიხედვით: რომელიც „დიდთა ხელმწიფეთა“ „დადგინებული მოხელე არის“ ქართლ-კახეთის „სამზღვრებისა ზედან“. სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ ძღვენს უნდა მიართმევდნენ, „არმაღანთა და ესევითართა“ (სჯულდება, 50—51). ეს მოტივირებულია ქვეყნის თავდაცვის ინტერესებით, „გარეშე მეზობლებთან პოლეთიკით“ — კეთილად განიწყონ „ახლო მეზობელნი“ და დაიცვან ქვეყანა „შიშისაგან“.

არმაღანი, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ (ვეფხისტყ. -სიმფ., 26, 278), ვახტანგის ახსნით (რუსთვ. 1712, 371) „შორით მოსული ძღვენია“. ამისი მსგავსია საბასეული განმარტებაც (საბა, I, 69; რუსთვ. 1712, 369): „შორით მოს(რ)ულისაგან მოღლებული მის თემის ძღვენი“.

§ 2. ხელშეპრულების დადების მომენტი

როდის ითვლება დადებულად ნაჩუქრობის ხელშეკრულება და რა მომენტიდან გადადის ნივთის საკუთრების უფლება მჩუქებლისაგან დასაჩუქრებულზე?

შესაძლოა, რომ ჩუქებისას საკუთრების უფლება დასაჩუქრებულზე დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების დადების მომენტშივე გადადიოდეს (უმოვი, 138, 140, 189—190). სხვანაირი მდგომარეობა იყო რომის სამართალში. აქ დასაჩუქრებული საკუთრების უფლებას მჩუქებლის სხეულებრივ ნივთებზე მხოლოდ გადაცემის მომენტიდან იძენდა (ბარონი, I, 161).

ამგვარად, რომის სამართალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივ გადაცემას, ნივთის მიცემას. მიცემა კი „არს, რაჟც შენი მისად შეჰქმნა“ (საბა, I, 491). მაგრამ გასარკვევია, თუ სახელდობრ როდის დგება ის მომენტი, როდესაც „ჩემი მისად შეიქმნება“.

ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ ნაჩუქრობა ძალამოსილად ითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან; იგი რეალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. ასეთივე აზრია გამოთქმული ქართული ნაჩუქრობის შესახებაც (კლუტმ., 445). ჩუქება კონსენსუალურ ხელშეკრულებად რომ ჩაგვეთვალა, ეს ნიშნავეა გველიარებიანა დასაჩუქრებულის უფლება — მოეთხოვა მჩუქებლისაგან ნაჩუქარი საგნის გადაცემა, რაც არსებითად შეუთავსებელია ნაჩუქრობის ბუნებასთან (შდრ. სიმოლ., 104).

მასალებიდან ჩანს, რომ ქართულ სინამდვილეში ნაჩუქრობის ხელშეკრულება დადებულად ნივთის გადაცემის მომენტიდან ითვლებოდა.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 181-ე მუხლის თანახმად, „უკეთუ მეფემან შორს ერთს კაცს საქონელი გაუგზავნოს და ის კაცი მკუდარი დაკუდეს, ის საბოძვარი ისრეე უნდა მობრუნდეს. და თუ მეფე მისთვის მოწყალეა და ებრალება, ეპრიანება, მის შვილებსავე მისცემს. და თუ არ ეპრიანება, თავისთვინვე დაიქერს“.

ამ მუხლის მიხედვით, ჩუქებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნივთის გადაცემის მომენტს ენიჭება. მეფემ საჩუქარი გაუგზავნა დასაჩუქრებულს, მაგრამ ეს უკანასკნელი საჩუქრის მიღებამდე გარდაიცვალა. ამის გამო ნაჩუქრობის საგანი მეფეს უბრუნდება უკანვე, იგი არ გადაეცემა გარდაცვლილის შვილებს. ხელშეკრულება ნივთის გადაცემის მომენტამდე რომ ითვლებოდეს დადებულად, საჩუქარს უთუოდ მიიღებდნენ დასაჩუქრებულის მემკვიდრეები. ახლა კი მათთვის საჩუქრის საგნის გადაცემა დამოკიდებულია მეფის სიბრალულსა და მოპრიანებაზე. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა არსებითად ახალი ნაჩუქრობა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სომხური (სირიულ-რომაული) სამართლის ქართული ვერსიის 58 მუხლი: „კაცმან ვინც მოინდომოს შერთვა ცოლისა და მისცეს ნიშანი რძალსა ჯელში და ან სხვას დედაკაცსა, მეყუისსა მისსა, თუ წაიღე ესე და დამინიშნე ქალი, ანუ იყოს ბეჭედი, ან ოქრო, ან ფლური, და მასუკან გუნება გამოეცვალოს და ნიშნის გამობრუნება მოინდომოს, დაკარგოს ნათხოვნიცა მისი და გაგზავნილი ნიშანიცა, და დარჩეს ნიშანი მას ქალსა“.

ბერძნული და სომხური სამართლის ქართული ვერსიების ხსენებული მუხლების მაგალითზე სრულიად სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგება ის მნიშვნელობა, რაც ნივთის გადაცემას ენიჭება ნაჩუქრობის ძალამოსილების თვალსაზრისით. ბერძნული სამართალი გვიჩვენებს გადაცემის მომენტის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, როდესაც მჩუქებელმა თავის მხრივ განახორციელა გაჩუქების აქტი, მაგრამ დასაჩუქრებულმა ფაქტობრივად ვეღარ მიიღო საჩუქარი. სირიულ-რომაული სამართალი კი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გადაცემის მომენტის მნიშვნელობა საწინააღმდეგო ვითარებაში — როდესაც დასაჩუქრებულმა უკვე ფაქ-

ტობი ივანეც მიიღო მისთვის განკუთვნილი ნივთი. პირველ შემთხვევაში ჩვენ დავრწმუნდით, რომ გადაცემამდე ხელშეკრულება არ ითვლება ძალამოსილად და ამიტომ გადაიწყვეტ როლს თამაშობს მჩუქებლის ნება. მეორე შემთხვევაში კი ამის საპირისპირო ეთარებაა: რაკი განხორციელდა ნაჩუქრობის საგნის ფაქტობრივი გადაცემა. ხელშეკრულება ამ მომენტიდან ძალაში შესულად ითვლება და მჩუქებელს აღარ შეუძლია ნივთის უკან დაბრუნება. ანგვარად. ზემოთ განხილული მასალებით თვალნათლივ დასტუოდება გადაცემის მომენტის გადაწყვეტი მნიშვნელობა ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლებში ხაზგასპითაა მინიშნებული გადაცემის მომენტის როლი საერთოდაც, სხვა სათანადო სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 166 მუხლში ლაპარაკია პირუტყვის (აქლემი, ცხენი, ჯორი, ულაყი და სხვ.) ყიდვა-გაყიდვასა და გაცვლაზე: თუკი მხარეებს შორის „პირობა არა ყოფილა რა, ერთმანეთის მოწონებით უვაკრიათ თუ გაუცვლიათ, მოკუდების თუ ავი რამ გამოჩნდების, რა საბელზე გარდააბიჯებინებენ, აღარ შეიშლის“.

აქ სავეებით გამოკვეთილადაა აღნიშნული ნივთის გადაცემის გადაწყვეტი მნიშვნელობა ნასყიდობისა და გაცვლის ხელშეკრულებათა დადებისას. გადაცემის მომენტი სიმბოლურად პირუტყვის საბელზე გადაბოჭებით გამოიხატებოდა. ნასყიდობასა და გაცვლილობასთან დაკავშირებულ ამ ხალხურ ჩვეულებაში ჩაქსოვილი სამართლებრივი პრინციპი ნაჩუქრობაზედაც თამაშად შეიძლება გავერცელოთ, რამდენადაც ისიც გამახსენებელ გარიგებას წარმოადგენს.

ნივთის გადაცემა განმსაზღვრელ იურიდიულ გარემოებადაა მიჩნეული ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 258 მუხლშიც: „უკეთუ ვინმე ერთი რამ მოიპაროს, რომე საყდრის შესაწირავად უნდოდეს, დაჯერარ არ შეეწიროს, ის ვითარცა ეკლესიის მკრებველნი, ესრეთ არ განიკითხვიან, არამედ ვითარცა ქურდნი, ეგრეთ განიკითხონ...“

გადაცემის ფაქტის მნიშვნელობა არანაკლებ მკვეთრადაა ასახული სხვა ისტორიულ წყაროებშიც. ამასთანავე. ბევრგან ლაპარაკია ნივთის არა უბრალო გადაცემაზე, არამედ ხელებში შიღვაზე: „პიურთმეცია... ზელთ მიუცია“ (ქართ. სამართ. ძგლ.,

III, 527); „ქელთა ჩუენთა... მოუნიქებიან“ (ავთოგრაფ. ლიტ. ძგლ., III, 187). ეს უდავოდ უნდა ჩაითვალოს გადაცემის მომენტის იმ ძალზე დიდი მნიშვნელობის გამოძახილად და ანარეკლად, რომელიც მას ეჭირა ძველ ქართულ სინამდვილეში. ხელის ხსენება გადაცემის გარკვეული წესისა თუ ფორმის არსებობაზე მიგვანიშნებს.

ნიეთის გადაცემა, ვითარცა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი, ორპირივე აქტია. ხადა-ცხაოტელნი ვირშელსა და მის მრავალრიცხოვან ლაშქარს „ს ი მ რ ა ე ლ ი თ ა ძ ლ უ ნ ი ს ა ა თ ა მ ო ე გ ე ბ ნ ე ს, რამეთუ შეეშინა ფრიად. ხოლო ვირშელმან... ძ ლ უ ე ნ ი ყ ო ვ ე ლ ი მ ი ი თ უ ა ლ ა... და გაუშვა ლაშქარი“, „ტყუენი... განათავისუფლნა“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 114), როგორც ვხედავთ, გადაცემა არ შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს იმით, რომ ხადა-ცხაოტელებმა ძღვენი მიართვეს ვირშელს. ეს აქტი საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დამთავრდა, როცა ვირშელმა მიიღო მირთმეული საჩუქარი — „ძღუენი ყოველი მიითულა“.

ამგვარად, ნათელი ხდება ნიეთის გადაცემის განმსაზღვრელი როლი სხვადასხვაგვარ სამართლებრივ ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადების მომენტის გასარკვევად. ცხადია, რომ დასაჩუქრებულს საკუთრების უფლება ნაჩუქარ ქონებაზე მხოლოდ გადაცემის შემდეგ წარმოეშეებოდა.

§ 3. ვეუღლისა და შვილის დასაჩუქრების შესახებ

ჩუქება მჩუქებლის ქონების უსასყიდლო და, ამასთანავე, არაიშვიათად, მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცირებას გულისხმობს; ხოლო ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ადამიანთა ცხოვრების ეკონომიკური პირობების შეცვლა გავლენას ახდენს მათს პირად ურთიერთობასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. ამიტომ, ბუნებრივია, კანონმდებელი ყოველთვის ცდილობდა შეემუშაებინა გონივრული წინდახედულობის ღონისძიებანი. გამაფრთხილებელ ღონისძიებათა მიზანი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ მჩუქებელს მისცემოდა რეალური საშუალება ყოველმხრივ მოეფიქრა, დინჯად აეწონ-დაეწონა საქმის ვითარება და ისე განეხორციელებინა ჩუქების აქტი.

ერთ-ერთი იმ წესთაგანი, რომლებიც ნაჩუქრობაში გონივრულ წინდახედულობას უზრუნველყოფდა, იყო ჩუქების აკრძალვა გარ-

კვეულ პირთა შორის. უმეტესწილად კი ცოლ-ქმარს შორის ნა-
ჩუქრობა იკრძალებოდა.

ჩუქება ცოლ-ქმარს შორის, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ბა-
თილად იყო მიჩნეული რომის სამართალში. ამ საკითხზე დიდძალი
ლიტერატურა არსებობს; შეკრებილია წყაროები და შეჯამებულია
სამეცნიერო კვლევა-ძიებათა შედეგები (ნიკოლსკი, 3—10, 412—
428 და სხვ.). ნაჩუქრობის ასეთ შეზღუდვას იმით ასაბუთებდნენ,
რომ ერთ-ერთ მუდღეს არ მისცემოდა საშუალება ბოროტად გა-
მოეყენებინა მეორე მხარის სიყვარული. აკრძალვა ეხებოდა ცოლ-
ქმარს როგორც ისეთ პირებს, რომლებსაც ყველაზე მეტი ჯავლენა
აქვთ ერთმანეთზე (უმოვი, 2). შეზღუდვის მიზნად ისეთი შთაბეჭ-
დილების თავიდან აცილებასაც სახავდნენ, რომ მუდღეები თით-
ქოსდა საჩუქრებით ყიდულობდნენ ხოლმე ცოლქმარულ ერთგუ-
ლებას. მიუთითებდნენ აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ერთი მე-
უღლე ჩუქების გზით არ გამხდარიყო მეორეზე უფრო მდიდარი
და მას მჩაგვრელად არ მოვლენოდა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ უძველესი ქართული სამართალი
ემსგავსება და ენათესავება რომაულს იმ მხრივ, რომ აქაც იკრძა-
ლებოდა ჩუქება ცოლ-ქმარს შორის: „ხევსურეთის ჩვეულებით
სამართალში ნაჩუქრობა მუდღეთა შორის აკრძალული იყო. რა-
კი ხევსურული სამართალი მეტწილად უძველესი ქართული სა-
მართალი არის..., ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ჩვე-
ულებით სამართალშიც მსგავსი ნორმები მოქმედებდნენ, რაც
კვლავ მიგვიითითებს უძველეს ნათესაობაზე რომაულ სამართალ-
თან“ (კლუტმ., 445).

რაკი აქ ჩვეულებით სამართალზეა მსჯელობა, ჩვენც მის ნორ-
მებს მივმართოთ და შევამოწმოთ, რამდენად მართებულია აღნიშ-
ნული შეხედულება.

„საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფე-
თა დროთა შემოღებულნი სჯულნის“ 52-ე მუხლის მიხედვით,
„გაყრისას დედას ანუ დედისნაცვალს ზითვისა, ნიშნისა, პირის სა-
ნახავისა ანუ ქმ რი ს ა გ ა ნ ნ ა ჩ უ ქ ე ბ ი ს ა რ ა ც რომ ექნებოდა,
ისინი მათვე მიეცემოდათ“ (ჩვეულ. სჯ., 68).

ამგვარად, თვალნათლივ ჩანს, რომ ქართული ჩვეულებითი სა-
მართლით დაშვებული და დაცულიც იყო ნაჩუქრობა მუდღეთა
შორის, კერძოდ კი ქმრისაგან ცოლის დასაჩუქრება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ცოლ-ქმარს შორის ჩუქება საერთოდ

მთელ ქართულ სამართალში იყო მიღებული. ასეთ მოსაზრებას საკმაოდ მტკიცე საფუძველი აქვს.

ჯერ ერთი, ზემოხსენებული „სჯულნი“ ზოგადქართულ ჩვეულებით სამართალს ასახავს და მისი ნორმების კრებულს წარმოადგენს. ასეთი ნორმების როლი და მნიშვნელობა კი საერთოდ ქართულ სამართალში კარგადაა ცნობილი და მასზე აქ აღარ შეეჩერდებით.

მეორეც, მეუღლეთა შორის ნაჩუქრობა დაშვებული იყო მეზობელ სომხეთში, რომელიც სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონითა და ტრადიციებით მუდამ ახლოს იდგა საქართველოსთან. თუნდაც ამიტომ და განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ სომხური სამართალი ითარგმნა და შევიდა ვაპტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, უნდა დავუშვათ მეუღლეთა შორის ჩუქების არსებობა ქართულ სინამდვილეში.

მეუღლეთა შორის ნაჩუქრობას აწესრიგებს სომხური სამართლის ქართული ვერსიის 61-ე და 63-ე მუხლები. პირველი მათგანის ძალით, „ვისაც ქმარმან იყიდოს სახელსა ცოლისაზე სოფელი ან სხვა მამული, ან სხვა რაგინდარა, თუ მისცეს ბძანება ქმარმა, სამკუიდრო შეიქნას ცოლისა მისისა, რადგან სახელდობრივ მისთვის დაიწეროს, როგორც მისი ზითევი“. ასევე, 63-ე მუხლითაც, უკეთუ კაცმა საკუთარი სახსრებით ნასყიდს („სოფელი ანუ სხვა რამ, თვალი ანუ მარგალიტი“) „სახელი ცოლისა დაარქუას, რომელი შეირთო ქალწული“, „როგორც რომ მზითევი მისი სამკუიდროა, იგი მინაცემიც ისრე შეიქმნების“.

ნაჩუქების იურიდიული რეჟიმი სომხური სამართლის ხსენებული მუხლების მიხედვით ისეთივეა, როგორც მზითევისა.

ჩუქება ცოლ-ქმარს შორის უცხო რომ არ იყო ქართული სინამდვილისათვის. ამას იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“ და დავით ბატონიშვილის „სამართალიც“ ადასტურებს. იოანე ლაპარაკობს მეფის ქვრივ რძალზე, რომლისთვისაც „თავის ქმარს უჩუქებია სამკაული“ (სჯულდება, 30). დავით ბატონიშვილის სამართლის მინაწერში მოწესრიგების საგანია „რადცა ცოლისა თავისა აჩუქოს კეთილშობილმან ანუ ვაქარმან“; აქვე აღნიშნულია, რომ გლეხთა წრეში „თეთრისა და ნივთისა ნება აქუს ჩუქებად ქმარსა ცოლისა თვისისა“ (დ. ბატონიშვილ., 76).

ზემოთ მოყვანილი მასალებით უდავოდ მტკიცდება, რომ ძველ

საქართველოში ქმარი უფლებამოსილი იყო დაესაჩუქრებინა თავისი ცოლი.

თუ შორეული ანალოგიების ძებნას დავიწყებთ, აქ შეიძლება გავიხსენოთ ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები. კანონთა 150-ე მუხლი ითვალისწინებს ქმრის უფლებამოსილებას აჩუქოს თავის ცოლს სახნავ-სათესი, ბაღი, სახლი და მოძრავი ქონება (ძვ. აღმ. საშართ., 45).

მასალებიდან ისიც ჩანს, რომ თავის მხრივ ქალსაც შეეძლო საჩუქარი მიეცა ქმრისათვის. ამას აშკარად ამტკიცებს ბერძნულა საშართლის ქართული ვერსიის 184-ე მუხლი, რომელიც კრებულის საძიებელში (ზანდუქში) ასეთი სათაურითაა გამოყოფილი (პუნქტი 443): „ცოლ-ქმართ ერთმანერთის ჩუქება და მიცემა რისაც შეუძლია თუ არა“.

თავისთავად ცხადია, რომ მეუღლეთა შორის ჩუქება ქართულ საშართალში, ისევე როგორც სხვაგანაც, გარკვეულ ფარგლებში იყო მოთავსებული და ზოგადსამართლებრივ პრინციპებს ეთანაწყობოდა. ასე, მაგალითად, ვალის ავზრახულად გადაუხდელობის შემთხვევაში ქმარს არ შეეძლო ცოლისთვის მნიშვნელოვანი რაიმე ეჩუქებინა. ასეთ წესს ითვალისწინებს ქართული ჩვეულებითი საშართლის კრებულის მე-15 მუხლი (ჩვეულ. სჯ., 50): „რომელიც შოვალე ბოროტგანზრახვით ვალს არ გარდისხდოდა და იმას შეაჩნდებოდა, რომ თავის ცოლისათვის მიეცეს ღირებული რამ, ის შეუწყნარებელი იქნებოდა, არამედ ცოლს მხოლოდ მზითევი, ნიშანი და პირის სანახავი მიეცემოდა, და სხვა ყოველივე შოვალის ქონებად აღითვლებოდა შეკერილისა და მოსახმარებელს ნივთს გარდა“.

არსებობდა სხვა შეზღუდვებიც: სომხური სამართლის ქართული ვერსიის 63-ე მუხლის ძალით, ქმარი თავის ცოლს ვერ აჩუქებდა ისეთი ფულით ნასყიდ სოფელსა და თვალ-მარგალიტს, რომელიც „უძეს ძმასა. მის კაცისასა წილი“; იმავე სამართლის 65-ე მუხლის თანახმად კი ცოლ-ქმარს არ შეუძლია ერთმანეთისათვის ქონების „მალვით მიცემა“.

მეუღლეთა შორის ჩუქების შეზღუდვის და, საერთოდ, მთელი ამ საკითხის გარკვევის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 184-ე მუხლი: „უკეთუ დედაკაცმა თავის საქონელი, სულა თუ ნახევარი, თავის ქმარს მისცეს, ეგრეთვე ქმარმა თავისი საქონელი, ყუელა თუ ნახევარი.“

თავის ცოლს მისცეს, არა დაიჯერება, ამისათვის რომე სიკუთარულთ მიცემა არის, — სიკუდილადის არ დააჯერება მათი მიცემა, ამისთვის რომ გაღარიბების მორიდე არის, არ გავღარიბდეთ“.

ამ წუნლის მიხედვით აკრძალულია მხოლოდ დიდი, მთელი ქონებრივი მასისათვის მკვეთრად შესატყვისი საჩუქარი — ნახევარი და მეტი პირადი ქონების გაჩუქება. მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ცოლ-ქმარს თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი ქონების ნახევარზე ნაკლების ჩუქება ერთმანეთისათვის. აღნიშნული მუხლი საინტერესოა აგრეთვე მეუღლეთა შორის ჩუქების შეზღუდვის მოტივაციის თვალსაზრისით.

ზემოთ წარმოდგენილი განხილვის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ ძარბოდება მოსაზრება, ვითომდა ქართულ ჩვეულებით სამართალში აკრძალული იყო ნაჩუქრობა მეუღლეთა შორის, რაც თითქოს მიგვანიშნებს ქართული სამართლის უძველეს ნათესაობაზე რომის სამართალთან. ცოლ-ქმარს შორის ჩუქების ნიწესრიგების მხრივ ქართული იურიდიული ყოფა უფრო ძველად მოსავლურ, სომხურსა და ბერძნულ სამართალს უახლოვდება.

მეუღლეთა შორის ჩუქება არაა გათვალისწინებული ვახტანგ VI-ის კრებულში შესულ საკუთრივ ქართულ სამართლებრივ ძეგლებში. ირკვევა, რომ სწორად მოიქცა ქართველი კანონმდებელი, როცა საგანგებო ნორმა არ შეიქმნა ხსენებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ქართულ სამართალში აღიარებული იყო მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობის პრინციპი (ქართ. საოჯ. სამართ., 3, 91 და სხვ.). აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობდა ცოლ-ქმარს შორის ჩუქების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა. სწორედ ასეთი საფუძვლითაა მიჩნეული სრულიად ზედმეტად რევოლუციამდელი რუსული სამოქალაქო სამართლის დადგენილება, რომ მეუღლეთა ურთიერთდასაჩუქრება იმავე საწყისებზე ხორციელდება, როგორც ჩუქება გარეშე პირთა შორის (შერშენ., 130).

ახლა რაც შეეხება მშობლებისაგან შვილის დასაჩუქრების საკითხს.

რომის სამართლის მიხედვით შვილები ამ მხრივ ძალზე შეზღუდულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (ბარონი, V—VI. 39—40). მართალია, დაიშვებოდა მამისაგან შვილის დასაჩუქრება, მაგრამ ნაჩუქები, ვითარცა *peculium* კვლავაც მამის საკუთრებას შეადგენდა: შვილს იგი მარტოოდენ მფლობელობისა და მართვის უფლე-

ბით ეძლეოდა, გასხვისება კი იშვიათ შემთხვევაში და საგანგებო ნებართვით თუ შეეძლო. ნაჩუქრობა მხოლოდ მაშინ ხდებოდა ნამდვილი, თუ მამა მოახდენდა ხელქვეშე შვილის ემანსიპაციას ან პასზე ადრე მოკვდებოდა.

ქართულ ფეოდალურ სამართალში დაშვებული იყო მშობლისაგან შვილის დასაჩუქრება. წყაროებში არ გვხვდება მითითება მშობლისაგან ნაჩუქების მიმართ შვილის უფლებების საგანგებო შეზღუდვის თაობაზე. მშობლის საჩუქარი ამ მხრივ რაიმე თავისებურებით არ გამოირჩეოდა.

მშობლისაგან შვილის დასაჩუქრების საკითხს ეხება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 80, 107 და 110 მუხლები. ქვემოთყვანილ ვახტანგისეულ ნორმებში მოწესრიგებულია ძმების გაყრა მამის გარდაცვალების შემდეგ. სწორედ ამ ვითარების გამოა აქ ნახმარი სიტყვები „სიცოცხლეში“ და „სიკუდილს უკან“ და მათ საერთო არა აქვთ რა რომაული სამართლის ზემოხსენებულ წესთან, რომლის მიხედვითაც შვილის უფლებები ნაჩუქების მიმართ იზრდებოდა მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ვახტანგის სამართლის მე-80 მუხლის დადგენილებით, „ესეც იქნება, სიცოცხლეში მამამ რომელსაც შვილს ან იარაღი და ან საქონელი მისცეს, ერთიმეორეს ვერ უქსენებს. სხვა რაც სიკუდილს უკან დარჩება, ის სასწორიო საქმო არის“. ამრიგად, მამის საჩუქარი, რაც აქ მოძრავი ნივთების სახითაა წარმოდგენილი. საკუთრივ დასაჩუქრებულისაა, გამოყოფილია საერთო-საოჯახო საკუთრებიდან და არ შედის გასაყოფ ქონებრივ მასაში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ხამურაბის კანონების 165-ე მუხლში უძრავი ქონების ნაჩუქრობის საკითხი: „უკეთუ კაცი აჩუქებს თავის გამორჩეულ მემკვიდრეს სახნავ-სათესს, ბაღს და სახლს“, მამის სიკვდილის შემდეგ, ძმების გაყრისას, მას ეძლევა „საჩუქარი, და გარდა ამისა, მათ თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მამის სახლის ქონება“ (ძვ. აღმ. სამართ., 47).

ქართული სამართლის მიხედვით მამას თავისი უკანონო შვილის დასაჩუქრებაც შეუძლია. ამის დამადასტურებელია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 110-ე მუხლის ბოლო ნაწილი: „მამას თუ ან ბუშისათვის და ან მართლის შვილისათვის სიცოცხლეში მიუტეგია რაჟე“, გაყრისას „ის არ ჩაეთვლების, მისია, ვისთვისაც მიუტეგია“. აქ, როგორც ვხედავთ, ნაჩუქარის მოუღვერობის თვალ-

საზრისით არავითარი განსხვავება არაა უკანონო და კანონიერ შვილებს შორის.

ვახტანგის სამართლის წიგნიდანვე ირკვევა, რომ არა მარტო მამას, არამედ დედასაც შეეძლო საჩუქარი მიეცა თავისი შვილისათვის. ეს გამომდინარეობს 107-ე მუხლის პირველი ნაწილიდან — „საქონელი გაყარაში რაც ქონდესთ, ან მამისა, ან დედისა, ან უშვილოს ბიძისა თუ ძმისა, ასეთი რომე სიცოცხლეში არ მიეცეს თავ-თავისათვის და ისრე საერთოდ დაეგდოსთ, იმისი. ასრე იქნას...“ აქედან ჩანს, რომ დედაც აძლევდა შვილებს „თავ-თავისათვის“ საჩუქარს, რომელიც აგრეთვე გამოირიცხებოდა გასაყოფი ქონებიდან. იგი დასაჩუქრებულის საკუთრებას შეადგენდა.

არსებითად მშობლებისაგან ნაჩუქარი შეადგენდა ე. წ. სათავნოს, რომელიც ქალის პირადი საკუთრება იყო. სათავნოს ძირითად ელემენტს წარმოადგენდა შინაური პირუტყვი, შემდეგ ფულა და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში — მიწის ნაკვეთი. ქალიშვილის ამგვარად დასაჩუქრებას პატარაობიდანვე მიმართავდნენ და მას დასათავნოება ეწოდებოდა (ქართ. საოჯ. თემი, 51—54).

§ 4. ნაჩუქრობის დამძიმება

ნაჩუქარი საკმაოდ მტკიცე საკუთრებას წარმოადგენდა. იგი „ნაშოვარ და სათავნო“ ქონებას მიეკუთვნებოდა და აქტიურად იყო ხოლმე ჩართული სამოქალაქო ბრუნვაში, ვითარცა ადამიანის სათავისთავო საკუთრება (ეკონ. ისტ. მას., I, 77, 80). უკვე ითქვა, რომ მამისაგან ნაჩუქები ქონება ძმების გაყარისას წილში არ ჩაიდებოდა. ასევე, ქალის ქონებრივი უფლებები საერთოდ შეზღუდული იყო, მაგრამ დედასა თუ დედინაცვალს ქმრისაგან ნაჩუქარი რაც ექნებოდა, გაყარისას უკლებრივ მიეცემოდა. ნაჩუქარი ქონება ნასყიდის რიგში იხსენიება: ერთ-ერთი განჩინების მიხედვით (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 292—293). მომჩივანს სადავო ყმასთან „კელი არა აქვს“. თუ „არც უყიდია, არც ვისმე უჩუქებია“.

ყოველივე ზემოაღნიშნულია მიუხედავად, ნასყიდი უდავოდ უფრო მყარი და მოუდევარ-მოუშლელი საკუთრება იყო, ვიდრე ნაჩუქარი. ამის საფუძველს წარმოადგენდა ნაჩუქრობის ხელშეკრულების უსასყიდლობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა ნაჩუქების ხარისხიანობაზე დავის დაუშვებლობას, გაჩუქებული ქონების უკან გამოთხოვის შესაძლებლობასა და ჩუქების დამძიმებას ამა თუ იმ პირობით.

ნაჩუქარი ნივთის ხარისხიანობაზე დავის დაუშვებლობა თვით ნაჩუქრობის ბუნებიდან გამომდინარე ერთ-ერთი არსებითი პრინციპია (პახპ., 103; ნოვიცი, 205). ნაჩუქრობის ხელშეკრულების ამ ნიშან-თვისების გამომხატველია ანდაზა — „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებო“ (ანდაზ., 56).

გაჩუქებული ქონების უკან გამოთხოვას ითვალისწინებს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 183-ე მუხლი: „მისა ცემელი ისევ მობრუნდება“, უკეთუ უშვილო კაცს შვილი შეეძინა მას შემდეგ, რაც მან „თავისი საქონელი“, „ბევრი თუ ცოტა“. ..თავის აზარტაქმარს“ აჩუქა; გამჩუქებელს დასაჩუქრებულისათვის ანაზ შემდეგაც „თუ რამ ემეტება, კიდევ მისცემს, და სხვას გამოართმევს“.

უწინდელ დროს გამჩუქებელს კანონი უფლებას აძლევდა თავისი მიხედულობისამებრ უარი ეთქვა ნაჩუქრობაზე. ასეთი ნორმის გვერდის ახველვად, რათა მჩუქებელს აღკვეთოდა ნაჩუქარის უკან გამოთხოვის შესაძლებლობა, ნაჩუქრობას მცირეოდენი საზღაურის გაღების გზით ეძლეოდა ორმხრივი სასყიდლიანი გარიგების ფიქციური ხასიათი. ამ მხრივ საინტერესოა ლანგობარდთა სამართალი. რომლის პიზნედვითაც მჩუქებელი გაჩუქებული ქონების სავაგიეროდ ღებულობდა სრულად უმნიშვნელო ნივთს, როგორცაა სელთაიპანი და ძველი ქუდი (კოლერი, 77). აქ სახეზე გვაქვს ნაჩუქრობის შენიღბვა ნასყიდობით. ამგვარი მისწრაფებით აშკარად მელავნდება და თვალნათლივ დასტურდება ნასყიდი ქონების უპირატესობა ნაჩუქართან შედარებით.

საჩუქრის უკან გამოართმევის გაუხეშებული, გვანდევოდალური ჩამორჩენილობით დაღდასმული წესის გავლენით უნდა იყოს შექმნილი ქართული ანდაზა — „გლახა ბატონის ნაჩუქარი მალე უნდა შექამო, თორემ ისევ წაგართმევსო“ (სახოკ., 45).

ნაჩუქრობის ხელშეკრულება ხშირად იღებოდა რაიმე პირობის დათქმით. იმ პირობების დაუცველობის გამო, რომლებზედაც მხარეები შეთანხმდებოდნენ, ნაჩუქრობა, როგორც წესი, მოიშლებოდა და საჩუქარი (თუ ნივთი აღარ არსებობდა, მაშინ მისი საზღაური) მჩუქებელს უბრუნდებოდა.

ამა თუ იმ დათქმით ჩუქება, პირობით დამძიმებული ნაჩუქრობა ფართოდ იყო გავრცელებული რომის სამართალში. მჩუქებელი დასაჩუქრებულს ზოგჯერ დაუსახავდა რაიმე მიზანს, განუსაზღვრავდა ნაჩუქების მოხმარების წესს და ა. შ. ასეთი რამ, მართალია, ხელს არ უშლიდა საკუთრების უფლების შექმნას,

მაგრამ აძნელებდა და ართულებდა შენაძინით სარგებლობას. დასაჩუქრებულს ნაჩუქრობის მოშლის რიდით უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც საზოგადოდ სრულიად სხვადასხვა სახისა შეიძლებოდა ყოფილიყო. აქ რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვა არ არსებობდა. ოღონდ ერთი კია, რომ პირობა არ უნდა ყოფილიყო არსებული კანონებისა და სამართლებრივი პრინციპების საწინააღმდეგო. თანაც, იგი საგანგებო აღნიშვნით უნდა შეეტანათ ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში (ბარონი, I, 135—137, 160—161; ჰერომც., 398).

ამასთანავე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველგვარი პირობის შეუსრულებლობა როდი იწვევდა ნაჩუქრობის მოშლას. ეს ითქმის ისეთ პირობებზე, რომლებიც რჩევითი ხასიათისა იქნებოდა. ასევე, ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ მასში დათქმული პირობა არ შესრულდებოდა დასაჩუქრებულისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, როცა, ვთქვათ, შეიქმნებოდა ისეთი ვითარება, რომელიც გამორიცხავდა დათქმის შესრულების შესაძლებლობას.

ნაჩუქრობის პირობა ყოველთვის რომ არ იყო იურიდიულად სავალდებულო დასაჩუქრებულისათვის, ამის დამადასტურებელი მასალა ჭარბად სინამდვილეშიც მოიპოვება. ესაა, საბელჯობრ, სამძიპრისა და საჩუქრის წიგნი. რომელიც 1707 წელს მოუწერია ყახნაარიდან შაჰნავაზ მეორეს მდივანბეგ ერასტი ორბელიანისათვის მისი ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო (საქ. სიძე., II, 221—222): „... ვიცით, იწუხარებთ იქნებით და შავითა. შავის გამოსაცვალად ხალათი მიახლებია, კაბა დობია... (ჩამოთვლილია აგრეთვე სხვა საჩუქრები)... ერთი თუ ჩვენი თავი გინდა, ეს ჩაიცვი...“

როგორც ვხედავთ, ნაჩუქრობა შეიცავს პირობას, რომ ერასტიმ შავები გამოიცვალოს და ნაჩუქარი ტანსაცმელი ჩაიცვას. მაგრამ იგი იურიდიულად სრულიადაც არაა ვალდებული მაინცდამაინც ასე მოიქცეს და აუცილებლად შეასრულოს ხსენებული დათქმა. ხელშეკრულება ძალაში დარჩებოდა და ერასტის საჩუქარი არ ჩამოერთმეოდა ზემოაღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვთქვათ, მაშინაც კი, თუ იგი შავებს გამოიცვლიდა, მაგრამ ნაჩუქარ ტანსაცმელს (არც ერთს ან რომელიმე მათგანს) არ ჩაიცვამდა. ამგვარად, ნათელია, რომ ასეთი დათქმა არ წარმოადგენდა იურიდიულად სავალდებულო პირობას; მისი შეუსრულებლობა არ გამოიწვევდა ნაჩუქრობის ხელშეკრულების მოშლას და საჩუქრის დაბრუნებას მჩუქებლისათვის.

იურიდიულად სავალდებულო პირობის დათქმით განხორციელებულ ნაჩუქრობას ითვალისწინებს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 61-ე მუხლი: ჩუქება ხდება მჩუქებელ-დასაჩუქრებელის „სამოყვროდ“, ერთმანეთთან მათი „კარგად და პირისწყლიანად ყოფისათვის“. ასეთი ურთიერთობის მოშლა კი ნიშნავს იმ საფუძვლის მოსპობას, რომელსაც ნაჩუქრობის ხელშეკრულება ემყარება. ამით ისპობა ნაჩუქრობის ძირითადი პირობა, რასაც თან სდევს თვით ხელშეკრულების მოშლა და საჩუქრის დაბრუნება მჩუქებლისათვის. კანონის მიხედვით, „და უჩნდეს ეს, რომე იგი („მოყვრობა“) მოშლოდეს, მისცეს დაუკლებლად, რაც მიეცეს“. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საჩუქრის უკან დაბრუნება მჩუქებელს ისეთი მეტად სერიოზული მიზეზის გამოც კი არ შეეძლო, როგორც იყო მისი გაღარიბება, ეკონომიური სივიწროვე: უკეთუ გამჩუქებელმა დასაჩუქრებულს ნაჩუქარი „ქვემო ყოფისათვის“, „სიგლახაიკისათვის სთხოვოს, არ ემართლების“.

მჩუქებლისაგან მიღებული სიკეთე დასაჩუქრებულს ზნეობრივ მოვალეობებს აკისრებდა. იგი ვალდებული იყო მადლიერების გრძნობით მოპყრობოდა მჩუქებელს. ისე არ უნდა მომხდარიყო, რომ „კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც აღარ აქამაო“ (სახოკ., 109; ანდაზ., 43). ამგვარად, მჩუქებლის მიმართ დასაჩუქრებულის უმადურობა ხალხური წარმოდგენით გასაკიცხ საქციელად იყო მიჩნეული. დასაჩუქრებულის მხრივ მჩუქებლისადმი უპატივცემულობას, მათ შორის დამყარებული ზნეობრივი კავშირის გაწყვეტას შეიძლებოდა გამოეწვია იურიდიული შედეგი ნაჩუქარის უკან დაბრუნების სახით. სახელდობრ, საჩუქრის გამორთმევის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა დასაჩუქრებულის მხრივ უმადურობის გამოჩენა, მჩუქებლის უხეში შეურაცხყოფა და ცემა, მისი სიცოცხლის ხელყოფა (უმოვი, 6; ეკლოგა, 51—52, 112). საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერმანულ სამართალში ამათ ემატებოდა აგრეთვე მჩუქებლის ოჯახის წევრთა მძიმე შეურაცხყოფა (სიმოლ., 147); რუსული ჩვეულებითი სამართალი კი, კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საერთოდ არ ცნობდა ნაჩუქარის უკან გამოთხოვის შესაძლებლობას (პახმ., 103—104).

ნაჩუქრობა იმ პირობითაც სრულდებოდა, რომ დასაჩუქრებულს რაიმე სამსახური გაეწია მჩუქებლისათვის, ვთქვათ, მოეგვარებინა ესა თუ ის საქმე და სხვ. ასეთი დათქმის შეუსრულებლობა ხელშეკრულების მოშლას იწვევდა: „უკეთუ მოხდეს, რომელ ქრთამად და ანუ რომლისამე ს ა ქ მ ი ს ა წ ა რ ს ა მ ა რ თ ე ბ ლ ა დ ა ჩ უ-

ქოს რაიმე და მან ვერღარა შეუსრულოს აღთქმული თვისი, მაშინ, რაჟცა მიეცეს, უკანვე მიუზღოს“ (დ. ბატონიშვილი, 75).

ზოგი საჩუქარი იმ თვისებისა იყო, რომ ადამიანთა წინასწარ განსაზღვრულ წრეში უნდა დარჩენილიყო. ასეთ საჩუქარს დასაჩუქრებული ამ წრის გარეთ ვერ გაასხვიებდა. ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის 52-ე მუხლის თანახმად, დაქვრივებული ქალი ქმრისაგან ნაჩუქებ „ღირსებულს ნივთს გარეშეს კაცს ვერ უანდერძებდა“ (ჩვეულ. სჯ., 68). დავით ბატონიშვილის სამართლით. „სასიძო ქრთამი არა დაეხუთვის სიძესა, გინა სასძლოსა“, „ხოლო უკეთუ არა დაუშობის შვილი, უკანვე წაიღებენ ყოველსავე ჩუქებულსა მას“ (დ. ბატონიშვილი, 75). იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ მიხედვით, ქვრივად და უშვილოდ დარჩენილ მეფის რძალს არ შეეძლო სამეფო სახლიდან მიღებული საჩუქრები თავისი ნათესავებისათვის გადაეცა: „სამეფოს სახლიდამ რაც ნივთი პირის სანახავად, ნიშნად, ანუ თავის ქმარს უჩუქებია სამკაული, ესენი ისევ სამეფოს სახლში უნდა მიეღეს, რადგან უშვილოდ დარჩება, თავის ნათესავებს აქედგან ვერას უზიარებს“ (სჯულდება, 30—31). მამასადამე, ივულისხმება. რომ დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ ნაჩუქრობა მოიშლება და საჩუქარი მჩუქებელსა თუ მის წრეს დაუბრუნდება.

დასაჩუქრებულის უფლებამოსილების შეზღუდვა ზემოაღწერილ შემთხვევებში მჩუქებლის ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურებოდა. ასეთი პრინციპის მოქმედება გვიანდელ სამართალშიც დასტურდება. რევოლუციამდელი რუსული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, დასაჩუქრებული შვილების უშთამომავლოდ გადაგება საჩუქრის უკან დაბრუნების ერთ-ერთ საფუძვლად იყო მიჩნეული (შერშენ., 132—133).

ქორწინებასთან დაკავშირებით შესრულებული ჩუქების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების დამძიმება, რაზედაც ზემოთ იყო მსჯელობა, ზოგადისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა. საყოველთაოდაა აღიარებული „ცოლ-ქმარს შორის ნაჩუქრობის იურიდიული არამდგრადობა, ფაქტობრივი პრეკარულობა. ქორწინების დროს რაიმეს მიღება არ წარმოადგენდა სიძნელეს, მაგრამ ქორწინების შეწყვეტის შემდეგ შეუძლებელი იყო მისი შენარჩუნება მჩუქებლის სურვილის წინააღმდეგ“ (ნიკოლსკი, 422).

ქმრისაგან მიღებული საჩუქრის იურიდიული ბუნება ზედმიწევნით რელიეფურადაა ასახული იაკობ ცურტაველის თხზულებაში (აგიორგაფ. ლიტ. ძგლ., I, 18—19; ქართ. სამართ. ისტ., I, 161). შუშანიკმა უარი განაცხადა ცოლობა გაეწია გამაზღვანებული ვარსკენისათვის. მაშინ ვარსკენმა გადაწყვიტა შუშანიკისათვის ნაჩუქები საპკაულის უკანვე დაბრუნება: „ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს“. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ქმრის ასეთი უფლება უდავო და საყოველთაოდ აღიარებული ყოფილა. სამართლებრივი ურთიერთობის დამძიმება აქ იმით გამოიხატა, რომ ჩუქება ცოლქმრობის პირობითაა შესრულებული. ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა კი იწვევს ნაჩუქრობის მოშლას და საჩუქრის დაბრუნებას მჩუქებლისათვის მისი მოთხოვნის საფუძველზე.

პირობით დამძიმებული ნაჩუქრობა ქართულ ფეოდალურ სინაქდვილეში ზემოაღნიშნული შემთხვევებით არ ამოიწურებოდა და ისტორიული მასალებით მისი სხვა სახეობათა არსებობაც დასტურდება. სახელდობრ, ირკვევა, რომ მჩუქებელი დასაჩუქრებულს არაიშვიათად რაიმე კონკრეტულ მიზანსაც უსახავდა, რაც პირობის სახით შედიოდა ხოლმე ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში. ამგვარი კონკრეტული დათქმით განხორციელებული ნაჩუქრობის მაგალითს წარმოადგენს საჩუქრების გაცემა ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად და ბერ-მონაზონთა სახმარად. ასეთი შემთხვევები უხვადაა წარმოდგენილი აგიორგრაფიულ ნაწარმოებებში. შიო მღვიმელს, მისი „ცხოვრების“ მიხედვით, „მიანიჭა მეფემან ოთხნი დაბანი რჩეულნი და ოცდაათი ლიტრა ოქრო და ვეცხლი ფრიადი მონასტერთა შენებისათვის“ (აგიორგრაფ. ლიტ. ძგლ., IV, 374). ანალოგიური მდგომარეობაა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაშიც“ (იქვე, I, 268): „ველწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათვის და შეწირა საშენებლად მისსა ფრიად შესაწირავე, და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა“.

ძველი სამართლის ისეთი ნიშანდობლივი სპეციფიკიდან, როგორიც იყო ადამიანის გაჩუქების შესაძლებლობა, გამომდინარეობდა ნაჩუქრობის დამძიმება მეტად თავისებური პირობით: მოზარდი ქალის გაჩუქებისას მისი გათხოვების ვალდებულება დათქვამდნენ ხოლმე. დავიპოვებთ 1733 წლის „ქალის გაცემულობის წიგნი“ (სოც. ისტ. დოკ., I, 237—238): „... დიად გავდარბიდი და შენახვის ღონე არა მქონდა და მოგვეც ჩემი ძმის ქალი ეთერა ამ ჩემი რძლის

ნება წადილით, რომ შეინახო და, რაც ხანი გინდოდეს, იმსახურე და ამანაც ერთგულათ გმსახუროს. რ ი ი ც ა დ რ ო ს მ ო ვ ი დ ე ს., შენის მადლისათვის და სადღეგრძელოთ გაათხოვე...“

საინტერესო კუთხით წარმოგვიდგენს ნაჩუქრობის ინსტიტუტს. დარეჯან დედოფლის 1795 წლის წერილი სტეფანე ყორღანაშვილისადმი: „...ძველი ღვინო გამომიგზავნეთ. ღვინო ორი ტიკპორა-არის, ერთი ჩვენს ქალს მარიამს მიართვი, ერთი თქვენია. ოცდა-რვა ვაშლი არის ამასთან, თოთხმეტიც ჩვენის ქალის ყმარწვილებს გაუგზავნე, სხვა თქვენს ყმარწვილებს მუეცი. თუ ჩვენი შვილი მარიამ მანდ აღარ იყოს, ორივე შენ აიღე“ (საქ. სიძვ. III. 245—246).. სტეფანეს მხრივ მთელი ზემოხსენებული საჩუქრის მიღება აქ კონკრეტული ვითარების შექმნასთანაა დაკავშირებული. იგი ყველაფერს მიიღებს მხოლოდ იმ პირობით, თუ დედოფლისაგან გაგზავნილი საჩუქრების დანიშნულების აღვილზე მიტანის დროს მარიამი იქ არ აღმოჩნდება. ეს დათქმა წარმოადგენს ნაჩუქრობის სრული მოცულობით განხორციელების აუცილებელ და ერთადერთ პირობას.

ცნობილი იყო სიკვდილით პირობადებული ნაჩუქრობაც. ქართულ სინამდვილეში ასეთი ნაჩუქრობის დაზღვევებულ მასალად შეიძლება მივიჩნიოთ აფხაზეთის საკათალიკოზო შემოსავლის დავთრის მინაწერი: „...ქუთათელ მიტროპოლიტმან... დიდად ვიპყცადინე... ჩემს თეთრით ვიყიდე და დავიხსენი... ხუცესი რუხვაძე... ვემდის ცოცხალი ვიყო, მე მემსახუროს და შემდგომად სიკვდილისა ჩ' მისა ბიკენისა ლ' ისწობელს შევსწირე და მას ყავდეს...“ (ქართ. სამართ, ძგლ., III, 435). ამგვარად, ნაჩუქრობის ამოქმედების პირობად აქ წამოყენებულია მჩუქებლის სიკვდილი. საზოგადოდ, სიკვდილით პირობადებულ ნაჩუქრობას მემკვიდრეობითი სამართლის, ანდერძის სფეროს მიაკუთვნებენ (გრიმი, 124; ეკლოგა, 110—11).

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 178-ე მუხლით გაავალისწინებულია ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადება სამაგიერო საჩუქრის მიცემის დათქმით: უკეთუ დასაჩუქრებული მჩუქებელს „მაგიერს მისაცემს დაპირებოდეს“, მაგრამ „აღარ მისცეს; მოსამართლესთან მივიდნენ — ის მისაცემელი მოიშლება“. მაშასადამე, ნაჩუქრობა ამ შემთხვევაში სამაგიერო ჩუქების, საპასუხო „მისაცემელის“ შესრულების პირობითაა დამჭიმებული.

სამაგიერო საჩუქრის მიცემა უძველეს ხალხურ ჩვეულებას

წარმოდგენს და აქედანაა შესული დაუწერელსა თუ დაწერილ სამართალში. იგი რამდენიმეჯერ იხსენიება „ოღისეაში“ (ჰომერ., 21, 149, 335, 381). გულატინგის სამართლის წიგნით დასტურდება, რომ ნორვეგიაში მოქმედებდა საჩუქრის თანაბარიღებელი საზღაურის გაღების პრინციპი. მისი დაუცველობა ნაჩუქების უკან გამორთმევის კანონიერ საფუძვლად იყო მიჩნეული (გურევიჩი, 188). აუნზღაურებელი საჩუქრის გამოთხოვა გამჩუქებლის ვალდებულებაჲ კი უნდა ყოფილიყო იმ ვითარებაში, როდესაც გაჩუქებული ქონება საოჯახო-გვაროვნული ხასიათისა იქნებოდა (მურომც., 397).

საზოგადოდ. ჩუქება თავდაპირველად ისე იყო გაგებული, რომ მჩუქებელი დასაჩუქრებელისაგან აუცილებლად გამოეყოდა სამაგიერო საჩუქარს. საჩუქრების გაცვლა ფორმით ნებაყოფლობითს, არსებითად კი მტკიცედ სავალდებულო უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენდა (გურევიჩი, 186). საპასუხო საჩუქრის გაღების აუცილებლობა გამოხატულია ქართულ ანდაზაშიც — „ჩუქებას ჩუქება უნდაო“ (უმეკაშვი., 263; ანდაზ., 83). იმის შეგნება, რომ დასაჩუქრებულმა პირმა აუცილებლად უნდა გაიღოს სამაგიერო საჩუქარი, ასახულია „ვეფხისტყაოსანში“ (რუსთვე., 384—385). პოემიდან ჩანს, რომ მეფეც კი თავის მოვალეობად თვლიდა წესისამებრ სრულად მიეზლო მჩუქებლისათვის. ხელმწიფე ვაკვირვებით მიმართავს უსენს, თუ სად იშოვა მან უძვირფასესი საძღვნო ნივთები („ღია მიკვირს, საძღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თვალსა, მარგალიტსა დიდროვანსა, უმსგავსოსა ჰპოვებ ლალსა“) და წუხს, რომ მის შეძლებას აღემატება ნაჩუქარის ანაზღაურება („ვერ გარდვიხდი, თავმან ჩემმან, ძღვენთა შენთა ნათალსა“).

დასაჩუქრებელი თვით იყო მოწადინებული სამაგიერო საჩუქარი გაეღო. ადამიანი უფროთხოდა სხვისი ქონების უსასყიდლოდ მიღებას იმის შიშით, რომ მჩუქებლის გავლენაში არ მოქცეულიყო. საქმე ისაა, რომ უძველესი წარმოდგენებით, გაჩუქებული ნივთი ინერტულად კი არ იყო მიჩნეული, არამედ თითქოსდა მჩუქებლის პიროვნების რალაც ნაწილს შეიცავდა. საგანში განიეთებულად ადამიანი, საკუთრივ მჩუქებელი წარმოიდგინებოდა. ამის გამო მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის მყარდებოდა თავისთავად საგულვებელი შინაგანი კავშირი. საჩუქარი, თუკი სრულად არ იქნებოდა ანაზღაურებელი, ამცირებდა დასაჩუქრებულს, საფრთხეში აგდებდა და მჩუქებლისაგან დამოკიდებულს ხდიდა მის თავისუფ-

ლებასა და თვით სიცოცხლესაც კი. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი ინდიელი ტომის ბელადები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ეჭობნათ ურთიერთგამასპინძლებასა და დასაჩუქრებაში. სტუმარმასპინძლობა აგრესიულობას ემიჯნებოდა და დღესასწაულებში გამართული ნადიმობა, ე. წ. პოტლაჩი ბელადთა შორის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. შეიძლებოდა, რომ ნადიმობასა და დასაჩუქრებას საკვებისა და სიმდიდრის მთელი მარაგიც მოხმარებოდა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ადამიანი საკუთარი ქონების განადგურებით ცდილობდა მოწინააღმდეგის დათრგუნვასა და მისთვის ზიანის მიყენებას (გურევიჩი, 186, 189 — 190, 195).

იმ იდეიდან, რომ საჩუქრის საგანში განიეთებულია მჩუქებლის პიროვნება, ბუნებრივად გამომდინარეობს ნაჩუქარის აუცილებლად მიღებისა და მისი გაუცემლობის უძველესი, მაგრამ გადმონაშთურად დღესაც ძალაში მყოფი ჩვეულება. „ოდისეაში“, მაგალითად, გატარებულია აზრი, რომ „ლამაზი არ არის ნაჩუქარის უკან გაბრუნება“ (პოპერ., 298). ეს იმიტომ, რომ საჩუქრის მიუღებლობა შეურაცხყოფდა მჩუქებელს. რაც შეეხება ნაჩუქარის გასხვისებას, ამით დასაჩუქრებული მოაკლდებოდა საჩუქრად მიღებული ნივთის კეთილნაყოფიერ გავლენას. ვიკინგების ეპოქის სკანდინავიელების წარმოდგენით, ნაჩუქარ ნივთს თან „გადმოჰყვებოდა“ ხოლმე მჩუქებლის სვესვიანობა და ამიტომ სასურველი იყო მისი დაცვა-შენარჩუნება (გურევიჩი, 190—191). დასაჩუქრებულზე ნივთის ვითომდა უარყოფითი ზემოქმედების გაქარწყლებისა და მჩუქებლის გავლენისაგან მისი განთავისუფლების მიზნით კი მიმართავდნენ სამაგიერო საჩუქარს, ნაჩუქარის ანაზღაურებას.

სამაგიერო საჩუქარ-საზღაურის ამგვარი ინტერპრეტაციის შექმნე ცხვირსახოცის ჩუქებასთან დაკავშირებული ხალხური ჩვეულება, რომლის მიხედვითაც დასაჩუქრებული გამჩუქებელს ლითონის წვრილ ფულს აძლევს, წარმოგვიდგება ვითარცა მჩუქებლის ზეგავლენისაგან თავის დაღწევის საშუალების სიმბოლური გამოხატულება. ხსენებული ჩვეულების ასეთი გააზრიანება არც იმას გამორიცხავს, რომ იგი, მჩუქებლისათვის ხელთათმანისა თუ ძველი ქუდის მიცემის ლანგობარდული სამართლებრივი ნორმის მსგავსად, ორმხრივი სასყიდლიანი გარიგების ფიქციად და, მაშასადამე, საჩუქრის უკან გათხოვის საწინააღმდეგო ღონიძიების დაწესებულად დაისახოს.

ჩუქების ხელშეკრულების სიმტკიცე და მოუშლელი მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე იყო დამოკიდებული. ზოგადად იტყოდნენ, რომ საჩუქარი „მართლა“, ე. ი. სწორად, კანონიერად უნდა ყოფილიყო მიცემული. ეს გარემოება ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 177-ე მუხლში ასეა გადმოცემული: „ყოველი მისაცემელი, რომელი მართლა მიიცემა, ის აღარ მოიშლება და დამკვიდრების მისთანა“.

„მართლად მიცემის“ ერთ-ერთ ძირითადსა და მნიშვნელოვან კომპონენტს და, მაშასადამე, ნაჩუქრობის ხელშეკრულების მტკიცედგების საიმიედო საფუძველს ჩუქების მართებული ფორმით განხორციელება წარმოადგენდა.

ჩუქების ხელშეკრულება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იდებოდა. ამას ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში (მუხ. 178) „წიგნით თუ უწიგნოთ“ მიცემა ეწოდებოდა.

ამასთანავე, ამავე სამართლის წიგნში (მუხ. 182) „მოწმით“, „მოწმობით“ ჩუქებაზეცაა ლაპარაკი: „ყოველი მისაცემელი კარგის მოწმითა და წიგნით დაიჭერება, თეთრი არის თუ საქონელი, უძრავი თუ მოძრავი: ხუთას ფლურზედა მოწმობით იჭერება; უკეთეს ხუთას ფლურზედა ნამეტნავი არის, თუ მოწამე არა ყავს ან წიგნი არა აქუს, ის მიცემა არ დაიჭერება“ (შდრ. ბარონი, I, 158—159). ეკლოგის მიხედვით (ეკლოგა, 51, 109, 111), მოწმეთა თანადასწრებით უნდა მომხდარიყო როგორც ზეპირი, ისე წერილობით გაფორმებული ნაჩუქრობა.

ფაქტობრივი ძასალებით დასტურდება, რომ „მოწმობით“ ჩუქება ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართულ სინამდვილეში. 1736 წელს, მაგალითად, მეპატრონეს მრავალი მოწმის თანადასწრებით გაუჩუქებია თავისი „ნასყილის მუახლის ბუში ბიჭი“ და გაუფორმებია მისი „მირთმევის“ „უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი“ (სოც. ისტ. დოკ., I, 395).

ჩვეულებრივ, საჩუქრის უბრალო გადაცემის გზით ხორციელდებოდა და რაიმე საგანგებო, განსაკუთრებულ ფორმას არ საჭიროებდა საყოფაცხოვრებო ნაჩუქრობა. ზოგ მკვლევარს (კლუტმ., 445) ქართული ნაჩუქრობა საზოგადოდ „უფორმო რეალურ ხელშეკრულებად“ ესახებოდა.

ჩვეულებითი სამართლის სფეროში გაბატონებული იყო სიტყვიერი ნაჩუქრობა. ამ გარიგების წერილობით ფორმას სრულიად

არ იცნობდა რუსული ჩვეულებითი სამართალი (პახმ., 103). ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში სიტყვიერი გარიგების სახით წარმოგვიდგება, მაგალითად, ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 34-ე მუხლით გათვალისწინებული „ქორწილისა სანიქარი“, „მოლაშქრისა თანა-შთასადებელი“ და „საჭირისუფლო მისალებელი“. ოღონდ ეს კია, რომ საჩუქრის გადაცემა, როგორც წესი, საჯაროდ, მეტადრე დასაჩუქრებულის ახლობელ-ნათესაეებისა და მეზობლების თანადასწრებით ხდებოდა.

თუკი საჩუქარი მნიშვნელოვანი ღირებულებისა იყო, მაშინ ხელშეკრულება წერილობით ფორმდებოდა. ღიდგვაროვანთა წრეში სავანგებო ნუსხას ადგენდნენ იმ საჩუქრებისათვის, რომელთაც საქმრო „პირბადის ასახდელად“ მიართმევდა თავის საცოლეს. ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით, „მდივანმან ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქრმისა თვისისაგან მიცემულთა სოფელთა, ნუსხა პირბადის ასახდელად“ (ისტორიებრი აღწ., 15). ნაჩუქრობის წერილობით გაფორმებასთან ერთად აქ ყურადღებას იპყრობს სათანადო დოკუმენტის გამოქვეყნება, რაც მისი საჯაროდ წაკითხვით გამოიხატება.

ჩუქების წერილობითი ფორმა საზოგადო წესისამებრ აუცილებლადაა საგულვებელი იმ შემთხვევაში, როდესაც ნაჩუქრობის საგანს მამული ან ყმა წარმოადგენდა. ეს დებულება უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცაღა ბექა-ალბულას სჯულმდებლობის 61 და 65 მუხლებში, რომლებიც მამულის გაჩუქების საკითხს აწესრიგებენ, ამის თაობაზე (და, საერთოდ, ნაჩუქრობის ფორმის შესახებ) არაფერია ნათქვამი.

სომხურ სამართალში ნაჩუქრობის წერილობით ფორმას ეძლეოდა უპირატესობა და ეს ხაზგასმითაც იყო აღნიშნული. სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის 112 მუხლის მიხედვით, „ვინც ვის მისცეს თავისის ნებით და ჩუქებით სოფელი ანუ სხვა რაგინდარა საქონელი, ანუ ყმა, ან სახლი და წიგნითა დაუმტკიცოს, მას უკან შეუძლია დაპატრონება, ვისაც რომ მიეცა წიგნით, მას კაცსა“. წერილობითი ფორმის სავალდებულობა წინდახედულობის ერთ-ერთ ღონისძიებას, მეტადრე კი ნაჩუქრობის შეზღუდვისაკენ მისწრაფების გამოხატულებას წარმოადგენდა. ფორმის გამარტივება კი, რასაც, სახელდობრ, ადგილი ჰქონდა VI საუკუნის ბიზანტიაში, მიზნად ისახავდა ეკლესიამონასტრებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების სასარგებლო ნაჩუქრობის წახალისებას (ეკლოგა, 108).

ნაჩუქრობის დოკუმენტის აღსანიშნავად ძველ ქართულ სამართალში გამოიყენებოდა ტერმინი „წიგნი“ (იგულისხმება „საჩუქრის“, „ჩუქების“, „მიცემულობის“, „მირთმევის“ და სხვ. მისთ. წიგნი). დავით ბატონიშვილის „სამართლის“ ერთ-ერთ მინაწერში პირდაპირააა დამოწმებული „ნაჩუქების წიგნი“: „ვინც მოსამართლეთაგანმან ანუ მწერალთაგანმა დამალოს სამართალსა შინა... ნაჩუქების წიგნი, ანუ რომელიმე ესევეთარი დოკუმენტი, რომელიცა დასამტკიცებლად შეიტანონ სამართალში...“ (დ. ბატონიშვ., 136).

ცნობილი იყო აგრეთვე სიგელით — ოქრობეჭდით ჩუქება. იგი გვხვდება პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდებაში (პეტრიწონ. ტიპიკ., 69, 193): სოფელი, „რომელიცა წმიდათა და თვთმპყრობელთა მეფეთა ჩუენთა თვისთა წმიდითა სარწმუნოათა და თაყუანის-საცემელითა ოქრობეჭდებითა მოუნიჭებთა ჩემდა ნაცვალად ჩემთა მათ მრავლითა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა“.

1660 წლის წყალობის წიგნში (ქართ. სამართ. ძგლ., III, 527) დამოწმებულია „სიგელით ხელთ მიცემა“ („ცხრა კომლი კაცი სვეტისცხოვლისათვის მიუერთმევია, თავისის საქონლებითა, სიგლებითა ხელთ მიუცია“). „სიგელით ხელთ მიცემა“ ნიშნავდა საკუთრების უფლების გადასვლას მჩუქებლისაგან დასაჩუქრებულზე სიმტკიცის აქტის (სიგელის) საშუალებით.

დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, რომ წერილობითი ნაჩუქრობა ასეთსავე ნასყიდობასავით ფორმდებოდა. მსგავსება იმდენად დიდი და მაცდუნებელია, რომ აბაშიძეთა 1777 წლის 8 ივლისის ნაჩუქრობის დოკუმენტისათვის მის გამომცემელს, როგორც ზემოთაც ითქვა, შეცდომით „ნასყიდობის წიგნი“ შეურქმევია (სოც. ისტ. დოკ., II, 280). ნასყიდობისა და ნაჩუქრობის საბუთთა მსგავსებას განაპირობებს ამ ორი ხელშეკრულების ერთნაირი იურიდიული შედეგი, რაც ნივთის განკარგვით, საკუთრების უფლების გადაცემით გამოიხატება.

„ნაჩუქების წიგნი“ ქართულ სამართალში გამჩუქებლის სახელით, ცალმხრივი დოკუმენტის სახით იწერებოდა. ასეთსავე წესს ითვალისწინებდა სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც. რევოლუციამდელ რუსულ სამართალში ნაჩუქრობის სიგელი ნასყიდობის საბუთის მსგავსად სრულდებოდა, ვითარცა ცალმხრივი აქტი; მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმას, რომ ნაჩუქრობა მიჩნეუ-

ლიყო ხელშეკრულებად, ისევე როგორც ნასყიდობის სიგელი არ ცვლიდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებითს ხასიათს (უმოვი, 160).

რა ძირითადი გარემოებანი აღინიშნებოდა ნაჩუქრობის წიგნში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დავიმოწმეთ 1750 წლის „ყმების ჩუქების წიგნი“ (სოც. ისტ. დოკ., I, 426): „ესე წიგნი მოგართვი მღვიანებგმა იოვანემ თქვენ, ჩემს ბებიდაშვილს ეშიკალასბაშს სულხანს; — ასე რომე ჩემი ნასყიდი ყმა სომხეთის დელცნუტელი ახნაზარა და მელქუა, ეს ორი კომლი, თქვენთვის მამიცემია ყოვლის კაცისაგან უცილებლად, რომე არას კაცსა იმათთან ჳელი არა აქვს. ღ[მერ]თ[მა]ნ მოგახმაროსთ; როგორც ბატონ-ყმობის რიგია, ისრე იმსახურეთ. არაოდეს ჩემგან არ მოგეშალოს. მტკიცედ თქვენთვის მამიცემია. ქ[ორონი]კ[ონ]ს ულჳ (ადგილი ბეჳდისა)“.

ნაჩუქრობის ყველა წიგნი, ცხადია, არაა ზუსტად ასე შედგენილი (ზემომოყვანილ საბუთს უპირატესობა სიპატარავის გამო მიეცა), მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ რიგის იურიდიული აქტების უპირავლესობისათვის დამახასიათებელია აქ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული ძირითადი ნიშან-თვისებანი. დამოწმებული საბუთის მიხედვით. „ნაჩუქების წიგნში“ აღინიშნებოდა: 1. ხელშეკრულების მხარეები — გამჩუქებელი (საჩუქრის, აგრეთვე თვით ნაჩუქრობის წიგნის გამცემი) და დასაჩუქრებული; 2. ნაჩუქრობის საგანი, მისი რაგვარობა („ჩემი ნასყიდი ყმა... ახნაზარა და მელქუა, ეს ორი კომლი“); 3. საჩუქრის მოუდევრობა („მამიცემია ყოვლის კაცისაგან უცილებლად, რომე არას კაცსა იმათთან ჳელი არა აქვს“); 4. ნაჩუქრის იურიდიული რეჳიმი („ღმერთმან მოგახმაროსთ; როგორც ბატონ-ყმობის რიგია, ისრე იმსახურეთ“); 5. ნაჩუქრობის მოუშლლობა („არაოდეს... არ მოგეშალოს. მტკიცედ თქვენთვის მამიცემია“); 6. საბუთის გაცემის თარიღი; 7. გამჩუქებლის ვინაობისა და ნების უტყუარად დამადასტურებელი ნიშანი (ბეჳდელი, — ხელრთვა).

ნაჩუქრობის ფაქტი არა მარტო ასეთ საგანგებო საბუთში, არამედ სრულიად სხვა სახისა და დანიშნულების დოკუმენტებშიც აისახებოდა ხოლმე. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „ხარჯის ნუსხა“. 1770 წლის ერთ-ერთ ასეთ საბუთში აღნიშნულია, თუ რა თანხა გაუღია ლეონ ბატონიშვილს ნეფე-პატარძლის საჩუქრად — „გლახა როჳიკაშვილის ქორწილში შაბაშათ“ და „გადასაყარათ“, როცა „თეიმურაზ მელიქიშვილთან დაპატიჳებული ბჳანდებოდა“ (ეკონ. ისტ. მას., I, 50). არსებობს აგრეთვე „სა-

ქორწილოთ“ ნაჩუქების ნუსხა (იქვე, III, 546), სახელოს ბოძებასთან დაკავშირებით გაღებული ფეშქაშის დავთარი (იქვე, I, 128—129), სიები იმისა, თუ ვინ რა „გარდაბურ“-„გარდახურა“ ვახუშტი ორბელიანს სპარსეთსა და საქართველოში და ვის დაურიგდა „წაბურვილ“-„წახურვილი“ ნივთები (საქ. სიძე., II, 267—274).

ხარჯისა თუ სხვა ამდაგვარი ნუსხა-დავთარი ანგარიშსწორებისა და შემოსაველ-გასაველის აღრიცხვის მიზნით იყო შედგენილი. ამასთანავე, ამ რიგის ზოგ დოკუმენტში, როგორც ვნახეთ, თავისებურადაა ასახული აგრეთვე ნაჩუქრობითი ურთიერთობანი. ამდენად, ასეთი საბუთი ნაჩუქრობის ერთგვარი წერილობითი ფორმის სახითაც წარმოგვიდგება.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულება

შესავალი. „ქირა“ და „მიზდი“. ქონებრივი ქირავნობის წესები და პირობები (ცნებისათვის; ხელშეკრულების ფორმა; ვადა ნიეთის ქირავნობის ხელშეკრულებაში; მხარეთა უფლება-მოვალეობანი; ქონებრივი ქირავნობის შეწყვეტის შესახებ).

შესავალი

ქონებრივი ქირავნობა ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ გავრცელებულ ინსტიტუტს წარმოადგენს. ქირავნობითი კერძოსამართლებრივი ურთიერთობანი ძველთაგანვე დაჰყვა ფეოდალიზმს და მთელი შუა საუკუნეების ეპოქის გამოვლის შემდეგ განსაკუთრებით განვითარდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ქირავნობის აღმავლობა ფეოდალიზმის ბოლო პერიოდში მოწმობს კაპიტალისტური ელემენტების მკვეთრ ზრდა-განვითარებას და მოასწავებს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კრიზისის მოახლოებას.

ქირავნობით ურთიერთობათა ფართოდ გავრცელების მიზეზად ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში გვევლინება, ერთი მხრით, სიმდიდრის, ქონების დაგროვება შედარებით უმნიშვნელო უმცირესობის ხელში და, მეორე მხრით, ამ სიკეთეს ასეთუ ისე მოკლებული მრავალრიცხოვანი მასის არსებობა.

რომაელ მოქალაქეთა შორის, მაგალითად, ძალიან ადრე იჩინა თავი მკვეთრმა ქონებრივმა დიფერენციაციამ. მსხვილ ნიწათმფლობელთა გვერდით წარმოიშვა თავისუფალი, მაგრამ მცირემიწიანი ან სრულიად უმიწაწყლო ღარიბი გლეხების რიცხვმრავალი ფენა. ისინი იძულებულნი იყვნენ მდიდარი მონათმფლობელებისაგან დაექირავებინათ დასამუშაველად პატარ-პატარა, თითო მტკაველი მიწა. ასევე, ქალაქთა პევრი მცხოვრები, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი სახლები, საცხოვრებელ ბინებს მდიდარი სახლთმფლობელებისაგან ქირაობდნენ (ნოვიცი, 224).

მაშასადამე. საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ერთ მხარეზე აღმოჩნდა სიმდიდრე. რომელიც მოკლებულია სამუშაო ძალას, ხოლო მეორეზე — სამუშაო ძალა სიმდიდრის გარეშე. ასეთ ვითარებაში მოსახლეობის ღარიბი ფენები ქონების ქირავნობას მიმართავდნენ თავიანთი საარსებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მდიდრები კი — ვითარცა შემოსავლის კიდევ უფრო მეტად გაზრდის ერთ-ერთ მოხერხებულსა და ეფექტურ საშუალებას.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: ვალდებულები-სამართლებრივ ურთიერთობათა პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქონების გამჭირავებლის როლში ღარიბები გამოდიან. ასეთი მდგომარეობაა წარმოდგენილი, კერძოდ, სომხური სამართლის ქართული ვერსიის 276 მუხლში: „თუ ვინ იქირაოს საბრალოსა და ღარიბისაგან, და დავრდომილისაგან“ „ცხენი თუ ჯორი, ანუ საქედარი, ანუ სხვა რამე“. მაგრამ ეს და სხვა მსგავსი შემთხვევები ზოგადი წესის გამონაკლისის გამოვლენაა და ვერ ცვლის საერთო ტიპურ ვითარებას. თანაც, მხითარ გოშის სჯულმდებლობის ციტირებულ მუხლში გამოკვეთილადაა აღნიშნული ნივთიერი სივიწროვე, რის გამოც გააჭირავა ღარიბმა კაცმა თავისი ქონება („ამიტომ გააჭირავა, რომ ეჭირებოდა... ხომ ჩანს და გამოჩნდების, რომ იმავ დღეს ყოფილა დაჰქიროდ“).

ნივთის ქირავნობა ქონების ექსპლოატაციისა და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ფორმა იყო. ქირავნობა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა ერთ-ერთი თავისებური და საყურადღებო რგოლის სახით წარმოგვიდგება. იგი საგრძნობლად უწყობდა ხელს გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას, მოშლილი ეკონომიკის გამოცოცხლებასა და აღორძინებას. ფაქტობრივი მასალებით დასტურდება, რომ ქონებრივი ქირავნობა საკმაოდ იყო გავრცელებული ქართულ სინამდვილეში. მუშა პირუტყვის ქირავნობის ფართოდ გავრცელების მაუწყებელია, მაგალითად, ქართული ანდაზა — „ხ ა რ ი ქ ი რ ა ზ ე დ მ ო კ ვ დ ე ბ ა , კ ო კ ა წ ყ ა ლ - ზ ე დ გ ა ტ ყ დ ე ბ ა“ (უმეკაშე., 269).

ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, მისი ფართოდ გავრცელებისა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, შეუსწავლელია ქართულ ისტორიულ-სამართლებრივ მეცნიერებაში. ნივთის ქირავნობა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით იხსენიე-

ბა ცალკეულ ნაშრომებში და ავტორები მის მხოლოდ რომელიმე კერძო მხარესა და გამოვლენას ეხებიან.

ქონებრივი ქირავნობის ზოგიერთი ცალკე სახე და მონათესავე ინსტიტუტი XIII საუკუნემდელი მასალების მიხედვით განიხილა ივ. ჭავჭავაძემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული სამართლის ისტორია“. ამ ნაშრომში, სახელდობრ კი ვალდებულებითი სამართლისათვის განკუთვნილ განყოფილებაში, განსახილველ საკითხებს ეხება მე-4 თავი — „მიწის ალება-გაცემა საშენებლად, საღალოდ, საბეგროდ და საკაბალოდ“ (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 439—445): § 1. მიწის ალება გასაშენებლად; § 2. მიწის საღალოდ გაცემა-ალება; § 3. მიწის საბეგროდ გაცემა-ალება; § 4. საკაბალოდ გაცემა-ალება. ამგვარად, აქ კვლევის საგანია სხვისი მიწის დამუშავებითა და ხმარებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი.

ქართული ვალდებულებითი სამართალი უცხოელმა მეცნიერმა რუდოლფ კლუტმანმა, როგორც თვითონვე აღნიშნავს წყაროებზე მსჯელობისას (კლუტმ., 427—429), არსებითად მხოლოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით გამოიკვლია. იმის გამო, რომ საკუთრივ ვახტანგის სამართალში ქონების ქირავნობის შესახები დადგენილებები სანთლით საქებარია, რ. კლუტმანის ნაშრომში ჩვენს საკვლევაძიებო საგანზე უშუალოდ და ხელშესახებად თითქმის არაფერი არაა ნათქვამი.

შენახვასთან, ნათხოვრობასა და ქირავნობასთან დაკავშირებით რ. კლუტმანი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნაშრომში ისინი ერთობლივადაა წარმოდგენილი: „ამ ინსტიტუტების გამოკვლევისას... მკვეთრ გათიშვასა და განცალკევებით განხილვაზე უარს ვაპბობ, ვმსჯელობ მათზე ერთდროულად სათაურით „პასუხისმგებლობა მინდობილი ნივთისათვის“, და მათ სპეციფიკას როგორც ვალდებულებითი ინსტიტუტისა მხოლოდ გაკვრით ვეხები“ (კლუტმ., 431).

ამასთანავე, რ. კლუტმანი ქონებრივ ქირავნობაზე მსჯელობს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 207-ე მუხლის მიხედვით. ხსენებული მუხლის შინაარსის გაცნობა კი გვარწმუნებს, რომ იგი ქირავნობას არ ეხება. აქ ნივთის მხოლოდ მიბარება და ნათხოვრობაა მოწესრიგებული. ამაზე ნათლად მეტყველებს აღნიშნული მუხლის შინაარსი და თვით სათაურიც — „მიბარებულისა რასაც ნივთისა, გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს“.

ამ გაუგებრობისა თუ შეცდომის წყაროა ვახტანგ VI-ის სა-

მართლის წიგნის რუსული თარგმანი, სადაც განსახილველი მუხლის დასაწყისი ასეა გადმოცემული: «Кто возьмет у другого какую вещь на сбережение или для употребления на время» (ფრენკ.-ბაქრ., 62). ხაზგასმულ სიტყვებში, რომლებიც ქართული ტექსტის „ნათხოვრისა“-ს შესატყვისად იგულისხმება, მხედველობიდანაა გაშვებული უსასყიდლობის მომენტი, რაც ნათხოვრობის არსებით ნიშან-თვისებას შეადგენს.

ასეთ ვითარებაში მკვლევარს სრული საფუძველი ჰქონდა, რომ აქ ქონებრივი ქირავნობის სამართლებრივი მოწესრიგებაც ევარაუდა და კლუტმანსაც, ცხადია, ვერას ვუსაყვედურებთ.

პირიქით, რ. კლუტმანი კიდევ ჰოქმანობდა. შესაძლებელია, — ამბობდა იგი, — „ეს გამონათქვამები (ე. ი. სიტყვები: „ვინც სხვა ვისმეს გამოართმევს დროებით ნივთს შესანახად თუ სახმარებლად“ — ი. ფ.) ისევ მარტოდენ „შესანახად აღებასთან“ ბრუნდება“. ხსენებული მუხლის ბოლო ნაწილის მიმართ კი (კრედიტორის უფლებაზე — მოსთხოვოს პატრონს ნივთის უკანვე წაღება) იგი უფრო დარწმუნებით ამბობდა: „არ შევცდებით თუ დავასკვნით, რომ ეს დადგენილება მარტო ტექნიკური აზრით გაგებული შენახვისათვის უნდა გამოიყენებოდეს“ (კლუტმ., 459, 462).

რ. კლუტმანს წამოჰკრილ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ იმას თუ ვუსაყვედურებთ, რომ უყურადღებოდ დარჩენია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ის მუხლები, რომლებშიც მოწესრიგებულია სხვისი კუთვნილი მრწის სარგებლობით წარმოშობილი ურთიერთობანი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქონებრივი ქირავნობა ნაკლებადაა მოწესრიგებული ქართულ ეროვნულ სამართლის წიგნებში. საკვლევაძიებო თემის საფუძვლიან განხილვას მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქირავნობის ზოგადი ნორმის უქონლობა. ეს განაპირობებს კვლევაძიების წარმართვას იმ მიმართულებით, რომ ჩამოყალიბდეს გარიგების ზოგადი სახე საერთო-თეორიულ საფუძველზე და სხვადასხვაგვარი მასალების მომარჯვებით წარმოჩნდეს განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობათა ცალკე ელემენტები თუ საკითხები.

ნივთის ქირავნობის მომწესრიგებელი დადგენილებანი გვხვდება ალბულა ათაბაგ-ამირსპარსალარისა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებში.

განსაკუთრებით საინტერესოა აღბუღას სამართლის 79 მუხლი, რომელიც პირუტყვის, სახელდობრ კი სახედრის ქირავნობას ითვალისწინებს. ქონებრივი ქირავნობის კერძო შემთხვევას (ნაპოვნის ნივთის გაქირავებას) ეხება ამავე სჯულმდებლობის 92-ე მუხლი. რაც შეეხება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნს, აქედან ქონების ქირავნობის ხელშეკრულებაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სამი მუხლი: 217 (ეკლესიის მამულის დამუშავებისათვის), 244 (რუს გამლებისა) და 250 (ღალის აღებისათვის).

ნორმატიული მასალის სიმციროს ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლებრივი ხასიათის ფაქტობრივი მონაცემები. ასეთი მასალა იმის ნათელ სურათს ქმნის, თუ როგორ წარიმართებოდა პრაქტიკულად მართლმსაჯულება. ქონებრივი ქირავნობის შესახები სამართლებრივი დოკუმენტები და საზოგადოდ სამოქალაქო ბრუნვის ამსახველი მასალები ნამდვილი, ცოცხალი იურიდიული ყოფისა და მეურნეობრივი ცხოვრების სარკედ წარმოგვიდგება. მაგრამ, სამწუხაროდ, ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების ყველა საკითხი არც ჩვენამდე შემონახულ დოკუმენტებშია ასახული. ამიტომ როდი უნდა გავვიკვირდეს, რომ საკვლევადიებო თემის ცალკეული მხარეები ერთნაირად არაა წარმოჩენილი.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თემასთან მეტად თუ ნაკლებად დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე წინამდებარე ნარკვევაში მხოლოდ ზოგადად. საკვლევადიებო ინსტიტუტის ძირითად ნიშან-თვისებათა წარმოდგენის თვალსაზრისითაა მსჯელობა. ზოგიერთი მათგანი, როგორცაა, მაგალითად, მიწის იჯარა და ღალა, ძალზე რთული, მრავალმხრივი ბუნებისაა და დამოუკიდებელი კვლევადიების საგანს შეადგენს. ასეთ საკითხთა გამოკვეთით და საფუძვლიანად განხილვა სცილდება ნივთის ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობებისადმი მიძღვნილი ნაშრომის ფარგლებს.

ქონებრივ ქირავნობაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესულ ნათარგმნ საკანონმდებლო ძეგლებს. მხედველობაში გვაქვს ბერძნული და მხითარ გომის სამართლის წიგნთა ქართული ვერსიები, სახელდობრ, პირველი ამათგანის 217—220, 226—228, 341—343 და 417—418, ხოლო მეორისა — 152, 229—230, 250, 276, 349 და 428 მუხლები. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ბერძნული და მეტადრე სომხური სჯულმდებლობის ქართულ ვერსიათა მასალები ძალზე მნიშვნელოვანია ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი ქო-

ნებრივი ქირავნობის შესასწავლად. კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს მოსამართლეს სწორედ უცხოურიდან ნათარგმნი სამართლის წიგნებიდან უნდა შეევესო ქართულ ეროვნულ კანონ-მდებლობაში არსებული ხარვეზები.

დაგვრჩა კიდევ ერთი რიგის წყაროები, როგორცაა XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილი სამართლებრივი ძეგლები. ესაა, უპირველესად, „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, რომელიც ნივთის ქირავნობას ეხება 106, 194 და 195 მუხლებში (დ. ბატონიშვ., 63 110—111). ქონებრივი ქირავნობის ცალკეული საკითხების მოწესრიგების ცდას შეიცავს იოანე ბატონიშვილის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი (სჯულდება, 56) და უცნობი ავტორის კანონგანზრახულება — „სამოქალაქოს ჰსჯულვილება, სხვადასხვა საგანთა შეკრებილება“ (სამოქ. სჯულღ., 38).

ამგვარი ძეგლები, ჯერ ერთი, საგულისხმოა იმით, რომ მათში ასახულია რეალური ქირავნობითი ურთიერთობანი (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დავით ბატონიშვილის სამართალი); მეორეც. ისინი საინტერესოა სამომავლოდ გამიზნული სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, რამდენადაც სახადენენ ქონების ქირავნობის შემდგომი განვითარების გზებს საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

„ქირა“ და „მიზღი“

ქირავნობისა და მის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების გამოსახატავად ქართულ სამართალში ყოველთვის ერთი და იგივე ტერმინოლოგიით არ სარგებლობდნენ. გამოიყოფა ტერმინთა ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებსაც ქართველები იყენებდნენ ქირავნობის აღსანიშნავად ქართული ფეოდალური სამართლის ხანგრძლივი ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე. მხედველობაშია, სახელდობრ, „მიზღისა“ და „ქირის“ ბუდეთა სიტყვები და ტერმინები.

ცხადია, „მიზღისა“ და „ქირასთან“ ერთად სხვა ძირის სიტყვათა გამოყენებაც არ იყო გამორიცხული. მაგალითად, ქირის აღსანიშნავად იხმარებოდა „სასყიდელი“, ხოლო თვით დაქირავებას „მოსასყიდლება“ გამოხატავდა (აბულ., 275, 371). ადრეულ ხანაში ძირითადად სწორედ ამ ჯგუფის სიტყვებითა და ტერმინებით გად-

მოიცემოდა ხოლმე ქირავენობის შედეგად წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობანი.

თანამედროვე ქართულში განსახილველი ინსტიტუტის ზოგადი სახელია „ქირავენობა“, „ქირაობა“. კანონმდებლობაში დამკვიდრებულია „ქონების ქირავენობა“, „ქონების ქირავენობის ხელშეკრულება“, „გამქირავებელი“, „დამქირავებელი“, „ქირა“, „დაქირავებული ქონება“ და სხვ. მისთ.

ძველი ქართული ორიგინალური სამართლის წიგნებიდან „ქირა“ და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა სიტყვები აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარისა და ვახტანგ VI-ის სჯულმდებლობაში გვხვდება. იგი დამოწმებულია აგრეთვე ვახტანგ მეფის „დასტურლამალში“ (დასტურლ., 581, 586, 590, 633).

აღბულას სამართლის 79-ე მუხლში იხმარება „იქირავოს“ („დაქირავოს“), „ექირავოს“ და „ქირის“ („ქირისაგან“). განსახილველი ტერმინი „გაექირავოს“ ფორმით გვხვდება ამავე სჯულმდებლობის 92-ე მუხლში. რომელიც ნივთის პოვნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს.

საკითხის ქრონოლოგიური მხარის გარკვევის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ აღბულას სამართალი თუმცა XIV საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლია, მაგრამ მისი ტექსტი ჩვენამდე პირვანდელი სახით როდია მოღწეული. სამართლის წიგნის უძველესი ნუსხა 1672 წელს განეკუთვნება და, ამდენად, საკითხავია — ჩვენთვის საინტერესო ტერმინები თვით კანონმდებლისაა, თუ ისინი შემდგომი პერიოდის გადამკეთებელ-გადამწერთა მიერაა კანონებში შეტანილი. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე უამთაღმწერლის თხზულებაშიც, სადაც აგრეთვე დამოწმებულია ტერმინი „ქირა“ (ქ. ცხ. II, 234). ეს საისტორიო ძეგლიც XIV საუკუნისაა, მაგრამ მისი ყველაზე ადრინდელი ნუსხა გადაწერილია XVII საუკუნის 30—40-იან წლებში.

ახლა რაც შეეხება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნს. აქ ხსენებული ტერმინი 229 მუხლში გვხვდება მარტოოდენ პირად ქირავენობასთან დაკავშირებით; იგი მხოლოდ ერთხელაა დამოწმებული და თანაც მისი გამოყენება ყველა ნუსხით არ დასტურდება.

ვახტანგის სამართლის 1955 წლის გამოცემიდან ჩანს, რომ განსახილველ ტერმინს არ შეიცავს, მაგალითად, H—1659 ხელნაწერი. მას ვხვდებით ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 201 ხელნაწერში, სადაც 229 მუხლი ასე იწყება: „კაცმა რომ კაცი იქირავოს და სადაც გაგზავნოს“. H—1659 ნუსხაში კი

ეს აღგილი ამგვარადაა გადმოცემული: „ვინც ვინმე გაგზავნოს საღმე“ (ვახტ. სამართ., 108).

„ქართული სამართლის ძეგლების“ პირველი ტომის „ტერმინთა საძიებელში“ შეტანილია „ქირაობა“ და აქ სხვა საკანონმდებლო მასალებთან ერთად მითითებულია ვახტანგ VI-ის სჯულმდებლობის 229 მუხლი. მაგრამ ვახტანგის სამართლის 229 მუხლის ტექსტი, რომელიც ამ გამოცემაშია დაბეჭდილი, განსახილველ ტერმინს არ შეიცავს. მუხლის სათაური „ქირავნობისათვის“, ჩანს, ტექსტის შინაარსისა თუ სხვა ნუსხის გათვალისწინებითაა შერჩეული.

„ქირის“ ბუღის სიტყვათა ხმარების ცალკეული შემთხვევები დამოწმებულია XVII საუკუნის მხატვრულსა და დოკუმენტურ ძეგლებში.

„რუსუდანიანში“ გვხვდება „მოქირავე“: „ზღვათა მეფემან ნავშადურ მოასხმევიანა... ხუთი ათასი ცხენი, მოქირავეთა ანგარიში არ იქნებოდა“ (რუსუდ., 75). ეს ტერმინი სწორედ „რუსუდანიანზე“ მითითებით შეტანილია ძველქართულ-რუსულ ლექსიკონში, რომელიც ნ. მარს ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეუდგენია (მარი, 200).

განსახილველი ტერმინი ზმნური ფორმით („აქირაეთ“) წარმოდგენილია სვიმონ II-ის 1628 წლის წყალობის წიგნში (ქართ. სამართ. ძგლ., II, 213). 1666 წლის დოკუმენტში კი ფიქსირებულია „ქირა“: „რაც ქირა აიღოთ ნაშენებისა მე შამინახოთ...“ (მონასტრ. ისტ. საბ., 213—214).

შემდგომ პერიოდში, XVIII საუკუნესა და მეტადრე XIX ასწლეულის დასაწყისისათვის „ქირა“ შედარებით უფრო ხშირად და ნაირგვარი ფორმით იხმარება.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით „ქირა“ უხმარი სიტყვაა (საბა, II, 227). ზემოთ მოყვანილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ქირა“ საბას ლექსიკონის დროისათვის უხმარ სიტყვად ვერ ჩაითვლება. „ქირა“ განმარტებულია „სიტყვის კონის“ სამ (1715—1716, 1721—1722 და 1725 წლების) ავტოგრაფულ ნუსხაში (საბა, II, 227, 656). ჩვენ უკვე გავეცანით XVII საუკუნის მასალებს, რომლებშიც წარმოდგენილია „ქირა“ და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა ტერმინები. ამასთანავე, იგი რამდენჯერმე გვხვდება მხითარ გოშისა და ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიებში.

ამგვარად, „ქირის“ ბუდის სიტყვები და ტერმინები საქართველოში გვიანფეოდალური პერიოდიდან მკვიდრდება.

ახლა შევეხოთ ქირავენობის ტერმინოლოგიას, რომელიც მიღებული იყო წინა პერიოდის ქართულ სამართალში.

„ქირა“ უცხო წარმომავლობის სიტყვაა; იგი არაბულიდან მომდინარედაა მიჩნეული (განმარტ. ლექსიკ., VII). მის შესატყვის ტერმინს ძველ ქართულში „მიზდი“ წარმოადგენდა. სულხან-საბას სიტყვით „ქირა“ „სხვათა ენაა, ქართულად მიზდი ჰ(რ)ქვიან“ (საბა, II, 227). თავისი ლექსიკონის „უცხო შესატყვისობანში“ საბა „ქირას“ „მიზდის“ შესაბამის თურქულ სიტყვად ასახელებს. ასეა „სიტყვის კონის“ ნუსხათა უმრავლესობაში. გამონაკლისის სახით „მიზდის“ თურქულ შესატყვისად წარმოდგენილია „ქირაჰ“. აქვე მოყვანილია „სიტყვის კონის“ 1725 წლის ავტოგრაფული ნუსხის ჩვენება, რომ „ქირის“ სომხური შესატყვისია „ქრეჰ“ (იქვე, II, 530, 570).

უამთაღმწერლის თხზულებაში დამოწმებულია „მიზდია“ და „ქირის“ გვერდიგვერდ ხმარება, რაც უთუოდ საგულისხმოა ამ ორი ტერმინის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ბათო ყაენშა. — მოგვითხრობს მემატიაზე, — არღუნი „წარავლიანა ყოველსა საბრძანებელსა“, რათა „აღთუალოს და განაჩინოს მვედარი და მეომარი... და ქირა ცხენისა და საპალნისა“. იგი საქართველოშიც მოვიდა: აქაც აღწერეს ყოველივე და „განაწეეს... მიზდი ცხენისა“ (ქ. ცხ., II, 234—235).

ძველი ქართული წყაროებით „მიზდი“ წარმოგვიდგება ვითარცა „სასყიდელი, ქირა“ (აბულ., 243). ს.-ს. ორბელიანის განმარტებითაც (საბა, I, 484), „მიზდი“ არის „ასაღები რამ სარგო, ქირა“... „სიტყვის კონის“ ზოგიერთი ნუსხა ასეთ გაგებას იძლევა: „ასაღები რამ“; „საზღო, ქირა“; „სარგო, ქირა“. ნოგ ხელნაწერში კი იგი სავსებით განუმარტავია.

ქონების ქირავენობის სახელშეკრულებო ურთიერთობებში „მიზდი“ გამოხატავდა სხვისი ნივთის დროებითი სარგებლობის საზღაურს. მაგალითად, შეიძლება აღინიშნოს „ერქენისა ანუ ჯილდისა მიზდი, რომელსა გლეხნი გუთანზედ, ხვნაში გამოართმევენ პურსა, ალოდ წოდებულსა“ (ი. ბაგრატი, 151; საბა, I, 52). ასევე, „წისქვილის მიზდი“ (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 420) მარცვლეულის დაფქვის ქირას (მინდს) წარმოადგენდა.

ნივთის გამქირავებელს „მამიზდებელი“ ეწოდებოდა: „იყო კაცი... ერთი საყვადართა მამიზდებელი“ (აბულ., 214). თვით

დაქირავება კი, რისამე ქირით აღება გამოიხატებოდა ტერმინით „მიზდება“: „ვირსა სთხოვდა მცირედსა გზასა მიზდებით“ (იქვე. 243): „ნავნი ეღგნეს ექუსნი თვსნი და იმიზ და ხუთილა სხუად (ეპიფ. კვპრ., 130, 177).

„მიზდი“ უძველესი დროიდან და ნაირგვაროვანი ფორმით იყო დამკვიდრებული ქართულ ენაში. მაგრამ იგი უცხოურიდან შეთვისებული ტერმინია და სხვა ხალხებშიც ფართოდაა გავრცელებული. რუსულში, მაგალითად, მისი შესატყვისია „мзда“ (ნ. ჩუბინ., 524), რომელიც ზოგადსლავური სიტყვაა (რუს. ეტიმ., 618). იგი დამოწმებულია ძველ სლავურში, ბულგარულში, სლოვენურში, ჩეხურსა და სლოვაკურში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მიზდის“ შესატყვისი სიტყვა ძველ ბერძნულში. შესაძლოა, „მიზდი“ სწორედ ბერძნულიდან ნათარგმნ ლიტერატურას შემოჰყვა.

ბერძნულში „მიზდის“ — „სასყიდლის“, „ქირის“ აღმნიშვნელია „მისთოს“, „მისთოსის“. დავიმოწმოთ ძველი ბერძნულის ლექსიკის მასალები (დვორეკვი, II, 1101—1102).

μῆζος: ხელფასი, ჯამაგირი, სასყიდელი — მიზდი; გასამრჩელო, ჯილდო, საჩუქარი; მისაგებელი, სასჯელი. μῆζω: გაქირავებულ, იჯარით გაცემა, ვინმესთვის ვისიმე დაქირავება, ვისმესთან ქირით დადგომა; ნარდი სამუშაოს, იჯარის გაცემა თუ მიღება; დაქირავება. μῆζωμαι, ἄζω: სელშეკრულებითი თანხა ან ფასი; საი ჯარო ქირა; ნაქირავები სახლი. μῆζωμαι: გამქირავებელი ან იჯარით გამცემი. μῆζωμαι, ἔω: იჯარით გაცემა; ქირაობა; ქირა. μῆζωμαι, ὄζω: მოიჯარე.

აღსანიშნავია, რომ ქართულში „მისდი“ ფორმაც დასტურდება (ქართ. სამართ. ძგლ., II, 45). „მისდი“ იგივეა, რაც „მინდი“, ე. ი. „წისქვილის მიზდი“. „მინდის“ ბუდის ერთ-ერთი ტერმინი „სამინდალი“ კი, „სიტყვის კონის“ მიხედვით (საბა: I, 488; II, 41), „ბერძულია“.

საზოგადოდ, „მიზდს“ ბევრ ინდოევროპულ ენაში მოეპოვება შესატყვისობანი (ოს. ეტიმ., II, 145—146; რუს. ეტიმ. 618). სახელდობრ, ანალოგიური ფორმები ბერძნულსა და სლავურს გარდაცნობილია ძველ ინდურში („შეჯიბრებისა“ და „ჯილდოს“ მნიშვნელობით), ძველ ზემოგერმანულში (აღნიშნავდა „ქირაობასა“ და „სასყიდელს“) და გუთურში („გასამრჩელოსა“ და „ჯილდოს“ შინაარსით). ფორმა „მიზდ“ დადასტურებულია, კერძოდ, „შუასპარსულში“ („გასამრჩელო“) და ოსურში („ხელფასი“, „დაქირავებული

მუშაკისა“ და აგრეთვე „შრომის, მომსახურების გასამრჯელო“). არსებობს მოსაზრება, რომ ქართული „მიზდი“, გახმოვნიანების მიხედვით, სწორედ ოსურიდან ან „მუჰაპარსულიდანაა“ ნასესხები (ოს. ეტიმ., 146).

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის „უცხო შესატყვისობათა“ ნაწილში (საბა, II, 52, 552) ქართული „სარეწავის“ („კელფასის“) „თურქულ“ თანაფარდად მოყვანილია „მუზდ“. ერთ-ერთ ნუსხაზე კი სხვა ხელით მიწერილია „ელმუზდი“, რაც იგივე „ხელფასს“ ნიშნავს. სპარსულში ამ გაგებით „დასთ მუზდ“ იხმარება („დასთ“ — ხელი და „მუზდ“ — ფასი, გასამრჯელო).

გვიანფეოდალურ საქართველოში „მიზდი“ შევიწროებულია, რაც კარგად ჩანს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიიდან. აქ ბერძნული ტექსტის „მისთოსის“ გადმოცემულია „ჭირით“, „მისთოს“ კი — „სასყიდლითა“ და „კელფასით“ (ბერძნ. სამართ., 98, 109, 164, 209, 236, 239).

შემდგომაც, თვით დღევანდლამდე, „მიზდის“ ხმარების შემთხვევები მეტად იშვიათია. იგი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატომეულშიც ვერ მოხვდა. სასურველია, რომ „მიზდი“ კვლავ დამკვიდრდეს ქართულ საზოგადო სიტყვათხმარებასა და იურიდიულ ტერმინოლოგიაში.

ქონებრივი ქირავნობის ფენები და პირობები

ცნებისათვის

ქონებრივი ქირავნობა ორმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს. ამ ურთიერთგარიგებისას ერთი მხარე — გამქირავებელი კისრულობს ვალდებულებას წინასწარ დათქმული საზღაურის მიღების პირობით გადასცეს მეორე მხარეს — დამქირავებელს რაიმე ნივთი ღროებითი სარგებლობისათვის; მეორე მხარემ კი ამის სანაცვლოდ უნდა გადაიხადოს ქირა და ნივთი გაოყენების შემდეგ დაუბრუნოს გამქირავებელს.

ქირავნობის ხელშეკრულების არსებითი ნაწილია სასყიდლიანობა. ამის გარეშე არ არსებობს ქონებრივი ქირავნობა. უსასყიდლობის შემთხვევაში სახეზე გვექნება „უქირაოთ ქერა“ (საქ. სიძვ., III, 468), რაც სრულიად სხვა სამართლებრივ ურთიერთობას, სახელდობრ კი ნათხოვრობას გულისხმობს.

მოქირავენს ნივთი ღროებითი სარგებლობის უფლებით გადა-

ეცემა. 1791 წლის ერთ-ერთ საბუთში (მონასტრ. ისტ. საბ., 160) პირდაპირააა მინიშნებული, რომ ქირავნობა გამორიცხავდა ნაქირავები მიწის „სამამულოდ“ ანუ მემკვიდრეობით მფლობელობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქონების ქირავნობის ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, რომელიც არ მოესპობოდა სარგებლობისა თუ გამოყენების პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა ნივთის დაბრუნება გამქირავებლისათვის და, მაშასადამე, მხარეთა შორის დამყარებული იურიდიული ურთიერთობა აღარ იქნებოდა ქონებრივი ქირავნობა.

გამქირავებელი ნივთის ამგვარი დანიშნულება კარგადაა გამოხატული ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 342 მუხლში: „ვინცაჲს იქირავოს მიწა, წისქული, ბოსტანი ანუ სხვა რამე ამისთანა, ანუ ცხენი და ჯარი, და ჭირით აიღონ მოძრავი თუ უძრავი, რომე მას უკან ისრევე გამოერთმეოდეს პატრონსა...“ აქ შესანიშნავად არის გაგებული და ჩამოყალიბებული ქირით გაცემული ნივთის იურიდიული ბუნება.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულება მხარეთა ნების თავისუფლად გამოვლინების შედეგად წარმოიქმნება. ნების თავისუფლება ფორმალურ-იურიდიული გაგებით მაინც ივარაუდება.

ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში მკვლევარი რ. კლუტმანი მიუთითებს სახელმწიფო ორგანოების შეჭრასე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში. „ბუნებრივია, — წერს იგი საქართველოს მიმართ, — რომ ქვეყანაში, სადაც კერძოსამართლებრივ სფეროში ეგოდენ ღრმად იჭრება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, კერძო სამართლის მნიშვნელობა მცირდება“ (კლუტმ., 429—430).

საერთოდ, კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში ვახტანგ VI მხარეთა ნების თავისუფლებას აღიარებს. ამის მაჩვენებელია. შავალითად, მისი სამართლის წიგნის 250 მუხლი — „ღალის აღებისათვის“. სჭულმდებელი მეფე მიწას ოთხ ჯგუფად ანაწილებს („ნაფუძარი“, „ნანახვი“, „სარწყავი“, „ველური“) და აკანონებს, რომ „ამათ კვნაშიევე შერიგება უნდა მისის პატრონის პირობით“. მართალია, აქ ერთგვარად გამოსქვივის მესაკუთრის უპირატესი უფლების აღიარება ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას („შერიგება უნდა... პატრონის პირობით“),

მაგრამ ეს არაა სპეციფიკური ქართული სამართლისათვის. მესაკუთრის უფლებაზე უპირატესი ზრუნვა ზოგადსამართლებრივი მოვლენაა; იგი საერთოდ მრავალგვარ იურიდიულ ურთიერთობებს და, მათ შორის, ქონების ქირავნობის ხელშეკრულებასაც ემჩნევა (ნოვიცი, 228; კეჩეკ., 137; შულინი, 379).

გვიანფეოდალური პერიოდის ქართული მასალებიდან ირკვევა, რომ „სამლებროთა იჯარა სრული ნებაყოფლობისა და თავისუფალი შესაქმების შედეგია. საიჯაროდ გამოცხადებული საქმე გარკვეული ხნის განმავლობაში (40 დღე) ღიაა კონკურენტთათვის: ვინც მეტს გაიღებს, მას მიეცემა“ (სამლებრ. შესახ., 320). ხელშეკრულების მხარეთა ნების თავისუფლებას აღიარებს იოანე ბატონიშვილიც, რომელიც ცდილობს გონივრულად მოაწყოს და მოაწესრიგოს ცხენის ქირავნობის საქმე (სკულდება, 56). იგი წინადადებას იძლევა, რომ „ქალაქში მოიჯარადრეთ ვინმე იყოს, ჰყვანდეს ცხენები განწყობილი უნაგირებით საქირავებლად, ვის როგორ მოუნდეს, შორს წასვლა, თუ ახლო სიარული და შექცევა, თუ რაოდენისამე დლით, ანუ საათით, ამაზედ ერთმანერთს მოურიგდენ ფასსა“.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფო ორგანოების შექრის (მით უფრო — „ეგოდენ ღრმად შექრის“) თეზისის საწინააღმდეგოდ ქართული სინამდვილიდან აღებულ ერთ დოკუმენტსაც დავიმოწმებთ. ესაა 1768 წლის 7 მარტის საბუთი (ოქმიანი არზა). იგი ნიუთის, კერძოდ კი სახლის გაქირავებას შეეხება (საქ. სიძვ., III, 6—7). „ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონო, — წერს მეფე ერეკლე II სახლის მესაკუთრეს, რომელიც ნდგმურის გასახლებას მოითხოვს, — თუ იქნებოდეს, ახლა ზამთარი არის, ამ დროს სად გააგდებ, ცოტა ხანს კიდევ ქირით დააყენე, მანაჰდის სახლის ფიქრს იქმოდეს. ამას ჰძანებით კი არ გიბძანებთ, შუამავლობასავით გეუბნებით, რომ ჩვენას გულისათვის ასე ჰქნა“.

ზაზგასმული სიტყვები მეფეს ეკუთვნის და ამ მეტად მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით ყოველგვარი საფუძველი ეცლება მოსაზრებას კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფო ორგანოების დამაქვეითებელი ჩარევის შესახებ.

ცხადია, ზოგიერთი გამონაკლისიცაა საგულევებელი და, მართ-

ლაც, ქართულ ფეოდალურ სამართალში დასტურდება ისეთი შემთხვევაც. როდესაც ქირავნობის საფუძველს არ წარმოადგენდა კონტრაქტითა თავისუფლად გამოძევავენებული ნება. „ფილიპე დეკანოზმა, — ვკითხულობთ 1800 წლის საბუთში, — ერთი განაჩენი მოიტანა... მელიქისა და ქეთხუდების დაბეჭდილი; ასე სწერია... მანამ ნალბანდებს ფილიპე თავიანთ ნაშენის ფასს მისცემდეს, ნალბანდებს ეჭიროსო და ადგილის ქირა ნალბანდებმა აძლიოსო“ (უჩანეიშვი., 128).

ამგვარად, ქონებრივი ქირავნობის ურთიერთობანი მხარეთა ნების გარდა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგადაც მყარდებოდა.

ვადა ნივთის ქირავნობის ხელშეკრულებაში

ქონებრივი ქირავნობისას მხარეები, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ვადას დათქვამდნენ ხოლმე, ანდა ხელშეკრულება განუსაზღვრელი დროით იდებოდა. ამ შემთხვევაში ქირავნობა ძალამოსილად ითვლებოდა მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე უარს არ იტყოდა ხელშეკრულების გაგრძელებაზე და არ მოითხოვდა მის შეწყვეტას. როდესაც ქონებრივი ქირავნობა დადებული იყო განსაზღვრული დროით და მისი გასვლის შემდეგ დამქირავებელი კვლავ სარგებლობდა ნაქირავეები ქონებით, ხოლო გამქირავებელი არ დაობდა (მაშასადამე, მდუმარედ ცნობდა ასეთ ვითარებას), მაშინ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით განახლებულად ითვლებოდა.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ესა თუ ის კონკრეტული ვადა არ იყო განსაზღვრული ფეოდალური საქართველოს კანონმდებლობით. ვადების დადგენა, ჩანს, მხარეთა ნება-სურვილის მიხედვით ხდებოდა. აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლში სახედრის დაქირავებაზე ისეთ კონტექსტშია ლაპარაკი, რომ ქირავნობა ნებისმიერად დათქმული ვადით იგულისხმება.

ვადის საკითხის ნებისმიერად გადაწყვეტა იგულისხმება დავით ბატონიშვილის სამართალშიც. პირუტყვის ქირავნობის ხელშეკრულების დადება მხარეებს თავიანთი სურვილისამებრ შეუძლიათ ვადის განუსაზღვრელად ან ამა თუ იმ „პაემანითა“. ამ უკანასკნელ შემთხვევასთან დაკავშირებით სამართლის წიგნში საგანგებო სიტყვები და ტერმინებიცაა ნახმარი: „უკეთუ პაემანითა იყოს ნაქირავეები და პაემანსა მას გარდასცდეს, ოდესცა

არარაჲმე ვნებოდეს პირუტყვისა მას, რაოდენსაცა ხანსა ჰყოლიეს პაემნისა უმეტეს, ეგოდენიცა ჭირა მისცეს პატრონსა მისსა უმეტესისა პაემანისათვის; და უკეთუ დროესა გარდაცილებითა მოკუდეს და ანუ დააშაოს, მაშინ აღუდგინოს, ამად რომელ გარდამსულელმან პაემანსა ზედა წარწყმინდა საქონელი იგი“ (დ. ბატონიშვი., 110—111).

ცხენის დაჭირავების მოკლე ვადების დაწესებას ცდილობდა იოანე ბატონიშვილი. მისი კანონპროექტის თანახმად (სჯულდება, 56), უნაგირით „განწყობილი“ ცხენის დაჭირავება მოიჯარადრისაგან, „ახლო სიარულისა და შექცევის“ მიზნით, „რაოდენისამე დღით, ანუ საათით“—აც შეიძლებოდა.

საყოფაცხოვრებო და საოჯახო მოხმარების საგნებისა თუ სამეურნეო მოწყობილობა-ინვენტარისა და პირუტყვის დაჭირავება, ჩვეულებრივ, ერთჯერადი მოხმარების, რომელიმე განსაზღვრული სამუშაოს შესრულების მიზნით ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში ქონებას ჭირაობდნენ ხოლმე ერთი ან მეტი დღით, ამა თუ იმ ნაკვეთის დასამუშაებლად, გარკვეული ტვირთის გადატანისათვის და ა. შ. ბერბუკის წისქვილის საქმეზე, — ვკითხულობთ XVIII საუკუნის დასასრულს შედგენილ საბუთში, — „ვიჭირავე ურემი ერთი დღე, ჭირა სამი აბაზი... ურემი ვიჭირავე ორი ქვის მოსატანათ, კლდის ქვისათვინ, მივე ექვსი აბაზი“ (ეკონ. ისტ. მას., I, 125).

განუსაზღვრელი ვადით იღებოდა ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე აიღებდა სხვის მიწას რაიმე ნაგებობის ასაშენებლად. მოჭირავენეს ეკისრებოდა ჭირავენობის საზღაურის გადახდა და იგი სარგებლობდა ნაგებობით მანამ, სანამ მიწის გამჭირავებელი ნაშენობის ფასს არ მისცემდა. რევოლუციამდელ რუსულ სამართალში კი (შერშენ., 161) ამგვარი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იღებოდა. მოჭირავენე ნაჭირავები მიწით სარგებლობისათვის ვალდებულებას კისრულობდა მის მიერ აგებული ყველა შენობა დათქმული ვადის გასვლის შემდეგ დაეტოვა კონტრაქტისათვის, რომელსაც საკუთრების უფლება მანამდღეც, ნაგებობის დამთავრებისთანავე წარმოემეებოდა.

მაშასადამე, ქართული სამართლის მიხედვით, რუსულისაგან განსხვავებით, ნაგებობა არ განიხილებოდა ვითარცა მიწით სარგებლობის საზღაური; მოჭირავენე იხდიდა ადგილის ჭირას, სამაგიეროდ კი გამჭირავებლისაგან იღებდა შენობის ფასს. ამ ვითარების გათვალისწინებით სავსებით ბუნებრივია, რომ ქართულ სამართალ-

ში ასეთი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით იდებოდა.

რაც შეეხება საკუთრების უფლებას, იგი ქართულ სამართალშიც შენობის აგებისთანავე წარმოეშვებოდა მიწის მეპატრონეს. მოქირავნეს მარტოოდენ „ეჭირა“ ნაგებობა; მას მხოლოდ მფლობელობისა და სარგებლობის უფლება ეკუთვნოდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (იხ. ქვემოთ, 1776 წლის 18 იანვრის საბუთში: „ამისიაო“. „ეჭიროს“). აქ უნდა ითქვას, რომ ფეოდალურ საქართველოში მიღებული წესით („განწესება არის ქართლისა და კახეთისა“), სხვის მამულში დგომა-მოსაქმეობისას აგებული შენობაც მიწის მეპატრონის საკუთრებას შეადგენდა; ამშენებელი მარტოოდენ მფლობელობა-სარგებლობის უფლებას ახორციელებდა და აყრისას მას არ შეეძლო ნაგებობის მოშლა: „სხვის მამულში რომ კაცი იდგება, როდესაც აიყრება, მამულის პატრონი, რაც საქონელი ჰყავს, შუაზე გაუყოფს და თუ აუშენებია რამე მამულიდან სახლი, ვერ და[ა]ქცევს“ (სოც. ისტ. დოკ., II, 220).

საწელშეკრულებო ურთიერთობანი, რომელთა შინაარსსაც სხვის მიწაზე რაიმე ნაგებობის აშენება და მისი ექსპლოატაცია შეადგენდა, ზოგჯერ შეიძლებოდა საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულიყო.

ქაშვეთის ეკლესიის მიწაზე აგებული დუქნების თაობაზე 1800 წლის 11 ივლისს შედგენილ განჩინების წიგნში მოყვანილია 1776 წლის სასამართლო გადაწყვეტილების („განაჩენის“) ტექსტი (უჩანეიშვი., 128—130). ეს ორი დოკუმენტი ერთსა და იმავე საკითხს შეეხება: ნალბანდებს საეკლესიო მიწაზე დუქნები აუშენებიათ. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს 1776 წლის 18 იანვარს დაუდგენია, რომ „მეჰმანდარი მირზას დუქნიდამ მოკიდებული... ქაშვეთისა არის, ნალბანდებს რომ დუქნები აქვსთ აშენებული, ისიც ამისიაო... ნალბანდებს შენობა თავისია, მანამ ნალბანდებს ფილიპე (დეკანოზი — ი. შ) თავიანთ ნაშენის ფასს მისცემდეს, ნალბანდებს ეჭიროსო და ადგილის ქირა ნალბანდებმა აძლიოსო; და როცა ფილიპე შენობის ფასს მისცემს, მაშინ აშენებული დუქნები ფილიპეს დარჩებაო“. საბუთიდან ირკვევა, რომ ფილიპე დეკანოზს დუქნების ფასი 1795 წლისთვისაც არ ჰქონია გადახდილი („მანამ სპარსნი დასწევდნენ, ფილიპეს შენობის ფასი არ მიუცია და ადგილი ჰქირა კი ურთმევი ნალბანდისათვის“). სწორედ ამ დუქნების გამო წამოჭრილი დავა გაურჩევია სასამართლოს 1800 წლის 11 ივლისს.

ამგვარად, თუ ამ კერძო შემთხვევას განვაზოგადებთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიწის ქირავნობა ნაგებობისათვის 20—25 წელსა და იქნებ უფრო მეტხანსაც გრძელდებოდა. ბიზანტიაში, ეკლოგის მიხედვით (ეკლოგა, 62, 148), სატაბტო და სახაზინო უწყების ადგილ-მამულის ქირავნობის ზღვრული ვადა იყო 29 წელი. სანტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზეც მიწის გრძელვადიანი იჯარის ვადა დაახლოებით 4—30 წლით განისაზღვრებოდა (აგრარ. ურთ., 38).

საერთოდ კი მექაშულეს უფრო აინტერესებდა მოკლევადიანი იჯარა, ვინაიდან ასეთ ვითარებაში მას ქირის ვაზრდის მეტი შესაძლებლობა ექმნებოდა (აგრარ. ურთ., 26—38, 41). მოკლევადიანი (მეტადრე ერთწლიანი) იჯარის პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული გვიანფეოდალურ საქართველოში. როგორც წესი. ერთი წლით იდებოდა ხოლმე სავლებროს. აბანთა, წისქვილისა და სხვათა საიჯარო ხელშეკრულება. თუკი მხარეები იჯარის ვადის ვასვლის შემდეგ კვლავაც მოიხურებდნენ სამართლებრივ ურთიერთობათა გაგრძელებას, მაშინ ისინი ახალ ხელშეკრულებას გააფორმებდნენ.

ქონების ქირავნობის ხელშეკრულების თავისებურად განსაზღვრული ვადა დაწესებული ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 226 მუხლში ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით („მონასტრის ალაგი ქირით აიღოს ვინმე“): „როდისაც იმ ალაგში ხეები დაკმეხან უსახლი იდგეს და დაიქცეს (ცხადია, იგულისხმება დამქირავებლის მიერ დარგული ხეები და მის მიერვე აშენებული სახლი — ი. ფ.). ის ალაგი ისევ მონასტრისათვის უნდა დაიდვას, იმ კაცს კელი აღარ ექნება“.

ვანტანგის სამართალში განსხვავებული თვალსაზრისია გატარებული. 217 მუხლის ძალით, ეკლეისის მამულის „დანერგვა... არ იქნების, ამად რომე დიდის ხნისათვის დაინერგვის“. აქ დაუშვებლადია მიჩნეული დასაპუშავებელად გაცემულ საეკლესიო მიწაზე მოავალწლოვანი კულტურების გაშენება („დანერგვა“), რამდენადაც ეს ადგილ-მამულის „დიდის ხნით“ გაცემას მოასწავებს. „დანერგვა“ ფეოდალური საქართველოს საგარეო და საშინაო პირობების დაუდგრობლობის ვითარებაში იმის რეალურ საშიშროებას ქმნიდა, რომ ეკლესია თავის ადგილ-მამულს ხანგრძლივად მოაკლდებოდა და სამუდამოდაც კი დაკარგავდა.

რაც შეეხება ქირის გადახდას, ამისი ვადაც სხვადასხვაგვარად განისაზღვრებოდა. ანგარიშსწორების სახეობა თუ წესი საგანგებოდ აღინიშნებოდა ხოლმე ქონების ქირავენობის ხელშეკრულებაში.

ქირას იხდიდნენ ერთდროულად, ანდა ნაწილ-ნაწილ — დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში, ცალკეული პერიოდების მიხედვით.

მოკლევადიანი ქირავენობისათვის დამახასიათებელია ქირის ერთბაშად გადახდა. ასეთი წესი მოქმედებდა საზოგადოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთებს ერთჯერადი მოხმარების მიზნით ქირაობდნენ.

გრძელვადიანი ქირავენობისას ქირას ხშირად წლითიწლობით იხდიდნენ. მიწის გაქირავებელს, მაგალითად, „ალაგის ქირა... წლისა და წლისა“ ეძლეოდა (საქ. სიძვ., III, 289). წლიურად გადასახდელი ქირის ოდენობის განსაზღვრა დაკანონებული იყო ბიზანტიაში (ეკლოგა, 62) და იგი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 226—228 მუხლებშიცაა ასახული. 227 მუხლის მიხედვით, „უკეთუ შერიგდეს ვინმე ჰონასტრის მამულზედა... რომე მონასტრის მამულში სახლი ააშენოს, ანუ ვენაკი და ხილი დარგოს, ანუ ყანა დასთესოს, პირველად ქირაზე უნდა შერიგდენ... თუ წე ღი-წად ში ამ დენი ქირა მოგეო“.

სახნავე მიწის გაქირავეებისას ანგარიშსწორება კონტრაქტებს შორის, ჩვეულებისამებრ, მოსავლის აღების დროს ხდებოდა. 1785 წლის საბუთის ცნობით (საქ. სიძვ. III, 521), „საქართველოს დალის აღება ასე არის“: „პატრონებს შეატყობინებენ, ვინც მოხნავს“; „უნდა პატრონი მიუყვანოს, დაუთვალოს და ღალა ისე აიღოს“. მაშაადამე, მოქირავენე ასეთ შემთხვევებში ქირას ერთდროულად იხდიდა და ანგარიშსწორება სეზონური ხასიათისა იყო.

საიჯარო ურთიერთობებში ფართო გავრცელება პოვა ქირის „თვე და თვე“ გადახდამ (სოც. ისტ. დოკ., II, 225; ეკონ. ისტ. მას., II, 259). 1784 წლის სამღებროს იჯარის წიგნით ანგარიშსწორების ერთგვარი შერეული ფორმაც დასტურდება: „... ასე უნდა იჯარა მოგართვა, რომა ექსის თვის თავს მოგართვა და ექსი თვე რომ გამოვიდეს, იმას გარდა რამთენი თვე გამოვიდეს, თვის და თვის თავს მოგართვა ხო(ლ)მე...“ (ეკონ. ისტ. მას., II, 243).

სომეხი სჯულმდებელი აწესებს ქირის დაუყოვნებლივ, იმავე დღესვე გადახდას. მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსიის 276 მუხლის ძალით, „თუ ვინ იქირაოს საბრალოსა და ღარიბისაგან, და დავრდომილისაგან ანუ მოსულის კაცისაგან“ ცხენი, ჯორი, სა-

ხედარი ან სხვა რამე, „უნდა მისცეთ ქირა იმავე დღეს მზის ჩასულამდინ: ამიტომ გააქირავა, რომ ექირებოდა“; „ხომ ჩანს და გამოჩნდების, რომ იმავე დღეს ყოფილა დამქიროდ“.

ამგვარად, ქირის დაუყოვნებლივ გადახდა გამქირავებლის მდგომარეობის გათვალისწინებით იყო დაწესებული.

მხარეთა უზღავა-მოვალეობანი

ვის შეეძლო ნიეთის გაქირავება? აღბუღას სამართლის 92-ე მუხლის მიხედვით არამართლზომიერადაა მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როდესაც ნიეთს მპოვნელი აქირავებდა. მპოვნელი ვალდებული იყო ნიეთი მესაკუთრისათვის დაებრუნებინა. სამაგიეროდ კი მას ჯილდო, ე. წ. „საპოვნელო“ („მსგავსიერი საპოვნელა“) ეძლეოდა. ნაპოვნის დამალვა, კანონის მიხედვით, „მპარაობისა საქმისა მსგავსია“ და მპოვნელს ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, „საპოვნელო რამე აღარა მართებს“. პირიქით, არაკეთილმინდისიერ. ნაპოვნის გამცვეთ თუ გამქირავებელ მპოვნელს ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა: „თუ პირუტყვი იყოს, დაემქლონ და გაეცუდოს, და თუ სასაქონლო იყოს, გაეცვითოს და გაექირაოს, — კაცთა დახედვითა იგიცა უზღოს უსიტყოდ“.

ნიეთის გაქირავება, ცხადია, თავისუფლად შეეძლო მის მესაკუთრეს — ინდივიდუალურსა თუ კოლექტიურ მეპატრონეს. ფიზიკურსა და იურიდიულ პირს (მაგალითად, ეკლესია-მონასტერს).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცნობილია გადანაშთური თემურ-გვაროვნული საკუთრების გაქირავების შემთხვევები. კერძოდ, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (თემ. მმართვ., 166—167) აღწერილია საერთო-სასოფლო და საგვარეულო საძოვრების გაქირავების ფაქტები.

ფეოდალი ცდილობდა მიეტაცებინა სათემო საკუთრების ობიექტები და არ დაეშვა თემის მხრივ შათი განკარგვა, მაგრამ იგი მეთემეთა მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებოდა, რის გამოც ზოგჯერ დათმობას აძჭობინებდა. 1799 წელს ასეთი შეჯახება მოუხდათ „სულ ფშავის ხევის კაცთ“ და გიორგი სახლთუხუცესს (ხელნაწ. ინსტ., Hd — 1246): „ცოტა რამ მამული გვაქვს და ის კაცს მივეციით ასაშენებლათ და შენ არ გააკეთებინე. ამაზედ თქვენა და ჩვენ შემდღურება მოგვიხდა, ახლა შეერიგდით და ხატსაც თავისი ჯარიმა მიართვი“.

ჩვეულებრივი მოვლენა იყო ნაბოძებ-ნაწყალობევი და შენა-
წირი ქონების გაქირავება, რასაც ზოგჯერ საამისოდ შედგენილ სა-
ბუთშიც დათქვამდნენ: „...რაც სიონთა ღმრთისმშობელს ქალაქს ან
ვაჟარი ჰყოლებოდეს შეწირული და ან ქულბაქი... ჩუენც შეგვი-
წირაჲს უკლებლად... რაც სათქვენო ქულბაქი იყოს, თქუენი არის,
ვისცა გეპრიანებოდეს ათხოეთ და აქირაეთ...“ (ქართ. სამართ.
ძგლ., II, 213).

ნივთი შეეძლო გაექირავებინა იმასაც, ვისაც, მართალია, საკუ-
თრების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ სხვაგვარი სანივთო უფლება-
მოსილებით იყო აღჭურვილი. ასეთად წარმოგვიდგება, სახელდობრ,
მოგორაენე. საბუთებიდან ჩანს, რომ იგი ხშირად აქირავებდა გი-
რად მიღებულ ისეთ ნივთებს, როგორც იყო ღუქნები და სა-
ცხოვრებელი სახლები.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ გამქირავებელი სხვადასხვა-
გვარად შეიძლებოდა შეზღუდულიყო. ზოგიერთი კატეგორიის მე-
საკუთრე-გამქირავებელი შეზღუდული იყო იმ მხრივ, რომ ნივთს
უვლას ვერ მიაქირავებდა. ბერძნული სამართლის ქართული ვერ-
სიის 220-ე მუხლის მიხედვით, „მწვალებელთა მონასტრის მამულ-
სა. უძრავია თუ მოძრავი, ქირით ნუ მისცემენ; რაგინდ რომ ბევრი
მისცენ, ნუ დაანებებენ“. ამავე სჯულმდებლობის 417 მუხლი ითვა-
ლისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მესაკუთრემ მიწა გააქირა-
ვა „რუს გაღებისათვის“. სამი წლის განმავლობაში მიწის პატრონსა
და რუს გამყვანს შორის ჩვეულებრივი სახითაა წარმოდგენილი
ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება. შემდეგ კი, თუ გამქირავე-
ბელმა ხსენებულ ვადაში არ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთი-
ერთობა, დამქირავებელი იძენს სხვისი მიწით დამოუკიდებელი და
უზასყიდლო სარგებლობის უფლებას.

გამქირავებელი ვალდებული იყო გადაეცა დამქირავებლისათ-
ვის გამოსაყენებლად ვარგისი ქონება, მიეწოდებინა იგი კონტრა-
ქტისათვის იმ სახით, რაც შეეფერებოდა ხელშეკრულებასა და
ნაქირავები ქონების დანიშნულებას. მას არ უნდა შეექმნა დაბრ-
კოლება, რომელიც გაართულებდა ნივთის მოხმარებას: „უკეთუ ვინ-
მე სხვის მიწის სიახლოის ალაგისათვის ქირა მისცეს და რუ გა-
იღონ, რადგან ქირას მისცემს, მისი მასალა — კირი, ქუა, ქუიშა —
იმ მიწაში უნდა დაყაროს რუს გასაკეთებლად, ვერ დაუშლის მი-
წის პატრონი“ („სამართალი ბერძული“, მუხ. 418).

გამქირავებულ ნივთთან დაკავშირებული გადასახადები და ბე-

გარა თუ გამოსაღები გამჭირავებელს ეკისრებოდა: „ერთის წლის პირობით ქირით მოგვეცით ორი ღუქანი... სახელმწიფო პოლიციის ხარჯი სამი მინალთუნიც ჩემზედ უნდა იანგარიშო“ (ეკონ. ისტ. მას., II, 259). ჩვეულებრივ, გაჭირავებული ნივთის სახელდახელო წეკეთება დამჭირავებლის მოვალეობას შეადგენდა, ძირითადი კი გამჭირავებელს ეკისრებოდა და მის ხარჯზე ხდებოდა. მხარეთა აშგვარი ურთიერთობა ერთ-ერთ დოკუმენტში, მაგალითად, ასეა ჩამოყალიბებული (სოც. ისტ. დოკ., II, 223): „ერთის წლობით თქვენი ქოთიშს წისქვილი ავიღე... ღარი თუ გასაკეთებელი შეიქნას თქვენ უნდა გამოსცვალოთ... არხს თუ ათი მუშა მოუნდეს. მე უნდა დაჯხარჯო და თუ ათზედ მეტი დასჭირდეს, თქვენ უნდა ამუშავოთ“.

გამჭირავებელი ზოგჯერ ინარჩუნებდა გაჭირავებული ნივთით სარგებლობის უფლებას, რაც საგანგებოდ, სახელდებით და ზუსტად უნდა ყოფილიყო ხოლმე აღნიშნული ხელშეკრულებაში. ასეთი პირობის დათქმას საგნის ბუნებრივი თვისებები, ნივთის რაგვარობა განაპირობებდა. სახელდობრ, ქართული დოკუმენტებით დაატურდება იჯარით გაცემულ აბანოში მეპატრონის ოჯახის წევრთა უფასო ბანების შესაძლებლობა „თქვენი აბანო იჯარით მოგვეცით... პატრონები რომელიც მოხვიდეთ, უსტუმროთ, საბანებლათ თქვენ თეთრი არ გამოგართოთ. და წელიწადშიაც ოთხჯერ თქვენთვის უნდა დავაყორულოთ. ოთხი ყორული რომ შესრულდეს და სხვა ყორული მოინდომოთ, რაც რომ ფული გერგებოდესთ, იჯარაში გვიანგარიშოთ. ეს არის ჩვენი პირობა“ (ეკონ. ისტ. მას., II, 260).

1820 წლის 20 იანვარის საბუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (იქვე, 259—260), გაჭირავებული ნივთით უფასოდ სარგებლობის უფლებას არა მარტო გამჭირავებლის ოჯახის წევრთა, არამედ პირთა უფრო ფართო წრის მიმართაც დათქვამდნენ: „ავიღე იჯარით თქვენი აბანო... თუ აბანო ყორული მოგინდეს ან ღამე, ან დღე, ოთხჯერ ყორული მოგართოთ. თუ თქვენი გვარის ავიღე იბანოს, უფულოთ იყოს და თუ სტუმარი მოიყვანოთ. ფული მიბოძოთ“.

სამართალი ძველთაგან დიდ ყურადღებას უთმობდა ნივთის გამჭირავებლის უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებებს. მისი ინტერესების საიპედოდ დაცვის მიზნით ათენში წესად იყო მიღე-

ბული, რომ მოქირავნეს თავისი ვალდებულებანი გირაოთი ან თავ-
დებით უზრუნველყო (შულინი, 379).

გამქირავებლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას შეად-
გენდა გაქირავებული ნივთის ხმარების საზღაურის — ქირის მო-
თხოვნა და მიღება დამქირავებლისაგან.

ნივთის გაქირავებელს, ცხადია, თავისუფლად შეეძლო ქირის
აღების უფლება თავისი რწმუნებულისათვის გადაეცა. ამ შემთხვე-
ვაში ნივთის მეპატრონის ადგილს ეს რწმუნებული იკერდა და
მოქირავნეც მასთან აგრძელებდა სახელშეკრულებო ურთიერთო-
ბებს. ასეთი ვითარებაა ასახული, კერძოდ, 1666 წლის საბუთში
(მონასტრ. ისტ. საბ., 214): „მე იერუსალიმს წავედ და ის სახლკარი
თქვენ მოგაბარე... რაც ქირა აიღოთ ნაშენებისა მე შამინახოთ“.
1752 წლის საბუთის მიხედვით ქირის აღების უფლება გაქირავებ-
ლის „ნაიბს“ ანუ მოადგილეს ეძლევა (ქართ. სამართ. ძგლ., III,
825—826).

ქირას ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის ხასიათის შესა-
ბამისად და ქირავნობის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების სა-
ფუძველზე ჩვეულებრივ ნატურით იხდიდნენ. გვხვდება აგრეთვე
საზღაურის ფულადი გამოხატვისა და გადახდა-გასტუმრების შემ-
თხვევები. ამასთანავე, ქირაამა თუ იმ სამსახურის გაწვევითაც შეიძ-
ლებოდა გასტუმრებულიყო (ვანტანგის სამართლის 217 მუხლის
მიხედვით, მაგალითად, „ეკლესიის მამულის დამთესველმა ან დამ-
ნერკველმან... მართებული... სამსახური გარდაუქადოს“).
ცალკეულ შემთხვევაში, ცხადია, ქირის გადახდის ნატურალური,
ფულადი და შრომითი ფორმების შეერთება-შეხამებაც არ იყო გა-
მორიცხული.

საზღაურის რაგვარობა ზუსტად, სახელდებით უნდა ყოფილი-
ყო განსაზღვრული და აღნიშნული ხელშეკრულებაში. ერთ-ერთი
დოკუმენტის მიხედვით საიჯარო ქირა ასეა დადგენილი: „წისქვილი
ავილე ექუს ურემ წმინდა პურად და ამავე ექუსის ურმის პუ-
რის ანგარიშში ერთი ურემი ქერი იქნება“ (სოც. ისტ. დოკ., II,
223).

ანაზღაურების თავისებური წესია დამოწმებული სევანეთის ეთ-
ნოგრაფიულ მასალებში (ნიქარ., 117): „ხარს თუ გააქირავებდი
ზაფხულობით, ქირაში დამქირავებელი გაკვებავდა ხსენებულს
ხარს და კიდევ ერთს სხვა მსხვილს საქონელს... გაკვების შუა ვა-
დად მიღებულია ორი თებერვალი“.

ქონებრივი ქირავნობის ხასიათისა თუ გაქირავებული ობიექტის კვალობაზე საზღაური განსხვავებული სახელწოდებით აღინიშნებოდა. საძოვრის ქირავნობის საზღაურს, მაგალითად, „საბალახე“ ეწოდებოდა. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III, 287—289), საქართველოში მყოფი მომთაბარე თურქმანი ტომი იხდის მიწაზე დგომის საზღაურს — „ტალავრის მამულის ქირას“. „ტალავარი“ „კარავს“ ნიშნავს (სინ. მრავალთ., 225) და საზღაურის სახელიც აქედანაა წარმომდგარი. ამავე საბუთში და სხვაგანაც (ეკონ. ისტ. მას., II, 115; უჩანეიშვ., 128—129, 183) იხსენიება „ალაგის (ადგილის) ქირა“, რაც მიწის რენტას ნიშნავს.

მასალებში ხშირად გვხვდება აგრეთვე „ღუქნის ქირა“ (ეკონ. ისტ. მას., I, 128; უჩანეიშვ., 149; ცენტრარქ., 1451, დავთ. I, VIII, საბ. 11, ფ. 129). გირავნობისას იგი სესხის სარგებლად წარმოგვიდგება, რამდენადაც დაგირავებულ ღუქანს მოგირავენ ან უშუალოდ თვითონ ხმარობდა, ანდა აქირავებდა: „ავილე... შუილი თუქანი და ნახევარი ახალი თეთრი... ღუქანი მომიცია გირაოდ, სანამდინ ეს ღუქანი შენთან გირაოდ იყოს, არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო, და არც მე ღუქნის ქირა... თუ გინდოდეს შენ დაჭე, თუ არა სხვა დასვი“ (თბ. ისტ. დოკ., 76). ანალოგიურ ვითარებაში „სახლის ქირაც“ „თეთრის სარგებლის“ ფუნქციას ასრულებდა (ეკონ. ისტ. მას., II, 115).

მიწის ქირის გავრცელებული სახელწოდება იყო „ღალა“. ფეოდალიზმის პირობებში ღალა სხვისი მიწით სარგებლობის საზღაურის ძირითად სახეობად წარმოგვიდგება. „ღალა“ მომდინარეობს არაბულიდან, სადაც იგი „სახნავისა, მწვანილეულობისა და ხეხილის მოსავალს ჰნიშნავს“. მისი წინანდელი ქართული ტერმინი უცნობია. „ღალა“ „დასამუშავებლად აღებული მიწის ქირას წარმოადგენდა, ამასთანავე სულადად, თვით მოსავლის, გარკვეული რაოდენობით (პროცენტით) გადახდილს“ (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 441—442). „ღალის“ მნიშვნელობით გურიაში დამოწმებულია „საყანული“ (ღლონტი, 91; ჩიქოვ., 506) და იქნებ სწორედ ეს იყოს მიწის ქირის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი.

სამართლებრივი მასალებით ორგვარი ღალის არსებობა დასტურდება.

ზოგ ძეგლში ღალა ცალმხრივად, გადამხდელის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად დადგენილი საზღაურ-გამოსაღების სახითაა მოცემული. მაგალითად, „დასტურლამალის“ მიხედვით (დას-

ტურლ., 579), „შულავრისა და თეთრის სოფლისა ბატონისა და მოხელეთ გამოსადები არის საკომლო: სძეს ბატონის კულუხი, ორი პატრონს, ერთი ბატონს, დალა ხუთი პატრონს, მეექვსედი ბატონს. მალი მამულიანზედ თავზედ ხუთი აბაზი ბატონს და ორი შაური მოხელეს“.

ვახტანგ VI-ის სჯულმდებლობის 250-ე მუხლით გათვალისწინებული ღალა კი მხარეთა სახელშეკრულებო „შესაქმების“ შედეგი იყო: როდესაც სხვის მიწას — „ნაფუძარს“, „ნანეხვს“, „სარწყავსა“ თუ „ველურს“ მოხნავდა ვინმე, ღალის სიდიდე მხარეების შეთანხმებით განისაზღვრებოდა.

მესაკუთრისაგან მიწას საღალოდ გარეშენიცა და მისი ყმებიც იღებდნენ. ასეთ შემთხვევაში მეზატონისა და ყმის ურთიერთობა ბატონყმობის რიგთან ერთად სამოქალაქო-სამართლებრივ საწყისებზედაც წესრიგდებოდა. ბატონ-ყმათა შორის ღალის თაობაზე წაშოკრილი დავა სასამართლო განხილვის საგანიც ხდებოდა, რასაც ადასტურებს, კერძოდ, 1755 წლის საჩივრების ნუსხა: „ნიკიფორემა თავის ყმას და მამას[ა]ხლის(ს) ღალა უჩ[ი]ვლა. იას[ა]ული რევაზ გაბ[ა]სვილი“ (სამდივანბ. სასამ. მას., 23).

ქირის ოდენობას, ფორმალურ-იურიდიულად, ხელშემკერელი მხარეები თანასწორუფლებიანობის საწყისებზე მიღწეული ურთიერთშეთანხმებით ადგენდნენ. ისინი ანგარიშს ასწორებდნენ იმის მიხედვით, თუ „ვითარითაცა სახითა დაუცსთ პირობაჲ“ (დ. ბატონიშვ., 110). ზოგადსამართლებრივი წესიც ისეთი იყო, რომ საზღაური თავისუფალი მოლაპარაკების გზით უნდა განესაზღვრათ გამქორაფებელსა და დამქორაფებელს (ეკლოგა, 62).

ფაქტობრივად კი ქირის ოდენობის განსაზღვრის მხრივ გადამწყვეტი სიტყვა, ჩვეულებრივ, ნივთის მესაკუთრეს ეკუთვნოდა. ასეთი ვითარების ანარეკლად წარმოგვიდგება ვახტანგის სამართლის 250-ე მუხლის ის ნაწილი, სადაც კანონმდებელი საჭიროდ მიიჩნევს ღალაზე „შერიგებას“ მიწის „პატრონის პირობით“.

საზოგადოდ, სხვისი ნივთის გამოყენების სასყიდელი „მართებულა“ უნდა ყოფილიყო („სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“, მუხ. 217). მხითარ გოში საგანგებოდ მიუთითებდა, რომ მეპატრონეებსა „სამართლიანათ აიღონ ქირა“ („სამართალი სომხური“, მუხ. 152). „მართებულობის“ პრინციპის შელახვა ნივთის მესაკუთრის სასარგებლოდ ხდებოდა ზოლმე და სწორედ ქირის ოდენობის სამართლიანად განსაზღვრის დასაცავად უთქვამს ზალხს, რომ

„კოვზის პირით საფქვავე დააყარეო და ტარით მინდი აიღეო“ (უმბი-
კაშვი, 238; სასოკ., 114).

მოქირავენს შეეძლო მოეთხოვა ქირის შემცირება იმ შემთხვე-
ვაში, როდესაც იგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ
შესძლებდა სრულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგ-
ლებში გამოეყენებინა ნაქირავეები ქონება. ამ შეღავათით სარგებ-
ლობდა დამქირავებელი (მოიჯარე), კერძოდ, რომის სამართალში
(გრიმი, 317). ასეთი წესის არსებობა ქართული მანალებითაც დას-
ტურდება. დოკუმენტებიდან, მაგალითად, ჩანს, რომ სამღებროთა
„იჯარა ჩვეულებრივ ერთი წლით იღება. საიჯარო ფული ყოველ
თვიურად ეძლევა სამღებროს პატრონს და არა წინასწარ. ამას ის
მნიშვნელობა აქვს, რომ ...თუ არა მოიჯარადრის მიზეზით საქმე შე-
ფერხდა და სამღებრო მოცდა, იჯარადარი „სამართალს“ მოითხოვს,
ე. ი. ასეთ მოცდენის და შესაფერისად საიჯარო
გადასახადის დაკლებას მოითხოვს“ (სამღებრ. შესახ.,
320. ხაზგასმა ჩვენია — ი. ფ.).

ქირა გამქირავებლის — ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქი-
რებას ემატებოდა და საერთო ქონებრივ მასაში გათქვეფილად მო-
იხმარებოდა. ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული ვითარება არ შე-
იძინებოდა. ერთგვარი თავისებურებით გამოირჩეოდა საერთო-სასოფ-
ლო და საგვარო საძოვრებში აღებული ქირის მოხმარების წესი
(თემ. მმართვ., 166—167). ქირის სახით მიღებული ცხვრების ერთ
ნაწილს სასოფლოდ — „სამლოთო“ გადასდებდნენ, დანარჩენს კი
მოსახლეობა ინაწილებდა (მეტი ეძლეოდა იმას, ვისაც ცოტა ცხვა-
რი ჰყავდა და, მაშასადამე, სხვაზე ნაკლებად იყენებდა საერთო
საძოვარს). რაც შეეხება ამა თუ იმ გვარის კუთვნილი საძოვრის
გაქირავენებაში აღებულ საკლავს, იგი იხარჯებოდა საერთო-საგვა-
რეულო თავყრილობაზე, რასაც „გორის ქერხობა“ ეწოდებოდა.

უკეთეს მოქირავენე ურჩობდა და ქირას არ იხდიდა, გამქირავე-
ბელი სასამართლოს მიმართავდა. ერთი ასეთი საჩივარი ფიქსი-
რებულია 1755 წლის საჩივრების ნუსხაში (სამლოვანბ. სასამ. მას.,
21): „ოქრუამ იჩ[ი]ვლა დუქნის ქირაცყ (2 მინალთუნი და
4 აბაზი). იესაული თაყასშვილი“.

ქირის ურჩი გადამხდელს ჯარიმა ეკისრებოდა. დავით ბატონი-
შვილის სამართლის მიხედვით (დ. ბატონიშვი., 110), „უკეთეს მძლავ-
როს და ქირა აღარ მისცეს, მაშინ ერთისათვის მიუღონ ორი და
მისცენ პატრონსა“ (სამართლის წიგნის ერთ-ერთ ხელნაწერში

„პატრონსა“ სიტყვის შემდეგ ემატება: „და ერთი ჭარიმად მეფისა“). სომხური სამართლითაც (მუხ. 276), ვინც თავის ღრობზე არ გადაიხდის ქირას, მას გამჭირავებლის სასარგებლოდ „სამართალში ნამეტნავე“ გამოერთმევა.

საინტერესო დადგენილებას შეიცავს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 342-ე მუხლი: „... პეიმანზედ მოვიდეს, ქირა სთხოვოს და არ მისცეს, და ისივ მოსამართლესთან საჩივლელად წავიდეს, მალონებსო, იჩივლოს და გამტყუნდეს, არა მარტო ქირა გამოერთვას, არამედ, რაც რომ საქირაოდ აქუს იმ კაცს, ის საქონელი უნდა დააფასონ და მისი ფასიც უნდა გამოართვან და მისცენ იმ საქონლის პატრონსა, და თავისი საქონელიც გამოართვას“. ამგვარად, მოქირავენე არ იხდის ქირას და გამჭირავებელსაც უსაფუძვლოდ უჩივის. მას გამოერთმევა ქირა, აგრეთვე ნაქირავეები ნივთი და მისი საფასური. მუხლიდან აშკარად ჩანს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებელი ზოგადი პრევენციის მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა („ამისთვის რომე დაინახონ და სხვათაც ამისთანა უსამართლო არ მოინდომონ კაცზედა“).

ახლა ვნახოთ, თუ როგორ წყვეტდა განსახილველ საკითხს ბერძნული სამართლის ქართული ვერსია ეკლესიის ადგილ-მამულის გაშენებასთან დაკავშირებით. სამართლის წიგნში ურთიერთგანსწავავებული დადგენილებებია წარმოდგენილი.

219 მუხლის მიხედვით, „ეკლესიისა ალაგშია ვინცავენ და ნერგვენ ვენაქსა, ხესა, ანუ ყანასა დასთესვენ, რაც რომ ქირას დაჰპირდა იმ მამულისათვის მონასტერსა, თუ არ მისცეს, ორ წელიწადს ის მამულები იმავ ამშენებელს ქონდეს. მასუკან ის კაცი გააგდონ და ის მამულები მონასტრისათვის დადვან“.

226 მუხლი რაიმე კონკრეტული ვადის დაუწესებლად ადგენს, რომ „... უკეთუ ააშენონ და მონასტერს ქირა არ მისცენ, მონასტრის პატრონი უნდა მივიდეს თავის ალაგშია, რაც ხე იღვას; ყუელა ძირიანად დააქრევინოს და მონასტრის ალაგი მონასტრისათვის დაადებინოს...“

228 მუხლი კი კონკრეტულ — სამწლიან ვადას აწესებს: „როდისაც რომ მონასტრის მამულზედ ქირით შერიგდენ პატრონსა, და იმ ალაგში სახლი ააშენოს, ანუ ვენაქი და ხილი დარგოს, ანუ სხვა რამ ქნას, და რასაც რომ ქირას დაპირდა, მასუკან ის აღარ მისცეს, სამს წელიწადს უკან ის ალაგი ამშენებული გამოერთვას და ისევ მონასტრისათვის დადვან...“ სამწლიანი ვადა 219-ე მუხ-

ლით დადგენილია იმ შემთხვევისათვის, „უკეთუ მონასტრის მამული და ალაგი არ იყოს და სხვისა იყოს“. თუ დამჭირავებელი ასეთ ვითარებაში არ იხდის ქირას, მაშინ „სამს წელიწადს აშენებელს ქონდეს და მერმე გამოართვან და ალაგის პატრონს მიაცენ“.

ამგვარად, ხსენებული მუხლები სამართლის წიგნში ერთმანეთთან შეუთანხმებლადაა წარმოდგენილი, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე საკითზე განსხვავებულ დადგენილებებს შეიცავენ (სხვადასხვაგვარი ვადები; ნარგავების განადგურება; „ალაგი აშენებელი გამოერთვას“).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1773 წლის ძსაშართლო განჩინებით დასტურდება ბერძნული სჯულმდებლობის ქართული ვერსიის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის პრაქტიკულად გამოყენება: „...რაც ამ მამულში შენობა დარჩათ, უდაბნოსი შეიქმნა სამართლის ძალით... ბერძნული სამართალი სკვ მეფისა იუსტიციანისი: ძალად მონასტრის მამულს ნურავინ დაიქერსო; და უკეთუ დაიჭიროს ვინმე და ააშენოს ვინმე რამე, აშენებული მამული მონასტერს დარჩესო. ეს სამართალი შემოკლებით დაიწერა“ (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 657; ბერძნ. სამართ., 017—018).

ქირის გადახდასთან ერთად დამჭირავებელს ევალებოდა ნაჭირავები ქონების დანიშნულებისამებრ და გონივრულად გამოყენება. ზოგადასამართლებრივი წესი ისეთი იყო, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული პირობების დაცვათან ერთად მოჭირავნეს საგნის საერთო ბუნებრივი თვისებების გათვალისწინებით უნდა წარემართა ნაჭირავები ნივთის ექსპლოატაცია. ნივთისადმი მეპატრონესავით მოპყრობა, რაც თავისთავად საგულგებელ ვალდებულებას შეადგენდა, დამჭირავებელს ხსნიდა პასუხისმგებლობას, როდესაც იგი რაიმე შემთხვევის გამო მაინც დაკარგავდა ნაჭირავებ ქონებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაჭირავები ნივთის დაღუპვაში დამჭირავებელს ბრალი არ მიუძღოდა, დამჭირავებელი მარტოოდენ ქირას უნდა დასკვრებოდა. ასეთ ნორმას შეიცავს აღბუღას სამართლის 79-ე მუხლი: „თუ კაცმან კაცი დაიჭირავოს რა გინდა რა საქმისათვის, მისითა გულითა ეჭირაოს და მას შიგან მოკვდეს, არა ვინ რას ემართლების ქირისაგან მეტსა.

ამავე წესითა საჯედრისა იყოს“.

მართალია, აქ მოჭირავნის ბრალეულობასა და უბრალობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ მუხლის მომდევნო ნაწილში ლა-

პარაკია ისეთ ვითარებაზე, როცა ნაჭირავეები ნივთი დამჭირავებ-
ლის მიზეზით დაილუპება. ამიტომ ზემოთ წარმოდგენილ ციტატში
უნდა ვაგულისხმოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ქონების და-
ლუპვა მოჭირავნის ბრალეული ქმედობის შედეგს არ წარმოადგენ-
და.

მოჭირავნის პასუხისმგებლობა გამოირიცხებოდა, როცა პატ-
რონი თან ახლდა თავის ქონებას. ასეთ ვითარებაში დაზიანებული,
დალუპული ან დაკარგული ულაცის პატრონს, სომხური სამართლის
ქართული ვერსიის 229-ე მუხლის მიხედვით, „თუ რამ ქირა აელოს,
ქირა იყოს საზღაური მისი“. მხითარ გოშის სჯულმდებლობის 230-ე
მუხლის ძალითაც, ისინი, ვისთანაც გატყდა ან დაიკარგა სხვისი
ჭურჭელი, არ იხდიან საზღაურს, „თუ ქირა მიეცესთ და პატრონიც
თან ახლდეს თავის საქონელს“.

ქონებრივი ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ ნივთი უნდა
დაბრუნებოდა პატრონს გაჭირავეების დროინდელი სახით, ცხა-
დია. მოჭირავნის მხრივ ნორმალური ხმარების შედეგად გამოწვე-
ული გაცვეთის გათვალისწინებით. უკეთუ ნაჭირავეები ნივთთან უკან-
ვე დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა მოჭირავნის მიზეზით, მას
ზარალის ანაზღაურება ეკისრებოდა.

დამჭირავებლის პასუხისმგებლობა ნაჭირავეები ნივთის დაზი-
ანებრათვის გათვალისწინებულია მხითარ გოშის სამართლის წიგ-
ნის ქართულ ვერსიაში. 250-ე მუხლის ძალით, დაზიანებული ქო-
ნება ბრალეულ პირს პირვანდელი სახით უნდა აღედგინა: „თუ ვინ
ვის წისქვილი მისცეს ქირითა... სადაც რომ იყოს მზასა და გაკე-
თებული, გამართული, და წ ა ნ ა ქ ე დ ი ი ქ ნ ა ს მისის მომართულო-
ბისა მ ო უ ე ლ ე ლ ო ბ ი თ და გაუმართაობით, ვ ის ა ც ქ ი რ ი თ
და უ ქ ე რ ი ა, ი მ ა ნ უ ნ და უ ყ ო ს ქ უ ა - ბ ო რ ბ ა ლ ი, მისი რკინე-
ული, იარაღი, ღარი, ამრიგი ყუელა“. ასევე უნდა მოიქცნენ მა-
შინაც, თუ მოჭირავნემ ნაჭირავეები ქონება ვინმეს „მოაპარვინოს“,
ანდა ნივთი „ქირით ამღების ბარობაზე“ დაიწვას; თავის „ბარობა-
ზე ნოწხღარი“ კი თვით „პატრონმა უნდა გააკეთოს“.

ღავით ბატონიშვილის სამართლის 195-ე მუხლის პირველი ნა-
წილის მიხედვით „უკეთუ ვინმე იქირაოს პირუტყვი და მეტად აზავ-
როს და მით დააშაოს ანუ მოუვლელობით დააშაოს, გინა მოკლას,
მაშ-ნ ნაკვლად მისა აღუდგინოს პატრონსა მისსა“ (დ. ბატონიშვი.,
110). აქ აშკარაა, რომ ზარალი (პირუტყვის დაშავება თუ დალუპვა)
გამოწვეულია დამჭირავებლის ბრალით („მეტად აზავროს“, „მო-

უელღობით დააშაოს, გინა მოკლას“). სწორედ ამიტომ უნდა „აღუდგინოს“ მოქირავენემ გამჭირავებელს ნაქირავები პირუტყვი.

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის ეს ნორმა ქართულ სინამდვილეს ასახავს. ამის უდავო დამადასტურებელია აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლი. იგი, სხვა დადგენილებათა შორის, დავით ბატონიშვილის სამართლის ხსენებული ნორმის შინაარსობრივ-აზრობრივად შესატყვის საკანონმდებლო მოწესრიგებასაც შეიცავს: უკეთუ ვინმემ იქირაოს სახედარი და „უშორე წაიყვანოს, ანუ შეკვეთილისაგან კიდე მეტი აკიდოს, თუ მოკვდეს, უზღოს“.

თავის მხრივ, აღბუღასეული ნორმის შესატყვისი დადგენილება მოიპოვება ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში 341-ე მუხლის სახით: „ვინცა ვინ ცხენი იქირაოს და მართებულისაგან უფროსი აკიდოს და ცხენს დაუმარცხდეს მძიმის საპალნისაგან. ცხენის პატრონს უნდა უზღოს მისი ცხენი“. აქ ტექსტობრივ შესაბამისობასთანაც კი გვაქვს საქმე. ეს განსაკუთრებით ითქმის ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის უძველესი — 1672 წლის ხელნაწერის მიმართ: შეკუთილის [ა]გან უფროსი აკიდოს... მოკუდეს, უზღოს“. ამის შესატყვისად ბერძნული კანონების ქართული ვერსიის 341-ე მუხლში იკითხება: „... მართებულისაგან უფროსი აკიდოს... დაუმარცხდეს... უზღოს...“

აღბუღას სამართალი შედგენილია XIV საუკუნის მეორე ნახევარში. ბერძნული კანონების ქართული ვერსიის დედანი კი XV საუკუნის შუა წლების შემდგომ წარმოქმნილ სამართლებრივ კრებულად ითვლება. ამდენად, გამორიცხულია აღბუღასეული ნორმის ნასესხობა ისეთი წყაროდან, საიდანაც ბერძნული სამართლის ქართული ვერსია მომდინარეობს. შესაძლებელია, საქართველოში ადრევე იყო ცნობილი ბიზანტიური სამართლის ანალოგიური ნორმა, რომელიც გაითვალისწინა ქართველმა კანონმდებელმა. ამასთანავე, აღბუღას სამართლის ხსენებული ნორმა საყოველთაო, ოდითგანვე მრავალ ხალხში გავრცელებულ ურთიერთობას ასახავს. ამდენად, ცხადია, არაა გამორიცხული და უფრო საგულეებელიცაა, რომ ის თავისთავადი, ეროვნული სამართალშემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდეს. ბერძნული ნორმის ქართული ვერსიის მიმართ კი გასათვალისწინებელია, რომ ადვილად შესაძლებელია იგი ორიგინალიდან შესაბამისი აღბუღასეული ტექსტის მეტ-ნაკლები გავლენითა და მიბაძვითაც იყოს გადმოქართულებული.

განხილული სჯულმდებლობითი მონაცემები, მეტადრე კი

ალბულასეული დადგენილება, შემდგომ პერიოდში საფუძვლად დაედო დავით ბატონიშვილის სამართლის 195-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ ნორმას, რომელიც შეეხება ნაჭირავეები პირუტყვის დაშავებასა და დალუპვას მეტისმეტი მუშაობისა და მოუვლელობის შედეგად.

შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ მოჭირავენეს ნივთი თავის დროზე არ დაებრუნებინა პატრონისათვის და გაჭირავებული ქონება სახელმეკრულებო ვადის გასვლის შემდეგ დაზიანებულყო.

დავით ბატონიშვილის სამართლის 195-ე მუხლში მისი მეორე ნაწილის სახით ისეთი შემთხვევაცაა გათვალისწინებული, როდესაც პირუტყვი „პაემანთა იყოს ნაჭირავეები და პაემანსა მას გარდასცდეს“: „უკეთუ დრომსა გარდაცილებითა მოუკუდეს და ანუ დააშაოს, მაშინ აღუდგინოს, ამაღ რომელ გარდამსულელმან პაემანსა ზედა წარწყმინდა საქონელი იგი“ (დ. ბატონიშვი., 110—111).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავითის სამართალი ამ შემთხვევაშიც ქართულ იურიდიულ სინამდვილეს ასახავს და ალბულასეული სჯულმდებლობის 79-ე მუხლს ეფუძნება. ალბულას სამართლის მიხედვითაც, სახედრის დამჭირავებელი „თუ... ბორჯალს გარდაცდეს“ და პირუტყვი „მოკედეს, უზლოს“.

სიტყვები — „თუ... ბორჯალს გარდაცდეს“ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ოფიციალური რუსული თარგმანის 1887 წლის გამოცემაში (ფრენკ.-ბაქრ., 114) ასეა წარმოდგენილი: «если... задержит у себя... далее (1828 წლის გამოცემით — «до-лее») условленного срока». მიჩნეულია, რომ ბექა-ალბულას სჯულმდებლობის ბევრ მუხლში (რომელთა შორისაც განსახილველი ტექსტის შემცველ — 79-ე მუხლსაც ასახელებენ) 1828 და 1887 წლების გამოცემების მიხედვით „გამოტოვებულია სიტყვები და წინადადებები, ან დამახინჯებულია დედნის აზრი“ (ძვ. ქართ. სამართ., 38; ბექა-ალბ. 1960, 26—27). ხსენებულ გამოცემათა ნაკლოვანებები მართლაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ რაც შეეხება, კერძოდ, განსახილველ ადგილს, იგი მათში არსებითად სწორად არის გადმოცემული.

ბექა-ალბულას სამართლის წიგნის 1960 წლის რუსულ გამოცემაში 79-ე მუხლის ზემოხსენებული ადგილი შემდეგნაირადაა თარგმნილი: „если... нарушит срок“ (ბექა-ალბ. 1960, 69). ვფიქრობთ, თარგმანს სიზუსტე აკლია. საქმე ისაა, რომ კანონმდებელს

მხედველობაში აქვს მართოდენ ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქირავენ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. თარგმანში კი აზრობრივად ისეთი ვითარებაც იგულისხმება, როდესაც დამქირავებელი შეთანხმებულ ვადადღე, განსაზღვრულ დროზე აღრე თვითნებურად შეწყვეტს სახელშეკრულებო ურთიერთობებს.

აღბუღას სამართლის 79-ე მუხლი ტექსტის განკვეთის, სასვენის ნიშნების დასმის თვალსაზრისითაც სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი ცალკეულ გამოცემებში. მუხლი ორგვარად არის დანაწევრებული. ამ მხრივ ტექსტი ერთნაირადაა დაბეჭდილი 1953 და 1960 წლების გამოცემებში (ძვ. ქართ. სამართ., 324—325; ბექა-აღბ. 1960, 68—69). ამათგან განსხვავებულია ბოლო პუბლიკაცია — ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის 1963 წლის გამოცემაში შესული ტექსტი.

ხსენებული მუხლი ჭერ აწესრიგებს პირადი, ხოლო შემდგენითის ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობებს. პირადი ქირავნობის ამსახველი ნაწილის მომდევნო ტექსტი 1963 წლის გამოცემაში ასეთი სახითაა — „ამავე წესითა საჯედრისა იყოს: და თუ ანუ ბორჯალს გარდაჯდეს, ანუ უშორე წაიყვანოს, ანუ შეკვეთილისაგან კიდე მეტი აკიდოს, თუ მოკვდეს, უზლოს“. აღრინდელ გამოცემებში სიტყვებთან „ამავე წესითა საჯედრისა იყოს“ ორწერტილის ნაცვლად დასმულია წერტილი, ხოლო მომდევნო ტექსტი აბზაციით იწყება. ორწერტილი ცვლის ტექსტის შინაარსს. იგი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის თითქოს მომდევნო წინადადება წინას შინაარსის გახსნასა თუ დაზუსტებას წარმოადგენს. სინამდვილეში კი აქ ორი სხვადასხვა ნორმაა მოცემული: იმ ნორმის შინაარსი, რომელსაც გულისხმობს „ამავე წესითა საჯედრისა იყოს“, ცხადია, წარმოდგენილია წინა ტექსტში (მუხლის დასაწყის ნაწილში, რომელიც პირად ქირავნობას აწესრიგებს); ორწერტილის შემდგე სხვა შინაარსის ნორმა — „და თუ ანუ ბორჯალს გარდაჯდეს...“

ამგვარად, აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლის ტექსტი უფრო გამართულად 1953 და 1960 წლების გამოცემებშია წარმოდგენილი; ბოლო გამოცემის მიხედვით კი ერთგვარად გაძნელებულია მუხლის შინაარსის მართებული და სწორი გაგება.

ქართული ფეოდალური სამართალი არ აკანონებდა, ქონებრივი ქირავნობის მხარეთათვის სავალდებულოდ არ ხდიდა ხელშეკრულების ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას.

საკუთრივ ქართულ სამართლის წიგნებში ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ფორმაზე, მისი რომელიმე სახის დაცვის აუცილებლობაზე არაფერია ნათქვამი. ქონებრივი ქირავნობის განსაზღვრული ფორმის სავალდებულობა არც პირველადი საბუთებით დასტურდება. ფორმის შერჩევა, ჩანს, გარიგების მხარეების ნებაზე იყო დამოკიდებული.

ნივთის ქირავნობის ესა თუ ის კონკრეტული ფორმა, როგორც წესი, არც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ნათარგმნ ძეგლებშია დაკანონებული. მხითარ გოშისა და ბერძნული სამართლის წიგნთა ქართული ვერსიები გამონაკლისის სახით მხოლოდ თითო-თითო ობიექტის მიმართ განსაზღვრავენ, თუ რა სახით უნდა დაამყარონ კონტრაქტებმა ქონების ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობანი. სახელდობრ, სომხური სჯულმდებლობის 250-ე მუხლის მიხედვით, „თუ ვინ ვის წი სქვილი მისცეს ქირითა, ამისთანა საქმე მოწმით უნდა აიღონ თავსა მათსა“. ბერძნული სამართლის 227-ე მუხლით კი, „უკეთუ შერიგდეს ვინმე მონასტრის მამულზე და, მონასტრის ბერებსა და იმ მონასტრის განმგებელსა, რომე მონასტრის მამულში სახლი ააშენოს, ანუ ვენაჯი და ხილი დარგოს, ანუ ყანა დასთესოს, პირველად ქირაზე უნდა შერიგდენ და წიგნი გამოართვან, თუ წელიწადში ამდენი ქირა მოგვეო. რადგან ასრე შერიგდენ, მასუკან იმ ალაგზე რაც უნდა, ააშენონ“.

ქონებრივი ქირავნობა, ჩვეულებრივ, ზეპირად იდებოდა. არ ჩანს. საჭირო იყო თუ არა ამ დროს მოწმეთა თანადასწრება. სიტყვიერად და მოწმეების გარეშე გაფორმდებოდა ხოლმე, მაგალითად, ცხენის, ხარისა და სხვა საჯღომი თუ ტვირთმზიდი პირუტყვის, აგრეთვე სათანადო ინვენტარ-მოწყობილობის ქირავნობა.

გარიგების სიტყვიერი ფორმა თავისი სიმარტივის, ბუნებრიობის გამო საზოგადოდ აღიარებულია და ფართოდაც იყო გავრცელებული. ცხადია, ნივთის ქირავნობის წერილობით გაფორმების წესად დადება არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რამდენადაც მისი განხორციელება მეტისმეტად გაჭირდებოდა; იგი გაართულებდა და

დაამძიმებდა სამეურნეო ცხოვრებას, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს.

ამასთანავე, უდავოა, რომ ქონებრივი ქირავნობის წერილობითად ჩამოყალიბება სიმტკიცეს მატებს სახელშეკრულებო ურთიერთობას, მისი უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საწინდარს და მხარეთა ინტერესების დაცვის ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს. კერძოდ, ხელშეკრულების სიტყვიერი ფორმა დავის წარმოშობისას სიძნელეებს უქმნიდა გამჭირაებელს. ასეთ ვითარებაში მისთვის უფრო ძნელი იყო დაემტკიცებინა საკუთრების უფლება ნივთზე, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე ფლობდა.

გარიგების კონკრეტული ფორმის საკანონმდებლო განუსაზღვრელობის პირობებში მხარეებს თეორიულად ყოველთვის შეეძლოთ ქონების ქირავნობის ხელშეკრულება წერილობით დაედოთ. მაგრამ პრაქტიკაში ასეთ ფორმას თვით ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის — ადგილ-მაჟულის ქირავნობის დროსაც კი იშვიათად თუ მიმართავდნენ.

გავრცელებული იყო საიჯარო ხელშეკრულების წერილობითად გაფორმება, რაც, ცხადია, ზოგადდიპლომატიკური წესების დაცვით ხდებოდა (ეკონ. ისტ. მას., II, 243, 254, 258, 260; სოც. ისტ. დოკ., II, 223, 225). ხელშეკრულების დადებას მოწმეებიც ესწრებოდნენ ხოლმე და საბუთში მათი ვინაობაც აღინიშნებოდა. მოწმეებთან ერთად საბუთის დამწერის ვინაობის აღნიშვნაც იყო მიღებული. აუცილებელ საპირობებს წარმოადგენდა საბუთის შედგენის თარიღის მითითება, რაჲდენადაც ხელშეკრულების ვადა სწორედ აქედან იანგარიშებოდა. საბუთი მოიჯარის სახელით გაიცემოდა და ზედმიწევნით განსაზღვრავდა მის საგადასახადო ვალდებულებებს.

წერილობით ფორმდებოდა აგრეთვე მიწის აღება ვენახის გასაშენებლად. ამას ადასტურებს ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის 58-ე მუხლი: „უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელს მიწას, ვენახად რომ აეშენებინა, მათ შუა ამისთვის პ ი რ ო ბ ა, რ ო გ ო რ ც ი ქ ნ ე ბ ო დ ა, წ ე რ ი ლ ი თ, იმას ვერ გარდასცილდებოდნენ“. საზგასპული სიტყვები ოფიციალურ რუსულ თარგმანში ასეა ვადმოცემული — «какое... полагалось условие». ცხადია, ქართული ტექსტის შესაბამისად სიტყვას «полагалось» უნდა მიმატებოდა აგრეთვე «письменное» (ჩვეულ. სქ., 71).

ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით საინტერესოა აღი-

ნიშნოს, რომ ქონებრივი ქირავნობა ზოგჯერ ისეთ მეტად მნიშვნელოვან და განსაკუთრებული ძალის მქონე აქტში ჰპოვებდა თავის ასახვა-გამოხატულებას, როგორც იყო სასამართლოს გადაწყვეტილება. ასეთია, კერძოდ 1776 წლის სასამართლო განჩინება (უჩანეიშვილი, 128—129). ამ განჩინებით განისაზღვრა ქონებრივი ქირავნობის ურთიერთობანი ქაშვეთის ეკლესიასა და ნალბანდებს შორის (ეკლესიის მიწაზე ღუქნების აშენება და ადგილის ქირის გადახდა). საქიროების შემთხვევაში ამგვარ დოკუმენტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქმის ნამდვილი ვითარების გასარკვევად. მართლაც, 1776 წლის განჩინება, ვითარცა ქონებრივი ქირავნობის პირობების ამსახველი ძირითადი დოკუმენტი, გამოიყენა სასამართლომ 1800 წელს, როდესაც მან გაარჩია დავა ქაშვეთის ეკლესიის მიწაზე აშენებული ღუქნების შესახებ.

საბუთი, რომელიც ქონებრივი ქირავნობის ურთიერთობებს ამყარებდა, ხელშეკრულების შესრულების შედეგად ბათილდებოდა. ალალო ყორღანაშვილის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ საბუთთა სიაში (ეკონ. ისტ. მას., III, 510—511) აღნუსხულია „ქირით და იჯარით გაცემულის... მამულების ბათილი პირობის წერილები“. აქვე იხსენიება აგრეთვე „ღუქნების ქირებისა“ და სხვა შემოსავლის „ნუსხები“, რომლებიც ალალოს თავის სიცოცხლეში შეუდგენია.

ქონებრივი ქირავნობის შეწყვეტის შესახებ

ქონებრივი ქირავნობის შეწყვეტის ნორმალური, ბუნებრივი გზაა ხელშეკრულების შესრულება. ჩვეულებრივ, ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევს მასში გათვალისწინებული ვადის დადგომა, აგრეთვე გაქირავებული ნივთის დაღუპვა და მხარეთა მიერ დათქმული ძირითადი პირობების დარღვევა.

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შეიძლებოდა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლა ზოგიერთ შემთხვევაში ცალმხრივი წესითაც დაიშვებოდა. იუსტინიანეს კოდექსში, მაგალითად, ნათქვამია, რომ როგორც გამქირავებელს, ისე დამქირავებელს ხელშეკრულების მოშლა საურავის გადაუხდელად შეუძლიათ ერთი წლის განმავლობაში, თუკი მათ დასაწყისშივე საგანგებოდ არ განაცხადეს უარი ამ უფლებაზე (ეკლოგა, 62, 148—149).

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 343-ე მუხლის მიხედვით კი მოქირავნე არ იყო უფლებამოსილი ვადაზე ადრე მოეშალა განსაზღვრული დროით დადებული ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უნდა გადაეხადა არა მარტო ფაქტობრივად გასული დროის წილი ქირა, არამედ მთელი შეპირებული საზღაური: „უკეთუ ვინმე აქირაოს კაცსა ვისმე მიწა ანუ სხვა რამე და ასე შერიგდენ, რომე ამდრომდის ეს ქირა მოგცეო, სახლი იყოს თუ სხვა რამე, და იმდროიმდინ იმ კაცმა ის ალაგი აღარ დიჭიროს, რასაც ხანს ქონდეს, ის ქირა გამოართოს და სხვას მთლად აღარ აძლევდეს, მოსამართლემ ეს სამართალი უყოს: რასაც დაპირებოდეს, გამოუერთვას მთლად და მიაცემინოს, ამისთვის რომ პაემნამდის რატომ გაუშვა?“

საკითხი სხვაგვარად, უფრო დიფერენციული და გონივრული მიდგომით არის გადაწყვეტილი დავით ბატონიშვილის სამართალში (დ. ბატონიშვილი, 110).

საერთო წესით, დავითის სამართლის მიხედვითაც, „ვინცა აქირაოს უძრავი ნაქონები, ვითარითაცა სახითა დაუცხთ პირობაჲ, ეგოდენი ქირა მისცეს“. ამასთანავე, მოქირავნეს შეუძლია ვადაზე ადრე მოშალოს ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუკი იგი დროულად გააფრთხილებს გამქირავებელს: „მაგრამ უკეთუ ადგილისა მის არღარა ნებევდეს დაპურობაჲ მოქირავნესა, მაშინ თანა-აძს გამოცხადება პატრონისა მის და, როდენსაცა ხანსა სქერიეს, ქირასა ზედან არღარა დაწყებინებაჲ ხაჲს ცილობისა“. იმ შემთხვევაში კი. „უკეთუ უგულსმოდგინეობით მოქირავნე იგი დაუტევეს და არღარა გამოუცხადებს დროსა ზედა პატრონსა და შემდგომად უაჩისა როდენისამე გამოუცხადებს პატრონსა მამულისასა არანდომასა, რომლისა მიზეზით დაუფოლდების, მაშინ მსაჯულნი, არათუ მხოლოდ მას მიაცემინებენ, როდენსაცა ზედა შეპირებია, — და კვალად მასცა, როდენიცა უგულსმოდგინეობითა და დაუდევნელობითა წარუხდენია“.

ასეთი „უგულსმოდგინეობისა და დაუდევნელობის“ შემთხვევაში ძველბაბილონური სამართლის მიხედვით მოქირავნეს ქირის გადახდასთან ერთად დაუქმუშავებლად დაგდებული მიწის ჩეროვნად დამუშავებაც ეკისრებოდა (ეჩქე. 136—137; ძვ. აღმ. სამართ., 33—34). ხამურაბის კანონების 44-ე მუხლის ძალით, მაგალითად, უკეთუ კაცი იჯარით აღებულ მიწას სიზარმაცის გამო არ დაამუშავებდა, მას უნდა გადაეხადა საზღაური და, რაც მთავარია, იგი

ვალდებული იყო ჩაეხარებინა პატრონისათვის მოხსულ-დაფარ-
ცხული სახნავ-სათესი.

ქართულ სამართლებრივ ძეგლებში გათვალისწინებულია ისე-
თი ვითარება, როდესაც ქონების ქირავნობის ხელშეკრულება თა-
ვიდანვე კანონის დარღვევითა და გვერდის ავლით დაიდებოდა.
ასეთია, სახელდობრ, ნაპოვნი ნივთის გაქირავება, რისთვისაც პა-
სუხისმგებლობას აწესებს აღბულაჲს სამართლის 92-ე მუხლი
(„კაცთა დახედვითა... უზლოს უსიტყოლ“). დავით ბატონიშვილის
სამართლის 106-ე მუხლის მიხედვითაც, „უკეთუ მეჯოგემან“ „მინან-
დობი თვისი“ „გააქირაოს... ერთისათვის წაერთვას ორი: ერთი მი-
ეცეს პატრონსა და ერთი ჯურუმად მეფისა დაიდვას“ (დ. ბატო-
ნიშვილ., 63). ამგვარი ქონებრივი ქირავნობა, რაღა თქმა უნდა, და-
უყოვნებლივ მოიშლებოდა უფლებამოსილი პირის ნება-სურვილი-
სა და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულება

შესავალი. ტერმინოლოგიისათვის. პირადი ქირავნობის შინაარსი (საგანი და მხარეთა ურთიერთობის ხასიათი; „ჯამაგირის ყმა“; სუბიექტების შესახებ; „მიზდი მუშაკობისა“; ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ფორმის საკითხი; პირადი ქირავნობის ვადა; მხარეთა უფლებების უზრუნველყოფა; შემთხვევითობის რისკი; ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა).

შესავალი

პირადი ქირავნობის ხელშეკრულება დაქირავებულისა და დამქირავებლის სამართლებრივ ურთიერთობათა გამოხატულება-განმტკიცებას წარმოადგენს. დაქირავებულს გასამარჯელოს მიღების პირობით ეკისრება დამქირავებლის მომსახურება, რაიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულება.

დამქირავებელი უმეტესწილად საზოგადოების შექმნულ ფენას მიეკუთვნება. დაქირავებული კი, ვინაც პირადი ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო უნდა შეასრულოს. პირიქით — ჩვეულებრივ მატერიალურად ნაკლებ უზრუნველყოფილი, ხელმოკლე და ღარიბი ადამიანია. უმთავრესად სწორედ ასეთები იყვნენ, „მიზდებით“ ანუ დაქირავებით (ქირით) რომ „იქმოდეს საქმესა, რაჟთა იზარდებოდინ“ (აბულ., 243). სოფლის მუშათა ბუნებრივ კონტინგენტად, მაგალითად, რევოლუციამდე რუსულ კანონმდებლობაში წარმოდგენილი იყო გლეხობა, რაც, თავისთავად ცხადია, სრულიადაც არ გამორიცხავდა იმას, რომ მუშის სახით სხვა წოდების პირიც ჩაბმულიყო პირადი ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობებში (დისტერლო, IV, 26).

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება პირადი ქირავნობის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. მისი საშუალებით დამქირავებელი განსაზღვრული საფასურის გაღებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს მომსახურების სფეროში. დამქირავებლის კონტრაქტისათვის კი პირადი ქირავნობის ხელშეკრულება საარსებო სახსრის მოპოვების ერთ-ერთი საშუალების სახით წარმოგვიდგება.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების კვალობაზე, როგორც ამას XVIII საუკუნის კანონპროექტების კრებული უცნობი ავტორი გვიდასტურებს (სამოქ. სჯულე., 123), სოფლიდან ქალაქს საშოვარზე ჩამოსულნი, „რომელნიც სარიშტა-წი (ე. ი. დასაქმებულნი — ი. ფ.) არ იყვნენ, ზოგნი დიდის შე-ქირვებით ცხოვრობდნენ, ზოგნი საგლახავით დადიოდნენ, ზოგნი — ძლივ დღიურს მუშაკობით, და თუ ავით გამხდარიყვნენ, მოხდებოდა ხოლმე, რომე სრულიად გაფუჭდებოდნენ, ვალსაც არავინ ანდობდა“.

რალა თქმა უნდა, ამათთან არ ჩაიგდებოდა ხელოსანი, რომელიც მომსახურების სფეროს მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. ხელოსნები ხელობის ცოდნის ნიშნით განსაკუთრებულ სოციალურ წრეს ქმნიდნენ და როგორც ცალ-ცალკე, ისე ამქრობლივ, შეამხანაგებულადაც მოსაქმეობდნენ. ამასთანავე, ისიც უდავოა, რომ სხვისი მომსახურება სწორედ ხელოსნისათვის იყო საარსებო სახარისის მოპოვების ძირითადი საშუალება.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების ერთი მხარე — დაქირავებული მუშაობს გასამრჯელოს მიღების მიზნით. სწორედ ამის გამო აძლევს დაქირავებული უფლებას გარიგების მეორე — გასამრჯელოს გამღებ მხარეს, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულებინოს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, იმსახუროს და აქუშაოს იგი, თავისი სურვილისამებრ წარმართოს მისი საქმიანობა.

განსახილველ სახელშეკრულებლო ურთიერთობათა ცნების შემოფარგვლასთან დაკავშირებით წამოიჭრება ნარდად მუშაობის საკითხი.

დაკვეთა (ნარდი) ჩვეულებრივ მიიჩნევა პირადი ქირავნობას განსაკუთრებულ შემთხვევად (სამოქ. კან., 1918). მაინც, სამეცნიერო ლიტერატურაში ცალ-ცალკე განიხილება ნარდად მუშაობისა და მომსახურების ანუ პირადი ქირავნობის ხელშეკრულებები. აქ უნდა ითქვას, რომ „ნარდი (დაკვეთა)... პირადი ქირავნობის საწინააღმდეგოდ, თვით შრომაზე კი არა, არამედ შრომის შედეგზეა მიმართული და ამის გამო ქონებრივ და არა პირად ვალდებულებად წარმოგვიდგება“ (სინაისკი, 116—117).

იურიდიულ ლიტერატურაში (პახმ., 231) სამართლიანადაა გამახვილებული ყურადღება პირადი ქირავნობისა და ნარდად მუშაობის მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანზე: პირადი ქირავნობის

ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება უშუალოდ დაქირავებულ პირს ეკისრება; ნარდად მუშაობის ხელშეკრულებაში კი პირადი შესრულება სრულიადაც არაა აუცილებელი. პირიქით, მენარდელ ჩვეულებრივ ის პირი ითვლება, რომელიც ვალდებულებას კისრულობს აღებული სამუშაო თვითონ კი არა, არამედ სხვა, დაქირავებულ პირთა მეშვეობით შეასრულოს.

მართლაც, პირადი ქირავნობის ხელშეკრულებისათვის მარტო საქმის გაკეთებას როდი აქვს მნიშვნელობა. მომსახურების ქირავნობისათვის ნიშანდობლივია მეტადრე ის, თუ ვინ გააკეთა საქმე, ვინ შეასრულა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სამუშაო. აქ გარიგების საგანს სახელდობრ მისი, დაქირავებულის სამუშაო ძალა წარმოადგენს. სწორედ ამის გამოა, რომ აღნიშნული იურიდიული ურთიერთობა პირადი ქირავნობის ხელშეკრულებად იწოდება.

საესებით მართებულად უნდა ჩაითვალოს მოახრება, რომ ნარდად მუშაობის გარიგება პირადი ქირავნობის ორი ხელშეკრულებისაგან იქნება. ესაა, ერთი მხარე, დამქირავებლისა და მენარდის, ხოლო, მეორე მხარე, მენარდისა და მუშების — სამუშაოს უშუალოდ შესრულებელთა ხელშეკრულება. ორივე ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც, ცხადია, გარიგების საერთო აღნაგობაშიც აისახება (პახმ., 232).

ამგეარად, უკეთეს მხარეთაგან დათქმულ სამუშაოს ივით დაქირავებულ პირს უკრულებს, ყოველთვის სახეზე გვექნება პირადი ქირავნობის ხელშეკრულება, თუნდაც მუშაობის პროცესი უშუალოდ დამქირავებლისაგან არც კი წარიმართებოდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც დაქირავებული, საბოლოო ანგარიშით, მაინც დამქირავებლის მიხედულობისამებრ მუშაობს. საქმე ისაა, რომ დაქირავებულის შრომის შედეგი უნდა შეესატყვისებოდეს დამქირავებლის მოთხოვნებს, რომლებიც წინასწარ განისაზღვრა და კიდევ არაა პირადი ქირავნობის ხელშეკრულებაში.

ზემოთ წარმოდგენილი განხილვის გათვალისწინებით პირადი ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა ასეთნაირად უნდა განისაზღვროს: პირადი ქირავნობისას ერთი პირი (დაქირავებული) გასამრჯელოსათვის კისრულობს ვალდებულებას, რომ დროებით სამსახურს გაუწევს მეორე მხარეს (დამქირავებელს) და მისი მიხედულობისამებრ უშუალოდ თვითონ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს.

რომაული სამოქალაქო სამართლის მკვლევართა აზრით, პირა-

დი ქირავნობა არ მიეკუთვნებოდა გავრცელებულ იურიდიულ ურთიერთობათა ჯგუფს. ამიტომაც, რომ მას წყაროებიც მცირე ადვილს უთმობენ. „პირადი ქირავნობა რომში შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, რამდენადაც საკმაოდ იყო საკუთარი და დაქირავებული მონები“ (ბარონი, IV, 207). მონებთან ერთად მონათმფლობელები გააზატებულიებსაც იყენებდნენ. ერთი სიტყვით, მონათმფლობელური საზოგადოების პირობებში პირადი მომსახურების ქირავნობა ფართოდ ვერ გავრცელდებოდა და ვერც რამდენადმე არსებით მნიშვნელობას მოიპოვებდა (ნოვიციკი, 229).

ცხადია, ფეოდალურ საზოგადოებაში, მონათმფლობელურისაგან განსხვავებით, უშუალო მწარმოებლის მდგომარეობა სამართლის მიხედვით მაინც რამდენადმე უკეთესი იყო. მაგრამ სამართლით განსაზღვრულ ურთიერთობებზე დიდი გავლენა ჰქონდა ფეოდალურ პრაქტიკას, კლასობრივ ძალთა რეალურ თანაფარდობას. ფეოდალების ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა მოსახლეობის დაბალი ფენების საზიანო ფეოდალურ პრაქტიკის დამკვიდრებას განაპირობებდა.

ეკონომიკური და პოლიტიკური კარდახშულობის ვითარებაში, ბუნებრივია, ფართო ასპარეზი ეხსნებოდა ფეოდალთა თვითნებობას. ფეოდალები ხშირად „ხელოსანთ ამუშაებდნენ... უფასოთ“. „დღეის იქით, — აღნიშნულია ფეოდალიზმის დასასრულსა და ახალ ურთიერთობათა გარიყრაჟზე. შედგენილ კანონპროექტთა კრებულში, — ამგვარი უსამართლობაც ავიღევი, და თუ ვისმეს ამუშაებენ... იმავეს წამსვე თავიანთი ხელფასი მიეცემათ“ (სამოქ. სჯუღვ-139).

ფეოდალურ საზოგადოებას კარჩაკეტილობა ახასიათებდა. ფეოდალის მეურნეობა თითქმის მოწყვეტილი იყო სხვა ეკონომიკურ ერთეულებს. საფეოდალოებს შორის ძალზე სუსტი კავშირი არსებობდა. თავის სამფლობელოში ჩაკეტილი ფეოდალი საკუთარი ყმების მეშვეობით იკმაყოფილებდა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს და იშვიათ შემთხვევაში თუ იყენებდა სხვათა მომსახურებას.

ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია საზოგადოების იერარქიული სტრუქტურა, რომელსაც ცხოვრების ყველა სფეროში ჰქონდა ფესვები გადგმული. გლეხობა, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასები და, საერთოდ, დაბალი ფენები ბატონყმობის უღელში იყვნენ შეხმულნი. პირადი ქირავნობის ხელშეკრულების

იმ მხარედ კი, რომელსაც მომსახურების გაწევის ვალდებულება ეკისრებოდა, როგორც უკვე ითქვა, უმეტესწილად სწორედ დაბალი ფენების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. ცხადია, მწარმოებელი მოსახლეობის პირადი თავისუფლების შეზღუდულობის ვითარებაში, მშრომელთა ჩაბმა მომსახურების ქირავენობის სახელშეკრულებლო ურთიერთობებში, ჩვეულებრივ, მათი მეტატონეების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მეტატონე, თავის მხრივ, უფრო იმით იქნებოდა დაინტერესებული, რომ ყმა მის მუხრნეობაში ყოფილიყო დასაქმებული, ნაკლებად მოეკიდა ხელი სხვისი საქმისათვის და არ გასულიყო გარე სამუშაოზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ცხოვრებას მაინც თავისი გაპქონდა და ფეოდალურ საქართველოშიც, საერთოდ, პირადი ქირავენობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთ საყურადღებო სახეობას, პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკმაოდ გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელი მასალები ქვემოთ განხილვაშიც მოიპოვება. მაგრამ აქაც არ იქნება ზედმეტი ორიოდ ცნობისა თუ მტკიცებულების მოყვანა.

„... ჩვენ, — წერდა დარეჯან დედოფალი მიშქარბაშ იოსებს 1788 წლის 24 აპრილს, — ამას წინათ... ქუმჩები ვპთხოეთ და მელიქებს ჩვენის კაცისათვის ასე ეთქვათ... ამ ქუმჩებს ვერ დაგანებებთო... ჩვენ მაგ გვარის ლაპარაკებისა არა ვიცით რა, ჯერ თუ არ გავგეტუმროს ეგ ქუმჩები, ნულარ დააგვიანებ, ახლავ გამოისტუმრე ეგ ქუმჩები, რომ ჩვენს ქუმჩებთან მივიდნენ... ჩვენ ხომ სადედოფლო ყმათ არ ვეცილებით, მეფის ყმა არის და რა განყოფილება აქვს ჩვენსა და მეფის ყმას? რა იქნება ჩვენს სამსახურზედ გაისარჯნენ, მ უ ქ თ ა თ ხ ო მ ა რ გ ა ი რ ჯ ე ბ ი ა ნ . თ ა ვ ი ა ნ თ ი ს ა მ უ შ ა ო დ ა ქ ე ლ ფ ა ს ი უ კ ლ ე ბ ლ ა დ მ ი ე ც ე მ ა თ მ უ შ ა ს . ვ ი ნ ც მ ო ი პ ა ტ ი ე ბ ს კ ე ლ ფ ა ს ი თ , ყ ვ ე ლ ა ნ ი მ ო ე ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ კ ე ლ ფ ა ს ი თ ...“ (საქ. სიძვ., III, 37—38).

როგორც ვხედავთ, მეფის ყმა დედოფლის სამუშაოს (საზოგადოდაც მუშა სხვის რაგინდარა საქმეს) პირადი ქირავენობის ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულებდა და მას, რალა თქვა უნდა, კუთვნილი გასამრჯელოც მიეცემოდა.

ასევე, ისტორიულ-ეკონომიკურ ლიტერატურაში (ქოიავა, 132—133) აღნიშნულია, რომ მეფის მამულში „ზოგ შემთხვევაში სამუშაო სრულდებოდა დაქირავებული სამუშაო ძალითაც. ამის და-

სანტიციებლად საქარსია მოვიტანოთ „დასტურლამალის“ შემდეგ ადგილები: ამა ზუარში ცოტას ალაგს ჳვიროსელნი მუშაობდენ. ისინი აიყარნენ და იმათს კერძს ბატონის ფასით მუშაობენ... ამ ფასით საჳუშაოს ჳურებს მიეცემის თეთრი სალაროლამ...“ ან კადე: მებაღური ჩვენს სახასოში თუ არ იყოს, ჳამაგირით დაიჭიროან“; მენავტიე ჳამაგირით დავიჭიროთ“.

XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს მრეწველობაში თავს იჩენს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტები. აღორძინდა შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებშიც გამოიყენებოდა დაქირავებულ ოსტატთა და მუშათა შრომა. საწარმოები იჯარით გაიცემოდა ხოლმე და მოიჯარე ჩვეულებრივ არ იყო ფეოდალი, რომელსაც შეეძლებოდა თავისი ყმების გამოყენება. სწორედ ამის გამო იყო, რომ ყმების ადგილს დაქირავებული მუშახელი იკერდა (ნარკვ., 546—553).

დაქირავებული შრომა ფართო გამოიყენებას, ცხადია, კაპიტალიზმის განვითარების დროიდან პოულობს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში მეტ-ნაკლები რაოდენობით ყოველთვის იყვნენ თავისუფალი გლეხები სხვაგნით მოსულთა თუ სხვადასხვა გზით თავდახსნილთა სახით (იხ., მაგალითად. ნარკვ., 555—559) და, საერთოდაც, აღმოსავლეთის ქვეყნებში დაქირავებული შრომა კაპიტალიზმამდეც საკმაოდ გამოიყენებოდა.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულება ქართული მასალების მიხედვით არსებითად შეუსწავლელია. შესაბამის გამოკვლევებში თენის მხოლოდ ზოგიერთი საკითხია აღძრული, გარიგების ძირითადი ნიშან-თვისებები კი განუხილველია.

რაც შეეხება ხელშეკრულების საკანონმდებლო მოწესრიგებას, ამ მხრივ საჭირო მასალები საკუთრივ ქართულ საკანონმდებლო ძეგლთაგან წარმოდგენილია აღბულაჲა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებში. აღბულას სამართალში პირადი ქირავნობის ხელშეკრულებას 79-ე მუხლი აწესრიგებს. ვახტანგის სამართლის წიგნში უშუალოდ პირად ქირავნობას შეეხება 229-ე მუხლი. აღსანიშნავია აგრეთვე ამავე სჯულმდებლობის 130-ე მუხლი („თეთრის ჳუშაზე გაცემა“). 230-ე მუხლი ეხება ქირით საძოვრად გაცემული პირუტყვის დაღუპვას.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების მომწესრიგებლად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 210-ე მუხლსაც ასახელებენ (სურგ. 1968,

95). მაგრამ იგი პირად ქირავნობას (და საერთოდ ქირავნობას) კი არა, არამედ ნათხოვრობას ეძღვნება („თუ კაცმა კაცი ინათხოვროს...“). ეს გარემოება დიდი ხნის წინათ და საგანგებოდაც კი აღინიშნა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში (კლუტჰ., 463—464).

ტერმინოლოგიისათვის

ქირავნობის ტერმინოლოგია, საზოგადოდ, წინა ნარკვევშია განხილული (ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, — „ქირა“ და „მიზდი“). იმ აღრიცხულ კვლევა-ძიებას აქ პირადი ქირავნობის აღმნიშვნელი ზოგიერთი უძველესი ქართული ტერმინის ნაწილობრივი განხილვა დაემატება (მომსახურების საზღაურის აღმნიშვნელი ტერმინების თაობაზე იხ. წინამდებარე ნარკვევის ქვეგანყოფი — „მიზდი მუშაკობისაჲ“).

პირადი ქირავნობის, ადამიანის დაქირავების აღსანიშნავად ძველ ქართულსამართალში გამოიყენებოდა „სასყიდლით დადგინება“ და „სასყიდლით მოყვანება“. ანვე მნიშვნელობით იხმარებოდა და თანაც უფრო მარჯვე ტერმინიც იყო „მოსასყიდლება“ (აბულ., 275, 371). „სასყიდლით დადგინებისა“ და „სასყიდლით მოყვანების“ საპირისპიროდ, ქონების (მაგალითად — ოთახის) დაქირავებას „სასყიდლით დაპყრობა“ გამოხატავდა (სინ. მრავალთ., 217).

თვით დაქირავებულ პირს „სასყიდლითი“ და „სასყიდლით დადგინებულ“ ეწოდებოდა (ოთხთ. სიმეფ., 516): „სასყიდლითი იგი არა არნ წყყემსი“; „სასყიდლით დადგინებულ არნ და არარაჲ სქირნ ცხოვართა მათოვს“ (ადიშის ოთხთავი — 897 წ., იოვანეს სახარება, თავი 10, მუხ. 12—13). ასევე, „ტობის“ წიგნის მიხედვითაც (ძვ. აღთქმ. აპოკრიფ., 140, 460), „რომელსა ანგელოზმა რაფაილ ჰრქუა: ნათესავსა თუ ეძიება სასყიდლით-დადგინებულისასა ანუ თვნიერ თვთ სასყიდლით-დადგინებისა, რომელი ძისა შენისა თანა მივალ“ („ტობის“ წიგნის ამავე ადგილას ერთ-ერთ ნუსხაში დაქირავებულ მუშას „სასყიდლით-მოდგინება“ ეწოდება).

„სასყიდლით დადგინებულის“ შესატყვისად სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ (საბა, I, 190, 520) „ვერცხლით დადგინებულ“ იგულისხმება. ეს ჩანს „მოჭამაგირის“ საბასეული განმარტებიდან: „მოჭამაგირე“ — „ვერცხლით დადგინებული მოსამსახურე...“ „დადგინება“, საბას განმარტებით, არის „კაცთ დაყენება“ ან, უბრალოდ, „დაყენება“.

დაქირავებულ ადამიანს წყაროებში ეწოდება აგრეთვე „მორეწე“: „რავდენტა მორეწეთა მამისა ჩემისათა გარდაერევის პური და მე აქა საყმილითა წარვწყმდები“. ამასთან დაკავშირებით სანტერესოა ითქვას, რომ წყაროში გვხვდება „მორეწე უპოვარი“ („დავრდომილის“ სინონიმად) — „ნუ მოჰხუეკ სასყიდელსა მორეწესა. უპოვარსა მას და ნაკლულეევანსა“ (აბულ., 273. იხ. აგრ. სინ. მრავალთ., 197).

„დაქირავებულის“ მნიშვნელობით ძველადაც გამოიყენებოდა „მუშა“ და „მუშაკი“ (აბულ., 301; ოთხთ. სიმფ., 404; სინ. მრავალთ., 203), რომელთაც სომხურში, საბას დამოწმებით (საბა, 11, 534), „მშაკ“ და „მუშაკ“ შეესატყვისება. ძველბაბილონური თანახმიერი სიტყვა „მუშქენუმ“-იც ხაბურაბის კანონებში (ძვ. აღმ. სამართ., 137) „წვრილმან ხალხს“ აღნიშნავდა.

უნდა ითქვას, რომ პირადი ქირავნობის აღსანიშნავად ზშირად იხმარებოდა „მიზდის“ ბუდის სიტყვები თუ ტერმინები (აბულ., 114. 243, 269). სახელდობრ, ადამიანის დაქირავების ანუ „სასყიდლით მოყვანების“ მნიშვნელობით გელათის ბიბლიაში გამოყენებულა „მომიზღება“. ამავე შინაარსისა იყო „დამიზღება“ და „მიზდება“ („მუშაკთა იმიზდებნ, ყანათა დასწინდავენ“). როდესაც ვინმე ქირით მუშაობდა, მასზე იტყოდნენ, რომ იგი „მიზდებით იქმოდეს საქმესა“. დაქირავებულ, სასყიდლით აყვანილ ადამიანს „მიზღებულნი“ ეწოდებოდა. ამ გაგებით „ვეფხის ტყაი-სანში“ (რუსთვე., 350) გვხვდება „დამიზღებულნი“: „მოასხნეს კაცნი ზზიდავნი, დამიზდებულნი დრამითა“. პოემის ბევრ ხელნაწერში მას ცვლის „დამზადებულნი“ („დამზადებულნი“), რაც იმის ნაუწყებელია, რომ გვიანფეოდალური პერიოდისათვის „დამიზდებულნი“ არსებითად გაუგებარ, უხმარ სიტყვად ქცეულა. სწორედ ამ დროიდანაა, რომ ქართულ სამართლებრივ ძეგლებში თანდათანობით დამკვიდრდა „ქირის“ ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები და ტერმინები.

პირადი ქირავნობის შინაარსი

საგანი და მხარეთა ურთიერთობის ხასიათი

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების საგანია დაქირავებული ადამიანის შრომა, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სამუშაო. დაქირავებულ მხარეს ეკისრება ერთი ან რამდენიმე სახის მომსახურება.

სამუშაო, რომელიც დაქირავებულს უნდა შეესრულებინა, ჩვეულებრივ ინდივიდუალიზებული იყო, ე. ი. სახელდებით განისაზღვრებოდა ხოლმე პირადი ქირავნობის ხელშეკრულებაში. წყაროებში გვხვდება სხვადასხვა საქმიანობის მიმდევარი ხელოსნების (მაგალითად — ხუროების, კალატოების, მკერავეების), მუშების (სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოების შემსრულებელთა). ხელზე მოსამსახურეებისა და სხვათა დაქირავების ცალკეული შემთხვევები.

პირად ქირავნობას მარტო ასეთი ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო თუ მეურნეობრივი მომსახურებისათვის როდი მიმართავდნენ. XVIII საუკუნის ძეგლებში ხშირად გვხვდება „ნოქარი“ დაქირავებული შოლაქქრის ქმნიშვნელობით (დასტურლ., 816—817). ; თავისებურ პირად ქირავნობას, რომელიც გვიანფეოდალური საქართველოს მძიმე საგარეო მდგომარეობით იყო გაპირობებული, წარმოადგენდა ე. წ. „ფასის ყარაული“. არაგვის საუფლისწულოს (ყოფილი არაგვის საერისთავოს) მოსახლეობისათვის XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი ძეგლი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ ასეთ დადგენილებას შეიცავს: „რომელიც რომ ფასის ყარაული არის განწესებული, ის ყარაული დრომდის სულ მოუკლებლად უნდა იყოს და იმ ყარაულებს თავ-თავისი ფასის მძლეველი სოფლები განწესებულს ფასს დაუკლებლად უნდა მისცემდნენ ხოლმე. და თუ იმ ყარაულებმა ყარაულობის რიგს დააკლეს რამ და ან ბეჭითად არ მოიქცნენ, დიდად გარდავაკდევინებთ. და თუ იმ ფასის მძლეველმა სოფელმა თავისის განწესებულის ფასის მიცემა დააკლეს, იმათაც დიდად გარდაკვდებათ“ (მთიელთა სამართ., 109). ამგვარი ქირავნობა სახელმწიფოებრივი საქიროებით იყო გამოწვეული, ქვეყნის დაცვის ინტერესებს ემსახურებოდა და, ამდენად, საჭარო ხელისუფლების მეთვალყურეობითა და ზედამხედველობით ხორციელდებოდა.

ერთი სიტყვით, პირად ქირავნობას მიმართავდნენ „ყოველთა საქიროთა სამსახურთა“ გასაწევად, როდესაც კი იგი აუცილებელი გახდებოდა.

1785 წლის საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III., 521), თუმანი-ეშილებს კაცი დაუქირავებიათ იმ მიზნით, რომ მას საჩივარი მიეტანა მეფისათვის: „ღოთან ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსცეს... თუმანიეშილებს... ერთი არზა ქალაქს მოგართვით, კაცი დავიქირავეთ და ახლა ეს მოგვირთმევია“.

თურმე შეიძლებოდა ძიძაობაც არსებითად მომსახურების ქი-

რავნობის საფუძველზე მოწესრიგებულიყო. ამის დამადასტურებელ ცნობას შეიცავს ბესარიონ ნიჟარაძის ნაშრომი „ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში“ (ქვეთავი: „მისაცემი ძიძისა, მკედლისა და სხვა მოჯამაგირეთა...“). ავტორის სიტყვით (ნიჟარ., 117, 123), „ძიძას საძუძურში ეძლევა ერთი ძროხა, ტანისამოსი და როცა გასაზრდელს ყმაწვილს (ლერდი) მშობლებს ჩააბარებს, — შეძლების გვარად სხვა საჩუქარიც. ძიძა ყმაწვილის დედ-მამის ოჯახში უნდა იყოს; თუ ძიძას ეს არ ეხერხება თავის ოჯახის გარემოების გამო, მაშინ მას ეძლევა „როკიკი“ თორმეტი „ლეღვლიაქი“ ნამუშევარი წელიწადში („ლეღვლიაქი“, ავტორისავე განმარტებით, არის მარცვლის საწყაო, იწონის ფუთ-ნახევარს — ი. ფ.) და ღრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა მოსაქი-თხი (ნაკმარუნ)“.

მკვლელის დაქირავება, ცხადია, კანონსაწინააღმდეგოა და სამოქალაქო-სამართლებრივი მოწესრიგების საგანს არ შეადგენს. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი პირადი ქირავნობაც არსებობდა. ერთ ასეთ ეპიზოდს შეიცავს, მაგალითად, „ცხორება გრძგოლ ხანცთელისაჲ“. გიორგი მერჩულის სიტყვით (აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ., I, 305), „უკეთურმან მან ცქირმან... მძღავრებით დაიპყრა ანჩი“; „უწესობაჲ მისი მრავალგზის ემხილა... მამისა გრიგოლისაგან“. ცქირმა კი „სრულიად საღმრთოჲ შიში განაგდო ამპარტავანებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტქ და ხუთნი თხანი, და წარავლინა ხანცთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა“. ამ უკანასკნელმა სასტიკად გაეცხა დაქირავებული მკვლელი, რომელიც ანგარებამ აცთუნა და „სამისა გრივისა ფეტქსათჳს და ხუთთა თხათჳს“ დათანხმდა მოეკლა ადამიანი („უნდოჲსა სასყიდლისათჳს უბრალოჲსა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაიხხამ“).

ნაირგვარი (ოლონდ, ცხადია, მართლზომიერი) პირადი ქირავნობა იგულისხმება აღბულაჲს სამართლის წიგნის 79-ე მუხლში, სადაც კანონმდებელი ზოგად ნორმას აყალიბებს. ამ მუხლის მიხედვით, „კაცმან კაცი“ შეიძლება „დაიქირავოს რა გინდა რა საქმისათვის“. ზოგადი ხასიათისაა აგრეთვე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 229-ე მუხლი, რომელიც ნებისმიერ საქმეზე გასაგზავნად დაქირავებას ითვალისწინებს (ვახტ. სამართ., 108).

პირადი ქირავნობის ზელშეკრულების საგანი შეიძლება არც კი იყოს დაყვანილი ამა თუ იმ კონკრეტულ მომსახურებამდე. ამ

შემთხვევაში იგი ნებისმიერი საყოფაცხოვრებო თუ სხვაგვარი მომსახურების სახით წარმოგვიდგება. ზოგჯერ, მართალია, ხელშეკრულების საგანი განსაზღვრულია, მაგრამ მომსახურება მისი რაგვარობის გამო მაინც მეტად ზოგადი ხასიათისაა. ასეთია, კერძოდ, შინამოსანსახურის საქმიანობა, რაც სამართლებრივ დოკუმენტებშიც, პირადი ქირავნობის კონკრეტულ ხელშეკრულებანიც აისახებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ხელშეკრულების წიგნით (სოც. ისტ. ლოკ. II, 260), მომსახურების გამწევი მხარე პირობას აძლევს კონტრაქტს: „რასაც საქმეზე დამაყენოთ უარის უთქმელად უნდა აღვასრულო, — პურის ცხობა და საქმლის გაკეთება, აგრეთვე შინაფური სამსახური, — ყველა რაც რიგია, ისე უნდა გემსახურო“.

მომსახურების ქირავნობის ფორმულა-პირობა — „რასაც საქმეზე დამაყენოთ უარის უთქმელად უნდა აღვასრულო“ ცნობილი იყო ძველ რუსულ სამართალში (ბუდანოვი, 625). იგი დაქირავებულის უუფლებობის გამოხატულებას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ დაქირავებული ადამიანის მდგომარეობა საერთოდ მეტად მძიმე იყო, რაც რელიეფურად ჩანს ალბულას სამართლის წიგნის 79-ე მუხლში (ძვ. ქართ. სავართ., 34, 324). აქ კანონმდებელი ერთნაირ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს დაქირავებული კაცისა და სახედრის დაღუპვას.

ისეთი პირადი ქირავნობა, როდესაც ხელშეკრულების საგანი არაა ინდივიდუალიზებული და სახელდებით განსაზღვრული, განსახილველ ურთიერთობათა განვითარების ადრეულ საფეხურს ასახავს. საზოგადოებრივი ცხოვრების იმ შორეულ ეტაპზე პირადი ქირავნობის ხელშეკრულების საგანი ადამიანის შრომა კი არა, არა-რედ მისი პიროვნება იყო. ასეთ ვითარებაში დაქირავებული „თავის საკუთარ პიროვნებას აქირავებს... დაქირავებელს შეუძლია ცემით აძუშაოს იგი, შეუძლია შებოროკოს და სხვა პირს მიაქირავეოს“ (შუ-ლინი, 384).

ამგვარად, პირადი ქირავნობა თავისი განვითარების პირველ ეტაპზე გულისხმობდა დაქირავებულისადმი დამქირავებლის ნებისმიერ მოპყრობას. ასეთი თვისება პირადი ქირავნობის ხელშეკრულებას მთლიანად შემდეგშიაც არ დაუქარგავს და იგი საერთოდ მის ერთ-ერთ არსებით მხარედ არის მიჩნეული.

მომსახურების ქირავნობისათვის დამახასიათებელია, რომ სამუშაო სრულდება დამქირავებლის მითითებით. ამიტომ დაქირავებული თითქმის მთლიანად დამქირავებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით მონათმფლობელურ საზოგადოებასა და

ფეოდალური თვითნებობის ეპოქაში. სამართლიანად მიუთითებენ (ნოვიკი, 229; შერშენ., 181), რომ ქირით შომუშავე ლამის ეონის მდგომარეობაში ვარდებოდა. დამქირავებლის ნებისაგან დაქირავებულის ცხოვრების რაგვარობაც კია ხშირად დამოკიდებული (მაგალითად, მსახური'ს დაქირავების შემთხვევაში).

დამქირავებლის ნებისადმი დაქირავებულის დამოკიდებულება, რაც პირადი ქირავენობის ხელშეკრულების არსებით კუთვნილებას შეადგენს, მრავალმხრივ ვლინდება. სამუშაო სრულდება დამქირავებლის გეგმისა და გადაწყვეტილებათა მიხედვით, ისე, რომ დაქირავებულს არ გააჩნია დამოუკიდებლობა. სწორედ ამ დამოუკიდებლობის უქონლობის გამოა, რომ დაქირავებულის პიროვნება განიცდის სხვადასხვაგვარ შევიწროებას. დაქირავებულმა თავისი ყოფაქცევა სხვისი ნება-სურვილით წარმართულ საქმეს უნდა შეუფარდოს (სინაისკი, 110).

განსახილველ სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამქირავებლის ნების განმსაზღვრელი როლისა და, უფრო მეტიც, გაბატონებული მდგომარეობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართველი კანონმდებელი პირად ქირავენობას დაქირავებულის სიკვდილსა თუ დაშავებასთან დაკავშირებით აწესრავებს. აღბუღასა და ვახტანგის სამართლის წიგნთა შესაბამისი მუხლები განსაზღვრავენ ისეთი შემთხვევების სამართლებრივ შედეგებს, როდესაც „კაცმან კაცი დაიქირავოს... და მას შიგან მოკვდეს“ (სამართალი აღბუღასი), „კაცმან რომ კაცი იქირავოს და სადაც გაგზავნოს... იქ რომ მოკვდეს ან დაშავდეს“ (სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა). იმის აღნიშვნაც საჭიროა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში სახეზე გვაქვს კანონმდებლის ერთგვარი საყვედური დამქირავებლისადმი მოჯამაგირისათვის მეტად სახიფათო დავალების დაკისრების გამო. მოჯამაგირე, — კანონმდებლის სიტყვით, — დამქირავებელს „ამისთვის არ დასდგომია, რომ სასიკუდილოს ადგილს გაგზავნოს“.

პირადი ქირავენობის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან ზემოთ განხილული შემთხვევების გამოცალკევება და საკანონმდებლო მოწესრიგება იმის უდავო დამადასტურებელია, რომ იშვიათი არ იქნებოდა დამქირავებლისაგან დაქირავებულის გაგზავნა „სასიკუდილოს ადგილას“.

წინათქმულის სისწორეს ვახტანგის სამართლის წიგნის 229-ე მუხლი სხვა მხრივაც და თანაც მეტად ცხადადაც გვიდასტურებს. სახელდობრ, ხსენებული მუხლის დასაწყისში, სამართლის წიგნის

ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით (ვახტ. სამართ., 108), ნათქვამია: „კაცი-
მან რომ კაცი იქირაოს და სადაც გაგზავნოს, ან სალაშქროდ,
ან წყალში შეეგზავნოს, ან ხეზე აგზავნოს, ან რასაც
ამისთანაზე, იქ რომ მოკვდეს...“

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილმა შემთხვე-
ვებმა, სხვათა შორის, რ. კლუტმანის ყურადღებაც მიიქცია: „ყუ-
რადღებაც იპყრობს დაპირისპირება“ (კლუტმ., 466). ჩვენის მხრივ
დავძენთ, რომ ვახტანგის სჯულმდებლობის ზემომოყვანილი ადგი-
ლი სიახლოვეს იჩენს სომხური სამართლის 386-ე მუხლთან. მხითარ
გომის სამართლის წიგნის ქართულ ვერსიაშიც მსგავს „დაპირის-
პირებასთან“ გვაქვს საქმე — „თუ ხეზე აგზავნოს დასაბერ-
ტყად... ანუ დიდს წყალში შეეგზავნოს, ანუ ანჩლსა და ავს
ცხენზე შესვას, ანუ ამისთანა სხვა საქმით... მოუქდეს...
სიკუდილი...“ (იხ. აგრეთვე სხვისშვილ. შინ., 54—55).

ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნის იმ ნუსხაში, რომე-
ლიც ზემოთ წარმოდგენილ „დაპირისპირებას“ შეიცავს, გამოკვე-
თილადაა აღნიშნული ძალადობის მომენტი: „... თუ ეს კაცი... ძა-
ლად დაუჭერია და გაუგზავნია სადაც, და იქ იმის საქ-
მეზე მამკვდარა ან დაშავებულა...“ ასეთივე მდგომარეობაა სომხურ
სამართალშიც — „თუ ვინმე ვინც ძალად თავის საქმეზე გაგ-
ზავნოს და დაშავება სიკუდილით მოკდეს ამისთანაზე“ („ხეზე
აგზავნოს დასაბერტყად ძალით“; „ძალად გაგზავნოს სადმე
და მოუქდეს იქ სიკუდილი, ანუ ხილამ ჩამოვარდეს, ან წყალში და-
იჩროს“).

წინათქმული ცხადყოფს, რომ მართებულია ვახტანგ VI-ისა და
მხითარ გომის სამართლის წიგნთა ხსენებული (შესაბამისად — 229
და 386) მუხლების ერთობლივი მითითება კრებულის ზანდუყის (სა-
ძიებლის) 343 პუნქტში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საძიებ-
ლის ეს პუნქტი ზემოთ ციტირებული სჯულმდებლობითი მასალებ-
ის შესატყვისი მრავლისმეტყველი რუბრიკითაც არის გამოყოფი-
ლი — „ვინ ვინც ძალად გაგზავნოს სადმე და მოკდეს მისი იქ სი-
კუდილი“. აქვე ვიტყვი, რომ „ძალით გაგზავნაზე“ ლაპარაკი აგ-
რეთვე მხითარ გომის სამართლის წიგნის ქართული ვერსიის 377-ე
და 395-ე მუხლებში.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 229-ე მუხლით გათვალისწი-
ნებული „დაპირისპირება“ შეიძლება ნახესხობაც იყოს, მაგრამ უდა-
ვოა (და სწორედ ესაა მთავარი), რომ აქ რეალურად არსებულ,
ცხოვრებისეულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მოიპოვება ამისი და-

მადსატურებელი საბუთი, რომელიც სწორედ იმ პერიოდს (XVIII საუკუნის I მეოთხედს) განეკუთვნება, როდესაც ვახტანგმა თავისი სამართლის წიგნი შეადგინა. ამ დოკუმენტის მიხედვით (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 314), „ხელთუბნელს ნანუსას შვილს ტერტერას სობელი ტატულასშვილი მოჯამაგირეთ ყოლოდა, ლიახვში ურმით შეგზანა, დამრჩვალყო. ტატულას შვილმას დავება დაუწყა...“

სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამქირავებლის წარმართველ როლს, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, ხაზგასმით აღნიშნავს კანონმდებელი აგრეთვე სომხური სამართლის ქართული ვერსიის 391-ე მუხლში („მოკვლეთა ყოველთა, ვინცავინ იყოს, რაც კელოსანი რას დროს იკელოსნონ... როგორც რომ პატრონს უნდოდეს, ისრე უნდა გაუკეთონ და ისე უმუშაონ“). მხითარ გოშის სამართლის წიგნის 392-ე მუხლითაც, დაქირავებულებმა არ უნდა იმუშაონ „თავიანთ ნებით... უმართებულოთ“; საჭიროა, რომ ისინი „პატრონის დარიგებით ჩვეულობაზე და მართებულად ირჩებოდენ“. ამის შესაბამისად, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საძიებელშიც აღნიშნულია, რომ ხელოვნებმა, მუშებმა და მოჯამაგირებმა საქმე, „როგორც პატრონს უნდოდეს, ისრე უნდა გააკეთონ“ (პუნქტი 710) და „პატრონისა დარიგებაზე“ იმუშაონ (პუნქტი 720).

ართუ ადრეულ პერიოდში, XIX საუკუნის 30-იან წლებშიაც კი წესად იყო მიღებული, რომ ხელშეკრულებაში გამოკვეთილად აღნიშნათ დაქირავებულის მხრივ ყოველგვარი საქმის „უარის ლტქმელად“ აღსრულება. დამქირავებელი შეიპირებდა ხოლმე დაქირავებულს, რომ ამ უკანასკნელს არ ექნა მისი „წინამდგეი საქმე“. „თუ არ გა[ა]მთ... რაც მემსახუროს, ისიც უანგარიშოთ ჩაიაროს“, — ჰპირდებოდა დაქირავებული დამქირავებელს პირადი ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში (სოც. ისტ. დოკ., II, 260).

პირადი ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამქირავებლის განმსაზღვრელი როლის აღიარება, თავისთავად ცხადია, არ ნიშნავს დაქირავებულის ნების სრულ უგულებელყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთგარიგებასთანაც აღარ გვექნებოდა საქმე. მომსახურების უშუალო შემსრულებლის ნების თავისუფლების საკითხს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელშეკრულების მხარეთა განსაზღვრისათვის. ძველ რომში, როდესაც ვისიმე მონა სხვას რაიმე მომსახურებას გაუწევდა, სამუშა-

ოს შენსრულებელი ნივთად ითვლებოდა და სახელშეკრულებო ურთიერთობათა გაფორმების შემთხვევაში მხარედ მონათვლობელი გამოდიოდა.

საზოგადოდ, პირადი ქირავნობაც, სხვა ყოველგვარ ურთიერთგარიგებათა მსგავსად, კონტრაქტების ნების თავისუფალ განსაზღვრას გულისხმობს. ეს პრინციპი, როგორც წესი, ძველ ქართულ სამართალშიც მოქმედებდა. დაქირავებულის ნების თავისუფლად გამოვლინების პრინციპი გატარებულია აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლში. კანონმდებელი, კერძოდ, აწესრიგებს ისეთ იურიდიულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ შედეგებს, როდესაც კაცს კაცი ნებაყოფლობით მიეჭირავება: „... კაცმან კაცი დაიჭირავოს... მისითა გულითა ეჭირაოს“.

დოკუმენტური მასალითაც დასტურდება, რომ დასაქირავებლისა თუ დაქირავებულის ნება უგულებელყოფილი არ იყო და, პირიქითაც, ზოგიერთ კონკრეტულ ვითარებაში მას გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ენიჭებოდა. ამ-სი მაჩვენებელია, მაგალითად, შიომთხვარის მიხედვით 1795 წლის 27 ნოემბრის წერილი ალალა ყორღანის მიხედვით (საქ. სიძვ. III, 392—393): „დიდათ მინდოდა, რომ ღვინო მომერთაჲა, მაგრამ შეტად შორი გზა არის და არ მოხერხდა, მოქირავნე არა ყაბულობს“.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სომხური სჯულმდებლობის ქართულ ვერსიაში (მუხ. 377, 395), ისევე როგორც აღბუღას სამართალში (მუხ. 79), საგანგებოდ და ხაზგასმითაა ლაპარაკი დაქირავებულის ნების თავისუფლებასზე: „თუ მოჯამაჯირე თავის ნებით წავიდეს“ საქმეზე; დაქირავებული „მისის ნებით წასულიყოს“ დამქირავებლის საქმის მოსაგვარებლად. მზითარ გომის სამართლის 377-ე და 395-ე მუხლებში განსხვავებულია ნებაყოფლობით დაქირავება, დაქირავებულის მხრივ ამა თუ იმ საქმის ნებით შესრულება „ძალით“ დასაქმებისაგან და მათ სხვადასხვა იურიდიული შედეგები უკავშირდება.

სამართალი, დაწერილიცა და ჩვეულებითიც, ავალდებულებდა დამქირავებელს, რომ იგი სამართლიანად მოქცეოდა დაქირავებულს. მაგალითად, რუსული სამართლის მიხედვით (დისტერლო, VI, 129—130; პახმ., 191), დამქირავებელს არ გააჩნდა დაქირავებულის წარამარა ლანძღვა-გინების უფლება. აკრძალული იყო დაქირავებულის ცემა, მძიმე შეურაცხყოფა და საერთოდ ცუდი მოპყრობა დამქირავებლის, მისი ოჯახის წევრებისა თუ ზედამხედველთა მხრივ. დამქირავებელი მოვალე იყო გამოეჩინა კაცთმოყვარეობა,

მძიმე ჯაფით არ დაეძაბუნებინა მუშები და თავი შეეკავებინა უსამართლო ჩაცვივებისაგან.

ამგვარად, ნორმალურ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან წეუთავსებელი იყო დამქირავებლის მხრივ დაქირავებულისადმი თვითნებური დამოკიდებულება. სამართალი კრძალავდა დამქირავებლის უღიერობასა და თავგასულობას, რაც სრულიად სხვადასხვაგვარი ფორმით შეიძლებოდა გაჟოვლენილიყო.

თავისთავად საგულეებულ წესად იყო მიჩნეული დაქირავებულის ქალის პატივის ხელყოფის დაუშვებლობა. რუსეთის ჩვეულებით სამართალწარმოების პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევა, როდესაც პირადი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა მუშა-ქალის პოთხოვნით იმის გამო, რომ დამქირავებელმა მისი შეცდენა მონდომა (პახმ., 192, 220).

აღნიშნული გარემოება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ანალოგიური მასალა ქართულ სინამდვილეშიც მოიძებნება. სახელდობრ, მხედველობაშია 1763 წლის 23 აპრილის საბუთი — განჩინება ჭიკიკო ქიტაშვილისა და ანა ბარაჩაშვილის საქმეზე (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 489—490). საბუთის მიხედვით, მომჩივანი — ბარაჩაშვილის რძალი ანა თავისი შვილით ხიზნად მისულა ჭიკიკა ქიტაშვილის სახლში. შემხიზნველმა, — აღნიშნავს მომჩივანი, — „შვილი მეცხვარედ დააყენა... და მეც შინ მიმსახურებდაო. მერვე ჩემისავ ნებით ჩემთან ისიძვარ და დაორსულდით. რომ დაორსულდი და კარში გამაძადლო... დრო რომ მოვიდა, ის ჩემი შვილი ეშობებო იმისგან წამრუშები. სამი წელიწადი მაზღვევინაო. სამს წელიწადს უკან მე გამლაკა და შვილიც წამართო“. სასამართლომ დაადგინა, რომ „რაც ზემოთ სწერია, ყველა მართალი ყოფილიყო. რადგანაც ამ დედაკაცის ნებსითის საქმით მომხდარა და იმულებით არა ყოფილა, ამისთვის სისხლის ნახევარი გაუჩნდება... ეს უნდა დაუურვოს ჭიკიკომ ბარაჩაშვილს ამ დედა კაცის პირველს ქმართან შობილს ბიჭა-თავისის დედის საუპატიო...“

საბუთიდან ჩანს, რომ ბარაჩაშვილის რძლის ანას ხიზნობა მომსახურების ქირავნობაში გადაზრდილა. იქნებ უფრო სწორი იყოს იმის თქმა, რომ ანას მიმართ აქ სახეზე გვაქვს, ერთობლივად, ხიზნობასთან შეზავებული მომსახურების ქირავნობა.

მომსახურება, უნდა ვიფიქროთ, თავშესაფრის, ჭამა-სმისა და ჩაცმა-დახურვის სამაგიეროდ ჩაითვლებოდა, მათში გაიბრებოდა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ საბუთში არაფერი არაა ნათქვამი მომ-

სახურების საზღაურზე, რომელიც ბარაჩაშვილის რძალს უნდა მიეღო ჩვეულებრივი პირადი ქირავნობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ქიტაშვილს, რომელმაც ქალის ნებაყოფლობით ისიძვა, საუპატიოს სახით მაინც ეკისრება სისხლის ნახევროს გადახდა. საზღაურის დაკისრება, თქმაც არ უნდა, პატივ-ღირსების ფეოდალურ-ბატონყმური ვაგებით აიხსნება. ამასთანავე, ისიც აშკარაა, რომ ასეთი ვითარება ერთგვარად აკნინებს ქალის თანხმობის, მისი ნებაყოფლობის ღირებულებას. საბუთის შინაარსი, საერთოდ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ თანხმობა მძიმე მატერიალური მდგომარეობით იყო შეპირობებული. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ქალი არსებული ურთიერთობის შეწყვეტისა კი არა, არამედ პირიქით, მისი შენარჩუნება-გაგრძელების მოსურნე უფრო იქნებოდა.

„ჯამაბირის ყმა“

ფეოდალიზმის დროს მომსახურების ქირავნობა ბატონყმურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოსელში ეხვევა. ეს კარგად ჩანს მწყემსობა-მოჭამაგირეობისა და სხვისშვილობის მავალითზე.

დაქირავებული ანუ „სასყიდლითი“ თუ „სასყიდლით დადგინებული“ მწყემსი უძველეს წყაროებშივეა დამოწმებული (ოთბთ. სიმღ., 516). ეს იყო იგივე მოჭამაგირე, რომელიც, თავის მხრივ, საბას ლექსიკონის მიხედვით (საბა, I, 520) წარმოვედგება ვითარცა „ვერცხლით დადგინებული მოსამსახურე“. მწყემსობა და მოჭამაგირობა ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში გადახლართულია ე. წ. „სხვისშვილობასთან“ (სხვისშვილ. შინ., 49—61). 1768 წლის საბუთის მიხედვით (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 552), „ნიროწმინდლის მსახურს იოვანეს ოსმალობას ერთი ტყვიაველი კაცი ჯანაშვილი დათუნა სხვისშვილათ დაუქერია ჯამაგირითა, იმის სხვისშვილობაში ამ ჯანაშვილს დათუნას იმ იოვანეს მხლებელი გაუწბილებია“.

სხვისშვილობის „შინაარსს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ-სამეურნეო ურთიერთობა შეადგენს, რომელიც აუცილებელ პირობად სხვის კარად ყოფნასა და შრომას გულისხმობს“. სწორედ ეს გარემოება აახლოებდა სხვისშვილობასა და მწყემსობა-მოჭამაგირეობას. მათი ურთიერთკავშირი ისეთი ხასიათისა ყოფილა. რომ ხალხი „ველარ ატყობდა ანდა არად აგდებდა განსხვავებას სხვისშვილობასა და სახელდობრ მოჭამაგირეობას შორის, რომელიც სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში შრომის ექსპლოატაციის

უფრო გვიანდელს, საყოველთაო და მძაფრ ფორმად მოქმედებდა“ (სხვისშვილ. შინ., 61).

უნდა აღინიშნოს, მეტადრე მოჯამაგირეობასთან დაკავშირებით, რომ მომსახურების ქირავნობის საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობა ფეოდალიზმის პირობებში ბატონყმური დამოკიდებულებიანაკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს.

ასეთ ვითარებას, საზოგადოდ, ღრმა ისტორიული ფესვები მოცეპნება. იგი იმ შორეული წარსულიდან უნდა იღებდეს სათავეს, როდესაც ქირავნობის საგანს შრომა კი არა, ადამიანის პიროვნება წარმოადგენდა და დამქირავებელს შეეძლო დაქირავებულისადმი ნებესმიერი მოპყრობა. სპეციალურ ლიტერატურაში (ვოლკოვი, 57; ბუდანოვი, 625—626) საპართლიანადაა აღნიშნული ყმობისა და პირადი ქირავნობის შინაგანი კავშირი — ქირავნობა თავდაპირველად სრული ყმობის დამყარებას მოასწავებდა; პირადი ქირავნობა, საზოგადოდ, ყმობის წყაროდაა მიჩნეული.

ყმური და დაქირავებული შრომის დაახლოების თვალსაზრისით საყურადღებოა ვახტანგის სამართლის წიგნის 229-ე მუხლი — „ვინც ვინზე გაგზავნოს სადმე და იქ მოკუდეს“. მუხლში გათვალისწინებულია ისეთი ვითარებაც, როდესაც საქმეზე გაგზავნილი გამგზავნელის „ან ყმა არის და ან კაცი“, რომელიც „გასამრჯელოს სახოვს და გამოართმევს“. კანონმდებელი ერთად იხსენიებს და არ განასხვავებს ყმასა და დაქირავებულს. უკეთუ ისინი საქმის შესრულებასთან დაკავშირებით დაილუპებიან, გამგზავნელს „არა ეთხოება რა“.

მოჯამაგირეობა არსებითად, თავისი ბუნებით პირადი ქირავნობაა. ამასთანავე მოჯამაგირეები, დროთა განმავლობაში, თავისებური სოციალური ფენის სახითაც წარმოგვიდგნენ.

უდავოა, რომ მოჯამაგირეობა არ მიეკუთვნებოდა ყმობის კატეგორიას. უფრო მეტიც, იგი ხიზნობისგანაც კია საკმაოდ განსხვავებული და ხასიათდება სხვაგვარი, როგორც საბუთებიდან ჩანს, უფრო მსუბუქი სამართლებრივი მდგომარეობით, რომელშიაც სქარბობს შედარებით თავისუფალი შესაქმების საფუძველზე აღმოცენებული სახელშეკრულებო, არსებითად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი.

მოჯამაგირისა და ხიზნის განსხვავება, მოჯამაგირეობის თანდათანობითი შეპლდომი გადაზრდა ხიზნობაში კარგად ჩანს XVIII საუკუნის II ნახევრის „მოწმობის წიგნიდან“ (სოც. ისტ. დოკ., II, 41). საბუთის მიხედვით, გიორგი თუმანიშვილი „ხელთუბანს მოსახ-

ლეს თუმანიშვილებს და გლებთ“ თხოვდა, რომ მისთვის ფიცით დაემოწმებინათ: „როგორც ეს დათქვა იმერელი ან მოჯამაგირეთ მდგომოდეს და ან რამდენიც წელიწადი ჩემს მამულში, ჩემს კედლათ, ჩემს ზიზნად მდგომოდეს“. სხვადასხვა პირებმა მართლაც ერთხმად დაადასტურეს, რომ „ეს დათქვა იმერელი პირველად რომ გადმოვიდა, საპი წელიწადი გიორგის მოჯამაგირედ უდგა და მას აქედან იმის მამულში იმის ზიზნათ იყო და ახლაც არის. არავის საქმე არა აქვს და ნება სამართლისაა“.

ზიზნობასთან შედარებით მოჯამაგირეობა პირადი დამოკიდებულების უფრო ნაკლები ხარისხით ხასიათდებოდა; მოჯამაგირეობიდან ზიზნობაში გადასვლა პიროვნების სოციალურ-იურიდიული მდგომარეობის დამნიშნავს ნიშნავდა.

მით უფრო განსხვავდებოდა ყმისა და მოჯამაგირის სამართლებრივი მდგომარეობა. ეს განსხვავებულობა, სხვათა შორის, კარგად ჩანს ძველ ერეკლე მეორის განჩინებიდან ქიზინჯის სამეფო და საპოლურაო სარგოს განწესების შესახებ. ამ დოკუმენტის თანახმად (ქართ. სამართ. ძგ., II, 412), უკვე მებატონემ „თავის ყმას, ან თავის ნასყიდს თავი გაუტეხოს, განამტეხლოს არ გამოერთმევა. და თუ მოჯამაგირეს გაუტეხოს, იმაზედ გამოერთოს“.

ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ მოჯამაგირე მეტად მკიდროდ იყო დაკავშირებული მებატონესთან. ეს კავშირი იმდენად მკიდრო იყო, რომ მოჯამაგირე მებატონის ყმებთან ერთადაც კი აიწერებოდა. ასე მაგალითად, არაგვის ხეობის აღწერის დავთარში, რომელიც XVII საუკუნის II ნახევარში შედგა, აღწერილია „ხევის გაიბოტენს აზნაურშვილის ოთარის შვილის ჩრდილელის“ ყმები ხულეულიძეები და ჩაბაკაურები. აქვე მიწერილია, რომ „მოჯამაგირეთ არის გერგეტელი საფრის შვილი ნანაი — კი ათავი ა“. შემდეგ კი, ყმობისა და მოჯამაგირეობის განუსხვავებლად დავთარში აღნიშნულია, რომ „იქმნა ჭამი მემკვიდრისა... კი ზთავი იმ“ (არაგვ. აღწ., 422—423).

აქ უნდა გავითვალისწინოთ, თუ საერთოდ რა შედეგები მოსდევდა ხოლმე აღწერას ადამიანის დაყმევების თვალსაზრისით. კერძოდ, ზოგიერთი დაქირავებულის დაყმევებას ძველ რუსეთში სწორედ აღწერა და ამ გზით განსაზღვრულ ადგილას მიჰაგრება განაპირობებდა (ბუდანოვი, 626). აღწერის დავთარში შეტანის ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი. 199-ე მუხლის მიხედვით, „თუ ამავე საბატონოში ერთისა მეორეს ყმა მიუიღეს და ხანი დაყოს, და არ მოიკითხოს, კელმწიფის დავთარ-

ში, ვისაც მოსულია, იმის სახელზე ქირის მქნელად დაიწეროს, ძალად ვეღარ აუყრის, სანამდინ მეორედ არ აიწერების და სამართალს არ იშოვნის, ვერ წაართმევს“ (იხ. აგრ. ამავე სჯულმდებლობის მე-200 მუხლი: „თუ ერთიმეორის ყმა ერთმანეთს მიუიღეს... და დავთარში ჯერ არ დაწერილი ყოს ამის სახელზე, და ისრე ის პირველი მებატონე წამოედაოს...“).

დაქირავებული და ყმური შრომის დაახლოება-გათანაბრების მეტად ნიშანდობლივი ფაქტია აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლის მინაწერი ერთ-ერთ ნუსხაში (ძვ. ქართ. სამართ., 324) — „ჯ[]მაგირის ყმა“. ხსენებული მუხლი პირადი ქირავნობის ურთიერთობებს აწესრიგებს და, მაშასადამე, დაქირავებული, ნუსხის გადაწერის აზრით, „ჯამაგირის ყმას“ წარმოადგენდა.

წამოკრილ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე ერთი გვიანდელი, 1819 წლის საბუთი — დავით და ბეჟან მაქავარიანების არზა საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებლის ხოვენისადმი (სოც. ისტ. დოკ., II, 295).

მაქავარიანები ჩივიან, რომ ამოდ ცდილობენ უკან დაიბრუნონ თავიანთი ყმები — „იპერეთით გადმოსულნი“ და სილნალის მაზრის სხვადასხვა სოფლებში მოჯამაგირედ დამდგარი გლეხები: „წავედით და დავყავით მუნ ორმოცი დღე და ვერ მივიღეთ ვერა როგორიმე კმაყოფილება ესრეთ, რომელ ზოგნი არიან დასახლებულნი, ვის მამულშია ცდგანან, მამულის პატრონი ართმევენ სახლებსა, წისქვილებსა და ეგრეთვე თუ რამ შეუკრებიათ თავეთის მუშაკობით პირუტყვს, საქონელსა და ცარიელს კაცს გვაძლევენ. ჩვენ თუმცა ვაძლევთ სახლებსა, წისქვილებსა, ვენახებსა და ნანნავებსა მამულის პატრონებს ჩვენის ყმებისაგან გაკეთებულებსა გარდა იმათგან ნამსახურებისა, გარნა მას არა გვჯერდებიან და ართმევენ სხვასაცა თუ რამ ჰყავთ საქონელი და არიან რომელნიმე ხუთისა და ექვსის წლის გარდმოსულნი ყმანი ჩვენნი და ჰსდგომიანთ მოჯამაგირეთ და ოდეს მივალთ გვიმალავენ და არ გვიჩენენ ყმებსა ჩვენსა“.

ფრიად საეჭვოა, რომ მოჯამაგირეებს ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში „თავეთის მუშაკობით“ „შეეკრიბოთ“ ამოდენა ქონება (სახლები, წისქვილები, ვენახები, საქონელი). ყოველივე ამას მაქავარიანები გაზვიადებულად წარმოსახავენ, უნდა ვიფიქროთ, ხელისუფლებაზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით (აქაოდა, ამოდენა ქონებას ვუტოვებთ მამულის პატრონებს, მაგრამ ამასაც არ გვჯერ-

დებიან, მოჯამაგირეებს „ნანსახურებსაც“ ართმევენ და, რაც კიდევ უფრო მოუთმენელია — ყმებსაც კი არ გვანებებენ, გვიმაღლებენ). სინამდვილეში, მებატონე-დამქირავებელი სხვაგნინდან მოსულ და მოჯამაგირედ დაბდგარ კაცს, ეტყობა, ცარიელსა თუ ვისიმე ნაქონ ნაგებობა-ნარგავებიან მიწაზედაც სეჰდა და მუშა საქონელსაც მიუჩენდა ხოლმე. როგორაც არ უნდა იყოს, ერთი რამ მაინც აშკარაა — მოჯამაგირე დროთა განმავლობაში ყმა ხდებოდა (შესაძლებელია, ერთგვარი ფერმერობის გავლითაც). ხუთ-ექვს წელიწადში მოჯამაგირე ახალ ადგილზე მკვიდრდებოდა. იგი ახალ მებატონესაც უკვე, მეტად თუ ნაკლებად, თავის ყმად ეგულვებოდა და, ჩანს, თვით მოჯამაგირესაც ასე იოლად აღარ ეთმობოდა რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული ახალი საცხოვრისი.

ზემთ წარმოდგენილი მასალებისა და განხილვის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოჯამაგირეობა დაყუჩების ერთგვარ გარდამავალ საფეხურსაც წარმოადგენდა.

დაყმევენამდე არაიშვიათად მიდიოდა საქმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც დებიტორი კისრულობდა კრედიტორის მომსახურების ვალდებულებას, რათა სანსახური ვალის ანგარიშში ჩათვლილიყო. ამ დროს ადგილი ჰქონდა ვალის, ასე ვთქვათ, გამომსახურებას, — მონსახურებას ვალის გასტუმრების მიზნით. ამდენად, აღნიშნული იურიდიული ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური პირადი ქირავნობის ხელშეკრულება, როდესაც დამქირავებელი წინასწარ აძლევს დაქირავებულს მომავალი მომსახურების საზღაურს.

ასეთი ვალდებულები პირი ძველ რუსულ სამართალში „ზაკუბ“-ის სახელწოდებით იყო ცნობილი (ვოლკოვი, 91—92). „ზაკუბი“ იიწისმფლობელისაგან იღებდა წარმოების იარაღ-საშუალებებს და მასთანვე ცხოვრობდა, სანამ ვალს მთლიანად არ აანაზღაურებდა მუშაობით. მოვალეობათა შეუსრულებლობა ყმად გახდომის საფუძვლად ითვლებოდა. ამგვარი ურთიერთობა თავისუფალი მოსახლეობის დაყმეების ერთ-ერთ ადრეულ და მეტად მძიმე საშუალებად მიჩნეული.

მომსახურების ქირავნობისა და სავალო ვალდებულების შეერთება ჯერ კიდევ ხამურაბის კანონებში იყო ცნობილი. ძველ ბაზილონში „ხშირად პირადს ქირავნობას აერთებდნენ სესხის ხელშეკრულებასთან. დამქირავებელი მუშაკს სესხის სახით წინააღმდეგადაც ხელფასის ნაწილს სესხის პირობით. ეს დამქირავებლისათვის უზრუნველჰყოფდა შესაძლებლობას — მიეღო სამუ-

შაოზე დაქირავებულის წინააღმდეგ ყველა ის ღონისძიება, რასაც კანონი უშვებდა უწესივრო მოვალეების წინააღმდეგ, ე. ი. შესაძლებლობას აძლევდა მას სამუშაოდ ვადაზე გამოუცხადებლობისას მუშაკი კაბალაში ჩაეგდო. ქირავნობისა და სესხის ასეთ შეერთებას ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში ახდენდნენ, როცა დამქირავებლისათვის საჭირო იყო უზრუნველყო მუშახელით რაიმე სასწრაფო, გადაუდებელი სამუშაო, მაგალითად, პურეულის მომკა“ (ეჩიქა, 140—141).

სესხისა და პირადი ქირავნობის შეერთებასთან გვაქვს საქმე ეხტანგ VI-ის სამართლის წიგნის 130-ე მუხლში, სადაც მუშის დღიური ფასი 5 კაპიკის საბით თავისებური პროცენტია. აქ მომსახურება დაქირავებულის მიერ აღებული ვალის პროცენტის ანგარიშში ჩაგდება. სამუშაო ძალის დღიური ფასი ერთი შაურია და ამის მიზეზით ერთი მარჩილის პროცენტად წელიწადში ოთხი მუშის ერთი დღით ან ერთი მუშის ოთხი დღით მუშაობა იანგარიშება, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში მარჩილის პროცენტი ერთი აბაზი გამოდის („მუშაზე თუ თეთრი ვასცეს, მარჩილი წელიწადში ოთხ მუშად ოთხს დღეს ამუშაოს. ესეც ამისთვის გავაჩინეთ: დღეში მუშა ერთ შაურად იმუშავენს და მარჩილი წელიწადში ერთს აბაზს მოიგებს, და არა უსამართლო იქნების. რასაც ხანს ქონდეს, ყოველს წელიწადს ასრე ქნას. როდესაც უნდა პატრონსა, თავის თეთრს გამოართვამს“).

პირადი ქირავნობისა და სესხის ხელშეკრულებათა შეერთება დოკუმენტური მასალითაც დატურდება (სოც. ისტ. დოკ., II, 260): „... თეთრი დამქირდა... სხვა და სხვა საჭიროებისათვის და თქვენგნით ავიღე ოცდაოთხი თუმანი თეთრი ფული, რომ ამ ხსენებულს თეთრშია უნდა ოთხი წელიწადი... გემსახუროთ“.

თავისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე დავით ბატონიშვილის კანონგანზრახულობაში (დ. ბატონიშვ., 205—206). აქ დაწესებულია შიმშილობის პერიოდში გამოკვების ხარჯების გამომსახურება. საქმე ეხება ისეთ ვითარებას, „უკეთუ განძლიერდეს ესრეთ შიშილი, რომელ შვილთა დაუწყონ გასყიდვაჲ“. ყმისაგან შვილის გაყიდვას ვაშინ შეიწყინარებდა სამართალი, თუ მებატონე ყაბულს იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში („უკეთუ მებატონე მისი არა არს თანაჲმ“) ყმას არ შეეძლო გამოკვების საზღაურად თავისი თავი ან შვილი გაეცა ნასყიდობის წესით. „ოდეს გაიფედეს, მაშინ მიუზღონ თეთრი ანუ სარჩო ეგეოდენი, რაგვარადცა შიმშილობისა ჟამსა ფასი იყო, გამომზარდელსა

მას და თავისუფალ იქმნას კაცი იგი; ანუ ანგარიშითა მით დაუდგეს მოჯამავირედ და გამოისამსახუროს ეგეოდენი მოჯამავირეობითა, რაოდენადცა ღირებულ არს გამოზრდა მისაჲ.

აქ უნდა გავიხსენოთ ალექსი მიხეილის ძის ცნობილი სჯულდება და აღვნიშნოთ ის საინტერესო ფაქტი, რომ იგი შეიცავს დავით ბატონიშვილისეული ნორმის შესატყვის დადგენილებას (რუს. სამართ. ძგლ. VI, 239, 271): „а бюджет в голодное время сам себя с женою, или сына, или дочь отдаст кому в работу за прокорм, и записи на себя и на детей своих земные деньги: и по той записи жити им у того, кому они в работу дадутся до тех мест, покамест они окупятся, или отработаются“.

სუბინტენის შესახებ

პირადი ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა, ჩვეულებრივ, მომსახურების გამწევი პირის თანხმობის საფუძველზე მყარდება. თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ადამიანს სხვისი მომსახურება შეიძლება დააკისროს მხოლოდ იმან, ვინც მის მიმართ საკუთრების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი.

ფეოდალი ყმის მიმართ ახორციელებდა არასრული საკუთრების უფლებას. ამის არსებით გამოხატულებას წარმოადგენდა ყმის გაყიდვა. ყმაზე მებატონის არასრული საკუთრების უფლება სხვა ფორმითაც ვლინდებოდა. მაგალითად, მებატონეს შეეძლო ყმის განათხოვრება. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 210 მუხლის მიხედვით, „თუ კაცმა კაცი ინათხოვროს და თუ მოკუდეს, ვერას შეუა. თუ არადა, მიზეზი არა არის რა, უნდა მისცეს თავისი პატრონსა მისსა, როსაც სთხოვოს, ამისათვის [რომე], თუ არ დგებოდა, რატომ პატრონს არ მისცა და ან არ შეატყობინა“?

სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარედ აქ, როგორც ვხედავთ, მებატონე გვევლინება; ყმა კი ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ყმის გაქირავების უფლებაც თავისთავად იგულისხმება. ყმა გლეხები, ცხადია, დამოუკიდებლადაც ებმებოდნენ პირადი ქირავნობის ურთიერთობებში, მაგრამ მებატონეთაგან მათი გაქირავებაც ფეოდალიზმის დროს სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში არსებითად სახეზე გვქონდა ნივთის ქირავნობა იმ თავისებურებით, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მცირედი მნიშვნელობა გაქირა-

ვებულის ნებასაც ენიჭებოდა. გაქირავებულის ერთგვარი აქტივობა მისი პიროვნების ნახევრადთავისუფალი მდგომარეობით იყო გაპირობებული.

პირად ქირავნობაზე ბატონყმურ ურთიერთობათა ზემოქმედების გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ერთ-ერთი დაქირავებულის საჩივარში მისი საკუთარი ვინაობაც კი არაა აღნიშნული; იგი მებატონის სახელითა თუ კუთვნილების მიხედვით იხსენიება: „აბაშისშვილ[ე]ბის კაცმ[ა] ყასაბს ფარს[ა]დ[ა]ნს უჩივლა ჭამაგირი. იას[ა]ული ურდიბეგასშვილი“. მეორე, ანალოგიურ შემთხვევაში, მართალია, მოძივანის გვარი აღნიშნულია, მაგრამ, მასთან ერთად, მებატონის ვინაობაც იხსენიება: „ბარათ[ა]ს კაცმან ბაბილ[ა]სშვილმან ჭამაგირი ა'ჰ (1 თუმანი და ხუთი მინალთუნი) [იჩივლა — ი. ფ.]. იას[ა]ულ[ი] ცაც[ი]სშვილი გლ[ა]ხა“ (სამღივანბ. სასამ. მას., 52, 57).

ფეოდალურ-ბატონყმური ვითარება უდავოდ თავისუბურ დაღს ასევეადა მომსახურების ქირავნობას, მაგრამ ძირეულად მაინც ვერ ცვლიდა მის ბუნებას.

მომსახურებთა ქირავნობის არსებით ნიშან-თვისებად განიხილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება თვით დაქირავებულის მიერ. ამ წესის დაცვა აუცილებელია იმ შემთხვევებში მაინც, როდესაც ხელშეკრულება სწორედ პირად ნდობას ეფუძნება, ანდა მისი დადება მუშაკის ინდივიდუალური თავისებურებებითაა გაპირობებული. ამიტომ ვალდებულების ნაწილობრივ ან მთლიანად სხვისთვის გადაკისრება დასაშვებია დამქირავებელთან შეთანხმებით, ანდა იმ შემთხვევაში, თუ ეს წინასწარ იყო დათქმული ხელშეკრულებაში. თუმცაღა, მუშას არ ეკრძალება დამხმარის დაქირავება, მეტადრე ისეთ საქმეზე, რომელიც განსაკუთრებულ ცოდნას არ საჭიროებს (პახმ., 194).

ცხადია, სავსებით დასაშვებია ოსტატისა და მისი შეგირდის ერთობლივი საქმიანობა. ადვილად შეიძლება, რომ ეს თვით ხელშეკრულებითაც ყოფილიყო წინასწარ გათვალისწინებული.

ოსტატისა და შეგირდის ერთობლივი მუშაობის ამსახველი ბევრი ცნობა შემოგვინახა გორჯასპი მდივნის ორმა დავთარმა (ეკონ. ისტ. მას., I, 6—25, 29—44), რომლებშიც აღნუსხულია დანახარჩები სახლის მშენებლობაზე („ქალაქს ჩემის სასახლის აშენებაზე რაც დამხარჯავს იმისი დავთარი არის“) და ბაღის სამუშაოზე („სეიდაბათის ბაღის შენებას ხელი მივყავ. რაც ამისი წყლის გამოყვანაზე და ან კედლის კეთებაზე, ქვის ამოყრაზე, თუ სხვაფერ მუშაობაზე

დამიხარჯავს, ქვემოთ სწერია“). აქ ხშირად იხსენიება კალატოზები-
სა და შეგირდების ერთობლივი მუშაობა. ამათან ერთად ქირით
მუშაობდნენ შეგირდიანი ხუროები. არის აგრეთვე დაქირავებული
ხუროს, დურგლის, კალატოზისა და შეგირდების ერთობლივი მუ-
შაობის შემთხვევა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუ-
შაოს შესრულებაში ბავშვებიც კი მონაწილეობდნენ: ბალის საქმე-
ზე ქირით მუშაობდა „სამშაფათს... მუშა 10 პატარა ბიჭით“.

გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც დაქირავებულები
ჯგუფობრივ მონაწილეობენ პირადი ქირავნობის სახელშეკრულებო
ურთიერთობებში. ასეთი ვითარება იქმნება შრომატევადი სამუშა-
ოების შესრულებასთან დაკავშირებით.

მანუჩარ მდივნისადმი ერეკლე II-ის 1794 წლის 17 ნოემბრის
ოქმით დასტურდება, რომ „იერის არხზე სარქარდრების სამის ნუს-
ხით შეიდას ოცდაოთხს მუშას უმუშავნიათ და ამათ“, „სახელდობ
სადაურ მუშებსაც ემუშავნათ“, „სამუშაოთ კაცის თავს სამი შაური“
მიეცა (სოც. ისტ. ლოკ., II, 174). ერთ-ერთი უთარილო (ხელის მი-
ხედვით XVIII საუკუნის) საბუთით, რომელიც სამგორის არხზე
მუშაობის ნუსხად ივარაუდება, „სათისქალელებს მიეცა სამუშაო
ოეთრი“ ოცდაერთი მინალთუნი (ეკონ. ისტ. მას., I, 154). 1756 წლის
ივნის-ნოემბრის საჩივრების ნუსხაში აღნიშნულია, რომ დაბაღე-
ზმა „ჯამაგირი იჩივლეს. ზოგი მოგვეცესო და ზოგი დარჩა. ამის
იას[ა]ული ციცისშვილ[ი] ციცი“ (სამდივანბ. სასამ. მას., 29).

ასეთ შემთხვევაში დაქირავებულები არ ქმნიან მყარ გაერთი-
ანებას, მაგრამ ამგვარი ჯგუფების მნიშვნელობის უგულებელყო-
ფაც არ იქნებოდა მართებული, თუნდაც სამუშაოს ჯეროვნად შეს-
რულების უზრუნველყოფისა და, — რასაც ეს-ეს არის ზემოთ წარ-
მოდგენილი მასალაც ადასტურებს, — ანგარიშსწორების თვალსაზ-
რისით. შესაძლოა, ზოგჯერ ერთგვარ ამხანაგობასთანაც კი გვქონ-
დეს საქმე. მუშახელის სოფლობრივ-ნუსხობრივი მოხსენიება ანგა-
რისწორებაში, ჩანს, ასახავს მათს ორგანიზებულ გამოყვანას
სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებზე, როგორცაა, კერ-
ძოდ, სამგორისა და იერის არხებზე მუშაობა.

საგანგებოდ უნდა ითქვას ცალკეული გაერთიანება-კორპორა-
ციის წევრთა დამოუკიდებლად ჩაბმაზე პირადი ქირავნობის სახელ-
შეკრულებო ურთიერთობებში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მა-
თი შეზღუდული უფლებრივი მდგომარეობა. კორპორაციის წევრ-
თათვის, რომელთა შრომა განსაკუთრებული აქტებით წესრიგდებ-
ოდა, საზოგადოდ სხვადასხვაგვარი შეზღუდვა იყო დაწესებული.

ყველაზე მეტად ეს ითქმის სამონასტრო ძმობის შესახებ. გიორგი მთაწმიდელი იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში (აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ., II, 77) წერს, რომ მონასტრის მამასახლისს „მიზეზი გარდაეკუეთა, რაჲთა არას ვინ ზრუნვიდეს და არცა გაჰყიდდეს და არცა იყიდდეს და არცა რას მოიხრეწდეს და არცა რას მოიგებდეს თვნიერ მისისა ბრძანებისა. და უკეთუ... ვინმე გარდაჰყდის მცნებასა მისსა, და იყიდის გინა შესაჰმოსელი, გინა სხუამ რაჲმე, გინა საფასე მოიგოს, ფიცხლად ამხილის და ძლიერად განკანონის. და მრავალგზის გვხილავს, რომელ გინა საბეჭურნი იყვნინან გინა შესამოსელი ანუ თუ კუნკული, ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა შინა“.

ცხადია, სამონასტრო ძმობის წევრები გარეშე სამუშაოებსაც ასრულებდნენ და თუმცა შეზღუდულად, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად ებმებოდნენ პირადი ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი კი ძმობის წევრებს საკუთრივ სამონასტრო შრომაში ეჭირათ. მაგრამ „მონასტერს ყოველი ხელობის წარმომადგენელი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა“. „დიდი მონასტრების რთული მეურნეობა და მრავალრიცხოვან მონაზონთა გაძლიერებული მოთხოვნილება აუცილებელს ხდიდა საერო ხელოსნური შრომის გამოყენებას მონასტრებში. ძმობაში მყოფ ხელოსანთა შრომის გვერდით ჩნდება ერისკაც-დაქირავებულ და მსახურ ხელოსანთა“, „ძმობის გარეშე მყოფ დაქირავებულ „ხელოვანთა“ და „არახელოვანთა“ შრომაც“. ასე, რომ „ზოგ შემთხვევაში მონასტრის წინამძღვარი მისთვის საჭირო ხელობის მქონე მონაზონს სხვაგან შოულობდა დროებით და სათანადო ხელშეკრულებით თავის მონასტერში ამუშავებდა“ (ხელოსნ. წარმ., 59, 62).

ამგვარად, ზოგჯერ სამონასტრო ძმობის წევრიც მუშაობდა ქირით, მაგრამ დაქირავებულ შრომას უფრო ხშირად თვით მონასტერი იყენებდა.

საზოგადოდ, პირადი ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით დაქირავებულად ერთნაირად შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ვითარცა დამქირავებელი, ხელშეკრულებას დებდნენ სხვადასხვაგვარი საზოგადოებანი და დაწესებულებები, რომელნიც ამა თუ იმ სახის მომსახურებას საჭიროებდნენ (ანენკ., 196—197).

XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებულის მიხედვით (სამოქ. სჯულგ., 95), დამქირავებელი შეიძლება იყოს იურიდიული პირი თვით ქალაქის სახითაც კი: „თვითონ ქალაქმა უნდა

ეჭირაოს თავისთვის, რაერთიც სახმარო იქმნების მათთვის, მდივანი და მწერალნი“.

არაგვის საუფლუსწულოსათვის განკუთვნილ კანონებში (მთი-ელთა სამართ., 109) კოლექტიურ დამქირავებლად სოფელი გვევ-ლინება. აქ გათვალისწინებულია „ფასის ყარაული“ და მისი დამ-ქირავებელი — ფასის მძღველი სოფელი.

ერთ-ერთი „პირობის წიგნის“ მიხედვით (სოც. ისტ. დოკ., II, 218—219), შეამხანაგებულებს მათი საერთო საკუთრების ობიექ-ტისათვის — წისქვილისათვის მეწისქვილე ერთობლივად უნდა და-ეჭირავეზინათ. „თუ წისქვილისა წახდეს რამე და გაკეთება გასჭირ-დეს („დასჭირდეს“? — ი. ფ.), წისქვილის შემოსავალი შუადაჲ და-ინარჯოს... თუ მეწისქვილეთ სხვას კაცს ჩავაყენებთ, იმ მეწისქვი-ლეს თუვისი წილი შუადაჲ მიეცეს“.

„მიზდი მუშაკობისაჲ“

იესო ქრისტე შეაგონებდა თავის მოწაფეებს (მათე, თავ. 10, მუხ. 10; ლუკა, თავ. 10, მუხ. 7), რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლი-სა თვისისა“. სახარების ამ ადგილს სიტყვისიტყვით იმეორებებს და-ვით ბატონიშვილი თავისი კანონგანზრახულობის სწორედ იმ მუხლ-ში, რომელიც პირადი ქირავნობის საფუძველზე წარმოშობილ იურიდიულ ურთიერთობებს აწესრიგებს (დ. ბატონიშვი., 0205,55 — მუხლი 28: „მიზდის მიუცემლობისათვის“). „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის ანდერძ-მინაწერში (ქ. ცხ. II, 325) სახარების ხსენებული ადგილი ასეთი სახითაა მოყვანილი: „ღირს არს მიზდი მშრომელისა“.

თვით მონაზვნებიც კი, სხვისი დაკვეთით მუშაობისას, სათანა-დო სასყიდელს იღებდნენ. „როგორც ცნობილია, „სასყიდლით წე-რაჲ“ ხელს არ უშლიდა სულის საქმისათვის ზრუნვას; ამიტომ უსას-ყიდლოდ თითქმის არავინ სწერდა... გ. მთაწმიდელის სიტყვით... თეოდანე ხუცესს, როგორც მონასტერში, ისე მონასტრის გარეთაც უშუშავნია და თავისი ხელობით 1500 დრაჰკანი მოუტრეწია“. ასე-ვე, „მონასტრის მკედელს, ხარაზს და სხვ., თავიანთი მონაგების შეწირვით მონასტერში ლავრის დამაარსებლის თანაბარი ალაპი გა-უჩენიათ“ (ხელოსნ. წარმ., 60—61, 67). 1713 წლის საბუთის მიხედ-ვით (ქართ. სამართ. ძგლ., III, 695), მღვდელ მახარებელს საყდ-რისათვის გადაწერილი წიგნების „ფასში... საკანონოთ დადებულნი მიწა“ ებოძა.

შრომის საზღაური ანუ „მიზლი მუშაკობისაჲ“ (აბულ., 243) პირადი ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი უპნიშვნელოვანესი ვალდებულება იყო. „მორეწა“, ე. ი. „კელფასის აღება“ (საბა, 1, 507) დაქირავებულის უცილობელ უფლებას წარმოადგენდა.

სამართლებრივი დოკუმენტებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ირკვევა, რომ დაქირავებულის ეს უცილობელი უფლება ხშირად ირღვეოდა და საქმე სასამართლომდე მიდიოდა. ჩანს, დაქირავებულს არც ისე იშვიათად ეუბნებოდნენ უარს კუთვნილი გასამრჯელოს მიცემაზე. მაგალითად, ერთ დოკუმენტში, რომელიც მდივანბეგთა სასამართლო უწყებაში 1756 წლის 6 თვის (ივნისი-ნოემბერი) მანძილზე შესული საჩივრების ნუსხას წარმოადგენს, ჯამაგირის თაობაზე საქმის აღძვრის 4 შემთხვევაა აღნუსხული (სამდივანბ. სასამ. მას., 28—43): № 1 („ივ[ა]ნემა დიღმელს კაცს ჯ[ა]მაგირი უჩივლა... იას[ა]ული დოლენჯ[ი]სშვილი. სამს მინალთუნ[ა]თ გად[ა]წყდა“); № 9 (დაბალებმა „ჯამაგირი იჩივლეს. ზოგი მოგვეცესო და ზოგი დარჩა. ამის იას[ა]ული ციცისშვილი[ი] ციცი“); № 118 („თეზიკისშვილმან არუთენმა ძამასშვილს ჯ[ა]მაგირი უჩივლა გ(?) ამთენი. იას[ა]ული ავალისშვილი ლუარსაბ“); № 165 („მეძროხემ შერმაზ[ა]ნ[ა]მ მოქალაქეს გასპარას ჯ[ა]მაგირი უჩივლა ძროხებ[ი]. ამის იას[ა]ული ყავაჩი გიორგი“).

ზემომოყვანილი მასალები საყურადღებოა აგრეთვე პირადი ქირავნობის საზღაურის აღმნიშვნელ ტერმინთა მრავალფეროვნობის გამოვლენის თვალსაზრისით. სახელდობრ, „მიზლსა“ და „ქირასთან“ ერთად მომსახურების საზღაურის მნიშვნელობით ძირითადად იხმარებოდა: „სარეწავი“ (საბა, II, 52 — „ს ა რ ე წ ა ვ ი... კელფასი“); „გ ა ს ა მ რ ჯ ე ლ ო“ (ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 229-ე მუხლში — „ვინც ვინმე გავზავნოს სადმე... გასამრჯელოს სთხოვს და გამოართმევს“); „ხ ე ლ ფ ა ს ი“ (ეკონ. ისტ. მას., I, 40 — „ოთახს პატარა დერეფანი მოვადგი. ამისი ხისა, კალატოზისა სამუშაო, სმაჟამა, მუშის ხელფასი“. სამართლის წიგნთაგან აღნიშნული ტერმინი გვხვდება ნათარგმნ ძეგლებში — ბერძნულის 344 და სომხურის 391 მუხლებში); „ჯ ა მ ა გ ი რ ი“ (ფაქტობრივი მასალა იხ. ალახან დამოწმებული საჩივრების ნუსხაში); „როჭიკი“ (ოთხთ. სიმფ., 491; დ. ბატონიშვი., 55, 266; ძვ. აღთქმ. აპოკრ., 458 — „როჭიკი... ჯამაგირი“).

ჯამაგირი (ფულადი) აღინიშნებოდა აგრეთვე ტერმინით „როჭი“ (აქედან — როჭის სპა ანუ დაქირავებული ჯარი). ამის შესა-

ბამისად, ჯამაგირის დანიშვნა-მიცემას „გაროქვა-ა“ ეწოდებოდა (პეტრიწონ. ტიპიკ., 197 — „გაიროქნეს მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერსა, რომელთა დავასმევეინეთ ვენაჲი“).

დაქირავებულის გასამრჯელოს აღმნიშვნელ ძველ ქართულ ტერმინთაგან ერთ-ერთ გავრცელებულსა და მნიშვნელოვანს „სასყიდელი“ წარმოადგენდა (სინ. მრავალთ., 217 — „სასყიდელი... გასამრჯელო, ჯილო, ხელფასი“; ძვ. აღთქმ. აპოკრიფ., 61 — „მისცეს სასყიდელი გალატოზთა და ხუროთა, და როქიკი მათი“). გვიანფეოდალური პერიოდიდან, როგორც უკვე ითქვა. პირველობა თანდათანობით „ქირამ“ მოიპოვა. ამას, სხვათა შორის, თვალნათლივ ადასტურებს საყოფაცხოვრებო სიტყვათხმარებაში ფართოდ გავრცელებული „ფეხის ქირა“ (საქ. სიძვ., I, 82; განმარტ. ლექსიკ., VII, 328), რომელიც რისამე მოგვარების, მისვლა-მოსვლის გასამრჯელოს მნიშვნელობით იხმარება.

რაც შეეხება დაქირავებულის შრომის საზღაურის ოდენობას, მასზე აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლში არაფერია ნათქვამი. გასამრჯელოს განსაზღვრის ნორმალური გზა კერძო მოლაპარაკებაა და საზღაურის სიდიდეც სწორედ მხარეთა შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული.

არ იყო გამორიცხული, რომ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საზღაური საცილო გამხდარიყო. ამას გვიჩვენებს, მაგალითად, მეფე ერეკლე II-ის 1790 წლის წერილი მიშკარბაშ იოსებისადმი (საქ. სიძვ., III, 56—57); „მელიქს რომ მუშა გამოეგზავნა, მოვიდნენ აქა, შუადღემდის ჩიჩქნეს, მაგრამ შვდი შაურის მიცემა მე არ შემეძლო, დავითხოვე და წამოვიდნენ. არც ასწავებისათვის მითხოვნია მუშა, ჩემის სარქრიდამ უნდა მისცემოდა სამუშაო, მაგრან ძერი იყო და ისევ დავითხოვეთ“.

მომსახურების ქირავნობის საზღაურის ოდენობა სამუშაოსთან შეფარდებით განისაზღვრება, თუმცა სახარებაში (მათე, XX, 1—16) საწინააღმდეგო თვალსაზრისია გატარებული. მათე მახარებელს მოჰყავს იესოს მონათხრობი, თუ როგორ დაიქირავა „უფალმან სავენაჯისამან“ ხალხი ვენახში სამუშაოდ. ვენახის პატრონი მუშათა ცალკეულ ჯგუფებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოურიგდა. პირველი ჯგუფის მუშებს „აღუთქუა... სასყიდელი თითოეულსა ღრპკანი დღესა შინა“, ხოლო სხვებს — „რად-იგი იყოს სამართალი“. დაქირავებულებმა მუშაობა დაიწყეს სხვადასხვა დროს — „განთიად“ (პირველმა ჯგუფმა). „მესამესა ჟამსა“, „მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა“ და „მეათერთმეტესა ჟამსა“. ასე, რომ

„უკანადასკნელთა მათ ერთი ხოლო უამი დაყვეს“ სამუშაოზე. დამქირავებელმა კი ყველას თანაბარი სასყიდელი — თითო დრაპკანი გადაუხადა. ამის გამო „დრტუნიდეს სახლისა უფლისა“ მიმართ პირველი ჯგუფის მუშები, რომელთაც იტვირთეს მთელი დღის „სიმძიმე... და სიცხე“.

სახარების ამ ეპიზოდში, რომლის დანიშნულებაა ადამიანის შურიანობის მხილება-გაკიცხვა („თული... ბოროტ არს“), ფორმალურ-იურიდიულად ყველაფერი რიგზეა — დაცულია პირადი ქირავნობის მხარეთა თავისუფალი შეთანხმების პრინციპი და ხელშეკრულებას დადებისას დათქმული პირობები. მაგრამ ამგვარი პირადი ქირავნობა არ შეესაბამებოდა ცხოვრებისეულ მოთხოვნებს და ამიტომ მას პრაქტიკულად გავრცელებაც არ ეწერა.

მხოლოდ გომის სამართლის ქართული ვერსიის 387-ე მუხლის მიხედვით, „მუშისა და მოჯამაგირისა დროზე დკი-დია, ზოგჯერ ძვირად დაიჭერენ და ზოგჯერ იაფად. და რასაც შეპირდენ, უნდა მისცენ. და მიმგზავსებით ადგილასათ იქნას ყოველი“. ასევე, 388-ე მუხლის თანახმად, მეცხვარენი და მეველენი „ჩვეულებით ქუეყნისა, სხვადასხვითა ფასითა... გარიგებულან“.

ხსენებული სამართლის წიგნის 391-ე მუხლი ხელოსნებს, სხვათა შორის, ავალდებულებს, რომ მათ „ფასშიაც არ... დაატყუნონ“ დამქირავებლები. თავის მხრივ, დამქირავებელსაც, ცხადია, ზომიერება და სამართლიანობა მოეთხოვება. ფილოსოფიურ-დიდაქტიკური შინაარსის ძველ ქართულ კრებულში (სწავლ. და სიბრძნ., 70) მოყვანილია არისტოტელეს გამონათქვამი, რომ „მუშაქა სასყიდელსა ნუ დააკლებ, რათა არა უწყალოდ შეირაცხო“ (მდრ. აბულ. 273: გელათის ბიბლია, წიგნი მეორე შჯულისა — „არა დააკლო სასყიდელსა დავრდომილისა და მოქენისასა“; ბაქარის ბიბლია — „ნუ მოპხუეჲ სასყიდელსა მორეწესა, უპოვარსა მას და ნაკლულევანსა“). ამგვარი შეგონებანი გაპირობებულა პირადი ქირავნობის მანკიერი მოვლენების გავრცელებულობით და მიმართულია უმართებულო სახელშეკრულებო პრაქტიკის წინააღმდეგ.

მუშის დღიურ ფასად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 130-ე მუხლის მიხედვით 5 კაპიკი ივარაუდება: „დღეში მუშა ერთ შაურად იმუშავენს“. გიორგი მთაწმიდელის ერთ-ერთი ნათარგმნი ძეგლის დანართიდან ირკვევა, რომ იმ დროისათვის „ივერთა მონასტერს ოცი მუშა ჰყოლია“ და „ერისკაც მუშაკს წელიწადში 7 დრაპკანი ეძლეოდა“. მთლიანად კომონასტერი „წელიწადში „საერო

მუშაკთა“ გასამრჯელოდ 140 დრაჰკანს ხარჯავდა“ (ხელოსნ. წარმ., 4, 73—74. დრაჰკანი ოთხგრამიანი ოქროს ფული იყო — ოთხთ. სიჭმ., 146).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბაბილონის მეფის ხაშურაბის კანონებით (კეჩიკ., 140; ძვ. აღმ. სამართ., 59) „ხელოსანთა მთელი რიგი კატეგორიებისათვის წესდება მათი შრომის საფასურის ნიხრი. ამ ნიხრს ფაქტიურად არ იცავენ, და წელიწადში 9—11 სიკლის ნაცვლად, რაც კანონით გათვალისწინებულია, მუშაკებს ქირაობენ 6—7 სიკლად“ (დაქირავებულ მუშაკთა — მიწის მთხრელის, მკერავის, ქვისმკრელის, მკედლის, დერგლის, მეტყავის, ხუროსა და ვშენებლის ქირა განსაზღვრულია ხაშურაბის კანონების 274 მუხლში).

ქირის ოდენობა, ჩვეულებრივ, ფულით გაიზომებოდა, რაც ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნის 130-ე მუხლიდან. ფული, ცხადია, ქირის გადახდის საშუალებასაც წარმოადგენდა. „თაშტი, ხაქანდაზი, ქვაბი და სინა მზათ არის, — ნათქვამია ოანეზას წერილში — დარეჯან დედოფლისადმი (საქ. სიძვ., III, 330), — ორი მინალთენი მოსაკალავად მიეე“.

საერთოდ, ქირის გადახდის საშუალებასაც მხარეები თვითონ განსაზღვრავდნენ. კანონი არ ზღუდავდა მათ საზღაურის სახეობის შერჩევას მხრივ. პირადი ქირაუნობის ამსახველ მასალებში ანაზღაურების ფორმებისა და საშუალებების დიდი სხვადასხვაობა ვლინდება (დისტურლო, VI, 125).

ქართული სამართლის მიხედვითაც ასეთივე ვითარება დასტურდება. XVIII საუკუნის I მეოთხედის განჩინების მიხედვით, „რასაც ჭამა გირს დაჰპირებია, მთლია მისცეს: ორი მარჩილი, ორი კოკაღვინო, ორი კოდოპური, ერთი ცხვარი და ერთი ბატკანი“ (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 314). „ახ(ა)ლდაბელის ჭამგარი მმართვეს ა, — წერდა ნიკოლოზ თუმანიშვილი თავის ანდერძის წიგნში 1800 წლის ახლო ხანებში (უჩანეიშვ., 137—138), — მე მიმიცია ამ ერთს თუმანში: ღვინო თუნგი იე, ფასი ცრ; ლეინი გადასახურავათ გამოართო თუთუნაშვილს ჩე(მ) მაგიერ, ფასი მე მივე ჩს; შარშანდელი ქერის ღალა ოთხი კოდი, ფასი ჩქ; წლევეანდელი ქერის ღალა კოდი ორი, ფასი ამისი ქ; დამედება ამ ანგარიშით წლ“.

საზღაურის გადახდა დაქირავებულის შრომის შედეგად მიღებული მოსავლის, მისი ნამუშავევის ნაწილითაც შეიძლებოდა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით (დასტურლ., 506, 569),

„თუ უცხო მუშა მომკის, თერთმეტის თავს ძნას აიღებს მუშა“. იგივე ძეგლი აღგენს, რომ „მოხარშული ძროხიღამ... თვითო კანკი — ქვაბის აწწევს მუშას“.

მწყენის საზღაურის სახეობა, ჩვეულებრივ, მისი სამწყსოს რაგვარობაზე იყო დამოკიდებული. 1756 წლის დოკუმენტიდან (საძღივანბ. სასამ. მას., 39) ჩანს, რომ მეძროხე გასამრჯელოდ ძროხას ღებულობდა: „მეძროხემ... ჯ[ა]მაგირი უჩივლა ძროხე-ბ[ი]“.

მეცხვარის გასამრჯელოს ცხვარი წარმოადგენდა. ამასთანავე, „ტანსაცმელ-ფეხსამოსი და ქამა-სპა ფარის პატრონისა იყო“ (სხვისშვილ. შინ., 59). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰომეროსის ეპოქაში დაქირავებული შრომის საზღაურს უმეტესწილად მხოლოდ საკვები და ტანსაცმელი შეადგენდა (შულინი, 384).

დაქირავებულის ვალდებულება, რომ ხელშეკრულებითა თუ ჩვეულებით განსაზღვრულ შემთხვევებში უზრუნველყო დაქირავებული ბინით, ტანსაცმლითა და სასმელ-საჭმლით, ცნობილი იყო სხვადასხვა ხალხის სამართალში (ყეჩეკ., 140; დისტერლო, VI, 124; შერშენ., 177). ასეთი წესი ქართული სინამდვილის ამსახველი დოკუმენტური მასალითაც დასტურდება (სოც. ისტ. დოკ., II, 260; ეკონ. ისტ. მას., I, 39, 78): „უნდა... გემსახუროთ... გმართებდეთ...; იეთრის გარდა ტანისამოსის ფასად წელიწადში ერთი თუ მანი მამცეთ წვრილ-წვრილათ რისთვისაც საჭირო იქნებოდეს, რომ ტანთ და ფეხთ მოვიხმარო“; „ორს დღეს ორმა ოსტატმა იმუშავე კედლის შენებაზე... ოსტატების ხელფასი, სმა-ჰამა“; „ორი ღურგალი ექვსი კვირა ვამუშავე... დღეში ოროლი აბაზი მიძღვია სამუშაო. დღეში ორ თუნგანხევარი ღვინო პურსა და ხორცს გარდა“.

დაქირავებულის გასამრჯელო, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლებოდა დღიურად განსაზღვრულიყო, ან ერთობლივად გადაეწყვიტათ. იმ შემთხვევაში, როდესაც მთელი მომსახურების საზღაური ერთიანად გადაწყდებოდა, სახეზე გვქონდა ფასის ნარდად, ანუ როგორც საბა იტყოდა, „მარდა“-დ განსაზღვრა. მისი განმარტებით (საბა, I, 443), „მარდა ესე არს არა დღითი ფასი, არამედ გარდაკვეთით იმუშაკობა“ („სიტყვის კონის“ ერთ-ერთ ნუსხაშია მუშაკის „მარდათ დაჭერა“).

ჩანს, მომსახურების ფასის „მარდათ“ განსაზღვრის შემთხვე-

ვაში საზღაურის ნაწილს დაქირავებული ადრევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დამთავრებამდეც იღებდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის საძიებლის (ზანდუქის) მიხედვით (პუნქტი 714), შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „კელოსანთა კელში კელ ფასი ექიროს და საკელოსნო მოაპარვინონ ვისმე“. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 344-ე მუხლის თანახმადაც, უკეთუ ხელოსანმა საქმე „ნახევარზედ გაუშვას“, მას უნდა გამოერთვას „თუ რამ კელ ფასი აეღოს“.

ანგარიშსწორება და ხელშეკრულების შორის საკითხი

დაქირავებულთ, ცხადია, ისტუმრებდა დამქირავებელი — იქნებოდა იგი ფიზიკური პირი თუ სახელმწიფოებრივი, რელიგიური ან სხვაგვარი დაწესებულება და ორგანიზაცია.

ამასთან დაკავშირებით ეკლესია-მონასტრების თაობაზე უნდა ითქვას, რომ მათი მშენებლობა, განსაკუთრებით სამონასტრო კოლონიზაციის პერიოდში, ქველმოქმედებითი სახსრებით ხორციელდებოდა და როდესაც საჭირო ხდებოდა დაქირავებული შრომის გამოყენება, ქირავნობის ხარჯებსაც იმავე საშუალებებით ანაზღაურებდნენ. რელიგიის მსახურნი საეკლესიო-სამონასტრო სახსრების შეგროვებასა და მშენებლობის ხარჯების დაფარვას, სახელდობრ კი დაქირავებულთა გაატანვას ფანტასტიკურ-სარწმუნოებრივ სამოსელში ხვევდნენ: „იწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისაებრ მამისა სერაპიონისა და ნურარას ზრუნავ წარსაგებელთათვის, რამეთუ ჩუენებით მეუწყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ევლოგია[ა] იგი, რომელ მოილო კაცმან მან, იგი დამარხულ არს ქუეშე კერძო ჟუარიისა, (რომელი იყო თავით კერძო წმიდისა მის), აღმოიდეთ იგი და მიეცით ყოველთა მუშაკთა“. ასე ისტუმრებდნენ, ბასილი ზარზმელის სატყვით, „სიმრავლესა მუშაკათასა“. მას შეძლევატ, რაც „დაილია საფასე“, „დაილია ოქრო[ა] იგი კაცი-სა[ა] მის“, „მადლი წმიდისა[ა] მარადის მოსცემდის წარსაგებელთა, რამეთუ სახედ მდინარისა შემოსლიოდეს საკმარნი“ (აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ., I, 344—345).

რაც შეეხება საეკლესიო-სამონასტრო სამუშაოებზე დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებას შემდგომ პერიოდში, იგი ძირითა-

დად თვით ეკლესია-მონასტრების შემოსავლის ხარჯზე ხორციელდებოდა.

მომსახურების ქირავნობაზე გაწეული ხარჯები ზოგჯერ მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა. ხშირად ხდებოდა, რომ ხარჯის გამწვი მხარე მას, ისევე როგორც სხვა დანახარჯებს, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა-მოწესრიგების მიზნით თავისთვის საგანგებოდაც აღნუსხავდა. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სხვადასხვაგვარი შენობის, კერძოდ კი სახლის მშენებლობის დანახარჯთა ნუსხების შედგენა. ასეთ ნუსხებში, ცხადია, პირადი ქირავნობის ხაზით გაწეული ხარჯებიც აისახებოდა ხოლმე. სანიმუშოდ შეიძლება აღინიშნოს გორჯასპ ზღვიანის დავთარი. მისი შედგენა გორჯასპის 1751 წელს დაუწყია თავისი სასახლის შენებასთან დაკავშირებით (ეკონ. ისტ. მას., I, 6—25).

პირადი ქირავნობის ზოგი სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურება აუცილებელს ხდიდა, რომ ანგარიშსწორება განსაზღვრული წესის დაცვით წარმართულიყო.

თავისებურად ხდებოდა, კერძოდ, ე. წ. „ფასის ყარაულის“ გასტუმრება. ვინაიდან „ფასის ყარაული“ ქვეყნის თავდაცვის ამოცანებს ემსახურებოდა, ყარაულებში დაყენება-გასტუმრების საქმეც სახელმწიფო ხელისუფლების მზრუნველობის საგანს შეადგენდა. საზღაურს იხდიდა იმ ადგილის მოსახლეობა, სადაც დაქირავებული ყარაულები იდგნენ. ზოგადი წესი ისეთი იყო, რომ „საყარაულო“ თანხა უნდა აეკრიფა და დაერიგებინა მას, ვინც ყარაულებს დააყენებდა: „როგორც მისი უქაღლესობის... ოქმი გაქვსთ ყარაულების დაყენებისა, ყველგან ისე უნდა დააყენებდეთ და ბეციავე, ჭავახიანთ ყარაულს შენ უნდა აუკრეფდე საყარაულოსა და მისცემდე და თეიმურაზ, თარხნიანთ ყარაულებს შენ აუკრეფდე საყარაულოსა და მისცემდე“ (სოც. ისტ. დოკ., II, 180). ზოგჯერ კი „საყარაულო“ მამასახლისებს ბარდებოდა: „მოგვებარა ჩვენ, ქარელის მამასახლისებს... ქარელის საყარაულო ოთხი თუმანი თეთრი... მინბაშის ხელითა“ (ეკონ. ისტ. მას., III, 140). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ყარაულები თავიანთ გასამრჯელოს მამასახლისებისგანვე მიიღებდნენ.

დაქირავებულს გასამრჯელო დამქირავებლის სამსახურში მყოფი და სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ხელითაც მიეცემოდა. „1777 წ. შემოდგომაზე დუშეთში ააშენეს ბატონიშვილის სასახლე (ლეონისა), აქ ნასყიდა კალატოზს უმუშავნია ერთი შაგირდით — სამოცი დღე, აქედგან 30 დღე შაგირ-

დით, 30 დღე უშაგირდოთ უმუშავნია. ამ სამოცი დღის სამუშაო სრულებით მიუღია ნასყიდას მანუჩარ მდივნისაგან 22 მან. 50 კ.“ (ხელნაწ. აღწ., VI, 55—56).

მონასტრებში მიღებული წესით (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 53—54), „სამეურნეო სამუშაოსთვის მუშათა დაქირავება და მათი ხელფასის გასტუმრებაც... იკონომოსის უფლება-მოვალეობას შეადგენდა“.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ჩვეულებრივი თუ არა, გამოირიცხული მაინც არ იქნებოდა, რომ ანგარიშსწორება წერილობითი სახით გაეფორმებინათ.

გასამრჩელოს ჩაბარების წერილობით გაფორმება ზოგჯერ სავალდებულოდაც მიიჩნეოდა. ასე იყო, კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც დაქირავებული შრომის საზღაურს მოხელე გასცემდა და მას, თავის მხრივ, მოეთხოვებოდა ანგარიშსწორების საბუთის დანიშნულებისამებრ წარდგენა. „მდივნის შვილო მანუჩარ, — წერს ლეონ ბატონიშვილი 1777 წლის საბუთში, — დურგალს არაქელას თავის შაგარჯით ათის დღის სამუშაო ოთხი მინალთუნი და ათი შაური მოკ... რომ მისცე, ყაბზი მოაწერინე“ (ეკონ. ისტ. მას., I, 58). ამ მხრივ უფრო საინტერესოა 1794 წლის დოკუმენტი (სოც. ისტ. დოკ., II, 174). წინა საბუთში „მდივნის შვილობათ“ მოხსენიებულ და აწ მდივან მანუჩარს ერეკლე II-ის ბრძანებით ევალება „კაცის თავს სამი შაური“ გასცეს 724 მუშისათვის, რომელთაც „ივრის არხზე სარქარდების სამის ნუსხით... უმუშავნიათ“: „ჩამი იქნება ათი თუმანი, რვა მინალთუნი და სამი აბაზი... რომ მისცე ყაბზი მოაწერინე“. აქვეა საქმის აღსრულების აღნიშვნაც — „ამ ბარათის თეთრი ბატონის ბრძანებით ჩემის ხელით არხის მუშებრისათვის მიეცათ, ვინც მელიქ მინასას ნუსხები მოიტანა... ამასი ოთხი თუმანი შავი ფული მიეცა“. საყურადღებოა, რომ ეს წარწერა ერეკლე მეფის ბეკდითაა დამოწმებულ-დადასტურებული.

ამ საბუთში მოხსენიებული „ნუსხის“ მნიშვნელობა სცილდება ანგარიშსწორების ფარგლებს. იგი უფრო ფართო დანიშნულებისა უნდა იყოს. სახელდობრ, ასეთი ნუსხა თვით პირადი ქირავნობის ხელშეკრულების ერთგვარი ფორმის სახითაც წარმოგვიდგება. იგი, ჩანს, აფორმებდა მუშაკთა დიდი კოლექტივის დაქირავებას განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად და არა მარტო ანგარიშსწორება, არამედ მუშაობაც სწორედ მის საფუძველზე წარიმართებოდა. ამას უნდა ადასტურებდეს საბუთის ის ადგილი, სადაც

აღნიშნულია, რომ იმ 724 კაცს არხზე „სამის ნ უ ს ხ ი თ... უ მ უ-
შ ა ვ ნ ი ა თ“.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე ძვე-
ლი ქართული სამართლის წიგნებში რაიმე დადგენილებას ვერ ვპო-
ულობთ.

მხოლოდ ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 344-ე
მუხლშია საგანგებოდ აღძრული მომსახურების ქირავნობის ხელ-
შეკრულების ფორმის საკითხი და ისიც ერთ კერძო, საგანგებო
შემთხვევასთან დაკავშირებით. საქმე ეხება ისეთ ვითარებას, რო-
დესაც „ველით მოქმედნი კალატონნი, ხურონი, ფეიქარნი, მკერ-
ვალნი და სხვანი ესევითარნი კელოსანი“ რაიმე „საქმესა აიღებენ
გასაკეთებლად“, იმუშავენ კიდევ, მაგრამ მოხდება ისე, რომ დამ-
ქირავებელს „მასალა დააკლდეს, არა ქონდეს, რომ გააკეთებინოს,
და იმ კელოსანს სხვა სამუშაო აუჩნდეს და ის კაცი ამას ეუბნე-
ბოდეს, დღეს-ხვალ შემამიცადე, ვიშოვნი და გავათაოთო“. ასეთ
შეძახვევაში „იმ ოსტატმა, — ამბობს კანონმდებელი, — სანამ-
ღი იმ ალაგის მოურავთან ერთი ასეთი კაცი არ მოიყუან-
ოს, რომე ესეები ყველა უმოწმოს, და ოსტატმაც მოურავს
ეს მოაკსენოს, ღარბნი კაცი ვართ, ჩვენის ველით უნდა დავრჩე-
თო, და მოურავმა გაიგონოს, — რადგან იმას მასალა აღარა აქუს,
დასტური უნდა მოურავმა მისცეს ოსტატსა და
სხვა სამუშაო იმუშაოს“. ამასთან ერთად, ხსენებული
მუხლითვე, „არც მათ (დამქირავებელთ — ი. ფ.) შეუძლია,
რომე უმოურავოდ სხვა ოსტატი მიიყუანონ
სამუშაოდ და გასათავებლად“.

აქ, როგორც ვხედავთ, სახეზე გვაქვს მოწმისა და ადგილობ-
რივი აღმინისტრაციის თანამდებობის პირის ჩარევა პირადი ქირავ-
ნობის სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რათა გაფორმდეს
უკვე მოქმედი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს
დროებითი შეწყვეტა და ამასთან დაკავშირებით მომსახურების
სხვა ხელშეკრულების დადება. მოურავსა და მოწმეს ეკისრებათ
პირადი ქირავნობის ხელშეკრულების ორივე მხარის უფლებათა და-
მატებითი უზრუნველყოფის ფუნქცია.

რამდენადაც კანონი არ განსაზღვრავდა პირადი ქირავნობის
ფორმას და სავალდებულოდ არ მიიჩნევდა მხარეთა ურთიერთო-
ბის წერილობით ჩამოყალიბებას, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელშეკ-
რულება, როგორც წესი, სიტყვიერად დაიდებოდა.

ასეთივე წესი იყო მიღებული სხვა ხალხთა სამართალშიც. რუ-

სული ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც, მაგალითად, პირადი ქირავნობა ჩვეულებრივ სიტყვიერად იდებოდა, თანაც მოწმეთა მონაწილეობაც კი არ იყო აუცილებელი (პანბ., 185). ცხადია, გამორიცხული არ იყო ხელშეკრულების წერილობითი გაფორმება, თუკი ამას მხარეები მოისურვებდნენ, მეტადრე, სახელშეკრულებო-ურიერთობათა გამაგრება-განმტკიცებისა და აგრეთვე თავიანთი უფლება-მოვალეობების უფრო ნათლად გარკვევა-ჩამოყალიბების-თვისაა.

ხელშეკრულების წერილობითი ფორმის საიმედოობა, მეტადრე დაქირავებულის ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, კარგად ჩანს 1797 წლის წერილიდან, რომელიც რატომღაც 1719 წლის განჩინების წიგნის მეორე გვერდზე ყოფილა მიწერილი (საქ. სრძ., I, 81—82): „წყალობას ვითხოვ... ცხენი გარიგე, ამა გზობათ გამომიგზავნე, რომ ქვეითი გახლავარ... ახლავ გარიგო და ერთი კაცს გამოატანო, ფენის ქირაც მივცემ, აქ ვინც ცხენს მომიტანს, ბარათს მივაბარებ, ბარათის პირიც ამ წიგნში ჩაპიდვია, წაიკითხე, თუ როგორ დაუწერე“. ამგვარად, დაქირავებული მონახურების საზღაურის გადახდის ვალდებულებას წინასწარაც კი აუღიბებს წერილობით, რათა დამაჯერებლობა შემატოს თავის სიტყვას, დააიმედოს და წაახლისოს მომავალი კონტრაქტით.

პირადი ქირავნობის წერილობითი ხელშეკრულების რაობის გასათვალისწინებლად საყურადღებოა ერთი გვიანიდელი, 1830 წლის 10 დეკემბრის, საბუთი, რომელიც სასესხო ვალდებულების საფუძველზე წარმოშობილი მომსახურების პირობას წარმოადგენს (სოც. ისტ. დოკ., II, 260). იგი ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით არაერთხელაა დამოწმებული და საჭიროებისამებრ განხილულიც წინამდებარე ნაკვეთში. იმის გამო, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა სესხის ნიადაგზე არის აღმოცენებული, საბუთი დებიტორის სახელითაა გაცემული. ხელშეკრულებაშიც ძირითადად მოვალის ვალდებულებებია აღწერილი და მოწმეებიც მასვე ადასტურებენ. არსებული წესის მიხედვით, სავალო საბუთში, რომელსაც შეადგენდა მდივანი, მწერალი თუ სხვა ვინმე ან თვითონ მოვალე, ამ უკანასკნელს უსათუოდ გამოკვეთით უნდა დაედასტურებინა თავისი ვინაობა და ვალდებულებანი, რაც დებიტორის წიგნიერებისას დოკუმენტზე ხელის მოწერითა და ამისი საგანგებო აღნიშვნით გამოიხატებოდა („ეს ჩემი ხელია“).

მომსახურების ქირავნობა რომის სამართლის მიხედვით (ნო-ვიცი, 229) შეიძლებოდა დადებულიყო ზუსტად განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ვადის აღუნიშვნელობის შემთხვევაში თითოეულ მხარეს შეეძლო გაეფრთხილებინა კონტრაქტი და ნე-ბისნიერ დროს ეთქვა უარი ხელშეკრულებაზე.

საზოგადოდ, პირადი ქირავნობა ვადიან ხელშეკრულებას წარ-მოადგენს. დროის ამა თუ იმ მონაკვეთით ან სხვა რაიმე პირობით განსაზღვრული ვადა პირადი ქირავნობის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა, ვთქვათ, თუნდაც იმ მხრივ, რომ მის გასვლამდე კონტრაქტები არ არიან უფლებამო-სილნი თავი აარიდონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (პაპი., 189).

რეკლუციამდელ რუსულ სამართალში მომსახურების ქირა-ვნობის ვადა ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრებო-და, მაგრამ არ შეიძლებოდა, რომ იგი ხუთ წელზე მეტი ყოფი-ლიყო. ასეთი წესი ძველი დროიდან მომდინარეობდა (ბუდანოვი, 625). ხუთწლიანი ვადის დანიშნულება იყო ადამიანის დაყმევების თავიდან აცილება (შერშენ., 176—177): სხვისი მომსახურებით სარგებლობა დროებითი უნდა იყოს; ადამიანის ძალ-ღონის უვა-ლოდ გამოყენება მონობის დამყარება იქნებოდა; სწორედ ამიტო-მაა, რომ კანონმდებელი არა მარტო ცნობს პირადი ქირავნობის დროებითობას, არამედ პირდაპირაც აწესებს უკანასკნელ ვადას 5 წლის სახით.

ქართული სამართლის წიგნებში პირადი ქირავნობის უკანას-კნელი ვადის შესახები რაიმე ცნობა არა ჩანს. მომსახურების ქი-რავნობის მაქსიმალური ვადის დაუწესებლობა კანონმდებლობის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ვითარებაში პი-რადი ქირავნობის ხელშეკრულება ძალზე დიდხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, რაც დაქირავებულის სოციალური მდგომარე-ობის დამძიმებას იწვევდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ მოჭამაგირე პიროვნულად საკმაოდ მტკიცედ და ლამის ყმასავით იყო დამოკიდებული დამქირავებელ-ზე. ეს არსებითად გაპირობებული იყო დროის ფაქტორით — მო-ჭამაგირეობა, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი ურთიერთობის სახეს იღებდა და დამქირავებელი დროთა განმავლობაში დაქირავებულის ფაქტობრივ მებატონედ იქცეოდა.

მწყემსის ქირავნობა, მაგალითად, შეიძლება 20 წლამდეც გაგრძელებულიყო. მწყემს-სხვისშვილს ოციოდე წელი სჭირდებოდა, რომ მოჯამაგირეობით ნაშოვნ ქონებას იგი ფეხზე დაეყენებინა და საკუთარ მეურნეობას მოჰკიდებოდა (სხვისშვილ. შინ., 58—59). მართალია, ვისიმე ხანგრძლივი მოჯამაგირეობა და ქირავნობის კონკრეტული ხელშეკრულების ხანგრძლივობა სხვადასხვა რამაა (ამა თუ იმ მუშაკის დამქირავებელი ყოველთვის ერთი და იგივე პირი არ იქნებოდა), მაგრამ მათი ურთიერთდაძმბთევეა, ცხადია, არ გამოირიცხებოდა და პრაქტიკაში სწორედ ასეთი ვითარება უფრო იყო მოსალოდნელი. ასე, რომ მწყემსად, აგრეთვე ზოგი სხვა სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებულნი „დიდი ხანი იყვნენ“ (სოც. ისტ. დოკ., II, 200) დამქირავებელთა განკარგულებაში.

მომსახურების მაქსიმალური ხანგრძლივობის განუსაზღვრელობასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული სჯულმდებლობის ძეგლებში საერთოდ არ გვხვდება მითითება პირადი ქირავნობის ვადის თაობაზე. აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლი, რომელიც ერთობლივად აწესრიგებს ქონებრივსა და პირად ქირავნობას, მარტო პირველი აშთგანის ვადას ეხება. აქ საჩედრის ქირავნობასთან დაკავშირებით ლაპარაკია ისეთ ვითარებაზე, როდესაც დამქირავებელი „გარდაჯდება“ „ბორჯალს“ ანუ ვადას, რომელიც, ჩანს, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრებოდა. ასეთივე მდგომარეობაათან, ე. ი. კონტრაქტთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადასთან გვქონდა საქმე პირადი ქირავნობის შემთხვევაშიც. თანაც მხარეებს ნებისმიერი ვადის დათქმა შეეძლოთ. საბას განმარტებით, მაგალითად, მოჯამაგირე არის „ვერცხლით დიდგინებული მოსამსახურე რას(ა)ც ხანს“ (საბა, I, 520).

მომსახურების ქირავნობის ვადა სხვადასხვაგვარად განისაზღვრებოდა.

ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ვადის განსაზღვრადროის ამა თუ იმ მონაკვეთით: „თქვენგნით ავიღე ოცდაოთხი თუმანი თეთრი ფული, რომ ამ ხსენებულს თეთრშია უნდა ოთხი წელიწადი... გემსახუროთ“ (სოც. ისტ. დოკ., II, 260).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო თუ მომსახურება ზოგჯერ სეზონური ხასიათისა იყო და ვადაც ამის შესაბამისად განისაზღვრებოდა. ავიღოთ, მაგალითად, საქონლის გაბარება ზამთარში გამოსაყვებად. სვანეთის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით (ნიქარ., 117,124), „ცხენას გაკვება მთელს ზამთარს ღირ-

და სამი „ლერქვაში“ (ავტორისავე განმარტებით: საწყაფი დოქის სახელია, ერთი „ვერმუტის ბოთლის“ ტევადობისაა და ფულის ანგარიშზე ღირს 1 მანეთი — ი. ფ.); ხარისა და ძროხის თვითუფლად — ერთი „ლერქვაში“... წვრილ პირუტყვის გაკვება ღირს „ჩათლაში“ („ქალამნის საღირალი“ — 20 კაპ.); ცხვარს ერთის მის ნაპარსისათვისაც გაკვებავენ. გაკვების შუა ვადად მიღებულია ორი თებერვალი“ (ხაზგასმა ჩვენია — ი. ფ.)

საქვე სეზონურად ხდებოდა ბალის საქმეზე დაქირავებაც: „რაც გაღმა ქალის ბაღები იყოს, ან ბატონის ყმისა, ან გაცემულის კაცის, ნასყიდი თუ უსყიდი, ბალის პატრონმა ქალაქს ჩვენის დიდის ბალისათვის ოთხი კარგი მეზღე თავის ულუფით და ჯამაგირით ყოველს წელიწადს უნდა დაგვიჭირონ და ჩვენის ბალისათვის აყურებინონ“ (დასტურლ., 546).

დაქირავებული და დამქირავებელი შეიძლებოდა შეთანხმებულიყვნენ დღიურ ან ნარდად მუშაობაზე: „როგორც რომ შერიგდენ. ნარდათ თუ დღით“ („სამართალი სომხური“, მუხ. 391). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუყის 710 პუნქტიც ანეთსავე ჟრთიერობას ითვალისწინებს — „ველოჰანთა რას დროს იველოსნონ, რასაც ფერზე ნარდათ თუ დღით... გააკეთონ“.

დავით ბატონიშვილის სამართალით გათვალისწინებულია „ველოსანთა, დღე და დღე დაჭერილთა“ „მუშაკობა“ (დ. ბატონიშვ., 216). დღიურად მუშაობის შემთხვევები ბლომადაა მოყვანილი გორჯასპ მდივნის დავთრებში (ეკონ. ისტ. მას., I, 6—25, 29—44). მაგალითად, მშენებლობაზე ქირით მუშაობდნენ: „7 მარტს მუშა — 14“; „8 მარტს კალატოზი — 1, მუშა — 9, ხურო — 3“; „9 მარტს — მუშა 8, კალატოზი — 2, ხურო — 1“.

ნარდად დაქირავების დროს („უკეთუ შერიგდენ ნარდად“ — დ. ბატონიშვ., 144) მუშაობა და, მამსადამე, ანაზღაურებაც დღეების ან დროის რაიმე სხვა მონაკვეთის კვალობაზე კი არა, არამედ ამა თუ იმ სამუშაოს მთლიანად შესრულებით იანგარიშებოდა: „შეიძრე ფარსადანასთან შეურეგდი, რომ ერთი ქურა რიყის ქვით აგვივსოს, ნარდათ მივეცი“ (ეკონ. ისტ. მას., I, 208).

მხარეთა უფლებების უზრუნველყოფა

მონაახურების ქირავნობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებების უზრუნველსაყოფად სხვადასხვაგვარ საშუალებას მიმართავდნენ. საზოგადოდ, უზრუნველყოფის საშუალებანი, რომელთა

მიზანს სახელშეკრულებო ურთიერთობათა განმტკიცება წარმოადგენდა, გათვალისწინებული იყო სამართლით. ამასთან ერთად, ისინი მხარეთა თაოსნობითაც შეიძლებოდა დაწესებულიყო.

განიჩრევა დაქირავებულისა და დამქირავებლის უფლებათა უზრუნველყოფის საშუალებანი (დისტერლო, V, 18—25). ასეთი დაყოფა ერთგვარად პირობითი ხასიათისაა, რამდენადაც ზოგიერთი საშუალება მომსახურების რაგვარობის კვალობაზე გამოიყენებოდა როგორც დაქირავებულის, ისე დამქირავებლის უფლებათა უზრუნველსაყოფად. მაგალითად, რუსული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით (პახმ., 187), პირადი ქირავნობის დროს ზოგჯერ გაიცემოდა ბე. იგი ადასტურებდა ხელშეკრულების საბოლოოდ დადებას. ბე ქირის ნაწილს წარმოადგენდა და მას ჩვეულებრივ დამქირავებელი აძლევდა დაქირავებულ მუშებს. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ბეს დამქირავებელი კი არა, არამედ დაქირავებული იძლეოდა. კერძოდ, ეტლის დამქირავებისას ბეს შეეტლები აძლევდნენ ხოლმე დამქირავებლებს.

მომსახურების საზღაურის მიღების უფლებას ხშირად უზრუნველყოფდნენ იმით, რომ დაქირავებულს წინასწარ ეძლეოდა შეპირებული გასამრჩელოს ნაწილი. ზოგჯერ კი იგი წინდაწინ მთელ თავის კუთვნილ საზღაურსაც ლებულობდა.

საზღაურის ურჩ გადამხდელს ქირა ძველ რუსულ სამართალში, მეფე ივანე მრისხანის 1550 წლის სამართლის წიგნის მიხედვით, ორმაგად უნდა გადაეხადა (ვოლკოვი, 93). ასეთივე წესი არის გათვალისწინებული დავით ბატონისშვილის სამართალშიც (დ. ბატონიშვი., 55): „ვინც სამუშაო დაუქიროს ვის და არა მისცეს, ერთისათვის ორითა წარსაგებელითა დასაჯონ“. მაგრამ, ჩანს, ეს იყო სიახლის შემოღების ცდა, რამდენადაც არ მოიძვევება ფაქტობრივი მასალა, რომელიც დაადასტურებდა ხსენებული ნორმის მოქმედებას ძველ ქართულ სინამდვილეში.

სხვადასხვა ხალხის სამართალი დამქირავებლის უფლებათა უზრუნველყოფის განსხვავებულ საშუალებებს ითვალისწინებდა. მაგალითად, ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებით, ისეთი ქორურგიული მკურნალობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ავადმყოფის დაბრმავება ან სიკვდილი, ექიმის მიმართ გამოიყენებოდა დამასახიჩრებელი სხეულებრივი სასჯელი: „უკეთუ ექიმი ბრინჯაოს დანით კაცს გაუკეთებს მძიმე ჭრილს და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, ან კაცს ბრინჯაოს დანით მოაქლის ლიბრს და კაცს დაუზიანებს თვალს, მას თითები უნდა მოსჭრან (კეჩეკ., 142;

დვ. აღმ. სამართ., 54). ივანე მრისხანის სამართლის წიგნის მიხედვით (ვოლკოვი, 93), დამქირავებლის ერთადერთი გარანტია ის იყო, რომ იგი აღარ გასცემდა სახელშეკრულებო საზღაურს, უკეთეს დაქირავებული ვერ იცოცხლებდა ქირავნობის ვადის გასვლაში.

დავით ბატონიშვილის კანონგანზრახულობაში (დ. ბატონიშვ., 216) ვხვდებით ხელოსანთა უპირობისაგან დამქირავებლის დაცვის საკითხის მოწესრიგების ცდას: „თუ ჯელოსანმან ატყუოს და ატაროს კაცი, მაშინ განისაჯოს იგი უსტაბაშმაგან საქმისაებრ — დასაჯონ ჟურემითა მდგმობისამებრ საქმისა“.

დამქირავებლის ინტერესების უზრუნველყოფის მოწესრიგებას ეძღვნება ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 345-ე მუხლი. ოსტატებმა მეორედ უნდა ააშენონ „თავისის ხარჯითა“ „ქუიტიკირით ნაშენობა“ „კედელი და კამარა“, რომელიც 10 წელზე უადრეს დაინგრევა. „ტალახით ნაშენებისათვის“ კი კანონმდებელი ექვსწლიან ვადას აწესებს. დავითის სამართლის 243-ე მუხლითაც (დ. ბატონიშვ., 144), ხელოსანი „არაწესიერ მუშაკობისათვის და უმკვიდროებისა ნამუშავევისა კვალადვე დაიდგინების მუშაკობად, თვინიერ სასყიდლისა“. ხელოსანმა უნდა უზღოს დამქირავებელს გაფუჭებული ნეთის საზღაური, ხოლო „წამხდარი იგი მიეცემისთ ჯელოსანთა“. „სამუშაქოსა თვისისა“ მპარავ ხელოსანთ მსგავსად ქურდთა, მივხდებისთ ერთისათვის შვიდი“ (მღრ. „სამართალი სომხური“, მუხ. 391).

ვახტანგის სამართლის 230-ე მუხლში (ვახტ. სამართ., 109) გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც „ვინ ვისი პირუტყვი საძოვარზე წაიყვანოს, „ვაძოებო“ და მუშაობა დააწყებინოს, მუშაობაზე ან მოკვდეს, ან დაშავდეს“. ასეთმა პირმა პირუტყვის პატრონს ზარალი „მთლად უნდა უზღოს, ამისთვის რომ საძოვარზე წაიყვანა, ფასი გამოართო და მუშაობა დააწყებინა“. სომხური სამართლითაც (ქართული ვერსია, მუხ. 392), დაქირავებულმა მწყემსებმა, თუ მათ თვითნებურად, „თავიანთ ნებით ემუშავენოს უმართებულთ ანუ თავიანთ სამუშაოზე წაეკვდინოს რამე, უნდა უზღონ“. დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით (დ. ბატონიშვ., 63), უკეთეს „მეჯოგეთა“ „უგულსმოდგანებითა შინანდობი თვისი განრყუნან, მაშინ, რაოდენიცა წარუხდენიეს, ეგოდენი აუყენონ“. დავითი ორმაგი საზღაურის დაწესებასაც ცდილობს იმ შემთხვევისათვის, თუ „მეჯოგემან გააქირაოს ანუ გაყიდოს“ პირუტყვი. ასეთ ვითარებაში მას „ერთისათვის წაერთვას

ორი: ერთი მიეცეს პატრონსა და ერთი ჭურუმად მეფისა დაიდ-
ვას“.

უკეთეს მომსახურების გამწვევი მხარე ნაადრევად შეწყვეტდა
ქირავენობის ვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მას, ერ-
თი გვიანდელი — 1830 წლის საბუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.
არავითარი საზღაური არ მიეცემოდა: თუკი „მოვიწოდო ვადის
უწინ გასვლა, რაც შემსახუროს, ისიც უანგარიშოთ ჩაიაროს“ (სოც.
ისტ. დოკ., II, 260). ეს არსებითად ემთხვევა 1550 წლის რუსული
ძეგლისდების ზემოხსენებულ ნორმას, რომლის ძალითაც დამქი-
რავებელი თავისუფლდებოდა საზღაურის გადახდისაგან იმ შემ-
თხვევაში, თუ დაქირავებული ხელშეკრულებით გათვალისწინებუ-
ლი ვადის გასვლამდე გარდაიცვლებოდა.

1830 წლის დოკუმენტითვე, მომსახურე მხარის პირადობის
მოწმობაც მის კონტრაქტთან უნდა ინახებოდეს (ყმობიდან „ჩე-
მი განთავისუფლების წიგნიც უეზდნის სუღში რომ დამტკიცდეს,
ისიც თქვენ უნდა სუღიდან ამილოთ და... ვადამდისინ თქვენთან
უნდა იყოს“). ამგვარად, აქ ვლინდება წესი, რომელიც გულისხ-
მობს პირადი ქირავენობის ხელშეკრულების უზრუნველყოფას და-
ქირავებულის პასპორტითა თუ, საერთოდ, საბინადრო მოწმო-
ბით (ვოლკოვი., 81—97).

შემათხვევითობის რისკი

პირადი ქირავენობის ხელშეკრულება შეიძლება განუხორ-
ცივლებელი დარჩენილიყო და მხარეებს ვერ მიეღწიათ იმ მიზ-
ნებისათვის, რომელთაც ისინი ამ იურიდიულ ურთიერთობებს უკავ-
შირებდნენ. ასეთი ვითარება იქმნებოდა როგორც შემთხვევის, ისე
ბრალეულ ქმედობათა შედეგად. პირველ შემთხვევაში წამოიჭრე-
ბოდა ხოლმე კაზუსისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. სხვაგვარ
ვითარებაში პასუხისმგებლობა, ცხადია, ბრალეულობის მიხედვით
განისაზღვრებოდა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ შემთხვე-
ვითობას ამ დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგალითად,
რაიმე საზიფათო საქმეზე მოჯამაგირის ძალად გამგზავნის პასუხის-
მგებლობა მხოლოდ უბედური შემთხვევის დროს დაეკისრებოდა.

ვინაიდან პირადი ქირავენობა სასყიდლიანი ხელშეკრულება
ყო, ამიტომ დამქირავებელი პასუხს არ აგებდა დაქირავებულის
სიკვდილისა თუ დაშავებისათვის, რაც მხარეთა შეთანხმებით გა-
თვალისწინებული ვალდებულებების აღსრულებასთან იყო დაკავ-

შირბელი. აღბუღას სამართლის წიგნის 79-ე მუხლის ძალით, „თუ კაცმან კაცი დაიჭირავოს რა გინდა რა საქმისათვის... და მას შიგან მოკვდეს, არავინ რას ემართლებს ქირისაგან მეტსა“. მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართული ვერსიის 395-ე მუხლის მიხედვითაც, „ბევრჯელ მოკვდება საქმე ამისთანა, რომე მისცენ ცხენი ანუ ჯორი და საკედარი კელთ ვისმე, შესვან ზედ და გაგზავნონ ან წყალზე. ან საძოვარზე, ან საქმეს რაზედმე“; უკეთუ ისეთი „გარდმოაგდოს ან მოკუდეს, ან წყალში დაირჩოს“, რომ „ფასით და მისის ნებით წასულიყოს, და ცხენ-ჯორის პატრონს დაერიგებინოს და გაეფთხილებინოს, უბრალო იყოს პატრონი ცხენ-ჯორისა. რომე ფასისა გულისათვის შეხვეწნოდეს და წაეყვანოს“.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით მომსახურების ქირავნობა, ვახტანგის სამართლის წიგნის ერთ-ერთი ნუსხით (ვახტ. სამართ., 108), დაპირისპირებულია ნათხოვრობის ხელშეკრულებასთან: „კაცმან რომ კაცი იჭირაოს და სადაც გაგზავნოს, ან სალაშქროდ, ან წყალში შეგზავნოს, ან ხეზე აგზავნოს, ან რასაც ამისთანაზე, იქ რომ მოკვდეს ან დაშავდეს, სისხლს არავინ ემართლება, თავისის ქირისათვის მამკედარა. და თუ ეს კაცი... უთხოვნია... და გაუგზავნია სადაც, და იქიმის საქმეზე მამკედარა ან დაშავებულა, მთელი სისხლი უნდა მისცეს“.

ვახტანგის სამართლის წიგნის 229-ე მუხლთან დაკავშირებით, ეგრძოდ კი დაქირავებული მოლაშქრის დაღუპვის გამო, შედარებისათვის საინტერესოა აღინიშნოს ანალოგიური ნორმის არსებობა ხეთების კანონებში. ამ კანონთა პირველი ტაბულის 42-ე მუხლის მიხედვით (ძვ. აღმ. სამართ., 107), „უკეთუ ვინმე დაიჭირავებს კაცს და ეს კაცი წავა სალაშქროდ და შემდეგ მოკვდება, თუ ქირა წიციემული იყო, მან საზღაური არ უნდა მისცეს“.

აღბუღასა და ვახტანგის სჯულმდებლობაში ასახული ზემო-მოყვანილი ნორმები სასამართლო პრაქტიკაში ნამდვილად რომ ხორციელდებოდა, ამას უეჭველობით ადასტურებს XVIII საუკუნის I მეოთხედის განჩინება ტატულაშვილის დახრჩობის საქმეზე (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 314; სხვისშვილ. შინ., 55).

„ხელთუბნელს... ტერტერას სობელი ტატულაშვილი მოჯამაგირეთ ყოლოდა, ლიახვში ურმით შეგზავნა, დამრჩვალიყო. ტატულას შვილმან დავება დაუწყო. რადგან მოჯამაგირე იყო, სხვას ვერას შეუვიდა: რასაც ჯამაგირს დაპპირებია, მთლია მისცეს: ორი მარჩილი, ორი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ერთი ცხვარი და

ერთი ბატკანი, სამარხი მისცეს. სხვა ხელი არა [ა]ქვს ტერტერას-თან“.

ქირის გარდა აქ, როგორც ვხედავთ, გათვალისწინებულია აგრეთვე „სამარხი“ (დამარხვის ხარჯი), რაც ვახტანგის სამართალში (მუხ. 92, 187, 194, 197) ჩვეულებრივ თან ახლდა ხოლმე „ფათერაჟს“, უგანზრახვო ქმედობას (დ. ბატონიშვილი, 0191—0194). ამასთან, ვახტანგის სამართლის 229-ე მუხლი ზოგ ნუსხაში ისეთი სახითაა, რომ მის მიხედვით დამქირავებელს, თუნდაც სრულიად არ მიუძღოდეს ბრალი დაქირავებულის სიკვდილში, მაინც ეკისრება საქმეზე გაგზავნილი და იქ დაღუპული კონტრაქტის სულზე ზრუნვა: „ვინც ვინმე გაგზავნოს სადმე და იქ მოკუდეს, მოჯამაგირე იყოს თუ სხვა, თუ იქ იავადმყოვებს და დღით მოკუდების, მის სულზე უნდა გაისარჯოს, სხვას ვერას შეუვლენ გამგზავნელს“. „სასიკუდილოს ადგილს“ გაგზავნილი სხვისშვილისა და მოჯამაგირის დაღუპვისას კი გამგზავნელს სისხლის მეოთხედი ეკისრება, ხოლო ყმისა და იმ კაცისათვის, რომელიც „გასამარჯლოს სთხოვს და გამოართმევს“, მას „არა ეთხოება რა“ (იხ. აგრეთვე სხვისშვილ. შინ., 54—55).

სომხური სამართლის ქართული ვერსიის 372-ე მუხლის ძალით, რაიმე საქმეზე ვისიმე გამგზავნელი პასუხს არ აგებდა გაგზავნილი კაცის ვნება-სიკვდილისათვის, თუკი გააფრთხილებდა მას და საჭირო რჩევა-დარიგებასაც მისცემდა („ეთქუას, იყავ ჩემი მორჩილი, ამა და ამ გზაზე ნუ იგლი, აქა და იქ ვთხილად იყავ“). გამგზავნელს განსაკუთრებით მაშინ მართებს გაგზავნილის გაფრთხილება, როცა ეს უკანასკნელი „არ იყოს მისი მოჯამაგირე, და არც ყმა“ (მუხ. 376). უკეთუ საქმეზე გასაგზავნი იტყვის, რომ „ამა და ამ ალაგს კაცსა ვოცენო და არ გაივლებო“, მან კი „არ გაუგონოს და გაგზავნოს, და ის კაცი მოკლან, მისის სისხლის მზღვეველი ეს გამგზავნელი შეიქნას“ (მუხ. 372. იხ. აგრ. მუხ. 386). საზოგადოდ, „გამოჩენილია ეს სამართალი“, რომ „ძალად... მოჯამაგირის გამგზავნელს“, უკეთუ „მოკდეს მისი იქ სიკუდილი“, „სისხლი დაედება. და თუ მოჯამაგირე თავის ნებით წავიდეს, უბრალოა მისი დამქერი“ (მუხ. 377).

ფაქტობრივი მასალიდან ირკვევა, რომ უკეთუ დაქირავებული ავად გახდებოდა, მას დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა სამუშაოს შეუსრულებლობისათვის და მკურნალობაც მის ხარჯზე უნდა ჩატარებულიყო: „თუ, ვინიცობა არის, ავად გავხდე, რამდენი ხანიც ავად ვიყო, იმდენი ხანიც კარგა მყოფი კიდეც ვადის შემდგომ გემ-

სახურო და თუ საექიმო რამ დახარჯოთ, ისიც ჩემი ვალია უნდა მოგკეთ“ (სოც. ისტ. დოკ., II, 260).

ვატანგის სჯულმდებლობის 230-ე მუხლის თანახმად (ვახტ. სამართ., 109), უკეთუ სასყიდლით საძოვებლად წაყვანილი პირუტყვი „მოუვლელით ან ჩავარდა სადმე, დაშავდა, ან ნადირმა აწყინა რამე“, მწყემსმა პატრონს „უნდა ნახევარი და ერთი წილი უზღოს“. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირუტყვი „ფათერაკის საქმით“ დაშავდებოდა ან დაიღუპებოდა, მწყემსს ზარალის ნახევარის ნაზღაურება ეკისრებოდა („თუ ფათერაკის საქმით მოუკდა, ნახევარი დაიკლოს პატრონმან“). ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 201 ხელნაწერი (ვახტ. სამართ., 109) დაქირავებულს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ საძოვებელ პირუტყვს „სენი რამ სქირვებია და იმ კაცის კელში მოკვდა“. ასეთ ვითარებაში, „თუ გული აჯერა წამყვანმა, პატრონი ვეწას შეუვა“. სომხური სამართლის მიხედვითაც (ქართული ვერსია, მუხ. 392), „მოჯამაგირენი და მუშანი“ „უბრალონი იყუნენ“, უკეთუ პირუტყვის დაშავება („პირუტყუმა ფეკი მოიტეხოს ან სხვა რამ იწყინოს“) „პატრონის დარიგებაზე და მართებულს მუშაობაში მამკდარა“.

სამწყემსო საქმეში „შემთხვევისათვის“ დავით ბატონიშვილის სამართალი მეოთხედს აწესებს („შემთხვევისათვის ეზღვიოს მეოთხედი“), მაგრამ ასეთი ნორმის მოქმედება ჭეგრობით არაა დადასტურებული. ნივთის დაკარგვისას იგი ხელოსანს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, თუ „თვისთაგანიცა რამმე წარუწყმდეს მის თანა“. ხოლო „უკეთუ წარსწყმიდა საკუთრად სხვსა და არა თვისი რამმე, მაშინ ნახევარი ნივთისა მის წარწყმედულია ეზღვევის მას, და ესეცა ამისთვის, რომელ ყოველთა კაცთა თანა-აძისთ ზიმკაცრით დაცვათ რწმუნებულისა მისდა ნივთისა რაესამე“ (დ. ბატონიშვილი, 63, 144).

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

პირადი ქირავნობის შეწყვეტის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება და მხარეთაგან დათქმული ვადის გასვლა. ხელშეკრულების მოშლა თავისუფლად შეიძლებოდა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებამდე და დათქმული ვადის გასვლამდე, უკეთუ ამისი მოსურნე ორივე კონტრაქტენტი იქნებოდა. საერთო წესის მიხედვით, ხელშეკრულების მოშ-

ლის კანონიერ საფუძველს წარმოადგენდა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმების უხეში დარღვევაც, რასაც, ჩვეულებრივ, დამჭირავებლის მხრივ ჰქონდა ადგილი (პირადი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებისა და შედეგების შესახებ იხ.: დისტერლო, VI, 129—130, 136—143; პანკ. 191—192, 218—220; შერშენ., 184—185).

ცხადია, ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევდა დაჭირავებულის სიკვდილი, ისეთი ვითარება, როგორც გათვალისწინებულია ალბუღას და ვახტანგის სამართლის წიგნებში: „თუ კაცმან კაცი დაიჭირავოს... და მას შიგან მოკვდეს“; „კაცმან რომ კაცი იჭირავოს და სადაც გაგზავნოს... იქ რომ მოკვდეს“.

მომსახურების ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდებოდა დამჭირავებლის სიკვდილის შემთხვევაშიც, თუკი თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული, რომ დაჭირავებული თავისი კონტრაქტის შემკვიდრესაც უნდა მომსახურებოდა (დისტერლო, VI, 141). მაგალითად: „ჩ ყ ლ წელს, დეკემბრის ი-სა დღესა ესე შეკრულობის წერილი მიგეცი მე... ტოგონიძემ თქვენ... იაგორ ანტონიჩ ქეთხუღოვა...ოთხი წელიწადი თქვენ და თქვენს მე მკვიდრესა გემსახუროთ“ (სოც. ისტ. დოკ., II, 260). თუკი, ვთქვათ, ამ 4 წლის განმავლობაში იაგორი გარდაიცვლებოდა, ტოგონიძე, პირობის თანახმად, მის შემკვიდრეს უნდა მომსახურებოდა.

ვადადაუდებელი ხელშეკრულების მოშლა ყოველთვის შეიძლებოდა. როცა კი ამას ერთ-ერთი მხარე მოითხოვდა. მაგალითად, მოჯამაგირეს. დავით ბატონიშვილის სიტყვით, „უკეთუ ნებავდეს განსვლა მისგან. ნურარაჲმე ძალი დამაყენებელი მიეცემის, და ნურცა როქიცი დაეჭირვის, რაოდენსაცა ეამსა უმსახურნიეს“ (დ. ბატონიშვ., 55).

პირადი ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდებოდა, როდესაც მოისპობოდა საგანი, რომლის მოვლა-პატრონობითაც გამოიხატებოდა მომსახურების ვალდებულება. მომსახურების ქირავნობის ხელშეკრულებას საფუძველს აცლიდა, კერძოდ, ქირით საძოვრად გაცემული პარუტყვის დაღუპვა.

სესხის საფუძველზე წარმოშობილი მომსახურების ქირავნობა შეწყდებოდა ვალის გადახდით: „მ უ შ ა ზ ე თუ თ ე თ რ ი გ ა ს ც ე ს, მ ა რ ჩ ი ლ ი წ ე ლ ი წ ა დ შ ი ო თ მ უ შ ა დ ო თ ხ ს დ ღ ე ს ა მ უ შ ა ო ს... რ ა ს ა ც ხ ა ნ ს ქ ო ნ დ ე ს, ყ ო ვ ე ლ ს წ ე ლ ი წ ა დ ს ა ს რ ე ქ ნ ა ს. რ ო დ ე ზ ა ც უ ნ და პ ა ტ რ ო ნ ს ა. თ ა ვ ი ს თ ე თ რ ს გ ა მ ო ა რ თ ვ ა მ ს“ („სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“, მუხ. 130).

პირადი ქირავნობა ზოგჯერ შეიძლებოდა შეწყვეტილიყო იმის გამო, რომ კონტრაქტებს შორის სხვაგვარი იურიდიული ურთიერთობა მყარდებოდა. სახელდობრ, საბუთებში ასახულია ფეოდალ-ლეზმისათვის ნიშანდობლივი შემთხვევები, როდესაც მავანსა და მავანს კაცი „დაუჭერია ჯამაგირითა“, მას კი თავისი კონტრაქტის „მხლებელი გაუწბილებია“. დაქირავებულს, რომლისთვისაც „სისხლი დაუძთ“, საზღაურის „მიცემა ველარ შესძლება“, რის გამოც იგი „ყმათ მისვლია“ დაქირავებულს. ამ უკანასკნელსაც გაწბილებული „მოახლე ცოლათ ... მიუცია და თავისთვის ყმათ ყოლია“ (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 552—553; იხ. აგრეთვე სოც. ისტ.-დოკ., I, 137—138).

ამგვარად, სისხლის გადაუხდელობის გამო შეწყდა პირადი ქირავნობის ურთიერთობა და ხელშეკრულების მხარეთა შორის ბატონყმური დამოკიდებულება დამყარდა. დაქირავებული გახდა დამქირავებლის ყმა და ამიერიდან იგი მომსახურებისათვის, ცხადია, ჯამაგირს ველარ მიიღებდა.

ქონებით უსასყიდლო სარგებლობა

შესავალი. ტერმინთა შესახებ. უსასყიდლო სარგებლობა და ნათხოვრობა. ქონებით უსასყიდლო სარგებლობის მნიშვნელობა. უსასყიდლობის საკითხი. ხელშეკრულების დადების მომენტი. ნათხოვრობის საგანი. მსგავსი ინსტიტუტებისაგან გამოიჯენა. ხელშეკრულების ფორმა. ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ვადა. უსასყიდლო „უცხოთ სადგური“ და „მასპინძლის“ ეტიმოლოგია. „უსასყიდლოდ კურნება“. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

შესავალი

ადამიანთა საზოგადოება წარმოუდგენელია მეგობრული, უანგარო დახმარებისა და ხელის გამართვის გარეშე. ასეთი ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი გამოხატულებაა სხვისი ქონებით უსასყიდლო სარგებლობა, რომელიც სამოქალაქო სამართლის სფეროს განეკუთვნება.

ქონებით უსასყიდლო სარგებლობა, ვითარცა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, ვალდებულებათა ჯგუფში შედის. იგი ვალდებულების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. საბჭოთა სამოქალაქო სამართალში მიჩნეულია, რომ „ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულებით ერთი მხარე კისრულობს გადასცეს მეორე მხარეს ქონება დროებითი უსასყიდლო სარგებლობისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი კისრულობს სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნოს აღნიშნული ქონება“ (საქ. სსრ 1964 წ. სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხ. 335). ეს ზოგადი ხასიათის განმარტება სავსებით გამოსადეგია იმ პერიოდისთვისაც, რომელსაც წინამდებარე ნარკვევი ეხება.

სხვისი ქონებით უსასყიდლო სარგებლობა არსებითად ნათხოვრობით გამოიხატებოდა. ამასთანავე, ქვემოთ განხილვა გამოაჩენს, რომ ქონებით უსასყიდლო სარგებლობა წმინდა ნათხოვრობითი ურთიერთობებით არ ამოიწურება. იგი ზოგჯერ სცილდებოდა ჩვეულებრივი ნათხოვრობის ფარგლებს.

ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება ქართუ-

ლი ვალდებულებითი სამართლის შეუსწავლელ ინსტიტუტთა ჩგუფს განეკუთვნება. თემის ძირითადი საკითხი საგანგებოდ ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლისადმი მიძღვნილ ნაშრომშიც კი გაკვრითაა განხილული (კლუტმ., 430—431, 459—461, 463—467).

სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობის სხვადასხვა მხარისა და ცალკეული შემთხვევის საკანონმდებლო მოწესრიგება მოცემულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში. მაგრამ, უნდა ითქვას, განსახილველი ინსტიტუტის ვახტანგისეული რეგულირება, ისევე როგორც ფეოდალური სამართალი საერთოდ, კაზუსტიკურია და მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. სამეცნიერო ლიტერატურაში (კლუტმ., 430—431, 459) აღრევე აღინიშნა და სამართლიანადაც, რომ ვახტანგის დადგენილებანი ვალდებულებითი სამართლის ცალკეული ინსტიტუტების თაობაზე „ერთობ მხოლოდ ნივთის მფლობელის პასუხისმგებლობას ეხება და არა სხვა იურიდიულ ურთიერთობებს, რომელთაგანაც სხვადასხვა ინსტიტუტის დამახასიათებელი თავისებურება უნალევე გაიგება“. კერძოდ კი, ნათხოვრობის მოწესრიგებისას „შეფარდებით ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ხელშეკრულების სპეციფიკას“. მის „საფუძველს. შინაარსს, დასასრულს, ვიდრე თავისებურებას“, რომელსაც ამ ინსტიტუტში კანონმდებლის ყურადღება უნდა მიეპყრო.

ნათხოვრობას აწესრიგებს საკუთრივ ვახტანგის სამართლის 207 და 207¹-ე მუხლები („მიბარებულისა რასაც ნივთისა, გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს“). ნათხოვრობის ერთ კერძო შემთხვევასა და მხარეს საგანგებოდ (თანაც მეტად ვრცლად) ეხება კანონმდებელი 210-ე მუხლში („თუ კაცმა კაცი ინათხოვროს და თუ მოკუდეს“). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუკში (საძიებელში) ზემოხსენებულთაგან ნათხოვრობასთან დაკავშირებით მხოლოდ 210 მუხლია მითითებული (იხ. პუნქტი „706. ვინ ვისგან კაცი ითხოვოს მისთვის“. ამ რუბრიკის გასწვრივ 210 მუხლის ნაცვლად შეცდომით აღნიშნულია „120“). 207 მუხლი კი საძიებელში მარტოოდენ მიბარებასთან დაკავშირებით იხსენიება (№ 690, 691).

გასათვალისწინებელია ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 23-ე მუხლი, რომელიც საყანე მიწის ნათხოვრობას აწესრიგებს. იგი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუკში გამოყოფილია რუბრიკით „699. ვინ ვის საყანე მიწა ათხოვოს და თხოვებით მისცეს და ორმოცს წლამდე თუ აღარ გამოართვას“

(მუხლის რიგით ნომრად აქ შეცდომით დასმულია „24“). ზანდუკის გამომცემელი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ ამ რუბრიკის გასწვრივ კიდევ მიწერილია „გაქირავებისა“, მეორე მხრივ კი 23-ე მუხლს მიბარების მომწესრიგებლად სახავეს, რაქუნდაც 699-ე პუნქტს აერთიანებს განყოფილებაში „[მიბარებისათვის]“. მინაწერი „გაქირავებისა“, საფიქრებელია, საძიებლის მომდევნო (№ 700) პუნქტში მოქცეულ 342-ე და 343-ე მუხლებს განეკუთვნება, სადაც მართლაც ნიუთის ქირავენობაზეა ლაპარაკი. აღსანიშნავია, რომ საძიებელში, საზოგადოდ, საკმაოდ ნათლადაა განსხვავებული ქირავენობა და ნათხოვრობა. ბერძნული სამართლის 23-ე მუხლი ზანდუკში ტერმინოლოგიურად („ათხოვოს და თხოვებით მისცეს“) ნათხოვრობის მომწესრიგებლადაა დასახული და იგი სწორედ ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული.

ნათხოვრობას ეძღვნება მხითარ გომის სამართლის წიგნის ქართული ვერსიის 229-ე და 230-ე მუხლები. აქ ნათხოვრობა აშკარად და ნათლად არის განსხვავებული ნიუთის ქირავენობისაგან. 230-ე მუხლს კრებულის საძიებელშიც განკერძოებულად, თავისი საკუთარი სათაურითაა წარმოდგენილი: „705. ვინ ვისი ჭურჭელი რაც რა ითხოვოს, დაუკარგოს ან წაუტდინოს ან გაუტეხოს“. ზანდუკში ამ პუნქტთან, კიდევ, მიწერილი ყოფილა „ჭურჭლის თხოვისა“.

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნის 67-ე მუხლის „საქმის, საქმითა წაღება“ („თუ კაცმან კაცის საქმე წაიღოს რაჟე“, „თუ კაცსა კაცისა საქმითა წაეღოს ვისგან რაჟე“) სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ვითარცა „თხოვნა, ნათხოვრობა“ (ძვ. ქართ. სამართ., 318, 365—366). მუხლის შესაბამისი ადგილი ოფიციალურ რუსულ თარგმანში (ფრენკ.-ბაქრ., 110) ასეა წარმოდგენილი: «если кто у кого взявши какую вещь». 1960 წლის თარგმანი კი ასეთი სახისაა — «если человек принял от человека какое-либо имущество» (ბექა-აღბ. 1960, 61). უდავო როდია, რომ „საქმე წაიღოს“ თუ „საქმითა წაეღოს“ მაინცდამაინც ნათხოვრობად აიხსნას. მაინც, აღბულას 67-ე მუხლი საყურადღებოა იმ პირობის პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. ვისაც სხვისი „საქმე“ „წაუტდებოდა“.

ნათხოვრობას უნდა გულისხმობდეს აღბულას სამართლის 88-ე მუხლი იმ სახით, როგორაც ის წარმოდგენილია უძველეს, 1672 წლის, ხელნაწერში (Q — 206): „თუ კაცმან კაცსა დაჭირების[ა] ეაშსა საქონელი სთხოოს, განალამცა მისცა, მერმე უკანის სამდუ-
10. ი. ფუტკარაძე

რავისათვის დახუთვასა არას ემართლების...“ საფიქრებელია, რომ ამ მუხლის მოწესრიგების საგნად „ამანათის შევედრების“ დასახვა, რასაც გვიანდელ (S — 3683) ნუსხაში აქვს ადგილი, ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო კომისიის ნამოქმედარია — „თუ კაცმან კაცს რა გინდა რა ამანათი შევედროს, დაჭირებისა უამსა სთხოოს, განალამცა მისცეს, სამღურავისათვის დაჭირვას, დახუთვას არას ემართლების“. უთუოდ ამ უკანასკნელი რედაქციის გავლენაა, რომ სამართლის წიგნის 1960 წლის რუსულ თარგმანში, რომელსაც საფუძვლად Q — 206 ხელნაწერი დაედო, მუხლის დასაწყისი ასეა გადმოცემული (ბეჟა-ალბ. 1960, 73): «если человек в случае нужды требует от человека своего имущества, отданного на хранение».

საკვლევადიებო თემის დამუშავებისას გვერდი ვერ აველება XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე შედგენილ საკანონმდებლო განზრახულობას — დავით ბაგრატიონის სამართალს, რომელიც ადრე მოქმედ ქართულ სამართლებრივ ნორმებსაც უხვად შეიცავს. ნათხოვრობას დავითის სამართლის რამდენიმე მუხლი ეხება და მათში ამ საკითხზე ბევრი საყურადღებო ცნობაც მოიპოვება (დ. ბატონიშვი., 26, 35, 70—71, 93, 216). 31 მუხლში („განკრეხვისათვის ეკვლესიისა მეურნეთაგან“) სხვა საკითხებთან ერთად მოწესრიგებულია საეკლესიო ქონების განათხოვრება; 170-ე მუხლში („სხუათა მიწათა მოხვნისათვის“) ნახსენებია „თხოვებული მამული“. ასევე, ადგილ-მამულის ნათხოვრობის საკითხებს აწესრიგებს სამართლის წიგნის C ნუსხის 34-ე მუხლი („ხვნისათვის“). კანონ-განზრახულობის ორი მუხლი კი საკუთრივ ნათხოვრობას ეძღვნება: მუხლი 52 — „დაკარგვისათვის თხოვბულისა საქონლისა“ და მუხლი 122 — „ნათხოვნის საქონლისათვის“.

გამოსაყენებელია იურიდიული პრაქტიკისა და, საერთოდ, დოკუმენტური მასალები, აგრეთვე „ბიბლიის“ ზოგიერთი ცნობა. საინტერესო ცნობები აღმოჩნდა ფოლკლორულ მასალებში, რომლებიც ასახავენ ხალხის საუკუნეობრივ გამოცდილებას, ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციულად გამომუშავებულ და ჩამოყალიბებულ წესჩვეულებებს. სახელდობრ, ნათხოვრობის რაობა, მისი ბუნება და ცალკეული მხარეები ხატოვნადაა წარმოდგენილი ქართულ ანდაზებში. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სხვაგვარი მასალაც, რომელიც მეტ-ნაკლებად შეეხება სხვისი ნივთით უსასყიდლო ხარგებლობის საკითხს. კერძოდ, მნიშვნელოვანია სხვადასხვაგვარი უსასყიდლო ღამისგასათევ-თავშესაფარი თუ სამკურნალო ნაგებობა-

მოწყობილობანი, რომლებზედაც საკმაო წარმოდგენას იძლევა პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდება, ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები..

ტერმინთა შესახებ

იურიდიული ურთიერთობა, რომელსაც წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება, თანამედრვე ქართულში ტერმინოლოგიურად გამოიყენება ვითარცა „ქონებით უსასყიდლო სარგებლობა“ (საქ. სსრ 1964 წ. სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თ. XXVIII. მუხ. 335—342). ძველ ქართულში კი განსახილველი ცნების ასეთი ტერმინოლოგიური აღნიშვნა-გამოხატვა არ დასტურდება.

ტერმინი „უსასყიდლო“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ისტორიულ წყაროებში მეტისმეტად ძვირფასის, ფასდაუდებელის მნიშვნელობით (გიგინეიშვი., 365—369; განმარტ. ლექსიკ. VI). მაგალითად, ბასილი ეზოსმოდვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ „უსასყიდლო“ ნიშნავს „რასაც ფასი არა აქვს“. „რასაც ვერავითარი ფასით ვერ იყიდი“ (ქ. ცხ., II, 128, 607): „შევიდეს ქალაქად, და თუთუელმან იწყო ძღუენთა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა, და ჭურჭელთა მისთა, თუალთა პატიოსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჭაჭუთა, მუზარადთა, კრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვისლთა და შესამოსელთა მრავალ-სასყიდლოანთა“. „რუსუდანი-ანშიც“ „უსასყიდლო“ ძვირფასის, ფასდაუდებელის აღმნიშვნელია (რუსუდ., 775). ჟამთააღმწერლის თხზულებაში და შემდგომ პერიოდშიც „ფასდაუდებლის“, „დიდფასიანის“ შინაარსისა იყო „უფასო“ (ქ. ცხ., II, 185, 195, 495, 607). ს.-ს. ორბელიანის განმარტებითაც (საბა, II, 173), „უფასო“ — ეს არის „ფას-დაუდებელი“.

„უსასყიდლო“ ზემომოყვანილ მასალაში წარმოდგენილი მნიშვნელობით, ცხადია, არ მიესადაგებოდა განსახილველ სახელშეკრულებო ურთიერთობებს; არ ითქმოდა „უსასყიდლო სარგებლობა“: იგი არავითარ აზრს არ გამოხატავდა.

ამასთანავე, სასყიდლის ანუ საფასურის გარეშეს მნიშვნელობა ძველად, ისევე როგორც ახლაც, გამოიხატებოდა სიტყვით „უსასყიდლოდ“: „უსასყიდლოდ მიგიღებინეს და უსასყიდლოდცამისცემდით“; „მკურნალი, რომელი უსასყიდლოდ ჰკურნებ“ (აბულ., 432). ამ მნიშვნელობით საბას „სიტყვის კონაში“ წარმოდ-

გენილია „უ ფ ა ს ო დ“, რომელიც განმარტებულია ვითარცა „ფას-მიუტემ(ე)ლად“. მის თურქულ შესატყვისად კი მოყვანილია „მ უ ე თ“ (საბა, II, 173, 564), რომელიც დღევანდელ ქართულში „მ უ ქ თ -ი“ (ზნნისართი „მუქთად“) ფორმით ახმარება (ეს ფორ-მა არაა დამოწმებული „სიტყვის კონაში“).

ძველ ქართულ საკანონმდებლო, იურიდიული პრაქტიკისა თუ სხვაგვარ მასალებში ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობის აღსა-ნიშნავად ხშირად იხმარებოდა „თხოვების“ ბუდის სიტყვები და ტერმინები. ისინი უხვადაა წარმოდგენილი ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“. ასეთებია, მაგალითად, „გ ა ნ ა თ ხ ო ვ რ ე ბ ა“, „თ ხ ო ვ ე ბ ა“, „ნ ა თ ხ ო ვ ე ბ ი“ (საბა, I, 140, 322, 571). ხსენე-ბული ტერმინები ნაირგვარი ფორმით გვხვდება აგრეთვე დავით ბატონიშვილის სამართალშ- (დ. ბატონიშვი., 278, 303, 304, 329).

„თ ხ ო ვ ა“ უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერში იხმარება ჭინ. მრავალთ. 178). იგი აღნიშნავდა თხოვნას, საცოლის დანიშვნას (აქედან „თ ხ ო ვ ი ლ ი“ — დანიშნული), აგრეთვე სათხოვნელს და ნათხოვარს — რაც ითხოვეს („და ვითარცა ვერ მიიღეს თხოვად ივი, ჰრქუა მათ“; „მოეც თხოვად მვედრებელსა შენსა“).

ნიეთის უსასყიდლო სარგებლობისათვის გადაცემას „თ ხ ო-ვე ბ ი თ მ ი ც ე მ ა“ ეწოდებოდა. კერძოდ, ვატანგ VI-ის სამართ-ლს წიგნთა კრებულის საძიებლის 699-ე პუნქტში ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კაცმა კაცს „მიწა ათხოვოს და თხოვებით ენისცეს“. იურიდიული პრაქტიკის მასალებით (საქ. სიძვ. 1899, 472—473; სოც. ისტ. დოკ., II, 187—188) დამოწმებულია მამულ-ში „ნ ა თ ხ ო ვ რ ა დ დ გ ო მ ა“.

ქართული ტერმინი „ნათხოვრობა“ იმასვე გამოხატავს, რასაც commodatum ძველ რომაულ სამართალში.

უსასყიდლო სარგებლობა და ნათხოვრობა

ნაწილობრივ წარმოდგენას სხვისი ქონებით უსასყიდლო სარ-გებლობის რაგვარობაზე წყაროების მოკლე მიმოხილვაც იძლევა. სახელდობრ, შეინიშნება, რომ სხვისი ნიეთის უსასყიდლოდ მოხ-მარების ცნება ნათხოვრობით არ იფარება. მართლაც, ძნელია ნა-თხოვრობის ფარგლებში მოაქციო, ვთქვათ, უსასყიდლო ლამისგა-სათევ-სასტუმროებით სარგებლობა.

ნათხოვრობისა და ქონების უსასყიდლო სარგებლობის ცნება-თა როგორც შინაარსის, ისე ურთიერთმიმართების თვალსაზრისით

საყურადღებო ცნობას შეიცავს ერთ-ერთ ხელნაწერზე დართული 1746 წლის მინაწერი.

ნეკრესელ მიტროპოლიტს, „მრავალმთის დავით გარეხჯის მონასტრის მამასა და მოურნეს“ იოანეს თავისი „საფუძითა“ აღუწერინებია „წმიდათა და ღირსთა მამათა ცხოვრება“. წიგნი მას გარეჯის მონასტრისთვის შეუწირავს („დავდევი მონასტერსა“). იოანე ნტიციე ანდერძად დებს („ანდერძი ჩემი ესრეთ კრძალულად იპყრან“), რომ „ეინცა... ეს... შენაწირა წიგნი ან მძლავრებით. გინა ნათხოვრობით ან ქურდობით გამოაქვას... მონასტერსა, იგიმც გამოეკეება სასუფელისაგან... ნუმცა იმ მონასტრის მამა, ნურც კრებულთაგანი ვინმე ნუ გაანათხოვრებს, ნურც თითონ სადმე წაიღებს. თუ ვისმე ენებოს და სურველ იყოს, იმავე მონასტერში იკითხოოს. სხვაგან ნება არა გვაქუს წაღებისა“ (ქრონიკ., III, 182). ასეთივე შინაარსისა იმავე იოანეს 1748 წლის ანდერძი, რომელიც „დილოლონზე“ დართული მინაწერის სახითაა მოცემული (იქვე, 195).

აშკარაა, რომ წიგნის ანდერძში მკვეთრად განჩივება ნივთით უსასყიდლო სარგებლობა. ერთი მხრივ. მის ადგილსამყოფელზე — გაუნათხოვრებლად, ხოლო, მეორე მხრივ, განათხოვრებით, რაც „სხვაგან წაღებას“ გულისხმობს. სახელდობრ, ურთიერთდაპირისპირებულთა წიგნით სარგებლობა ბიბლიოთეკაშივე და თან გატანებით. ნათხოვრობად მხოლოდ ეს უკანასკნელი ვითარება განიხილება.

ჩვეულებრივი ნათხოვრობის ფარგლებს რაზდენადმე მაინც სცილდება სხვისი საყანე მიწის ხანგრძლივ უსასყიდლო სარგებლობა, რასაც ბერძნული სამართლის ქართული ეკლესიის 23-ე მუხლი ითვალისწინებს. ეს მეტადრე ითქმის სხვის მიწაზე დიდხონობით „ნათხოვრად დგომის“ შესახებ, ისეთ ვითარებაზე, როდესაც „ინათხოვრებენ მამულთა... დასახლებიანათვისცა“ (დ. ბატონიშვილი, 216).

ნათხოვრობას, კერძოდ კი სხვისი ყმა-მამულით უსასყიდლო სარგებლობას თავისებური კუთხით წარმოგვიდგენს 1793 წლის საბუთი (საქ. სიძე., III, 172—173). მეფე ერეკლეს მთელი სოფელი გაუნათხოვრებია („ჩვენ რომ ქაიხოსრო აბაშიძეს ტყვიავე ვათხოვეთ“). მოხელეები ცდილობენ, რომ მონათხოვრემ რაც კი შეიძლება სრულად მოიხმაროს ნათხოვრობის ობიექტი. ისინი იმასაც კი ადებენ ხელს, რაც ნათხოვრობის საგანს არ შეადგენს. „ჩვენი ბძანება არის“. — წერს მეფე ტყვიავისა და ქარელის მამასახლისება, —

ქაიხოსროს, „რაც იმ უამად ჩვენი სახასო გლეხი-კაცი ტყვეავში იყო, ის ვათხოვეთ... უწინ... ჩვენ მიგვიცია ვისთვისმე მამული... იმასთან ქაიხოსრო აბაშიძეს და იმისს სახლობას საქმე არა აქვს რა. ამაებზედ თქვენ სადმე აწუხებთ, ხან რას ლაპარაკობთ და ხან რააა. რაც გამოგერთმისთ, ისიც უკანვე მიეციოთ და ქელი აიღე-ვიო. უბრალოთ ნურავის აწუხებთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება“.

არც ამ საბუთში ასახული ვითარებაა ჩვეულებრივი ნათხოვრობა. ქონებით უსასყიდლო სარგებლობა აქ სენიორულ-ვასალური დამოკიდებულების სახით წარმოგვიდგება. სინამდვილეში, როგორც ჩანს, არსებითად საქმე გვაქვს თავისებურ წყალობასთან. თხოვება მისაგებელია, რასაც ვასალი იღებს სენიორისაგან მისთვის გაწეული რაიმე სამსახურის სამაგიეროდ. ნათხოვრობის საფუძველზე წარმოწობილი ურთიერთობის დროებითობა კი განაპირობებს ხელშეკრულების საგნის — ადგილ-მამულისა და ყმა-გლეხობის უკიდურესად გაძლიერებულ ექსპლუატაციას. მოხელეთა თავჯაშოდებაც ნათხოვრობის ობიექტის მოხმარებასთან დაკავშირებული გამორჩენით აიხსნება.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ სხვისი ქონებით უსასყიდლო სარგებლობის შემთხვევები არც სხვა ხალხთა სამართლის მიხედვით დაიყვანებოდა მართოდენ ჩვეულებრივ ნათხოვრობაზე. კონკრეტული სოციალ-ეკონომიური ვითარება განაპირობებდა სხვისი ქონებით უსასყიდლო სარგებლობის თავისებური, ნათხოვრობასაგან მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული ურთიერთობის განვითარებას. აქ გასახსენებელია პრეკარიუმის ინსტიტუტი (გრიმი, 302: ბარონი, IV, 167—168), რომელიც ფაქტობრივ ურთიერთობად მიიჩნეოდა. იგი გამორიცხავდა გამნათხოვრებლის რაიმე ვალდებულებას და მის მოხასიათება-მოპრიანებისამებრ მოთხოვნამდე უსასყიდლო სარგებლობას გულისხმობდა.

ქონებით უსასყიდლო სარგებლობის მნიშვნელობა

მიჩნეულია, რომ უსასყიდლო გარიგებათა ჯგუფს, რომელსაც ნათხოვრობა მიეკუთვნება, არა აქვს დიდი მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვაში (სინაისკი, 105; სამოქ. კან., 1773). საერთოდ, ქონებით უსასყიდლო სარგებლობის შემთხვევები მაინცდამაინც ხშირი როდია. კერძოდ, რუსული სამოქალაქო სამართლის შესახებოლიტერატურა მოწმობს, რომ ნათხოვრობას გაცილებით უფრო იშვიათად ჰქონდა ადგილი, ვიდრე, ვთქვათ, ქირავნობას. ამიტო-

მაცაა, რომ ნათხოვრობის მომწესრიგებელი ნორმებით საკმაოდ ღარიბი იყო როგორც კანონმდებლობა, ისე ჩვეულებითი სამართალი (პახმ., 171).

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ასეთი ვითარება გამოუკლებლევ ყველგან და ყოველთვის როდი დასტურდება. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა „ბიბლიაში“ აღწერილი ეპიზოდი. „ბიბლია“, კერძოდ კი „გამოსლვათაჲ“ ადასტურებს, რომ ძველ დროში ნათხოვრობა საზოგადოდ არც ისე უმნიშვნელო მოვლენა იყო. სახელდობრ, ნათხოვრობაზე ლაპარაკია „ბიბლიის“ ხსენებული წიგნის III, XI, XII და XII თავებში. ნათხოვრობა იმდენად ყოფილა დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრებაში, რომ ღმერთმა შთააგონა მოსეს ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის წინ სწორედ ამ გზით გამოეტყუათ ეგვიპტელთათვის ოქრო-ვერცხლის ძვირფასი ნივთები და სამოსელი: „ჰქუა უფალმან მოსეს... ეტყოდე იღუმალ ყურთა ერისათა და ითხოენ კაცად-კაცადმან მახლობელისაგან თვისისა და დედაკაცმან მოძმისაგან თვისისა ჰურქელი ოქროსაჲ და ვეცხლისაჲ და სამოსელი“. მართლაც, „ძეთა ისრაჴლისათა ეგრე ყვეს... და ათხოვეს მათ. და გამოტყუენნეს ეგვიპტელნი იგი“ (წიგნ. ძველ. აღთქმ., 81, 84: გამოსლვ., XI, 1—2; XII, 35—36. იხ. აგრეთვე იქვე, თ. III, მ. 21—22). აღწერილი ვითარება ნათხოვრობის გავრცელებულობის მაუწყებლად წარმოგვიდგება.

სხვისი ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ამსახველი ქართული მასალებიდანაც, კერძოდ კი ზემოთ აღნუსხული სამართლებრივი ნორმებიდან ჩანს, რომ ნათხოვრობა და, საზოგადოდ, განსახილველი ურთიერთობანი საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველ საქართველოში.

უსასყიდლობა და მეგობრული სამსახურის გაწევა, რაც ნათხოვრობას ახასიათებს, იპის მანიშნებელია, რომ ნივთის გამანათხოვრებელს ძირითადად ზნეობრივ-საქველმოქმედო მოტივები ამოძრავებს და არა მატერიალური გამორჩენის მიზანი.

ნათხოვრობის მორალური, მეგობრული თუ მეზობლური საფუძველი გამოკვეთილადაა გამოსახელებული დავით ბაგრატიონის კანონგანზრახულობაში (დ. ბატონიშვ., 216). აქ ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კაცმა კაცს მამული ათხოვა და, ამრიგად, „კაცთმოყვარებისათვის შეიხიზნა“ იგი. „სამართალი“ განსაზღვრავს იმათ უფლება-მოვალეობებს, „ვინცა ვის მიწა და სასოფლო (ძეგლის გამომცემლის შენიშვნა: იქნებ „სასაფლაო“? — ი. ფ.) ათხოვოს, მეზობლობისა და სიყვარულის გულისათვის შეიხიზნოს“.

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ქართულ ანდაზებშიც. სადაც ნივთის განათხოვრება სულის საცხონებელ საქმედ არის მიჩნეული. ეს აზრი ანდაზის სხვადასხვა ვარიანტში ასეა გადმოცემული: „ნათხოვარი ათხოვეო, სული აცხონეო“ (უმიკაშვ., 244); „ათხოვე—ათხოვე, სული აცხონე“ (სახოკ., 95); „ნათხოვარი ათხოვეო. სული ისე აცხონეო“ (ანდაზ., 56).

საჭიროა აღინიშნოს ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ის მხარე, რომელიც ავლენს ექსპლუატატორული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კლასობრივ წინააღმდეგობას და ასახავს მისი რამდენადმე მაინც შერბილების ცდას. სახელდობრ, ქონებით უსასყიდლო სარგებლობის პრინციპის სახელმწიფო იყენებდა უქონელთა საპროტესტო განწყობილება-მისწრაფებათა მიუყიებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, ღარიბ-ღატაკების თავშესაფართა მოწყობის პრაქტიკა. გლახების სადგომს „საგლახაკო“ ეწოდებოდა: „ქვედა-ქვედა... აღაშენენ საგლახაკონი“ (აბულ., 353). ნიშანდობლივია, რომ თვით „ნათხოვრობა“ იმავე ძირისაა, რომლისაც მათხოვრის, გლახისა და კარისკარ მოარულის აღმნიშვნელი სიტყვები „მთხო(ვ)ელი“ და „მთხოვარი“ (საბა, I, 481; აბულ., 241). მთხოველ-მთხოვარისთვის „თხოვა“ ანუ საბასეული განმარტებით „მოცემის ვედრება“ (საბა, I, 322) საარსებო სახსრის მოპოვების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა.

საზოგადოდ; სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობას სრულიად სხვადასხვა მიზნითა თუ საჭიროების გამო მიმართავდნენ. ქონებით უსასყიდლო სარგებლობა უმთავრესად საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას, სახელდობრ კი ქურკლის ნათხოვრობას ითვალისწინებს სომხური სჯულმდებლობის ქართული ვერსიის 230-ე მუხლი. სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზღვარგარეთ-ქვეყნობითური ამოცანების გადაწყვეტაში. ასეთ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად, კერძოდ, შიშის, ყმისა და შუმა პირუტყვის ნათხოვრობა. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც არის ასახული ძველ ქართულ მასალებში. ასეთია, მაგალითად, ეკლესიამონასტრების კუთვნილი წიგნებით უსასყიდლო სარგებლობის ცალკეული შემთხვევები (ქრონიკ., III, 182, 195, 518—519).

ნათხოვრობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ფეოდალური

შინააშლილობა და გარეშე მტრის თარეში, რაც იწვევდა ცხოვრების ნორმალური პირობების მოშლას, ანადგურებდა მატერიალურ სახსრებს. 1776 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ამ მიზეზით მთელ სოფელს უნათხოვრებია მამული შებატონისაგან. „ლეიანობა და ავი დრო“ მოსახლეობას არ აძლევდა „თავთავის მამულებსა და ნასახლარების ალაგზე“ მისვლის საშუალებას (სოც. ისტ. დოკ., II, 98). ამის გამო სხვის მიწაზე ნათხოვრად დგომა, როგორც ეს 1797 წლის საბუთით დასტურდება (იქვე, 187—188), მასობრივად ყოფილა გავრცელებული გვიანფეოდალურ საქართველოში. „ამ გვარად მსახლობელნი, — წერს ერეკლე II, — ქართლშიაც ბევრნი არიან და კახეთშიაც... შილდასაც არიან, ყვარელშიაც, ველისციხესაც და სხვაგანაც... ჩვენ ასე გვგონია, გორშიაც იყოს ასე და სხვაგანაც დიან ბევრია, ალბათ თელავშიაც ბევრია“.

ადგილ-მამულის ნათხოვრობის მიზეზად დავით ბატონიშვილიც სწორედ გარეშე მტრის შემოსევებს ასახელებს (დ. ბატონიშვილი, 216): „ქვეყანა ჩვენი რადგან მტრისაგან არის შექცე(ი)რვებულნი და ვერ დამდგარან თავ-თავის მამულზედ, მოვლენ და... ინათხოვრებენ მამულთა... ხენისათვის, ჩალთუქის შეკვრისა, ბანბისა. ბოსტნისათვის, და ოდესზე — დასახლებისათვისაცა, და ხანგრძლივ დარჩებიან ხოლმე“.

ნათხოვარი ადგილ-მამულის ასეთ ხანგრძლივ ფლობასთან დაკავშირებით ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი: ხანგრძლივად ფლობის ძალით ხომ არ წარმოეშვებოდა მონათხოვრეს საკუთრების ან თუნდაც მექვიდრობითი მფლობელობის უფლება ნათხოვარი ადგილ-მამულის მიმართ?

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 23-ე მუხლში ეს საკითხი დადებითად, ე. ი. მონათხოვრის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი: „უკეთუ საყანე მიწა ათხოოს ვისმე კაცმან კაცსა, თუ ორმოცს წლამდის სთხოვა და გამოართვა, კარგია, თუ არადა ორმოცს წელიწადს უკან კელი აღარა აქუს, ის დაიმკვიდრებს“.

საკითხს სხვანაირად წყვეტს დავით ბატონიშვილი. სხვის მიწაზე მყოფი ხიზანი-მონათხოვრე „ნუ იკადრებს გრძლად დარჩომისათვის ადგილსა მას დაობად მამულისა მის, თუ გინდა კიდევ გარდაემატოს დადებულსა ვადასა, ესე იგი ოცსა წელსა, გინდ აქუნდეს მეფისა ოქმიცა, ამად რომელ არა ხამს არავეჩადმი საკუთარისა მიხმაჲ“ (დ. ბატონიშვილი, 216).

დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ დავითი გვიანფეოდალურ საქართველოში მოქმედ წესს ეყრდნობა და ასახავს. „ადგი-

ლი. — აცხადებს მონათხოვრე 1776 წლის დოკუმენტში, — ნათხოვრად გვათხოვეთ... თქვენის კაცების მამული არის... ნათხოვრათ გვექიროს... თქვენი მამული არის, სამამულეთ არაფერი საქმე არა გვაქვს რა“ (სოც. ისტ. დოკ. II, 98). ასევე, 1797 წლის საბუთის მიხედვითაც (იქვე, 187—188). „თუ სამჯობინარი იყოს, — წერს მეფე ერეკლე იულონ ბატონიშვილს ერთ-ერთი მომჩივნის არზასთან დაკავშირებით, — რომელიც ამათს მამულში კაცნი დგანან, იმათი იქ დგომა ხომ რა იქნება რომ ნათხოვრად იდგნენ და თუ სამჯობინარი არ იყოს და ვერ ამჯობინო, ამათაც თავისი მამული ექირებათ... ისინი იქილამ აპყარე და ამათ თავისი მამული მოაბარე... თუ მოსარიგებელნი იყვნენ და სჯობდეს, ხომ ერთმანერთში მოარიგე და თუ არ მოარიგდებიან, ამას თავისი მამული დაანებონ, რას ემართლებიან“.

მონათხოვრე რომის სამართალში (გრიმი, 301) ნივთის უბრალო მპყრობელად, მკერად ითვლებოდა; იგი მხოლოდ ეკონომიურად ფლობდა ნათხოვარ ნივთს. ზემოგანხილული მასალაც ასეთივე ვითარებას ასახავს და, ამგვარად, ქართული სამართლის მიხედვით, მიწის მონათხოვრეს, რაგინდ დიდხანსაც უნდა გაგრძელებულიყო ნათხოვრობა, არ წარმოეშვებოდა ნივთის შემკვიდრობითი მფლობელობისა და, მით უფრო, საკუთრების უფლება. სამაგიეროდ, არც ასეთი მონათხოვრის დაყმევება ხდებოდა და მას თავისუფლად შეეძლო გასცლოდა ადგილ-მამულის გამნათხოვრებელს, რა დროსაც კი ამას მოისურვებდა. „ციხესთან რომ ჩვენი ქოხები არის, — მიმართავს დავით ბატონიშვილი თავის „აღზრდილს გოსტაშაბისშვილს“, — იქ თათარი ნაჯაფა დურგალი იდგა. ის აიყარა და სხვაგან წავიდა... ნათხოვრად იდგა, ადგილი ჩვენი იყო, ჩვენ წყალობა გიყავით ნაჯაფას ნასახლარისა... გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ ნაჯაფას ნასახლარი სრულად. იმას გარდა სხვასთან კელი არა გაქვს... შენი მოცილე და მოდავე არავინ არის, ჩვენი საკუთარი ალაგი არის“ (საქ. სიძვ. 1899, 472—473). აქ საინტერესოა ისიც, რომ ადგილ-მამულზე თუნდაც ნათხოვრობით, მაგრამ რამდენადმე ხანგრძლივად დგომა მაინც თავისებურ კვალს ტოვებდა: ადგილი წინათ მასზე მდგომი მონათხოვრის სახელით იხსენიება („ნაჯაფას ნასახლარი“).

ნათხოვრობითი ურთიერთობის შხარეები — ნივთის გამნათხოვრებელი და მონათხოვრე, როგორც წესი, ერთსა და იმავე წრეს მიეკუთვნებიან. დავით ბატონიშვილის სამართალი, მაგალითად. სწორედ ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც „ტე-

თილშობილნი კეთილშობილთაგან, და ოღენამე ეპისკოპოსნიცა, ინათხოვრებენ მამულთა კეთილშობილთასა“ (დ. ბატონიშვი., 216).

თავისთავად ცხადია, არაა გამორიცხული, რომ ნათხოვრობითს ურთიერთობებში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ნივთის გამნათხოვრებელი მაღალ, ხოლო მონათხოვრე უფრო დაბალ წრეს ეკუთვნოდა. ქართული დოკუმენტებით ამ საერთო წესის გამონაკლისიც დასტურდება. „ბარგი თუ რამ გვაქვს, — წერდა მეფის ასული ქეთევანი „მისკარბაშის ჯალაბს ქალუას“, — ყველა საოფლიან სახლში დაგვრჩია... ამისთვის გთხოვე. სოლომონ ქორწილს აპირებს და თქვენი ჩაქოსავლები და ყელ-საბაჟი მათხოვრეთ სოლომონის ცოლისათვის“ (საქ. სიძვ., III, 83). 1795 წლის საბუთის მიხედვით (იქვე, 245—246), დარეჯან დედოფალს ტიკები უნათხოვრებია. „ჩვენცა გვეყრიან (ჩანს, ალა-მაჰმად-ხანისაგან თბილისის აოხრების გამო — ი. ფ.) და არ ვიცით სად მივალთ, — აცნობებდა დედოფალი სტეფანე ყორანაშვილიც, — სოფელ-სოფელ უნდა ვიაროთ... ცხენებიც გამოგიგზავნეთ და ერთის პატარას ტიკორითაც ძველი ღვინო გამოგიგზავნეთ. ღვინო ორი ტიკპორა არის... ეს ტიკები ნათხოვარია, შენ შეინახე“.

უსასყიდლობის საკითხი

არსებითი ნიშან-თვისება, რომელიც ნათხოვრობას ახასიათებს, ეს არის უსასყიდლობა. ნათხოვრობა „უქირაოთ“ (საქ. სიძვ., III, 468) ჭერასა და სარგებლობას გულისხმობს. იგი მატერიალურად მხოლოდ ერთი მხარისათვის — მონათხოვრისათვის არის სასარგებლო.

ნათხოვრობის უსასყიდლობა გამოკვეთილადცაა აღნიშნული კანონში. მაგალითად, ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „ნათხოვრობა, თავისი არსებით, უსასყიდლოა“. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი აგრეთვე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში (შერშენ., 156; სამოქ. კან., 1771—1773).

პირდაპირი მითითება ნათხოვრობის ხელშეკრულების უსასყიდლობაზე არ გვხვდება ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებში. მაგრამ შესაბამის სამართლებრივ ნორმებში იგი, ცხადია, თავისთავადაც იგულისხმება.

უსასყიდლობის ნომენტი აშკარა ხდება ნათხოვრობისა და სხვა სათანადო სამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი

ნორმების ერთმანეთთან შეპირისპირება-შედარების საშუალებით. ვახტანგის სამართლის 210-ე მუხლში „ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ მონათხოვრის, ტექნიკური აზრით, პასუხისმგებლობაზე“ § 210 იწყება: „ვინც სხვის კაცს სამსახურისათვის ითხოვებს, ვალდებულია მოთხოვნისამებრ დაუბრუნოს მესაკუთრეს“. ამგვარად, აქ ყმის ნათხოვრობა უნდა გვექონდეს. რათა მხოლოდ ნათხოვრობა ვიგულისხმოთ და არა ქირავნობაც, საჭიროა ვახტანგის § 229-ში კანონის გამოთქმაც განვიხილოთ. იქ კანონი ლაპარაკობს მხოლოდ „ქირავნობაზე“ სასყიდლით და მას უპირისპირებს „თხოვნას“ უსასყიდლოდ. ამრიგად, თხოვნაში არის უსასყიდლობის მომენტი“ (კლუტმ., 463—464).

ნათხოვრობის უსასყიდლობის მანიშნებელია სიტყვები, რომელთაც დავით ბატონიშვილი იყენებს თავის კანონგანზრახულობაში მაჟულის გაწნათხოვრებლის მაჟოძრავებელი მოტივების გამოსახატავად: მესაკუთრე მიწას ანათხოვრებს და კაცს შეიხიზნებს ხოლმე „კაცთმოყვარებისათვის“, „მეზობლობისა და სიყვარულის გულისათვის“ (დ. ბატონიშვ., 216). ამ სიტყვებში უდავოდ ჩანს ნათხოვრობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი უსასყიდლობის მომენტი. ნივთის ნათხოვრობა, ვითარცა უსასყიდლო იურიდიული ურთიერთობა, უპირისპირდება სასყიდლიან ხელშეკრულებას სომხური სამართლის ქართული ვერსიის 229-ე და 230-ე მუხლებში.

საზოგადოდ, მართოდღე ის გარემოება, რომ ორივე კონტრაქტის მოქმედების ობიექტი ერთი და იგივე ნივთია, ჯერ კიდევ არაა საკმარისი მათი ურთიერთობების არაეკვივალენტურად ცნობისათვის. უსასყიდლოდ არ მიიჩნევენ ხელშეკრულებას, თუკი, ვთქვათ, კონტრაქტს დროებითი სარგებლობისათვის გადაეცემა დაქაობებული ნაკვეთი მისი ამოშრობა-გასუფთავების პირობით (სიმოლ., 42). ხელშეკრულების უსასყიდლობა მართლაც ასე გაიგება განვითარებული და დახვეწილი იურიდიული ურთიერთობების დროს. მაგრამ ფეოდალიზმის პირობებში არ იქნებოდა მართებული ამგვარი მკაცრი საზომით მიდგომა სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობის საკითხისადმი.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უსასყიდლობის პრინციპი ყველგან და ყოველთვის როდი იყო განუხრელად დაცული სახელდობრ, კლასიკურ რომაულ სამართალში ნივთის უსასყიდლოდ შენახვა განიხილებოდა ვითარცა მიზარების ხელშეკრულების არსებითი ნაწილი. მაგრამ იუსტინიანეს სამართალში შეიმჩნევა

ტენდენცია, რომ მცირეოდენი საზღაური არ ცვლის ხსენებულ ხელშეკრულების ბუნებას. საქსონიის სამოქალაქო სჯულდებით კი თუმცა გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც დაიშვებოდა სასყიდლიანი ნათხოვრობაც (ე. ი. როცა მონათხოვრე კისრულობდა განსაზღვრული საზღაურის გადახდას ნათხოვარი ნივთის სარგებლობისათვის). თუკი მხარეებს მხედველობაში ჰქონდათ სწორედ ნათხოვრობითი სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება (ეკლოგა, 141; ანენკ., 360).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა 1776 წლის 7 აგვისტოს საბუთი (სოც. ისტ. დოკ., II, 98). „ახალდაბადღეს რომ სოფელი სიღნაღთ სახლობდართ“, — მიმართავს ჟამთა სიავის („ლექიანობა და ავი დრო“) გამო თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გადმოხვეწილი და ნათხოვარ მამულში მდგომი კაცი მიწის მეპატრონეს, — „აქ სახლები გვიდგია, როგორც სხვანი დგანან და ჩვენცა ამ ჩვენს სახლში საწნახლის ვაკეთება მოვიწოდომეთ და თქვენ არ გაგვაკეთებინეთ და მას უკან შემოგვხვეწენით და საწნახლის ადგილი ნათხოვრად გვათხოვეთ... მინამდისინ... აქ სიღნაღთ ვდგევართ... მანამ ეს საწნახელი და ჩვენი სახლები ჩვენს ხელთ იყოს. მასუკან ეს საწნახელიცა და სახლების ადგილიცა ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროს“.

ამგვარად, მიწის ნათხოვრობის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მონათხოვრის ნაშენობა (კერძოდ — საწნახელი) გამნათხოვრებელს რჩება. ეს, ცხადია, არ ჩაიგდება სხვისი მიწით სარგებლობის ეკვივალენტად და ხელშეკრულების მხარეთა შორის დამყარებული იურიდიული ურთიერთობა არსებითად უსასყიდლოდ უნდა ჩაითვალოს.

ადგილ-მამულის ნათხოვრობის უსასყიდლოდის საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია მონათხოვრის უაღრესად გაჭირვებული მდგომარეობა. მიწის ნათხოვრობას ხშირად მიმართავდნენ მტრის გამანადგურებელი თავდასხმებით გაჩანაგებული, საცხოვრებელი ადგილიდან აყრილი და უგზო-უკვლოდ გადახვეწილი ადამიანები. მათ აღარ გააჩნდათ საარსებო საშუალებები. ასეთი ხალხი, თუკი ვინმე არ შეიფარებდა, დასაღუპავად იყო განწირული.

ადვილი გასაგებია, თუ რას ნიშნავდა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის მიწის ნათხოვრად მიცემა. ნათხოვარ მიწაზე მას შეეძლო დროებით ბინაც დაედო და მეურნეობისათვისაც მოეკიდა ხელი, რითაც არსებობისათვის აუცილებელ სახსარს მოიპოვებდა. მართლაც, სწორედ ასეთ ვითარებას ვგისუ-

რათებს ზემოთ ციტირებული დოკუმენტი. საბუთიდან ჩანს, რომ მონათხოვრენი დასახლებულან ნათხოვარ ადგილზე. ახალმოშენე-ები აქტიურად მოჰკიდებიან მეურნეობას. წელში გაშლილთ სა-ცხოვრებელი სახლები დაუდგამთ. ზოგს საწნახლის გაკეთებაც მო-უნდომებია. მიწის მესაკუთრე, ჩანს, კიდევ დაუფრთხია ასეთ ვი-თარებას — ადგილ-მამულზე აგრერივად ფეხმოკიდებულმა მონა-თხოვრემ ვაითუ ნათხოვრის მისაკუთრებაც მოინდომოსო — და ნა-თხოვრობითი ურთიერთობანი მტკიცედ განსაზღვრული პირობე-ბის სახით ჩამოუყალიბებია.

აქ ანგარიშგასაწევია მონათხოვრის „გრძლად დარჩომა“ (დ. ბატონიშვილი, 216) ნათხოვარ მიწაზე. თანაც მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ადგილ-მამულის გამნათხოვრებელს ხელი არ მიუწვდებოდა მონათხოვრის პირად თავისუფლებაზე და არ შეეძლო მი-სი დაყმევება.

ასეთ ვითარებაში სავსებით ბუნებრივია, რომ მონათხოვრემ განმნათხოვრებელს მისცეს ნათხოვარ ადგილ-მამულზე მოწეული მოსავლის ნაწილი, — „აძლიოს ღალაცა, მეტრ პირობისა მათ შო-რის დადებულისა“ (დ. ბატონიშვილი, 216).

ხალხმარულუბის დადების მომენტი

ნათხოვრობის ხელშეკრულება, რომის სამართლის მიხედვით, რეალურ კონტრაქტს წარმოადგენდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ვალ-დებულება წარმოიშობოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნივთი გა-დაეცემოდა მონათხოვრეს. მაგრამ ასე არ იყო ყველა დროისა და ხალხის სამართალში. მაგალითად, საქსონიის სამოქალაქო სჯულ-ჯებით სავალდებულო მნიშვნელობა ენიჭებოდა ნივთის თხოვე-ბის შეპირებას (თუმცა ნათხოვრობა ისევე განისაზღვრებოდა, რო-გორც რომის სამართალში, მაგრამ ამავე დროს დაშვებული იყო იმის შესაძლებლობა, რომ მონათხოვრეს სარჩელის საშუალებით აეძულებინა გამნათხოვრებელი, რათა ამ უკანასკნელს გადაეცა მისთვის დაპირებული ქონება), ხოლო რეგოლუციამდელი რუსუ-ლი კანონმდებლობა ამ საკითხზე პირდაპირ პასუხს არ იძლეოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ და ზოგი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ საჭირო აღარ იყო რეალურ ხელშეკრულებათა რომაული ცნების შენარჩუნება და ყველა ისი-ნი კონსენსუალურად უნდა იქნეს მიჩნეული (ნოვიცკი, 202; ანენკა, 360; სინაისკი, 106; სიმოლი, 187).

რამდენადაც ნათხოვრობა უსასყიდლო ხელშეკრულებაა, ამდენად უმართებულო იქნებოდა ვალდებულების ძალა მინიჭებოდა ნივთის თხოვების დაპირებას. არსებობს საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება (ანენკ., 364), რომ ნათხოვრობა რევოლუციამდელ რუსულ სამართალში იყო რეალური ხელშეკრულება. განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ამის ერთ-ერთ საბუთად ისტორიული წყაროა მიჩნეული. სახელდობრ, ნათხოვრობის მომწესრიგებელი ნორმა ნასესხებია ალექსი მიხეილის ძის სჯულდებიდან. აქ კი ნათხოვრობის წარმოშობის თაობაზე ნათქვამია — «А буде кто у кого возмет к которому нибудь времени на ссуду платье», რაც იმის მაუწყებელია, რომ ხელშეკრულება მხოლოდ ნივთის გადაცემის მომენტიდან ითვლება დადებულად.

ძველ ქართულ სამართლებრივ ძეგლებშიც ისეთივე ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე, როგორსაც ალექსი მიხეილის ძის სჯულდება წარმოგვიდგენს. ნათხოვრობის მომწესრიგებელ მუხლებში იგულისხმება, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა ნათხოვარი ნივთის გადაცემის შემდეგ მყარდება. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 23-ე მუხლი — «უკეთუ საყანე მიწა ათხოოს ვისმე კაცმან კაცსა». აღსანიშნავია აგრეთვე მხითარ გოშის სჯულმდებლობის ქართული ვარიანტის 229—230-ე მუხლები: «თუ ვინ ვისიც რა ითხოოს ულაცი თავის ამხანაგისაგან, ან მოიტეხოს რამე, ან მოკუდეს»; «ვინც ვისი ქურქელი ითხოოს, რაცა დაუკარგოს ან მოაპარვინოს». განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგის სამართლის 210-ე მუხლის დასაწყისი სიტყვები — «თუ კაცი კაცი ინათხოვროს და თუ მოკუდეს». ასეთი ფორმა იმაზე ნიგვანიშნებს, რომ იმ დროისათვის, როცა კანონმდებელი ლაპარაკობს ნათხოვრობაზე ვითარცა იურიდიულ ურთიერთობაზე, ნივთი უკვე მიღებული აქვს მონათხოვრეს, იგი ამ უქანასკნელია ხელშია.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ნათხოვრობის ხელშეკრულება ძველი ქართული სამართლის მიხედვით რეალურ კონტრაქტად იყო მიჩნეული.

ნათხოვრობა რომ რეალური კონტრაქტია, ამას უნდა გვიჩვენებდეს აგრეთვე ხელშეკრულების დადება მონათხოვრის სახელით, ნათხოვრობით ურთიერთობათა დამყარება-გაფორმების მთელი პროცესი: «შემოგებხეწენით და... ადგილი ნათხოვრად გვათხოვეთ და ეს ნათხოვრობის წიგნი მოგართვით» (სოც. ისტ. დოკ., II, 98).

ნათხოვრობის საბუთის გაცემა მონათხოვრის სახელით გათვალისწინებულია ვახტანგის სამართლის წიგნის 207 და 207¹ მუხლებში.

მეტად თავისებურ ნათხოვრობას ასახავს 1780 წლის 30 ივნისის საბუთი — „ციციშვილის ბატონის სარდალ ქალაქის მოურავისა და იმის სახლის კაცების გარიგება“ (სოც. ისტ. დოკ., II, 208—210): „საუფლისწულოს სოფლების დლისა, როგორც განაჩენში უწერიათ, ისე აღასრულონ. გოგია თავის საუფლისწულოს მიწას რომ ვერა სწვდება, მარამდინ მისწვდებოდეს, თხუთმეტის დლისა თავის საუფლისწულოდამ მოურავმა ათხოვოს, თხუთმეტის დლისა ივანემა და პაატამ ათხოვოს და თხუთმეტის ღღრსა ნიკოლოზმა და აპილბაბარ ათხოვონ“.

ესაა სასამართლოს გადაწყვეტილება და, ამდენად, მხარეთა ნათხოვრობითი ურთიერთობა ნივთის გადაცემამდეც წარმოიშობა — მესაკუთრეს ეკისრება ქონების განათხოვრების ვალდებულება.

ნათხოვრობის საგანი

ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულების საგნის საკითხი ერთნაირად არ იყო გადაწყვეტილი სხვადასხვა ხალხთა სამართალში. რომის სამართლის მიხედვით, მაგალითად, ნათხოვრობის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები ან უძრავი ნივთები. რევოლუციამდელი რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა კი მხოლოდ მოძრავი ნივთების განათხოვრებას ითვალისწინებდა. ეს გარემოება მიჩნეული იყო რუსული სამართლის თავისებურებად, რაც განასხვავებდა მას დასავლური კანონმდებლობისაგან. ნათხოვრობის სფეროს ასეთ შეზღუდვას ურთხვად აკრიტიკებდნენ რუსი იურისტები (სიმოლ., 308). ისინი მოუთითებდნენ, რომ ყოფა-ცხოვრებაში ხშირია უძრავი ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის შემთხვევები, რაც სავსებით შეესაბამება ნათხოვრობის ხელშეკრულების ცნებას.

ნათხოვრობის საგანი ყველაზე უფრო სრულყოფილად განსაზღვრული ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსში (მ. 1878): „ყველა ნივთი, რომელიც არის სამოქალაქო ბრუნვაში და არ ისაობა მოხმარების შედეგად, შეიძლება იყოს ნათხოვრობის საგანი“. ხელშეკრულების საგანი აქ სავსებით მართებულად არის შემოფარგლული ისეთი ნივთებით, რომლებიც მოხმარებით არ ნადგურდება. ნათხოვრობის ერთ-ერთ არსებით ნიშან-თვისებას შე-

ადგენს ის, რომ გამნათხოვრებელს უნდა დაუბრუნდეს არა რომელიმე სხვა, არამედ სწორედ განათხოვრებული ნივთი.

ფეოდალური საქართველოს საკანონმდებლო და იურიდიული პრაქტიკისა თუ სხვაგვარი მასალების მიხედვით, ნათხოვრობის საგანს შეადგენდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ყოველგვარი ნივთი, რომელიც კი იყო სამოქალაქო ბრუნვაში. ნივთი შეიძლება ბრუნვაგარეშე არ ყოფილიყო, მაგრამ ზოგიერთი შეზღუდვა და საგანგებო მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობა რამდენადმე მაინც აფერხებდა მის განათხოვრებას. მაგალითად, დავით ბატონიშვილის სამართლის 31-ე მუხლით (დ. ბატონიშვი., 26) დადგენილია, რომ „ეპისკოპოსნი ანუ მოკვლენი ემკაცრენ განათხოვრებასა... ეკვლესიისა ნივთისა და მამულისასა“: აკრძალულია განათხოვრება „თნიერ დაკითხვისა დიკასტირიისა“. სიფრთხილის ასეთი ღონისძიების მიზანი იყო საეკლესიო ქონების დაცვა, მისი ხელუხლებლობის უზრუნველყოფა.

წყაროებში გვხვდება სრულიად სხვადასხვაგვარი ნივთების განათხოვრებას შემთხვევები. ვახტანგის სამართლის წიგნის 207-ე მუხლის მიხედვით შეიძლება განათხოვრება „რასაც ნივთისა“ და „რა გინდა რა საქონლისა“. 210-ე მუხლი აწესრიგებს „კაცის“ — ყმა-გლეხის ნათხოვრობის საკითხს („თუ კაცმა კაცი ინათხოვროს და თუ მოკუდეს“), რაც სავსებით შეესაბამება ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ბუნებას. ყმა-გლეხის განათხოვრება წარმოადგენს უშუალო მწარმოებლის პიროვნული თავისუფლების უქონლობის ერთ-ერთ გამოხატულებას.

მასალებში დამოწმებულია მიწის, ადგილ-მამულის განათხოვრება. ერთ საბუთში მთელი სოფლის განათხოვრების ფაქტიც კი არის აღნიშნული: „ამ ზაფხულს ტყვიავი რომ ქაიხოსრო ლევანიშვილისათვის გეთხოვებინათ“ (საქ. სიძვე., III, 172). მიწას სხვადასხვა დანიშნულებისათვის ნათხოვრობდნენ, კერძოდ, სახნავ-სათესად, სამოსახლოდ, საწნახლის გასაკეთებლადაც კი და ა. შ.

მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსიის 229 მუხლი ითვალისწინებს პირუტყვის („ულაყის“) განათხოვრებას. 230 მუხლში კი ქურქლის ნათხოვრობაზეა ლაპარაკი — „ვინც ვიპი ქურქელი ითხოოს“. აქ სჯულმდებელს მხედველობაში აქვს ყოველგვარი ქურქლის ნათხოვრობა, რაც კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის საძიებლიდან: „705. ვინ ვისი ქურქელი რაც ითხოოს“.

1769 წლის საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III, 468) საქმე გვაქვს „დარბაზის“ განათხოვრებასთან: „რათგან დარბაზი მელიქ აშხარბეგის თამასუქში გირაოდ სწერია, მირიშქარ-ბაშს გორ-ქასი მდივნისათვის ეთხოვებინა, თექვსმეტი წელიწადი უქიროთ მდივანს ექირა“. დადასტურებულია აგრეთვე ქალის მორთულობის ნივთების — „ჩამოსაყლებისა და ყელ-საბამის“ ნათხოვრობა ქორწილის გამართვასთან დაკავშირებით (საქ. სიძვ., III, 83).

კულტურული ცხოვრების სფეროდან აღსანიშნავია სხვისი წიგნებით უსასყიდლო სარგებლობა (ქრონიკ., III, 182, 518), რაც თან წაღებით ან იქვე, ადგილზევე ხორციელდებოდა.

შავაპსი ინსტიტუტისაგან გამიჯვნა

ქონებით უსასყიდლო სარგებლობა ცალკეული ნიშნების მიხედვით მეტად თუ ნაკლებად ემსგავსება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტებს (სამოქ. კან., 1772—1773).

ნაჩუქრობისა და ნათხოვრობის დამაახლოებლად მიჩნეულია უსასყიდლობის მომენტი. ამ ნიშნის მიხედვით ისინი ერთმანეთისაგან არ განირჩევიან. სხვა მხრივ კი ნათხოვრობა და ნაჩუქრობა არსებითად ურთიერთგანსხვავებული ინსტიტუტებია. ძირითადი, ცხადია, ისაა, რომ ნაჩუქრობა, ნათხოვრობის საპირისპიროდ, გულისხმობს ქონების გასხვისებას, საკუთრების უფლების გადაცემას. ამასთანავე, ნათხოვრობის ბუნების გათვალისწინებით ამ ხელშეკრულების საგანი, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს გვარობითი ნივთი. უკეთეს სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობას თან ერთვის ნამეტის მითვისების უფლება, მაშინ სახეზე იქნება ნაჩუქრობასთან შეერთებული ნათხოვრობის ხელშეკრულება (მდრ. სიმოლ., 324).

ნათხოვრობა არსებითი ნიშნებით განსხვავდება აგრეთვე სესხის ხელშეკრულებისაგან. მსესხებელი ნასესხები ქონების შესაკუთრე ზღვება, მაშინ როდესაც მონათხოვრე ნათხოვარი ნივთის მართლოდენ მპყრობელად არის მიჩნეული. ამასთანავე, მსესხებელიც, ცხადია, უბრუნებს ქონებას გამსესხებელს, მაგრამ სესხის ხელშეკრულების საგანი გვარობითი ნიშნებითაა განსაზღვრული (რაოდენობა, წონა, ზომა) და გამსესხებელს სამაგიეროდ სხვა ისეთივე ქონება ეძლევა. სამეცნიერო ლიტერატურაში (ნოვიცკი, 205—206) ნათხოვრობისა და სესხის სხვა განმასხვავებელ ნიშნებზედაც მიუთითებენ (იხ. აგრეთვე ანენკ., 361—363).

სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობა ზოგჯერ, კერძოდ კი ადგილ-მამულის ნათხოვრობისას, მიემსგავსება ხოლმე სახელმწიფო ურთიერთობას, რომელსაც ძველ ქართულ სამართალში ეწოდებოდა „მიწის აღება და საშენებლად“.

1776 წლის საბუთის მიხედვით, ქამთა სიავეთ აყრილმა კაცმა, რომელიც სხვებთან ერთად ნათხოვრად იღგა სხვის მამულში, დამატებით იახოვა საწნახლის ადგილი. პირობის თანახმად, მას შემდეგ, რაც მონათხოვრე თავის საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდებოდა, ნაშენობა (საწნახელი) მიწის მესაკუთრეს დარჩებოდა (სოც. ისტ. დოკ., II, 98). „მიწის აღება და საშენებლად“, ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევით (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 439), „ჩვეულებრივ ვენახის ახლად გაშენების მიზნით დადებულ ხელშეკრულებას პნიწნავდა. არა-მესაკუთრე გამშენებელს გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. მას ამ თავისი კუთვნილი ნახევრის მაგიერ მიწის პატრონისაგან მიზი ღირებულების საფასური შეეძლო აეღო. სამაგიეროდ არა-მესაკუთრე გამშენებელი ვალდებული იყო ვენახის გაშენებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები თითონ გაეწია და პატრონისათვის გაშენებული ვენახი ჩაეზარებინა“.

ამ ორი იურიდიული ურთიერთობის განმასხვავებელ ნიშანს, უპირველეს ყოვლისა, მათი სრულიად სხვადასხვაგვარი მიზანდასახულობა შეადგენს. მეორე შემთხვევაში მიწის აღება გასაშენებლად ნაშენობის ნახევრის დათმობის პირობით ხელშეკრულების დადების არსებითი მიზანია. ეს არ ითქმის პირველი შემთხვევის მიმართ. აქ სახელმწიფო ურთიერთობათა მხარეები მიწის გაშენების მიზნით კი არ დაკავშირებიან ერთმანეთს, არამედ საცხოვრებლიდან აყრილ მათსაფარ აღამიანთა შეხიზვნის მიზეზით და ხსენებული სიკეთის ტოლფარად ვერაგზით ვერ ჩაითვლება საწნახელი, რომელსაც მონათხოვრე უტოვებს ადგილ-მამულის მესაკუთრეს.

ნათხოვრობისა და მიზარების სახელმწიფო ურთიერთობათა მსგავსება სწორედ განათხოვრებული თუ მიზარებული ნივთის დაბრუნებით გამოიხატება. საერთოდ, მათ ურთიერთისახლოვეზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ისინი ერთობლივად არის მოწესრიგებული ვახტანგის სამართლის 207 და 207¹ მუხლებში. ვახტანგი ერთნაირად განსაზღვრავს ნივთის შემნახველისა და მონათხოვრის პასუხისმგებლობას. ამ ინსტიტუტების ურთიერთმსგავსებით უნდა იყოს გამოწვეული აღბუღას სამართლის 88 მუხლის

შინაარსობრივი ცვლილება. როგორც უკვე ითქვა, უძველეს ნუსხაში იგი ნათხოვრობის შინაარსით წარმოგვიდგება, ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას კი შენახვა-მიბარების მომწესრიგებლად დაუსახავს.

მიბარებისაგან ნათხოვრობის განმასხვავებელ ნიშან-თვისებად ისაა მიჩნეული, რომ შემნახველს არ შეუძლია შესანახად მიბარებული ნივთით სარგებლობა. დაიშვება ამ წესის ზოგიერთი გამონაკლისი, სახელდობრ, იმ ნივთების მიმართ, რომელნიც სავანეებო მოვლა-პატრონობას საქიროებს (პირუტყვი, ადგილ-მამული). მიბარებული პირუტყვის ზომიერად გამოყენება ნორმალური მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ იგულისხმება ვახტანგის საშარალის 211 მუხლში — „თუ პირუტყვი მიიბაროს კაცმა კაცი-სა“, „თუ ავი ს პატივით შეუნახოს და მართებულზე ნამეტნავი ამუშაოს, და მკლე იყოს, მოკუდეს, — უნდა უზღოს“. 1753 წლის საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III, 430), „ბადურცშვილს გლახას ყიზილბაშობას თავისი მამული მიება-რებიანა და ფარსადანს ასე წაგნი მიეცა გლახასათვის: შვიდს წელიწადს შენი მამული მე ვქამო და მალუჯათი მე ვაძლიო და არც ტყვე და არც მამული გაგიყიდო“.

სწორედ სარგებლობა-გამოყენების უფლებით გაეზარებოდა ხოლმე გაპარტახებული ეკლესია-მონასტრების ქონება (ქართ. სამართ. ძგლ., II, 407—410, 448—449). ასეთი იურიდიული ურთიერთობა უპატრონოდ დარჩენილი ქონების განადგურებისაგან გადარჩენისა და დაცვის საშუალებად წარმოგვიდგება. ქონება ეძლეოდა სხვა — მოკმედ ეკლესია-მონასტერს, რომელსაც გაუქმებული კორპორაციის აღდგენისთანავე უნდა დაებრუნებინა იგი „თვინიერ ყოვლისა სიტყვისა და ყოვლისა ცილობისა“. მოსარგებლედ ვალდებული იყო საჭირო მზრუნველობა გაეწია მიბარებული ქონებისათვის. მიბარებული ქონებით სარგებლობა მისი მოვლა-პატრონობის თავისებურ საზღაურს წარმოადგენდა. აკრძალული იყო მიბარებული საეკლესიო ქონების გამოყენება პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იგი, წოდებრივი საკუთრების პრინციპის შესაბამისად, უნდა მოხმარებოდა ისეთსავე კორპორაციას, სახელდობრ კი იმ ეკლესია-მონასტერს, რომელსაც ქონება მიება-რა („ეკლესიისა შემოსავალნი ეგრეთვე ეკლესიათა შეეძინებოდეს და ცუდად არა წარეგებოდეს“).

სამოქალაქო-სამართლებრივ კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება ნათხოვრობისა და ქონების

ქირავნობის ხელშეკრულებათა სიახლოვე. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის მოქმედი კოდექსის 28-ე თავში („ქონებით უსასყიდლო სარგებლობა“) პირდაპირაა ნათქვამი (მუხ. 335), რომ „ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულებაზე შესაბამისად ვრცელდება ქონების ქირავნობის ხელშეკრულების წესები... ამ თავში მოცემული წესების გათვალისწინებით“. ნათხოვრობისა და ქონებრივი ქირავნობის ურთიერთსიახლოვის მაჩვენებელია ის, რომ ისინი ერთობლივადაა მოწესრიგებული სოპნტური სამართლის ქართული ვერსიის 229—230 მუხლებში.

დამქირავებელსაცა და მონათხოვრესაც გადაეცემა ინდივიდუალური ნივთი დროებითი სარგებლობისათვის, უკანვე დაბრუნების ვალდებულებით. ქონების ქირავნობასა და ნათხოვრობას ერთმანეთისაგან განასხვავებს სასყიდლიანობა—უსასყიდლობის მომენტით. ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, ნათხოვრობა ზოგჯერ არ წარმოადგენდა სავესებით უსასყიდლო ხელშეკრულებას, მაგრამ საზღაური ნივთით სარგებლობის ეკვივალენტური არ უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნებოდა არა ნათხოვრობითი იურიდიული ურთიერთობა, არამედ ქონების ქირავნობის ხელშეკრულება.

ნათხოვრობის, მიბარებისა და ქირავნობის ურთიერთმსგავსება-სიახლოვის გამოა, რომ ისინი მკვეთრი „გათიშვა-განცალკევების“ გარეშეა განხილული რ. კლუტმანის ნაშრომში (კლუტმ., 430—431, 459), რომელიც ქართული ვალდებულებითი სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს მიეძღვნა.

ხელშეკრულების შორება

ბევლი ქართული კანონმდებლობა არ აწესებდა ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულების რაიმე სავალდებულო ფორმას. ამდენად, იგი შეიძლებოდა დადებულიყო როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითაც. წერილობითად უფრო, ალბათ, უძრავი ქონების ნათხოვრობა გაფორმდებოდა.

საზოგადოდ, ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება უპირატესად ზეპირი ფორმით იდებოდა. ეს განსაკუთრებით ათქმის სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობაზე სამეზობლო ურთიერთობათა სახით, რაც ჩვეულებითა თუ ჩვეულებითი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში (პახმ., 171) აღნიშნულია, რომ რუსეთის ჩვეულებითი სამართლის

მიხედვით არ იყო დადგენილი ნათხოვრობის რაიმე განსაკუთრებული ფორმალურობა. რაკი ქონების ჭირავნობა ჩვეულებრივ სიტუაციურად ხდებოდა, ნათხოვრობაზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ყოველთვის ასე იდებოდა. ნათხოვრობის წერილობითად გაფორმების შენატხვევები არ დასტურდება. ეს გასაგებია: ნივთი ხომ ხანმოკლე სარგებლობისათვის გაიცემა და რაიმე ფორმალურობის დაწესება აქ განსაკუთრებით შემოჭავი იქნებოდა.

ქართული კანონმდებელი, მართალია, არ აწესებდა ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულების კონკრეტულ სავალდებულო ფორმას, მაგრამ ირკვევა, რომ ფორმალურობის საკითხს მაინც ექცეოდა ყურადღება და მნიშვნელობაც ენიჭებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 207-ე მუხლი ითვალისწინებს რაგინდარა („რასაც“) ნივთის ნათხოვრობისას მონათხოვრის მხრივ პირობების დადებას „ან წიგნით, ან მოწმით“. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ნათხოვრობის ხელშეკრულება დაიდებოდა წერილობით ან სიტუაციურად მოწმეთა თანადასწრებით. ასეთი დაპირაპირება არ გამოირიცხავდა მოწმეთა თანადასწრებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება წერილობითი სახით დაიდებოდა. წერილობითი ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, სწორედ მოწმეთა მონაწილეობით ფორმდებოდა.

207-ე მუხლში კანონმდებელი არ იხსენიებს ისეთ ნათხოვრობას, რომელიც „წიგნით“ ან „მოწმით“ კი არა, არამედ სხვაგვარად დაიდებოდა. მაშასადამე, ასეთ ნათხოვრობაზე არ გავრცელდებოდა ხსენებულ მუხლში ჩამოყალიბებული წესები. „უწიგნოდ, უპიროდ“ ნათხოვრობას ვახტანგი ცალკე — 207¹ მუხლში აწესრიგებს („იქნების, უწიგნოდ, უპიროდ კაცმა კაცის საქონელი მიიბაროს ან ინათხოვროს“).

ვახტანგის სამართლის 207 და 207¹ მუხლების განალიზების საფუძველზე რ. კლუტმანი დაასკვნის (კლუტმ., 460, 461), რომ „აქ მოჩანს ტენდენცია ხელშეკრულებას ერთგვარი ფორმა დაუწესდეს“: „გა ხსენებულ მუხლებში ხედავს მისწრაფებას „აიძულონ კონტრაქტები... პასუხისმგებლობის ასაცილებლად ხელშეკრულება ფორმალურად დადონ და ამგვარად ფორმალური ხასიათი კანონისმიერად გახადონ“. მაშასადამე, რ. კლუტმანი სიტყვით, „აქარად იგრძნობა, რა მიზნად ეჩვენება კანონმდებელს ფორმის უგულებელყოფის შედეგები“.

ფაქტობრივი მასალებით დასტურდება სხვისი ქონებით უსას-

ყიდლო სარგებლობის ცალკეული შემთხვევების წერილობითად გაფორმება.

უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით ზოგჯერ მარტოდენ თხოვნის ფაქტი აღიბეჭდებოდა. ასეთი ვითარება იქმნებოდა, კერძოდ, მაშინ, როდესაც მონათხოვრე თავის სათხოვარს პირად წერილში გამოთქვამდა. ამგვარადაა ჩამოყალიბებული, მაგალითად, ქონებით უსასყიდლო სარგებლობის თხოვნა 1800 წლის 2 თებერვლის საბუთში (საქ. სიძვ., III, 83): მეფის ასული მიშკარბაშის ცოლს უგზავნის წერილს და თხოვს მას „ჩამოსავლებსა“ და ყელსაბამს. ჩვეულებრივ, თხოვნის წერილობითად ჩამოყალიბება მაშინ ხდებოდა, როდესაც მონათხოვრე და გამნათხოვრებელი შორიშორ იმყოფებოდნენ. ამავე მიზეზით მესაკუთრე პირადი წერილით აცნობებდა ხოლმე დაინტერესებულ პირს, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო გამოეყენებინა მისი ქონება, ვითარცა ნათხოვარი. „ჩვენი თავი და ჩვენი ოჯახი როგორც გინდოდეს ისე მოიხმარეთ, — წერს „ვარდციხიდან“ ევგენი აბაშიძე ტფილისში — „მუხრან ბატონის ერმინის სასახლეში“ მყოფ ანა ამილახორის ასულს, — თუ ვინმე მოსაქმე გყავს, კახეთსა გაგზავნე კაცი, თუ შენ არა გყავს რა, ჩემი სამი კვამლი კაცი გახლამსთ... და ისინი მოიხმარე და ისე მაახდინე თქვენი საქმე და ტყუვილათ კი ნუ დაქარგამთ“ (სოც. ისტ. დოკ., II, 227).

1793 წლის საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III, 172—173) ნათხოვრობა მეფის საგანგებო „ოქმითა“ თუ „წიგნით“ გაფორმებულა: „ჩვენ რომ ქაიხოსრო აბაშიძეს ტყვიავე ვათხოვეთ... იმის ოქმი დაუწერეთ და ნივეციით, რაც იმჟამად ჩვენი სახასო გლენიკაცი ტყვიავეში იყო, ის ვათხოვეთ... რომელიც წიგნი... მე მივეც, ის წიგნი მე ჩამომიტანეთ და თუ იმაში დაჰკლებია რამე, ჩვენ სხვაგანიდამ შეუსრულებთ და გაცემულს მამულებს კი დაეხსენით. თუ ეგ წიგნი ვერ გამოგზავნოთ, პირი მაინც გამოგზავნეთ მაგისი, რომ შევიტყოთ, როგორ მიგვიცია“.

შესაბამის შემთხვევაში ნათხოვრობა სასამართლო გადაწყვეტილების სახითაც შეარდებოდა. ასეთ ვითარებას წარმოგვიდგენს, სახელდობრ, ციციშვილების საუფლისწულოს „გარბიგების განჩინება“, რომელიც 1780 წელს შეუდგენია სასამართლოს მდივანბეგის მონაწილეობით (სოც. ისტ. დოკ., II, 208—210). ამ სასამართლო განჩინების მიხედვით, გოგიას, რომელიც „თავის საუფლისწულოს მიწას... ვერა სწვდება, მარამდინ მისწვდებოდეს“,

მისმა სახლიკაცებმა თხუთმეტ-თხუთმეტი დღისა „თავის საუფ-
ლისწულოდამ... ათხოვონ“.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ნათხოვრობა წერილო-
ბითად თვით ნათხოვარ საგანზე გაფორმდა. ერთ-ერთ
საეკლესიო წიგნზე ასეთი მინაწერია (ქრონიკ., 518—519): „ნათლის
მცემლისა არის მე ანტონი. არქი მანდრიტმა ნათხოვო[ბით] წავი-
ლე. ოდეს. წარვედ მეორედ იერუსალიმად. ეს სადღესასწ[ა]ულო.
ისევ. გარესჯის. [ნათლის]მცემლის. უდაბნოს. მიუვიდეს. ვინაც.
არ მისცეს. იმ მონასტერს. ნათლის მცემელი. რისხავს. და იმ მო-
ნასტრის. მამათ მადლი გაუწყრეს: აწ: დეკემბერს. იბ. კვირეს.
ჩღ^ამ^ა: გამოველ. ქალაქით: ვიწყე სლვა“.

სრული სახით შემოინახა მამულის „ნათხოვრობის წიგ-
ნი“, რომელიც 1776 წლის 7 აგვისტოს მისცა გიორგი ქებაძემ
თავისი ბატონის „სახლის კაცს თუმანიშვილს პაპუასა და ეგნატის“
(სოც. ისტ. დოკ., II, 98). ამ საბუთის ცალკეული ნაწილები, ნა-
თხოვრობის ხელშეკრულების ის რეკვიზიტები, რომელთაც იგი
ასახავს, არაერთგზის არის მოყვანილი და საჭიროების მიხედვით
გაანალიზებული წინამდებარე ნარკვევში.

საზოგადოდ, რამდენადაც ქონებით უსასყიდლო სარგებლობა
რეალური ხელშეკრულებაა, ამდენად მხარეთა შეთანხმების წერი-
ლობითი გაფორმება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სახელშეკრულებო
ურთიერთობათა საბოლოო დამყარებას. სამართლიანადაა აღნიშ-
ნული სამეცნიერო ლიტერატურაში (ანენკ., 368; შერშენ., 157),
რომ ნათხოვრობის ხელშეკრულება საბოლოოდ დადებულად ჩა-
ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნივთი გადაეცემა მონათხოვ-
რეს: წერილობითი აქტი განიხილება ვითარცა წინასწარი ხელშეკ-
რულება ნათხოვრობითი ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ვადა

ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება შეიძლე-
ბოდა დადებულიყო კონკრეტულად განსაზღვრული ვადით ან ამის
გარეშე. არ ჩანს, რომ ვადა კანონით ყოფილიყოს შეზღუდული;
იგი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრებოდა.

სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობა, ჩვეულებრივ, მო-
კლევადიან ხელშეკრულებას წარმოადგენდა. ეს ნიშან-თვისება
კარგადაა ასახული ქართულ ანდაზაში (ანდაზ., 56) — „ნათხო-
ვარი მოგიხდება, მაგრამ მალე გაგეხდება“ (უმი-

კაშვ., 244, სახოკ., 146: „ნათხოვარი მოგიხდება, ისევე მალე გაგეხდება“). ს.-ს. ორბელიანის განმარტებითაც (საბა, I, 322, 571), „თხოვება ესე არს, რაჲცა ცოტას ხანს აქონიო და აგრევე გამოართვა“, ხოლო „ნათხოვები“ — „მცირეს ხან თხოვილი და აგრევე მისაცემელი“ („ნათხოვები“ — „მცირე ხან ჰქონდეს და კვალად მისცეს“).

ნათხოვრობა, როგორც წესი, ნათხოვარის ერთჯერად მოხმარებას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება იმ დროით, რომლის განმავლობაშიაც მონათხოვრეს შეუძლია გამოიყენოს ნივთი ნათხოვრობის მიზანდასახულობის განსაზღვრისთვის. ერთჯერადი მოხმარების ბანი ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, 1800 წლის საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III, 83), დიდგვარიანთა ქორწილის ხანგრძლივობის შესაბამისად პატარძლის სამკაულის ნათხოვრობის ვადა დაახლოებით ერთი კვირითაა განსაზღვრული („ერთს კვირაზედ უფრო მალე, მგონია, რომ მოგართვა“).

ერთჯერადი იყო უსასყიდლო დამის-სათევით სარგებლობაც. საგანგებო შემთხვევას ითვალისწინებს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდება (პეტრიწონ. ტიპიკ., 113—114): „უკუეთუ დაუძღურდეს ვინ მოსრულთა მგზავრთა და სტუმართაგანი, ჭერ-არს მათი განსუენებაჲ სამ დღე და ეგრეთ წარგზავნაჲ. უკუეთუ კულა სრულიად მოუძღურდეს და ვერ ეძლოს სლვად, ჭერ-არს მუნამდის დამჭირვაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს“.

მაგრამ სხვისი ქონებით უსასყიდლო სარგებლობა, სახელდობრ კი ნათხოვრობა ყოველთვის მოკლევადიანი არ იყო. 1769 წლის საბუთით დასტურდება, რომ „დარბაზის“ ნათხოვრობა 16 წელს გაგრძელებულა (საქ. სიძვ., III, 468): „დარბაზი... მდიენისათვის ეთხოვინა, თექვსმეტი წელიწადი... ექირა“.

დიდხანს გრძელდებოდა ადგილ-მამულის ნათხოვრობა ვითარცა თავისებური იურიდიული ურთიერთობა, რაც ზემოთაა განხილული. კერძოდ, ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით დავით ბაგრატიონის კანონგანზრახულობასა (დ. ბატონიშვ., 216) და ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 23 მუხლში შესაბამისად ლაპარაკია მიწის ოც-ორმოცწლიან ნათხოვრობაზე.

საქართველოს თავისებური პირობებით იყო გამოწვეული ადგილ-მამულის ნათხოვრობის ვადის იმ სახით განსაზღვრა, როგორც ეს არის 1776 წლის 7 აგვისტოს საბუთში (სოც. ისტ. დოკ.,

ი. 98): „მინამდისინ ეს ლეკიანობა და ავი დრო არის... მანამდისინ ნათხოვრათ გვექიროს, როდესაც ლ[მერ]თ-[ჰა]ნ მშვიდობა მოგვეცეს და თავთავის მამულებსა და ნასახლარების ალაგზე მისვლა დადგომა გვეღირსოს... მასუქან... ლ[მერ]თ-[ჰა]ნ მშვიდობაში მოგახმაროს“.

ასევე თავისებურადაა განსაზღვრული ნათხოვრობის ვადა ციციშვილების „გარიგების განჩინებაში“ (სოც. ისტ. დოკ., II, 209). საბუთიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი განაყარი წილზედომილ მიწას „ვერა სწვდება“ და ამიტომ სახლიკაცებს ევალებათ ათხოვონ მას ადგილ-ჰამული. „მარამდინ“ თავისას „მისწვდება“

უსასყიდლო „უსცოთ საღბური“ და „მასაინჰლის“ ეტიმოლოგია

ძველი ქართული მასალებით დასტურდება უსასყიდლო დაზისგასათევ-სასტუმროების არსებობა, რომლებზედაც ერთობლივად ვრცელდებოდა სტუმარ-მასპინძლობის წეს-ჩვეულებანი და სხვისი ნივთათ უსასყიდლო სარგებლობის მომწესრიგებელი იურიდიული ნორმები.

აქ უნდა ითქვას, რომ თვით სტუმარ-მასპინძლობაც მართოდენ ზალხური ჩვეულებებით არ წესრიგდებოდა. სტუმრის მიღება-გასტუმრების საუკუნეობით ჩამოყალიბებული მტკიცე წესების დარღვევა ზოგჯერ სახელმწიფოს მხრივაც მკვეთრ რეაქციას იწვევდა, — სახელდობრ კი მაშინ, როცა საქმე ხელისუფლების წარმომადგენელს შეეხებოდა. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ე. წ. „ფშაველთ წიგნი“, რომელიც წარმოადგენს ერეკლე II-ის 1747 წლის 18 იანვრის განჩინებას გრიგოლ სალთხუცისა და გოგოლაურის სასისხლო საქმეზე (ქართ. სამართ. ძგლ., IV, 369).

„გრიგოლ სალთხუცისი გავგზავნეთ ფშავს, — წერს მეფე ერეკლე, — ჩვენი მოძმის კარზე იყო და ფშაველთ სტუმარი იყო. წამოსვლაში... გზაზე გოგოლაური ჩემჭდომოდა, თოფი რომ უნდა დაეკრა, სასხეპი მოსტყდომოდა, ველარა ექნა რა. რადგან რომ მთის კაცსში სასტუმრო დადებული არის თექვსმეტი ჯარი, ეს ჯერ რომ თავადიშვილი იყო, მერმე ჩემი გავგზავნილი და მოძმის კარიდამ წამოსული იყო. ახლა ჩვენ გავვიპყვია: სასტუმროც ის არის, ჩვენა ჯარიმაც შიგ არის, — თოთხმეტჯერ თექვსმეტი ჯარი უნდა მოსცეს და, თუ ის კაცი ჩვენ ჩავიგდევით, იმისი კიდემ ჩვენ ვაციოთ. ამ სალთხუცეს და [ა]მ კაცს სამართალს ჩვენ უზამთ. და თუ სიტყვა ქონდეს კიდ[ემ], ჩვენ მოგვახსენოს იმ გოგოლაურმა“.

აქ მასპინძლად ერთობლივ ფშაველნია მიჩნეული („ფშაველთ სტუმარი იყო“). დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ სტუმარ-მასპინძლობის წესებს დარღვევისათვის, სტუმრის ხელყოფისათვის დაწესებული ყოფილა საგანგებო საზღაური სასტუმროს სახელწოდებით. თანაც, ეს საზღაური ყველგან ერთნაირი არ ყოფილა და იგი, საფიქრებელია, მთისა და ბარის მიხედვით განსხვავდებოდა (ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს სიტყვები: „მთის კაცში სასტუმრო დადებული არის თექვსმეტი ჯარი“). პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული ის, რომ დაზარალებული თვით მეფის გაგზავნილი და, ამასთან ერთად, „მოძმის კარიდამ“ წამოსული იყო. „მოძმელ“ აქ ლაშარის ჯვარი იგულისხმება, რასაც თვალნათლივ აღაპტურებს 1800 წლის საბუთი (ხელნაწ. რნსტ.. Sd — 2953): „ჩვენი ბძანება არის... ჩვენი მოძმის ლაშარი ს-ჯვრის სამსახური... გდება, ხლაც უნდა ემსახურო“.

ბინას, სადგომის მნიშვნელობით ტერმინი „სადგური“ იხმარებოდა და აქედან წარმომდგარი ზმნა „უსადგურა“ ნიშნავდა, რომ კაცი მგზავრს, — სტუმარს თავის ოჯახში შეიფარებდა, ბინას მისცემდა: „გამოვიდა სახლისა მისგან ქალი ერთი და ვერა იცნა მეფე ჭვიმონ. მაშინ აწვია და უსადგურა კეთილად, და მოუშადა სერი და მიართუა (ქ. ცხ., II, 534, 607). სტუმარი, ცხადია, უსასყიდლოდ სარგებლობდა მასპინძლის ბინითა და სხვა სათანადო მომსახურებით.

„სასტუმროჲ“, ვითარცა საგანგებო ნაგებობა, იყო „სამწიროჲ“, „სადგური ყოველთაჲ“ ანუ „უცხოთ სადგური“, რომლის შესატყვისად ქართულ წყაროებში ბერძნული „ქსენადოში“ თუ „ქსენადოქი“ და „ქსენდოქსი“ დასტურდება (აბულ., 355, 456; პეტრიწონ. ტიპიკ., 202, 215; საბა, II, 234).

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდებაში (პეტრიწონ. ტიპიკ., 113—115) ჩამოყალიბებულია „სტუმართ მოყუარებრისა წესი“ და, საერთოდ, „განჩინებულისა“ „განწესებაჲ... სასტუმროთაჲ“. აქ საქმე ეხება იმ სამ სასტუმრო სახლს, რომლებიც გრიგოლ ბაქურიანის-ძეს აუგია. გრიგოლმა სასტუმროებს შესწირა გლეხები და ადგილ-მამული, გაუჩინა შემოსავალი და მომსახურე პერსონალი. საგანგებოდ იყო გამოყოფილი „კაცი ერთი სარწმუნოჲ მენწირედ მონაზონთაგანი, რომლისა კელითა განეყოფოდის დაწესებული ესე საზრდელი გლახაკთა და მოგზაურთა“. სწორედ ეს „მემწირე“ იყო სასტუმროს გამგე. სხვა

მასალის მიხედვით (აბულ., 456), სასტუმროს გამგეს „ქსენადოქარი“ ეწოდებოდა: „იყო აქა ქსენადოქი, და იყო მას შინა ქსენადოქარი, რომელ არს გამგე“.

გრიგოლ ბაკურიანის-ძის „განწესების“ ძალით, სასტუმროში შეჩერებული მგზავრი უზრუნველყოფილი იყო უსასყიდლო ბინით, მტკიცედ დადგენილი რაოდენობის სურსათ-სანოვაგითა და მომსახურებით.

მეტად საყურადღებოა სამხრეთ-დასავლეთ ქართველებში დამოწმებული საერთო-სასოფლო უსასყიდლო სასტუმრო-ჯარგვალების შენების მსოფლიო მასშტაბით უნიკალური ტრადიცია, რომელიც XIX საუკუნის მიწურულამდე შემორჩა (მოგზაურობანი, 114; იღუმ., 64—70). იგი გვაროვნული საზოგადოებიდან მომდინარეობდა და მისთვის დამახასიათებელ ურთიერთდამხარება-სოლიდარობის ჩვეულებას ემყარებოდა. „უმასპინძლო მგზავრთა“ სახლი წარმოადგენდა ორთვალთან (საქონლის სადგომ და ადამიანის მოსასვენებელ ნაწილებად გატიხრულ) ხის ნაგებობას, რომელიც ხეობის თავსა თუ ბოლოს მდებარე სოფლის განაპირას იდგა. იგი უზრუნველყოფილი იყო ყოველივე იმით, რაც მგზავრს ერთი ღამის გასათევად ესაჭიროებოდა (ლოგინი, წყალი, შეშა, საქონლის საკვები). სოფლის უსასყიდლო სასტუმროს ქვრივ-ობოლთა გამოკლებით ყველა ოჯახი აშენებდა და შემდეგაც რიგრიგობით უვლიდა (დასუფთავება, ლოგინის გამოცვლა, თივის, წყლისა და შეშის მოტანა), რაც ფრიად საპატიო საქმედ ითვლებოდა. აღსანიშნავია აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებული, მსუბუქი ტიპის უსასყიდლო გზისპირა ფარდულები, რომლებიც დამაშვრალ მგზავრთა შესასვენებლად იყო განკუთვნილი. ასეთ ნაგებობას ლაზეთში „მოშვანჯიანონი“, ხოლო სამეგრელოში „მოსასვანჯი“ ეწოდებოდა.

ამგვარად, უსასყიდლო მასპინძლობის ვალდებულებას მთელი სოფელი კისრულობდა და კეთილსინდისიერადაც ასრულებდა.

სასტუმროების საკითხი საზოგადოდ ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მასთან კავშირში წარმოგვიდგება „მასპინძელი“ ტერმინის წარმომავლობა.

„მასპინძელი“ („მაინძელი“, „მასინძელი“) მეგრულად „მენძელი“, „მენძელი“ სახისაა (ყიფუმ., 279, 291; ფუძის უძვ. აგვბ., 154). იგი უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერშივეა დადასტურებუ-

ლი (სინ. მრავალთ., 185) — „რომელნი-იგი მასპინძელ ექმნნეს მას“.

სამეცნიერო ლიტერატურაში (ფუძის უძვ. აგებ., 143, 154, 273; ეტიმ. ძიებ., 170—171) გარკვეულია, რომ „მასპინძელი“ მიღებულია ქართული საღურობის აღმნიშვნელი სიტყვაწარმოების წესით, ისევე, როგორც „მ-ეგვიპტ-ელ-ი“ (ეგვიპტე), „მ-ეგრ-ელ-ი“ (ეგრ-ის-ი), „მ-აჩაბ-ელ-ი“ (აჩაბ-ეთ-ი) და სხვა მისთ. ასე, რომ „მ-ასპინძ-ელ-ი“ მომდინარეობს სიტყვისაგან „ასპინძა“; „ენობრივად არაფერი უშლის ხელს, რომ „მასპინძელი“ მივიჩნიოთ სიტყვისაგან „ასპინძა“ წარმოებულ წარმომავლობის აღმნიშვნელ ტერმინად“ (ეტიმ. ძიებ., 171).

უნდა ითქვას, რომ მართო ენობრივად კი არა, არამედ შინა-არსობრივადაც არაფერი უშლის ხელს, რათა „მასპინძელი“ „ასპინძა“ სიტყვისაგან ნაწარმოებ ტერმინად ჩაიჯვალოს.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რატომ მაინცდამაინც „ასპინძა“ სიტყვისაგან წარმოდგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს „ოჯახში სტუმრის დამხვედრს, სტუმრის მივლბს, პატივისმცემელს“ (განმარტ. ლექსიკ., V, — „მასპინძელ-ი“), ახუ, ს.-ს. ორბელიანის ლაკონიური განმარტებით — „სახლისა და ღზინის უფალს“ (საბა, II, 450, — „მასპინძელი“).

„მასპინძელი“ უცხოური წარმომავლობის ტერმინია.

იოს. ყიფშიძემ მეგრულ „მენძელ“-თან (ქართულ „მასპინძელ“-„მინძელ“-თან) დაკავშირებით მიუთითა სომხური *ասպնջական* (ყიფშ., 291). მისგან დამოუკიდებლად ილია აბულაძეს ხსენებულ სიტყვათა ურთიერთკავშირზე მიუთითებია არნ. ჩიქობავასთვის (ფუძის უძვ. აგებ., 154), რომელმაც „მასპინძელი“ შეაპირისპირა სომხურ „ასპნჯაკან“-თან (ძირეული *ასպნჯ* — ქართული საწარმოებელი „ასპინძა“).

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ დასტურდება ანალოგიური სპარსული სიტყვის არსებობა. ნ. მარმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შედგენილ ძველქართულ-რუსულ ლექსიკონში აღნიშნა „მასპინძლის“ სპარსული წარმომავლობა. მან, კერძოდ, მიუთითა სპარსულ „ვესპენძ“-ზე (მარი, 196). თვით „მასპინძელს“ ნ. მარი „რუსულდანიანის“ ხელნაწერიდან იმოწმებდა. „ზავ მოახსენა“ ნავშადურ ხელმწიფეს, — ნათქვამია ხსენებულ ნაწარმოებში, — „თქვენია მასპინძლობა, თვარა მე, თუმცა ჩინეთს მეღირსოს მე თქვენი მობძანება, მაშინ ვიქნები მასპინძელიო“ (რუსულ., 73).

სპარსულიდან შემოსული „ასპინძა“ იხმარებოდა დიდ გზაზე მდებარე სასტუმროსა თუ დასასვენებელი სადგურის აღსანიშნავად და შესაბამისი გეოგრაფიული სახელიც, რომელიც ძველ ქართულ წყაროებში IX საუკუნიდან იხსენიება (ქსე, I, 640, — „ასპინძა“), აქედანაა გაჩენილი: იმ გეოგრაფიულ პუნქტსაც, სადაც მდებარეობდა მგზავრთა დასასვენებელი სადგური, ამ უკანასკნელის აღმნიშვნელი უცხოური სახელწოდება მიეკუთვნა. საზოგადოდ, „ასპინძის“ ტიპის სასტუმრო-სადგომები ფართოდ იყო გავრცელებული ძველ მსოფლიოში. პეროდოტეს ცნობით (პეროდოტე, I, 331—332), ერთ-ერთი მაგისტრალური გზის გაყოლებით, რომლის გავლასაც კაცი დაახლოებით 90 დღეს მოუწოდებოდა, 111 დასასვენებელი სადგური არსებულა.

ამგვარად, „ასპინძა“ არის სასტუმრო, სტუმრის მისაღები და მოსასვენებელი ადგილი; წინსართ-ბოლოსართი „მ-ელ“ კი მიგვანიშნებს ადამიანის მიკუთვნებას განსაზღვრული ადგილისადმი, მის სადაურობას, ძირითად ადგილსამყოფელს. მაშასადამე, გამოდის, რომ „მასპინძელი“ არის ის, ვინც „ასპინძაში“ (სასტუმროში) იმყოფება და სტუმრის მიღება-გასტუმრებას განაგებს. ასეთი ფუნქციის გათვალისწინებით „მასპინძელი“ ოჯახში სტუმრის მიმღებზედაც თავისუფლად ითქმოდა და საქმე თანდათანობით ისე წარმართულა, რომ განსახილველი ტერმინი საბოლოოდ სწორედ ამ მნიშვნელობით დამკვიდრებულა.

„უსასყიდლოდ კურნება“

საზღაურის გარეშე მკურნალობას „უსასყიდლოდ კურნება“ ეწოდებოდა (ავიოგრაფ. ლიტ. ძგლ., III, 229; აბულ., 432). იგი სამკურნალო ნაგებობა-მოწყობილობითა თუ წამლებით უსასყიდლო სარგებლობას გულისხმობდა და, ამდენად, განსახილველი თემის ერთ-ერთ კერძო საკითხად წარმოგვიდგება.

უფასო მკურნალობის ცალკეული შემთხვევები, ცხადია, უსასყიდლო სამკურნალო დაწესებულებათა გარეთაც არ იყო გავრცელებული. საერთოდ კი მასალებიდან ჩანს, რომ მკურნალობის საზღაურის ამოსაგებად სასამართლოსაც მიმართავდნენ. სახელდობრ, 1756 წლის საჩივრების ნუსხის მიხედვით (სამდივანბ. სასამ. მას., 27, 29), „ექიმა მინ[ა]ს[ა]მ ხ[ა]ინის დისწულს უჩივლა საექიმო“; „ექიმ იოვან[ე]ს ჯალ[ა]ბმან ზადუას საექიმო [უჩივლა]. ამის [იასა]ული რამაზისშვილი ვახტანგ“.

უძლურთა შევრდომა და სენით ძლეულთა უსასყიდლო შკურ-ნალობა მიჩნეული იყო კაცთმოყვარეობის გამოვლინებად და შეი-რააცხებოდა ვითარცა „საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკიბი-ლისა ღმრთისა სახისა“ (ქ. ცხ., I, 331).

საავადმყოფო-თავშესაფარი, ჩვეულებრივ, ეკლესია-მონას-ტერთან არსებობდა და არსებითად შინასაკოროპორაციო მოშა-ხურებისათვის იყო განკუთვნილი. „სამონასტრო საავად-მყოფო“, ივ. ჭავჭავიძელის გამოკვლევით (ქართ. სამართ. ისტ., II, ბ, 62), „მოზრდილსა და დიდ მონასტრებში ავადმყოფი ბერე-ბის მოსაღელლად არსებობდა“. ავადმყოფებს „განსაკუთრებული პომეღელი, ერთგვარი მოწყალების ძმა ჰყავდათ მიჩენილი, რომე-ლიც ამ დაწესებულებასაც განაგებდა და ავადმყოფებსაც უვლი-და. ამ თანამდებობის პირს „მესნეულეა“ ერქვა“. „სამონას-ტრო წესდების თანახმად საქართველოში ისე ყოფილა მიღებული, რომ კარგად მოწყობილ მონასტერში მესნეულე აუცილებლად უნ-და ყოფილიყო“.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდებაში საგანგებო თავია გამოყოფილი „მონასტერსა შინა სასნეულომსათჳს“. აქ ჩა-მოყალიბებულია წესები „მოუძღურებულთა და მოხუცებულთა ძმა-თათჳს, თუ ვითარ ჯერ-არს განსუენებაჲ და ფუფუნებაჲ მათი“. წესდებაში „მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუ-ფუნებელად“ გათვალისწინებულია ორი „მეუძღურე“ (პეტ-რიწონ. ტიპიკ., 65, 82, 112—113). საზოგადოდ, „მოხუცებულ-თა ფუფუნებითა და ცვაჲ“ გაერთიანებულ ფეოდა-ლურ საქართველოში ერისთავთ-ერისთავს ევალებოდა (ქართ. სა-მართ. ძგლ., II, 56).

საავადმყოფო, დავრდომილთა თავშესაფარი წყაროებში სხვადა-სხვა სახელით იხსენიება. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტი-პიკონის ზემოწოდებულ ამონაწერში მას „სასნეულოჲ“ ეწო-დება. ასევეა პეტრე ქართველის „ცხოვრებაშიც“ (ავიოგრაფ. ლიტ. ძგლ., II, 235). ამასთანავე, ასეთი დაწესებულება წყაროებში ხში-რად აღინიშნება ტერმინით „ქსენონი“: „მივლენედ... ქსენო-ნთა და აბანოებსა უძლურთა და გლახთასა და ილუწიედ მათ“ (აბულ., 456). ს.-ს. ორბელიანის განმარტებით (საბა, II, 234, 571), „ქსენონი“ არის „სასნეულო სახლი“; მის უცხო შესატ-ყვისად საბას მოჰყავს ლათინური „ოსპიდალე“.

ქსენონთა შესახები ცნობები საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველ

ქართულ წყაროებში. მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობით (ქ. ცხ., I, 134, 455), ქსენონი ააშენეს პეტრე ქართველმა და იოანე ლაზმა.

სანიმუშო, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და უსასყიდლო საავადმყოფო-თავმესაფარი მოუწყვია გელათში დავით აღმაშენებელს, რაც აღწერილია მისი ისტორიკოსის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ. ცხ., I, 331): „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თუთოსახითა სენითა განცილნი, და მოუშადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლულად და უხუებით, და განუჩინა შესავალნი და სალუაწნი მათნი ყოვლადვე. თუთ მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თუთოელსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ნატრიდის, განამკნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თუსითა კელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საკმარი მათი, მისცის თუთოელსა ოქრო საყოფინი, და განაკრძალნის ზედამდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად“.

უხდა ითქვას, რომ ავადმყოფთა მოვლა-მომსახურება, ვითარცა ფრიად საძნელო საქმე. სასჯელის ერთგვარ ღონისძიებასაც კი წარმოადგენდა. სომხური სამართლის ქართული ვერსიის 345 მუხლის მიხედვით, თუ ქალმა კაცს ცოლი გააშვებინა და თავისი თავი შეართვევინა, „დაიჭირონ ის დედაკაცი, და სადაც მონაობიანი დაშლილი ავი ავადმყოფი გლახანი იყუნენ, ერთს წელიწადს იმათ ამსახურონ და მოავლებინონ“. აზნაურიშვილის ქალი ასეთ სასჯელს ჯარიმის გადახდით აირიდებდა.

უსასყიდლო სამკურნალო დაწესებულებათა მოწყობას ითვალისწინებდა იონე ბატონიშვილი ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში: „იყოს სასნეულო სახლი გაკეთებული და შეუძლებელი ვინც იყოს, იქ მიიყვანდნენ და მოუვლიდენ. აგრეთვე უცხო კაცი ვინც იყოს შეუძლებელი. ეს სახედვე, სამშობიაროები იყოს, რომ თუ ვისმე უქმროს შეემთხვას ორსულობა, იქ მოიმშობიერებოდეს სირცხვილისა გამო, რადგან თავის სახლში ხალხს მოერიდება და იმა ყმაწვილთ მიუჩინდენ ძიძათ. ამაზედ თავს დეგი ისევ უნდა იყოს კარგი კაცი და დედაკაცი და ჰყვანდეს ყოველი შემწე“ (სჯულდება, 58).

ხელშეკრულების იმ მხარეს, რომლის ქონებაც დროებითი უსასყიდლო სარგებლობისათვის გაიცემა, ნივთით მოსარგებლისაგან განსხვავებით მხოლოდ ორიოდ ვალდებულება თუ ეკისრება და ისიც იშვიათ, გამონაკლის შემთხვევაში. ასეთ ვალდებულებად განიხილება, კერძოდ, ნივთის გადაცემა, რაც მარტოდენ კონსენსუალური სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს წარმოიშობა. ქართული სამართლის ისტორიიდან აქ შეიძლება აღინიშნოს ისეთი შემთხვევა, როდესაც მესაკუთრეს სასამართლომ დააკისრა ნივთის განათხოვრება (სოც. ისტ. დოკ., II, 209): ციციშვილების 1780 წლის გაყრილობის განჩინების ძალით, სახლიკაცები ვალდებულნი იყვნენ მიწა ეთხოვებინათ განაყარისათვის, რომელიც თავის ჯერმ მამულს „ვერა სწედებოდა“.

ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ვალდებულებად მიიჩნევენ იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მოსარგებლემ სარგებლობის უფლებით გადაცემული ნივთის მანქანობის მიზნით განიცადა. რადგანაც ხელშეკრულება უსასყიდლოა, ანაზღაურება ნივთის მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ დაეკისრება, როცა ზარალი ნება უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახვის შედეგად არის გამოწვეული. თუმცა საამისო ფაქტობრივი მასალა არ მოიპოვება, მაკრამ მაინც, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამართალშიც ასეთივე წესი იქნებოდა მიღებული.

გამნათხოვრებლის უფლებაა მოითხოვოს უსასყიდლო სარგებლობის მიზნით გაცემული ქონების უკან დაბრუნება (ანდა, თუკი ეს შეუძლებელია, ნივთის ღირებულების ანაზღაურება). აქ გასათვალისწინებელია რომის სამართალში მიღებული პრინციპი (ნოვიცი, 203), რომ ნივთის გადაცემის შემდეგ გამნათხოვრებელს უკვე აღარ შეუძლია თავისი პუნქტურით შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა. სამეცნიერო ლიტერატურაში (სიმოლ., 352) აღწერილია ისეთი ანეკდოტური ვითარება, როდესაც ვანაწყენებულმა გამნათხოვრებელმა სიძეს ქორწილის დროს საჭაროდ ჰოსთხოვა დაებრუნებინა მისთვის ნათხოვარი ეილეთი და საათის ძეწყვი. საარყე ქვაბის გამნათხოვრებელს, მაგალითად, უფლება არა აქვს გამოითხოვოს განათხოვრებული ნივთი თუნდაც თავისი გადაუდებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად იმ მომენტში, როდესაც მონათხოვრე არაყს ზღის ნათხოვრობის ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობების დაცვით. ცხადია, სულ სხვა საქმეა, თუ მონათხოვრე არ იცავს ხელშეკრულების პირობებს და ნათხოვარ ნივთს არადანიშნულებისამებრ იყენებს.

სხვისი ქონებით უსასყიდლო მოსარგებლის ძირითადი უფლებამოსილება, რაც განსახილველ სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსებით ნიშან-თვისებასაც შეადგენს, არის ნათხოვარით სარგებლობა, ნივთის გამოყენება მისი სამეურნეო-ეკონომიკური დანიშნულებისა და მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, ნათხოვრობას აზრიც აღარ ექნებოდა. ხალხმა თავისი შეხედულება ამ საკითხზე ასეთი სახეობით ანდაზის სახით ჩამოაყალიბა (უმკიაშვი., 225) — „ღამ დას ნიფხავი ათხოვა და უთხრა: ღუმას კი ნუ ჩაპყოფო“. ანდაზის დედააზრი ისაა, რომ რაკი ქესაკუთრე ნივთს განათხოვრებდა, მონათხოვრეს მის დანიშნულებისამებრ გამოყენებდასაც ვეღარ აუკრძალავდა.

რალა თქმა უნდა, სხვისი ნივთით უსასყიდლო სარგებლობა თვითნებობა-ძალადობის გზით კი არ უნდა მომხდარიყო, არამედ მეპატრონის ნებართვის საფუძველზე. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების მიხედვით (პეტრიწონ. ტიპიკ., 114), უსასყიდლო სასტუმროს „საქმარი რადეცა იყოს“, საგანგებოდ აშენებულ კოშკში „დაიმარხოს და არავის კელ-ეწიფოს მძლავრთა მგზავრთაგანსა უნებლებით მიტაცებად“.

მონათხოვრე ნათხოვრობას საკუთარი საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო-ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიმართავს და გამნათხოვრებელიც სწორედ ამ დანიშნულებისათვის გადასცემს მას თავის ნივთს. არ შეიძლება ნათხოვარი ნივთის სხვისთვის გადაცემა გამნათხოვრებლის საგანგებო თანხმობის ვარეშე. ეს წესი ხატოვნად არის გადმოცემული ქართულ ანდაზაში — „ნათხოვარის გამნათხოვრებელი ბრიყვზე უბრიყვეს იაო“ (ანდაზ. 56).

ქართულ მასალებში დამოწმებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც მონათხოვრე ნივთს სხვისთვის ნათხოვრობს (საქ. სიძვ., III, 83). ცხადია, ამ დროს პასუხისმგებლობა გამნათხოვრებლის წინაშე უშუალო მონათხოვრეს ეკისრება და არა ნათხოვარი ნივთით მოსარგებლე მესამე პირს. იგივე ითქმის იმ შემთხვევაზედაც, როდესაც დარეკან დედოფალმა ნათხოვარი ტიკებით ღვინო გაუგზავნა თავის ქალს მარიამს და სტეფანე ყორღანაშვილს (საქ. სიძვ., III, 245—246). ტიკების შენახვასა და უკან დაბრუნებას

დედოფალი სტეფანეს ავალებს. თუკი ტიკები დაიკარგებოდა (მგზავრებს, როგორც ამავე დოკუმენტშია ნათქვამი, „ხევსურები გზაზედ ხვდებოდნენ და სცარციდნენ“), გამნათხოვრებლისათვის პასუხი, რაღა თქმა უნდა, დარეჯან დედოფალს უნდა გაეცა.

ქონებით უსასყიდლო მოსარგებლე მოვალეა „ქონებული და უამ რაოდენმე მიღებულნი კვალად აგოს“ (საბა, I, 516), ე. ი. თავის დროზე დაუბრუნოს გამნათხოვრებელს ნათხოვარი ნივთი. თუკი ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულების საგანი იყო გვარეობით განსაზღვრული ნივთი, რომელიც გამოყენების პროცესში ისპობოდა და მესაყუთრეს აღარ უბრუნდებოდა, მაშინ არსებითად სახეზე გვექნებოდა ნაჩუქრობითი ურთიერთობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში (პახმ., 172; სიმოლ., 251—252) აღნიშნულია, რომ მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთი გამოიყენოს გამნათხოვრებლის მიმართ თავისი სავალო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად თუ ასანაზღაურებლად. ანალოგიური ნორმის არსებობა ქართულ სამართალშიც დადასტურებულად ჩივლება, უკეთეს აღბუღას სამართლის უძველესი ნუსხის 88 მუხალ ნათხოვრობის ნორმისრიგებლად იქნება მიჩნეული: კაცი კაცს „დაჭირების უამს“ ნათხოვნი საქონლს „დახუთვას“ რაიმე „სამდურავისათჳს... არას ემართლებს. თუ დაიჭიროს და არ მისცე, როდესაც სასამართლოდ შეიყარნენ, ერთისათჳს ორი უზღოს“.

დავით ბატონიშვილის სამართლის 122 მუხლის ძალითაც, „ვინცა ვის საქონელი ათხოოს და არღარა მისცეს, ჭერ-არს მსაჯულთაგან მხილებად ურცხვინოებისა მისთვის მისისა და შემდგომად გარდახდევინებად ერთისათვის ორისა, რომელიცა პირველი იქმნების პატრონისათვის, ხოლო მეორე — ჯურუმად მეფისა“ (დ. ბატონიშვ., 70). დავითისეული ნორმის თავისებურება ისაა, რომ ორმაგი საზღაური მთლიანად დაზარალებულს კი არ ეძლევა, არამედ ნახევარი მეფის სასარგებლოდ დაიდება.

ორმაგი გადახდევინების წესი იურიდიული პრაქტიკის მასალებში არ ჩანს. ისე კი, დოკუმენტური მასალითაც დასტურდება, რომ როდესაც მონათხოვრე უარს ამბობდა ნათხოვარის უკან დაბრუნებაზე, საქმე სასამართლომდე მიდიოდა. 1769 წლის საბუთის მიხედვით (საქ. სიძვ., III, 468), დარბაზის მონათხოვრისათვის „მრავალჯერ... ეთხოვნათ, რომ დაგვიცალეო, რომ გავყიდოთო და არ დაეცალა“. მაშინ, „რათგან თავისის ნებით არ დასცალა, ბა-

ტონს წლივან-ბეგებს“ მიმართეს და „იმათ უბძანეს: ან სახლი შენ იყიდეო და ან დასცალეო“.

მონათხოვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას შეადგენს ნათხოვარი ქონებისადმი ისე შოპყრობა, ვითარცა ეს კარგ მოუტრნეს შეეფერება. თუკი მონათხოვრე ამ მხრივ ნდობას არ იმსახურებს. მას ძნელად თუ ათხოვებს ვინმე თავის ნივთს. ნათხოვრისადმი მონათხოვრის კეთილსინდისიერი და განსაკუთრებით მორიდებული, ფრთხილი მოპყრობის თვისება ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც აბედვინებს მესაკუთრეს ნივთის განათხოვრებას და ბევრად განაპირობებს მსარეთა შორის ნათხოვრობითი ურთიერთობების დაწყებას. სწორედ ასეთ აზრს გამოხატავს სახუმარო ჭასიათის ერთ-ერთი ქართული ანდაზა — „იმერელს უთქვამს: ცოლსაც არავის დაუქერ, თუ ჩემსავით იხმარებენო“ (უნიკაშვილ., 235).

ნათხოვრობას მატერიალური სარგებელი მხოლოდ მონათხოვრისათვის მოაქვს. ამ გარეწობის გათვალისწინებით განსაზღვრავდა რომის სამართალი მონათხოვრის პასუხისმგებლობის ფარგლებს ნათხოვარი ნივთის დაცულობა-უვნებლობისათვის (ნოვიცი, 202—203). მონათხოვრეს ყოველგვარი ბრალი შეეარცხებოდა. სახელდობრ კი მას უმნიშვნელო დაუდევრობით მიყენებული ზარალიც ეკისრებოდა.

არაკეთილსინდისიერ მონათხოვრეს, რომლის უდიერი მოპყრობის შედეგად ნათხოვარი ნივთი დაიღუპებოდა, დავით ბატონიშვილის სამართლის 122 მუხლის მიხედვით ორმაგი საზღაური უნდა გადაეხადა: „უკეთუ საქონელი ნათხოვები მეტის გარჯითა მოუქლას ვინ ვის, მისცეს ერთისათვის ორი“. ეს ნორმა ერთგვარ სიანხლოვეს იჩენს ვახტანგის სამართლის 211 მუხლის იმ ნაწილთან, რომელშიც ლაპარაკია მიბარებული პირუტყვისადმი შემნახვის უდიერ მოპყრობაზე.

მონათხოვრეს ევალება მოუაროს ნათხოვარ ნივთს, გასწიოს მისი პატრონობისა თუ შენახვა-დაცვის აუცილებელი ხარჯები. ვახტანგის სამართლის 210 მუხლში გამოკვეთილად ჩანს ნათხოვარი ყმის „კარგად“ შენახვის მოვალეობა: „ვინც ის კაცი ითხოვა... და მას. ნათხოვნს კაცს, კარგადაც ინახევდეს“. „შენახვაში“ უთუოდ იგულისხმება, რომ ნათხოვარი ყმის გამოკვება. სმა-ჰამა მონათხოვრეს ევალებოდა — როგორც იტყვიან, „უფასო მუშასა პური არ დაეყვედრებაო“ (ანდაზ., 73).

ვახტანგის სამართლის წიგნის 210 მუხლის ძალით, მონათხოვ-

რე, უკეთუ ნათხოვარი ყმა მასთან არ ჩერდება ან ავადაა, მოვალეა ყოველივე გამნათხოვრებელს შეატყობინოს. ასევე, ნათხოვარი კაცი მან არ უნდა გაგზავნოს საშიშ — მოსაპარავ ან მოსატაცებელ ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამნათხოვრებლის წინაშე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება. თუ ნათხოვარი ყმა თვითნებურად, „თვითონ წავიდა და გაიპარა“ და ამრიგად დატყვევდა, მონათხოვრეს, მართალია, პასუხისმგებლობა არ ეკისრება, მაგრამ მან ფიცით თავი უნდა იმართლოს და დაკარგული კაცი გამნათხოვრებელთან ერთად ეძებოს. ნაპოვნი პატრონს უბრუნდება, ხოლო „სხვა საზღაური, რაც იმის მამპარავს გამოართვან, ვისაც რომ ის კაცი ნათხოვრად ყუანდა და ებარა, იმას მიეცეს, ამისთვის რომე უბრალოდ დაუფიცნია და ფიცის საუპატიო მან ქურდმან უნდა გარდუქალოს“.

საერთო წესის მიხედვით, უკეთუ მონათხოვრემ ნათხოვარს დაკარგა ან გააფუჭა, მან გამნათხოვრებელს უნდა უზღოს მიყენებული ზარალი. როგორც დავით ბატონიშვილი ამბობდა, „ვინცა ვინ ნივთი, გინა საქონელი, ითხოოს და იგი დაუკარგოს და ანუ წაუხდინოს, აღუდგინოს“ (დ. ბატონიშვ., 35). „ბიბლიაში“ (გამოსლვ., XXII, 14—15) დაკანონებულია, რომ „უკუეთუ ვინმე მისთხოვოს მოყუასსა თესსა საცხოვარი რაჲვე და განუტყდეს, ანუ მოკუდეს, ანუ წარიტყუენოს და უფალი იგი მისი არა მის თანა იყოს, მიჰვადოს. უკუეთუ მის თანა იყოს, არა მიჰვადოს (წიგნ. ძუელ. აღთქ., 96). ძველი აღთქმის ეს ადგილი შეტანილია სომხური სამართლის ქართული ვერსიის 229 და 230 მუხლებში.

განათხოვრებული ნივთის საკუთრებო: უფლება არ გადაეცემა მონათხოვრეს და შემთხვევითობის რისკიც, ბუნებრივია, გამნათხოვრებელს წევს. დავით ბატონიშვილის სამართლის თანახმად, მონათხოვრეს, „უკეთუ ნათხოვარი პირუტყვი წარგვაროს მტერმან, არარაიმე ესაყვედუროს“ (დ. ბატონიშვ., 35).

ვახტანგის სამართლის წიგნის 210-ე მუხლის მიხედვით, ყმის მონათხოვრეს თუ „ანაზღეულად მის სახლში ან ყაზახი დაესხას და ან ქურდი, და ის კაცი მოიპაროდ და მოიტაცონ, ამისი ანე იქნას. რადგან უთხოვნია, პატრონი თავისას ისევ ითხოვს, მაგრამ რადგან იმგვარად მომვდარა, სულ აღარ მიეცემის, იმ კაცის ნახევარ-დასი უნდა მიეცეს, და ორთავ სწორედ სძებნონ. თუ ვისმე მართლა შეაჩნდეს ის კაცი, გამოერთვას“. თუკი მპარავს იპოვნინ და ნაქურდალს ანაზღაურებინებენ, გამნათხოვრებელმა და მონათხოვრემ „ფასიცა და საზღაურიც შუა გაიყონ სწორედ“.

რ. კლუტმანის სამართლიანი შენიშვნით, „ამ დადგენილების დაწვრილებითობა გვიჩვენებს, თუ რაოდენ უოველდღიური იყო საქართველოში ყაჩაღური თავდასხმა, რომ ურთიერთობათა საფრთხიანობა საგანგებო სამოქალაქო-სამართლებრივ დადგენილებებსაც კი მოითხოვდა“ (კლუტმ., 465). სწორედ ამ გარემოების ვათვალისწინებით აწესებდა კანონმდებელი პასუხისმგებლობას შეპოხვევისათვის. რაც უზრუნველყოფდა გამნათხოვრებლის ინტერესებს და ახალისებდა მას, რომ ასეთ არახელსაყრელ ვითარებაშიც არ ეთქვა უარი ქონების განათხოვრებაზე.

ვახტანგი განასხვავებს ორ შემთხვევას, როდესაც ნათხოვარი იღუპება დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, მონათხოვრისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. „თუ ასრე პირობა დაუდვას ან წიგნით, ან მოწმით, ამგვარად ინდოს, რომე ან მტრის დასხმით, ან ცეცხლით, ან წყლით, ან მოპარვით, რასაც ფერის დამარცხებით თუ ჩემსასაც არა დაუპარცხდა რაო, არც არას შენსას დაუპარცხებო და მერე ამ... მენათხოვრეს ერთის რისაც დამარცხებით თავისი წაუქდა და ეს სხვისაც, — არას ემართლებიან“ (მუხ. 207). იმ შემთხვევაში კი, როდესაც ნათხოვრობა „უწიგნოდ, უპიროდ“ პოხდა და ნათხოვარი დაიღუპა „ცეცხლითა და ლაშქრით, ქურდითა და წყლით“, მართალია, მესაკუთრეს „თავად თხოვნა არა მართებს“, მაგრამ „თუ სთხოვოს, სულ აღარ მიეცემის, ნახევარი უბქონ. ამიტომ რომე უნებური საქმე წაკიდებია“ (მუხ. 207¹). ამგვარად, მონათხოვრის პასუხისმგებლობის საკითხი ზელშეკრულების ფორმის მიხედვითაა გადაწყვეტილი. საქმე ისეა წარმართული, რომ მონათხოვრემ თავი აარიდოს „უწიგნოდ, უპიროდ“ ნათხოვრობას და კონტრაქტს „პირობა დაუდვას ან წიგნით ან მოწმით“ (ამასთან დაკავშირებით იხ. კლუტმ., 460—461).

იშვიათი როდი იყო ისეთი ვითარება, როცა დაღუპვის საფრთხე ერთნაირად დაემუქრებოდა მონათხოვრის საკუთარსა და ნათხოვარ ნივთებს. თუკი ასეთ შემთხვევაში მონათხოვრე გადაარჩენდა თავის ნივთს, ხოლო ნათხოვარი ქონება დაიღუპებოდა, მას განათხოვრებლისათვის აუცილებლად უნდა აენახლაურებინა მიყენებული ზარალი. ვახტანგის სამართლის 207 მუხლის თანახმად, მონათხოვრემ გამნათხოვრებელს „უკლებლად უნდა მისცეს ისივე თავნი“, უკეთუ „ნათხოვარი წააქდინა“ ისეთ ვითარებაში, როდესაც მას „ან მტრის დასხმით, ან ცეცხლით, ან წყლით, ან მოპარვით, რასაც ფერის დამარცხებით“ „თავისი არა წაუქდა რა“.

ასევე, დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით, მონათხოვრე ვალდებულია ნათხოვარ პირუტყვს „უფთხილდეს, ჩათა არა ესრეთსა ადგილსა დააყენოს, რომელ მტრისა საფიქრო იყოს, რომლისათვისცა სიტყვას უგებს“. მას „გარდახდების“ „უმეტეს მაშინ, უკეთუ დასცვა მან საქონელი თვისი და ნათხოვარი იგი დააყენა ესეთსა ადგილსა, რომელიცა არს ნამდვილად საშიშ“ (დ. ბატონიშვი., 35).

საქმისადმი ასეთი მიდგომა უთუოდ მიზანშეწონილი და სამართლიანია. მონათხოვრემ პირველ რიგში სწორედ ნათხოვარი ნივთის უვნებლობაზე უნდა იფიქროს. მას არ შეჰფერის მიკერძოებული ყურადღება საკუთარი ქონებისადმი. მონათხოვრის ზნეობრივ-სამართლებრივი მოვალეობაა მომეტებული ზრუნვა ნათხოვარ ნივთზე და მისი დაცულობის უზრუნველყოფა.

სამისღლეშიო რჩენა

შესავალი. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი. „ნაბიკვართა ვინცა შობლენ“. „ცოცხალი... შემინახოთ“, „მოკვდე... დამმარხოთ“.

შესავალი

სამისღლეშიო რჩენა საზოგადოდ გულისხმობს ვისიმე მუდმივ უზრუნველყოფას ბინით, კვებითა და მოვლა-პატრონობით. ვითარცა ხელშეკრულება, სამისღლეშიო რჩენა ისეთი სასყიდლიანი იურიდიული ურთიერთობაა, რომლის ერთი მხარე მეორისაგან საკუთრების უფლებით მიღებული ქონების საზღაურად კისრულობს მის სამუდამო მატერიალურ დაკმაყოფილებას. ეს საინტერესო ინსტიტუტი ძველი ქართული მასალების მიხედვით სავსებით შეუსწავლელია. ასეთ ვითარებაში ინტერესს არაა მოკლებული თემის თუნდაც ზოგი საკიახის ნაწილობრივი განხილვაც და სწორედ ეს არის წინამდებარე მცირე გამოკვლევის მიზანდანიშნულება.

სიტყვა „სამისღლეშიო“ 1624 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში „მისთა დღეშიგ“ („მისთა დღეში“) და „სამიდღეჩოდ“ ფორმით გვხვდება (საქ. სიძვ., II, 61): „ჩვენი სახლი და თქვენი სახლი მისთა დღეშიგ ერთი ყოფილიყო, და... სამიდღეჩოდ ერთნი ყოფილვართ... ჩვენი სამკვიდრო თავა მისთა დღეში ჩვენი ყოფილიყო“. „რუსუდანიანში“ დამოწმებულია „სამიდღეშიოდ“ (მაგალითად, იხ. „აქა ამბავი იტიტინესი და ილაპარაკესი“) და „სამისდღეშიოდ“, რაც ნიშნავს — სამუდამოდ, სამარადეამოდ, სამარადისოდ (რუსულ., 7, 763, 764): „თუ გავაცხადოთ მტერობა, ვაი თუ ვერ მოვერივნეთო, სამისღლეშიოდ ჩვენი სახელი დაიკარგებო“.

სარჩო-საკვები, რითი უზრუნველყოფაც სამისღლეშიო რჩენის ძირითად შინაარსს შეადგენდა, ჩვეულებრივ გამოიხატებოდა ტერმინით „საზრდელი“ — „მშიოდა და არა მეციით მე საზრდელი“. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე სხვა ტერმინებიც,

კერძოდ, „საზრდო“ და „სალუაწი“: „უბრძანა დაწერად და მიეცემად ყოველი სალუაწი“; „ადგილნი საზრდოდ ობოლთა და ქუჩიკთა“ (აბულ., 357, 375; ოთხთ. სიმფ., 505; ძვ. აღთქმ. აპოკრიფ., 459, 461).

გამოკვება გადმოიცემოდა სიტყვით „გამოზრდა“: „ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი და გამოგზარდეთ“ (ოთხთ. სიმფ., 71; აბულ., 41). ამის შესაბამისად, „გამოზრდილი“ იყო „საზრდოთ („საქმელით“) შენახული ვინმე ხან რაოდენ“ (საბა, I, 137). „გამოზრდილი“ კი აღნიშნავდა გამოგვებავს, მარჩენალს, მზრუნველს (ძვ. აღთქმ. აპოკრიფ., 421; აბულ., 43): „დაივიწყეთ ღმერთი, გამოზრდელი თქუენი საუყუნოა“; „მშვიერთა გამოზრდელი“.

ძველ ქართულ წყაროებში ხშირად გვხვდება თვით „რჩენის“ ბუდის სიტყვები და ტერმინები. ს.-ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“, კერძოდ, შეტანილია „რჩენა“, ე. ი. „დარჩენა, გამოზრდა“ („ანუ ჭირთაგან ქსნა“) და „სარჩო“. რომელიც განმარტებულია ვითარცა „გამოსაზ(რ)დელი“ (საბა, II, 18, 54). „რჩენა“ და „სარჩო“ იხმარება აგრეთვე იურიდიული ხასიათის დოკუმენტებსა და სამართლის წიგნებში (იხ. მაგალითად, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 122 და ვახტანგ VI-ის სჯულმდებლობის 110 და 138 მუხლები). „ჩვენ ქვრივსა და ობლებს ერთი სარჩო და ბინა გვიბოძეთ“, — ნათქვამია 1793 წლის საბუთში (ქართ. სამართ. ძგლ., II, 530). ერეკლე II-ის ე. წ. „ანდერძის“ თანახმად, ქვრივმა ქალმა „თავიანი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან“ და ქვრივ-ობოლი „უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესებული“ „საქართველოს სამართალში“. „განწესებული“ კი, რაღა თქმა უნდა, „თავადისა და აზნაურშვილისა სხვა რიგად არის და გლეხისა სხვა რიგად არის“ (ქართ. სამართ. ძგლ., II, 523—24).

„რჩენის“ მნიშვნელობით სხვა ტერმინებიც იხმარებოდა და განსახილველი ურთიერთობანი აღწერილობდაც გამოიხატებოდა ხოლმე, როგორც ეს არის, მაგალითად, XVIII საუკუნის საბუთში (თბ. ისტ. დოკ., 226): „ოცდაათი წელიწადი გლახათ ვიჭე, ჩემის სახლისა არ მისვამს, არ მიჰამია, არ ჩამცმია და არ დაშხურვია. ქვეყნის წყალობით მითხოვნია და ისე დავრჩოპილვარ. შენ მომიარე და შემინახე“.

ისტორიული მასალების მიხედვით (ქრონიკ., II, 241: ქ. ცხ., II, 292, 308, 504), სარჩენის უზრუნველყოფას რჩენა-შენახვისათვის საჭირო რაიმე მატერიალური სახსრით „სარჩომად“ თუ „სარ-

ჩი:ლ“ მიცემა, აგრეთვე „სარჩომის“ მოცემა ეწოდებოდა („ჰქონდეს სარჩომად“. „მისცეს სარჩოდ“, „მცირე სარჩომიცა მომცეს“). წყაროებში (ქ. ცხ.. II, 267, 522, 595) ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე „ს ა რ ჩ ო მ ი ს გ ა ჩ ე ნ ა“ („მისცა... და განუჩინა სარჩომი. რომელ არა აკლდეს... და ესრეთ განსუენებით იყოფოდა და აღსრულდა“).

საზოგადოდ, თავის სარჩენად გადაცემული ობიექტით სარგებლობას, მის მფლობელობას „ს ა რ ჩ ო მ ა დ ქ ო ნ ე ბ ა“ ეწოდებოდა. იგი მტკიცედ განსაზღვრულ იურიდიულ შინაარსს გულისხმობდა. „სარჩომად ქონება“ ნიშნავდა სამისდღეშიო, ე. ი. სიკვდილამდე მფლობელობასა და სარგებლობას. ის სხვა შინაარსის შემცველი იყო, ვიდრე „მ ე მ ა მ უ ლ ო ბ ი თ“ ქონება ანუ ნუჰკვიდრეობითი მფლობელობა. ამას ნათლად ადასტურებს 1434 წლის დოკუმენტი (ქრონიკ., II, 241): „ეს ციხე და მონასტერი... ჰქონდეს სარჩომად და მას აქათ მემამულობით არა საქმე უც და ვერ ოდეს ისარჩლონ“.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ „სარჩომად ქონება“ ყოველთვის როდი უპირისპირდებოდა და გამორიცხავდა „მემამულობითს“. ზოგიერთ საბუთში (იხ., მაგალითად, ქართ. სამართ. ძგლ., III, 155) ეს ორი იურიდიული ურთიერთობა შეერთებული სახითაც არის წარმოდგენილი.

ვალდებულების წარმოშობის საფუძველი

რჩენა-შენახვის ვალდებულება სრულიად სხვადასხვა გზით შეიძლებოდა წარმოშობილიყო. მისი წარმოშობის გავრცელებულ საფუძველს, რაღა თქმა უნდა, წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმება. ამასთანავე, იგი სხვაგვარ ურთიერთობათა შედეგადაც წარმოიშობოდა. მთიულეთში 1960 წელს მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მაგალითად, მკვლელისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა „დაეკუთვნებინათ“ მოკლულის ქვრივის შენახვა, აგრეთვე ობლების მოვლა-პატრონობა, „სანამ ჰქვაში ჩავარდებოდნენ“. აქ საქმე გვაქვს რჩენა-შენახვის მოვალეობასთან, რომელიც წარმოიშვა საპართალდარღვევის საფუძველზე.

რჩენის ვალდებულება ზოგჯერ ეკისრებოდა „აზატნაქნარ“ ანუ განთავისუფლებულ კაცს თავისი ყოფილი პატრონის მიმართ, სახელდობრ კი ამ უკანასკნელის გადარბიების შემთხვევაში. ასეთ მოვალეობას პირდაპირ აკანონებს ბერძნული სამართლის ქართუ-

ლი ვერსიის 170 მუხლი: „უკეთუ ვინმე თავის ნასყიდს კაცს აზატი უყოს და მისი ბატონი გალარობდეს, იმ აზატნაქნარმა ყმამ უნდა მსახუროს და თავისი ბატონი დაარჩინოს“. ამ ვალდებულების საფუძველია ის, რომ ყმა დავალებულია პატრონისაგან; იგი სწორედ პატრონს უნდა უმადლოდეს თავის პირად თავისუფლებას. ამგვარად, რჩენა-შენახვა აქ ადრე ნაქნარი სიკეთის საპასუხო მოქმედებად, მის ერთგვარ კომპენსირებად წარმოგვიდგება.

ამითი, ცხადია, არ ამოიწურებოდა რჩენა-შენახვის ურთიერთობანი, რომელთაც პატრონყმური დამოკიდებულება განაპირობებდა. პატრონობა, საჭიროების შემთხვევაში, ყმასა და მთელს მის ოჯახზე ნივთიერ მზრუნველობასაც გულისხმობდა. მაგალითად, როდესაც კახა ჭავჭავაძის ვახტანგ VI-ის „სამსახურზედ ყანდარს შოკუდა“, მეფემ საგანგებოდ მიაქცია ყურადღება მის ოჯახს და ცოლს სამისდღეშიო „სარჩოდ“ გლეხები მისცა (საქ. სიძვ., II, 320).

ბერ-მონაზონთა კრებულის მოხუცი და მოუძღვრებული წევრის რჩენა-შენახვის მოვალეობა შესაბამის სამონასტრო კორპორაციას ეკისრებოდა. ამ საკითხს აწესრიგებს, კერძოდ, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების 28 თავი „მოუძღვრებულთა და მოხუცებულთა მმათათეს, თუ ვითარ ჭერ-არს განსუენება და ფუფუნება მათი“ (პეტრიწონ. ტიპიკ., 112—13). წესდების მიხედვით, მონასტრის წინამძღვარი მატერიალურად უნდა ზრუნავდეს კორპორაციის მოუძღვრებულ და მოხუც ბერებზე: „თანა-აც წინამძღუარსა. რაჟთა კორცთათეს... ზრუნვიდეს“; „ჭერ-არს უმეტესად ლუწოლად და ფუფუნებად საზრდელითა და სასუმელითა“. ასეთი ზრუნვის ზნეობრივი საფუძველია ის, რომ „ესე არს ნანდვლვე ნებად ღმრთისაჲ, რომელ არს მოყუასთა მიმართ კეთილის ყოფაჲ და სიყუარული მათი და სიტკობებისა ჩუენებაჲ“. აღსანიშნავია, რომ მოხუცებულ-მოუძღვრებულნი, თავის მხრივ. ვალდებულნი არიან გამოიჩინონ მოთმინება და არ დაიწყონ „სულ-მოკლებით დრტყნაჲ“.

საალიმენტო ვალდებულება ხშირ შემთხვევაში წარმოიშობოდა კანონის ძალით — ახლო ნათესაური, საოჯახო დამოკიდებულების საფუძველზე (მეუღლეთა, მშობლებისა და შვილების, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრთა ურთიერთრჩენის მოვალეობა). ასეთი ურთიერთობა სცილდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს; იგი საოჯახო სამართლის სფეროს განეკუთვნება. და მაინც, აქ უნდა აღინიშნოს ერთი ძველი ქართული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც

ცოლს რჩენა-შენახვა საგანგებოდ გაფორმებული ერთგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის სახით წარმოგვიდგება. ესაა, სახელდობრ, 1771 წლის აგვისტოს „გასულის“ „წიგნი და პირობა“, რომელიც ივანე პაპიძეს ქაიხოსრო აბაშიძისათვის „მიუერთმევია“.

„ჩემი ცოლი შემომწყრა და თქვენ შემოგვხვეწოდა, ავით მეკიდებაო, არ შემინახაო. მოველ და შემოგვხვეწე, ეს პირობა მოგართვი: თუ რაც შეძლება მქონდეს ცოლ-ქმრობის პირობით კიდევაც ჩავაცვა, კიდევაც დავახურო, არც გალახვით, არც ავით მოპყრობით. თუ რა სუჩი[სულში?] გამოიყუანოს რამე ჩემში, ამას იქით მეფის სოლომონის მოღალატე ვიყო, მისის ალექსანდრეს თოფის მსროლელი ვიყო, ისე კელთ დამრჩენია და პასუხის გამცემი თქვენიც და მეფისაც. არის ამისი მოწამე და დამსწრე სულ თქვენი მსახურ-აზნაურშიელი. მე მღდელს იოანეს დამაწერია და მოწამეცა ვარ“ (სოც. ისტ. დოკ., II, 279—280. ამ საბუთთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ქართ. საოჯ. სამართ., 75—77).

საოჯახო, ცოლქმრული ურთიერთობებიდან გამომდინარე, თავისთავადაც იგულისხმებოდა, რომ ქმარს ევალებოდა ცოლის რჩენა-შენახვა. მაგრამ როცა ამის თაობაზე მეუღლეთა შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, ცოლს მოუწოდებია თავისი უფლებების (ქმრის ვალდებულებათა) წერილობითი ფორმით განმტკიცება და მიზნისთვისაც მიუღწევია. მაშასადამე, როდესაც კანონითა თუ ჩვეულებით ნაგულისხმევი, ე. ი. საგანგებოდ გაუფორმებელი რჩენის ვალდებულების შესრულებას საფრთხე დაემუქრებოდა, მაშინ მას, საიმედოდ უზრუნველყოფის მიზნით, წერილობითი სახით აყალიბებდნენ.

ვისიმე რჩენა-შენახვის მოვალეობა შეიძლებოდა საანდერძო დანაქარის სახით ჩამოყალიბებულიყო: „ჩემი სულიცა და კორცაცა ერატისათვის მიმიციო და თუ რამ ან ყმა, ან მამული მაქვსო, ისიცაო, ერთი საცოდავი ქალი მყავსო კახეთსაო, ისიც ერასტიმ უნდა მოიყვანოს და თავის შვილებთან გააძლებინოს, რომ იმისი ცოდვა საფლავში არ მაწუხებდესო“ (საქ. სიძვ., I, 168). ფაქტობრივი მასალით დასტურდება აგრეთვე მზითვეთან დაკავშირებული საინსტრუქციო რჩენის შემთხვევა. „მე ქურქ(ჩ)ი ოპანეზას ჯალაბი მარიამამ, — ნათქვამია 1733 წლის საბუთის მინაწერში, — ჩემი ქმრისეული სახლ-კარი ჩემი ქალს იელისოასთვის ზითვით მიმიციო. მანამდინ ცოცხალი ვარ, მე უნდა შემინახოთ“ (თბ. ისტ. დოკ., 163).

სამისდღეშიო რჩენა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე

განხორციელებული მიბარების ფორმითაც გვხვდება. ასეთი შინაარსისაა, მაგალითად, სვიმონ II-ის 1619 წლის წყალობის წიგნი: „აწყურის ციხის იარიშში შალიკაშვილის მასტანას შვილი თამაზ მოკლეს და თქუენს მეტი პატრონი აღარა დარჩა რა და, ვითაც იმ მასტანას ქალი შენ, ტატიშვილს თამაზს გედგა, მისი საბრალოდ ოჯერი მამა და დედაც თქუენ მოგაბარეთ და, სხლითა რაც იმათ ბოგანოები იყო... თქუენ გიბოძეთ სამკუიდროდ და საბოლოოდ... ვინემდისი საწყალი მისი მამა და დედა ცოცხალ იყოს, ამსახურე და სამკუიდროდ და საბოლოოდ თქუენი არის და ვერავინ გეცილების“ (სოც. ისტ. დოკ., I, 18—19). მიბარება და, მაშასადამე, თვით სამისდღეშიო რჩენაც ამ შემთხვევაში წყალობის სახეს იღებს, რადგან იგი მამულის ბოძებასთან არის დაკავშირებული.

საერთოდ, რჩენის საზღაურად ყველაზე ხშირად ყმა-მამული გაიცემოდა. ამ ნხრივ, ვითარცა თავისებურება, შეიძლება აღინიშნოს ის გარემოება, რომ სარჩენი მარჩენალს ადგილ-მანულსა თუ სხვა ქონებასთან ერთად თავის თანამდებობასაც გადასცემდა. ამის დამადასტურებელ ცნობას შეიცავს დავით ბაგრატიონის 1601 წლის „სამართლისა და წყალობისა სიგელი და განჩინება“ კალაურის მოურავ ოპარ ჯანდიერის შვილისადმი (ქართ. სამართ. ძეგლ., II 543-49). საბუთის მიხედვით, „უფროსი ძმა პაატა მდივანბეგიშვილი დიდი ზაზა უშვილო ყ[ო]ფილყო და თავის ბიძაშვილს პაპუასა და პატარა ზაზასთან შესულიყო, თავისი ყმა და მამული და სახელო იმათთან შეეტანა და წიგნიც მიეცა იმათ[ვ]ცის, რომ [ვი]ნემ ცო[ცხალ ვარ, შე]მიწახეთ. მერე ჩემი წილი მამული და სახელო თქვენი იყოს“. თანამდებობის მემკვიდრეობითობის პრინციპი, სახელოს გადაქცევა კერძო საკუთრებას ობიექტად, რაც სხვა მასალებითაც არის ცნობილი და ციტირებულ საბუთშიც თვალნათლივ ვლინდება, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად აფერხებდა ქმედითი სამმართველო აპარატის ჩამოყალიბებას.

მარჩენალმა კარგად იცოდა, რომ დანაწევრებული ფეოდალური საკუთრების არსებობის ვითარებაში მისი უფლებები რჩენის საზღაურად მიღებულ მამულზე მტკიცე და უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა, თუ იგი მიწას მხოლოდ სარჩენის ნებით მიიღებდა. „მას ეპასა, ოდეს თუმინი თავისავე ნებითა მისი თავი თქუენს თავის მოებარებინა, — ნათქვამია როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის წიგნში ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი. — თქუენცა მოგვიდექით კარსა თუმინისა მობარებისა და იმისი მამულის... წყალობას დაგვიაქენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, თუმნიც

თქვენ მოგაბარეთ და მისი მამული... შეგიწყალებთ და გიბოძებთ“ (საქ. სიძვ. 1899, 483—84).

მიბარების სახით სამისდღეშიო რჩენის გაფორმება, აღმინის-ტრაციული აქტის შეშვეობით ამ საკითხის გადაწყვეტა ბატონყმური ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

თავის მხრივ, სარჩენიც მოწადინებული იყო, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა დიდ ხელისუფალს დაედასტურებინა. სარჩენის უფლებები, რაღა თქმა უნდა, მტკიცედ იქნებოდა გარანტირებული, უკეთუ, მაგალითად, კათალიკოზი ანტონ I უბრძანებდა მარჩენალს, რომ წესისამებრ შეენახა იგი „სმა-ჰამითა და ჩაცმითა“ (ქართ. სამართ. ძეგლ., III, 835).

მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი სამისდღეშიო რჩენის იურიდიული ურთიერთობანი შეყრილობის სახითაც ყალიბდებოდა, რაც კარგადაა ასახული დავით ბატონიშვილის „სამართლის“ 210 მუხლში (დ. ბატონიშვი., 119). აქ გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც „მოხუცებულობითა მოყვასი შეეყაროს მოყვასსა“. შეყრილს თან მიაქვს თავისი „უძრავი, გინა მოძრავი“ ქონება, რათა კონტრაქტმა მას „ყური... უგდოს“ და შეუქმნას გასაძლისი ცხოვრების პირობები.

რჩენის საიმედოდ უზრუნველყოფისათვის სარჩენი ზოგჯერ აძღობინებდა, რომ თავისი ურთიერთობა კონტრაქტთან შვილად აყვანის გზით გაეფორმებინა. ამასთან, შვილება, 1793 წლის ერთი საბუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ფურც., 57), არაბუნებრივი სახითაც ხორციელდებოდა. საქმე ისაა, რომ აქ სარჩენი ეშვილა მარჩენალს და ნაშვილები მშვილებელზე გაცილებით ხნიერად გამოიყურება.

„ნაბიჭვართა ვინცა შროგენ“

ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ, -- სხვა ქვეყნებშიც, მტკიცუნულად განიცდებოდა ხოლმე ქორწინებაგარეშე გაჩენილი ბავშვების მდგომარეობა. კერძოდ, მეტად მწვავედ იდგა მათი რჩენა-შენახვის, მატერიალურად უზრუნველყოფის საკითხი.

ნაბიჭვრის ხვედრი, ჩვეულებრივ, არასდროს არ ყოფილა სახარბილო. განსაკუთრებით სავალალო იყო ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის მდგომარეობა ფეოდალურ-წოდებრივი საზო-

გაღობის პირობებში, ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი ზნე-ობრივი და სამართლებრივი პრინციპების ბატონობის დროს. თავიდათავე ის იყო, რომ ფეოდალური თეორიითა და პრაქტიკით, „მ რ უ შ ე თ ა გ ა ნ მ ა ნ ნ ა შ ო ბ მ ა ნ არა დაიბნეს სიღრმედ ძირ-ნი, და არცა კრძალული სლვაჲ ფერჯთაჲ დაემტკიცოს“; „მ რ უ შ ე ბ ა თ ა ნ ე რ გ მ ა ნ არა განიბას ძირი სიღრმესა შინა, არცა და-ადგრეს ძლიერად“ („სიბრძნე სოლომონისი“, — ძვ. აღთქმ. აპო-კრიფ., 197, 451).

უქორწინებო თანაცხოვრების მრავალმხრივ მძიმე შედეგები უმწეო ქალის თავზე გადადიოდა. ამ დამთრგუნველი ზემოქმედებისა და აგრეთვე ნაბუშრის მწარე სვე-ბედის გათვალისწინება ხშირად ხდებოდა მუცლის მოშლისა თუ ახალშობილის მკვლელობის მიზეზი. ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილი ცდილობდა ამ საკითხის მოგვარებას, რა თქმა უნდა, სამართლიანობის იმდრო-ინდელი წარმოდგენების შესაბამისად.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, რომელიც იოანე ბატონიშვილმა შეადგინა, მოუწოდებს, რომ „ნაბიჰვართა ვინცა შობდენ ნუ ექმნებიან დედანი ორსულნი მუ-ცლის წახდენისა მიზეზ და ნურცა მოშობისა“. ეს საქმე უნდა „ეკითხებოდეს“ ისეთ მოხელეს, როგორცაა „უფროსი ქვრივ-ობერთა“ (სჯულდება, 19—20). დავით ბაგრატიონის „სამართა-ლი“ (დ. ბატონიშვ., 72) „ნ ა ბ ი ჰ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს“ ადგენს, რომ მამამ „მისცეს შობილსა მას ს ა ზ რ დ ე ლ ი, ესე იგი ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი, და დიაცსაცა მცირედი რაჲმე მსგავსი საუბატოსა. უკეთუ არა არს მდგომი ცხადად საროსკიპობასა ზედა“.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 68 მუხლის შინაარსიდან გა-მომდინარეობს, რომ „ბოზობით“ „შექმნილი შვილის“ რჩენა მამას ევალება. 110 მუხლის მიხედვით, ნაბიჰვარი „თუ ძმებს ეყმოს, ძმათ სიტყუა არა აქუსთ, უნდა ა რ ჩ ი ნ ო ნ ყ მ უ რ ა დ“ („ძმებმან ერთის ყმის ალაგს უნდა არჩინონ“).

შეიძლება, რომ ბუშისთვის „ს ა რ ჩ ო თ ა“ ყმები და ად-გილ-მამულიც მიეცათ. ასეთი განჩინება გამოუტანია, კერძოდ, ვახტანგ VI 1707 წლის 25 იანვარს პაპუა გერმანოზიშვილის ბუშის ბეჟუას საქმეზე (საქ. სიძვ., II, 205—206). საზოგადოდ კი, ვახ-ტანგის სამართლის 110 მუხლის ძალით. „ნ ა ბ ი ჰ უ რ ი ს წ ი ლ ი ა რ ა რ ი ს მ ა მ უ ლ შ ი“ (ქორწინებაგარეშე შობილის პირადი და ქონებრივი უფლებების შესახებ იხ. ქართ. საოჯ. სამართ., 203—210). ვახტანგ მეფე ამ ზოგადი ნორმის ძალამოსილებას ადასტუ-

რებს („დასტურ საქართველოში ბუმს საწილოდ მამულში კელი არა აქვ“) 1707 წლის სწორედ იმ განჩინებაში, რომლითაც ბუმ ბეჟუას სარჩოს სახით ყმა-მამული მიაკუთვნა.

ქორწინებაგარეშე გაჩენილი ბავშვის აღსანიშნავად ქართული სამართლის წიგნებში ჩვეულებრივ იხმარება ტერმინები „ბ ი ჰ ი“ (მოსეს სამართლის ქართული ვერსია, მუხ. 22; ბეჟა მანდატურ-თუხუცეის სამართალი, მუხ. 31) და „ნ ა ბ ი ჰ ე ა რ ი“ („სამართალი მოსესი“, მუხ. 22; ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მუხ. 110, 115). ვახტანგის სამართლის 110 მუხლში ამავე მნიშვნელობით ნახმარია აგრეთვე „ბუში“. იგი, ისევე როგორც „ნაბიჰეარი“ მოსეს სამართალში, პირდაპირ გამოსახელებულ „შ ა რ თ ა ლ ო ვ ე ი ლ ს“ უპირისპირდება.

თანამედროვე გაგებით „ბიჰი“ აღნიშნავს მამრ მოზარდს, ვაჟს. „ბიჰის“ მეტ-ნაკლებად მსგავსი სიტყვა დამოწმებულია სხვა ენებში; კერძოდ, ქართულთან ახლო მდგომი ფორმა დასტურდება ოსურში (ოს. ეტიმ., I, 260). „ბიჰი“ სპარსულიდან ნასესხებ სიტყვადაა მიჩნეული (მარი, 168; ყიფში., 204; ჩიქობ., 23). იგი გამოიყენება ქართულსა და ჰანურში, მეგრულისა და სვანურისათვის კი უცხოა (ჩიქობ., 23). საყურადღებოა, რომ ჰანურის ლექსიკონში ნ. მარი არაფერს ამბობს „ბიჰის“ უცხოურ წარმომავლობაზე და სანეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა ამ სიტყვის სადაურობის საკითხის გადასინჯვის შესაძლებლობა (იქვე).

ძველ ქართულში, სახელდობრ კი „ბიბლიის“ ადრინდელ ხელნაწერებში (ოთხთ. სიმფ., 63, 419; აბულ., 32, 316) სიტყვები „ბიჰ-ი“, „ნაბიჰ-ი“ და „ნაბიჰეე-ი“ იხმარებოდა ნამცეცის, ფინჩხისა თუ ნახორხლის მნიშვნელობით: „ძალღნიცა ტაბლასა ქუეშე ჭამედ ბ ი ჰ ი ს ა გ ა ნ შვილთამსა“ (მარკოზი, 7,28); „ძალღნიცა ქამედ ნ ა ბ ი ჰ ს ა, გარდამონაცვენებსა ტაბლისაგან უფალთა მათთამსა“ (მათი, 15,27); „კრებდეს ნ ა ბ ი ჰ ე ე ს ა ტაბლასა ჩემსა ქუეშე“ (მსაჯულთა, 1,7); „გული ეტყოდა განძღებად ნ ა ბ ი ჰ ე ე ვ ი ს ა გ ა ნ, გარდამოცვენებულისა ტაბლისაგან შის მდიდრისა“ (ლუკა, 16,21).

მოსეს სამართლის ქართული ვერსიის 22 მუხლში მოყვანილია აბრაამის მხველის აგარისა და მისი შვილის ისმაილის გაძევების ამბავი („პრქუა უფალმან აბრაჰამს... განაძე მკევეალი ეგე და ძე მავისი. რამეთუ არა დაიმკვდროს ძემან მკევეალისამან ძისა თანა მართლისა“). გაძევებულთ აბრაამმა „მისცა თხიერთა წყალი და

პური საგზლად“; „მისცა ნუზლი ძესა მკვეალისასა“. ამიტომაც, ხსენებული მუხლის ძალით, „მიეცეს ბიჭსა... პურისაგან საზრდო“.

ამგვარად, ქორწინებაგარეშე შობილს ეძლევა „პური საგზლად“, „პურისაგან საზრდო“, ე. ი. ძალზე მცირე სარჩო, ფაქტობრივად — რაღაც ნამცეცები ანუ „ნაბიჭი-ი“, „ნაბიჭვე-ი“. იგი ამ „ნაბიჭ“-„ნაბიჭვე“-ის ამარადაა დარჩენილი და, ვითარცა მისგან გამოზრდილმა, იქნებ, სახელიც შესატყვის-შესაფერისი მიიღო („ნაბიჭვარი“). ამასთან, ქორწინების გარეშე დაბადებული, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივადაც ხომ მართლაც „ბიჭი“ — ნამცეც-ნახორხალი, სრულიად უმნიშვნელო ადამიანი იყო.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ითქვას, რომ 'ემანტიკური თვალსაზრისით საესებით გამართლებულადაა მიჩნეული გადასვლა „ბიჭი-ი“ — ნამცეცი: крошка > „ბიჭი-ი“ — დღევანდელი მნიშვნელობით: малыш (კლიმოვი, 52).

„ოცხალი... შვიდახოთ“, „ეოჰეჰეჰ... ღამეარხოთ“

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ძირითად პირობას, მის არსებით ნიშან-თვისებას, რაღა თქმა უნდა, სარჩენის მატერიალური უზრუნველყოფა შეადგენს. რჩენას, ჩვეულებრივ, საპირობება მარტოდმარტო დარჩენილი მოხუცი ან ავადმყოფი ადამიანი, რომელიც მოკლებული იყო შესაძლებლობას თვითონ უზრუნა თავის თავზე, უზუნველყო აუცილებელი საარსებო პირობები. მას მატერიალური მსხგრეპლი უნდა გაელო იმისათვის, რომ სხვას ერჩინა და შეენახა.

რჩენა-შენახვის ვალდებულება სასმელ-საქმლით, ჩაცმა-დახურვითა და, საპირობების შემთხვევაში, ბინით უზრუნველყოფითაც გამოიხატებოდა. ამა თუ იმ სახის უზრუნველყოფა (სმა-ქვაჰა, ჩაცმა-დახურვა, ბინა, სხვადასხვაგვარი პირადი მომსახურება) ვალდებულების წარმომშობ კონკრეტულ ვითარებაზე, მხარეთა ურთიერთობის ხასიათსა და შეთანხმების რაგვარობაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, სამართალდარღვევა მხოლოდ საკვებით უზრუნველყოფის ვალდებულებას წარმოშობდა. ასე იყო, კერძოდ, ვისიმე მარჩენლის მკვლელობის შემთხვევაში. დავით ბატონიშვილის „სამართლის“ 73 მუხლის მიხედვით, „უკეთუ შეემთხვასთ კაცთა წინააღურჩეველად მკულელობაჲ“ და „დაუშთეს მკულარსა მას ესევეითარი ვინმე გუამი, რომლისაცა ცხოვრება და-

მოკიდებულ იყოს სიცოცხლესა ზედა მისსა, მაშინ მცირედი რაჲ-
მე სარჩოცა მისცეს დაშთომილსა მას“ (დ. ბატონიშვი., 47).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ძირითადი მიზანი, ვალდებულების შინაარსი დოკუმენტებში, ჩვეულებრივ, მეტად ზოგადად განისაზღვრებოდა — „ვინემ ცოცხალ ვარ, შემინახეთ“. 1602 წლის დოკუმენტის მიხედვით, მარჩენლის ვალდებულება სარჩენის წინაშე ასეა ჩამოყალიბებული: „მის სიცოცხლეში ნ უ რ ა ს და(ა)კლებს და კარგა შეინახოს“ (საქ. სიძვ., II, 25). მართალია, ვალდებულების შინაარსი აქაც ძირითადად ზოგადი ხასიათისა რჩება, მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც საინტერესოა მხარეთა უფლება-მოვალეობების რამდენადმე დაზუსტებისა და შედარებით უფრო ნათლად წარმოდგენის თვალსაზრისით.

ზოგ საბუთში (ქართ. სამართ. ძგლ., III, 835; ფურც., 57) სახელდებითაც არის აღნიშნული სარჩენის „სმა-ჰამითა და ჩაცმით“ „შენახვა“, ვითარცა მარჩენლის უმნიშვნელოვანესი ვალდებულება.

მარჩენლის იმ ძირითად მოვალეობასთან ერთად, რომ უზრუნველყო სარჩენი ცხოვრებისათვის საჭირო და აუცილებელი მომსახურებით, ხელშეკრულებაში შეიძლებოდა სხვაგვარი, სხვა ხასიათისა თუ დანიშნულების პირობაც ყოფილიყო გათვალისწინებული. სახელდობრ, დოკუმენტებში ასახულია სარჩენის დასაფლავების ვალდებულება: „მანამდინ ცოცხალი ვარ, მე უნდა შემინახოთ, როცა მოკვდეთ, უნდა დამ(მ)არხოთ“ (თბ. ისტ. დოკ., 163). ასეთი მოვალეობა სხვა საბუთებშიც არის ფიქსირებული (ფურც., 57, 114, 124; ქართ. სამართ. ძგლ., III, 835).

საერთოდ, თვისტომის დასაფლავება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად ითვლებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 248-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ამოვარდნილ ყმას „პატრონმა დამარხვითა და სულის საქმით კარგად უპატრონოს“. ავადმყოფი და ერთსახლად მცხოვრები გარდაცვლილი ძმის წილი ყმა-მამულის მიღების ერთ-ერთ წინაპირობას მისი დასაფლავება წარმოადგენდა: „რადგან დავით... ძმა არის და მისს სიმაღლესაც ის უმცროსი ძმა დავითთან გაუყვანია და ავით ყოფნობაში დავითს მოუვლია და მკვდარიც ამასვე დავითს დაუმარხავს, რა საკვირველია, რომ მისი წილი ყმა და მამული უცილებლად დავითს დარჩებოდა“ (ცენტრარქ., ფ. 1450, დავთ. 30, საბ. 5).

წყაროებში (პეტრიწონ. ტიპიკ., 86; ქართ. სამართ. ძგლ., III, 835, 859; სამოქ. სჯულ., 79) ასახულია „შეძლებისაებრ“, „კარგათ“, „წესისაებრ“ და „როგორც მართებული იყოს, ისე“ დამარ-

ხვის მოთხოვნა. 1793 წლის დოკუმენტში (ამ საბუთის რუსული თარგმანია შემორჩენილი: ფურც., 57) „ღვიძლი შეიღებევით დასაფლავების“ პირობაც კია წამოყენებული (ხნიერი, უშვილო ცოლი და ქმარი ასე მიმართავენ თავიანთ, ეტყობა, ახალგაზრდა მოკეთეს, რომელმაც ისინი იშვილა: «тела и души наши мы вручаем тебе. Ты должен нас кормить, одевать и похоронить, как своих родных детей. Все, что есть у нас, мы отдали тебе в потомственное владение»). ყოველივე ზემოაღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ იშვიათი არ იქნებოდა მიცვალებულის მიწისათვის მიბარება საამისოდ დადგენილ აუცილებელ მოთხოვნათა შესრულების გარეშე.

უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი კონტრაქტის წესისამებრ დასაფლავების ვალდებულება ყოველთვის ეკისრებოდა მარჩენალს, — მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი სახელდებით ფიქსირებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება წარმოადგენდა გარდაცვლილი სარჩენის ქონების დასაკუთრების საფუძველს, რაც საგანგებოდაა აღნიშნული საბუთებში. 1790 წლის დოკუმენტის მიხედვით, „უძეო და უმეჰკვდრეო იესე“ „მილახვარს ბაბანასთან შესულიყო“. ბაბანას იგი „შეეწყნარებინა, შეენახა, საწყალისათვის რიგიანად მოეველო, მომკჷდარიყო — დაემარხა; იმისი წილი მამული თვთან დაექირა“ (ცენტრარქ. ფ. 1450, დავთ. 12. საბ. 64). ხოლო უკეთუ მარჩენალმა, დავით ბატონიშვილის „სამართლის“ თანახმად. „მოხუცებულობით“ ნასთან შეკედლებულ „მოყვასს“ „ყური არარაჲმე უგდოს და შეჲპქირგოს და აჩივლოს სამართალსა შინა, მაშინ განიტანოს, რაჲცა უძრავი, გინა მოძრავი შეუტანიეს შეყრილსა, და პირობისაჲცა წიგნი ცუდ-იქმნას“ (დ. ბატონიშვ., 119).

მაშასადამე, რჩენა-შენახვის მოვალეობათა შესრულებისას, სარჩენისაგან მიღებული ქონება მარჩენლის საკუთრება ხდებოდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მარჩენალი არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, ხელშეკრულება მოიშლებოდა და რჩენის საზღაურად გადაცემული ქონება სარჩენს უბრუნდებოდა.

წყაროებისა და ლიტერატურის შემოკლებათა განმარტება

ახულ. — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973.

აგიოგრაფ. ლიტ. ძგლ.: I, II, III, IV — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის რედაქციით:

I — წიგნი I (V—X სს.). დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჩაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჭლამაიამ. თბ., 1963.

II — წიგნი II (XI—XV სს.). დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიევმა და ც. ჭლამაიამ. თბ., 1967.

III — წიგნი III (მეტაფრასული რედაქციები XI—XIII სს.). დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, გ. კიცნაძემ და ც. ქურციკიძემ. თბ., 1971.

IV — წიგნი IV, სეინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.). გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა. თბ., 1968.

აგრარ. ურთ. — პ. გუგუშვილი, აგრარული ურთიერთობანი ამერიკე-კასიაში XIX—XX სს. მიწნაზე. — „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“. სტატიების კრებული. თბ., 1955.

ამირანდარეჯ. — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანელიშვილმა. თბ., 1969.

ანდაზ. — ქართული ანდაზები. შეადგინა ა. კანდელაკმა. თბ., 1959.

ანენკ.—К. Ашпенков. Система русского гражданского права. т. IV. от-дельные обязательства. СПб., 1904.

არაგვ. აღწ. — მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მე-თურამეტე საუკუნეში. II. აღწერა არაგვის ბეობისა, შედგენილი მეფის ირაკლი მეორის ბრძანებით ლუარსაბ შაყაშვილის და მანუჩარ თუმანიშვილის მიერ 1774 წელს. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1907.

ბარონი: I, IV, V—VI—Ю. Барон, Система римского гражданского права:

I—Выпуск I, книга I, общая часть. СПб., 1909.

IV—Выпуск III, книга IV, обязательственное право. СПб., 1910.

V—VI—Выпуск IV: книга V, семейственное право; книга VI, наследственное право. СПб., 1908.

ბერძნ. სამართ. — ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბ რ ე ვ ა ძ ე მ. თბ., 1964.

ბეკა-აღბ. 1000 — Судебник Бека и Агбуга. Грузинский текст, введение И. С. Долидзе, переспод В. Д. Дондуа и И. С. Долидзе. Тб., 1960.

ბუღანოვი — М. Ф. Владимирский-Буданов. Обзор истории русского права. Киев, 1907.

განმარტ. ლექსიკ.: V, VI, VII — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პრაქტ. არნ. ჩიკობავას საერთო რედაქციით.

V — ტ. V: მ-ნ. თბ., 1958.

VI — ტ. VI: ო, პ, ე, რ, ს, ტ, უ. თბ., 1960.

VII — ტ. VII: ფ, ქ, ლ, ყ, შ. თბ., 1962.

გიგინიძე. — ივანე გიგინიძევილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ. I. თბ., 1975.

გრამი — Д. Д. Гримм. Лекции по догме римского права. Петроград, 1916.

გურევიჩი — А. Я. Гуревич. Богатство и дарение у скандинавов в раннем средневековье (некоторые нерешенные проблемы социальной структуры дофеодального общества). — „Средние века“, сборник, вып. 31. М., 1968.

დ. ბატონიშვი. — სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ. თბ., 1964.

დასტურლ. — ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, 1. კელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაქმედად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბ., 1970.

დვორეცკი: I, II — Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, под. ред. С. И. Соболевского: I—т. I, М., 1958; II—т. II, М., 1958.

დობტერლო: IV, V, VI — Р. Дистерло. О найме на сельско-хозяйственные работы по закону и по обычному праву России. — Журнал гражданского и уголовного права, 1886, кн. IV, V, VI.

ებრ. ისტ. დოკ. — ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. — „საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, ტ. I. თბ., 1940.

ეკლოგა — Эклога. Византийский законодательный свод VIII века. Вступительная статья, перевод, комментарий Е. Э. Липшиц. М., 1965.

ეკონ. ისტ. მას.: I, II, III — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, — მასალები შეარჩია და გამოსაქმედად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა:

I — წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები). თბ., 1938.

II — წიგნი II (ვალი, იქარა, ვაქრობა). თბ., 1953.

III — წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). თბ., 1955.

ეპიფ. კურ. — პოლონის ებისკოპოსი, ცხორება ეპიფანე კურელისა. — „საიოთხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში“, I, გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1966.

ეტიმ ძიებ. — სიმონ ყაუხჩიშვილი, ეტიმოლოგიური ძიებანი. — „მნაობი“, 1974, № 12.

ვახტ. ხაშართ. — ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინათენუჭიძემ. თბ., 1955.

ვეფხისტყ. სიმფ. — ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1956.

ვოლკოვი—И. М. Волков. К вопросу об обеспечении договора личного найма закладом паспорта. — „Юридический Вестник“, 1880, т. V.

თბ. ისტ. დოკ. — დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წიგნი I. შეადგინეს ნიკობერძენიშვილმა და მამისაბერძენიშვილმა. თბ., 1962.

თემ. მმართვ. — რ. ხარაძე. თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში. — „ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. IV, ნაკვ. 2. თბ., 1959.

ი. ბაგრაძე. — ლილიქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“. თბ., 1975.

იღუმ. — თეიმურაზ ჩიქოვანი, იღუმალა. თბ., 1975. გათვალისწინებულია აგრეთვე: Те й м у р а з Ч и к о в а н и. О традиции строительства сельских гостиниц домов на территории Коплиды. — „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1972, № 1.

ისტორიებრი აღწ. — ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ. გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ. ტფ., 1914.

კავკასია — აღექსანდრე დიუმა, კავკასია (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი). თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა. თბ., 1970.

კარის გარიგ. — „გარიგება კელმწიფის კარისა“, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, 1. კელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბ., 1970.

კეჩეყ. — ს. ფ. კეჩეკიანი, სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია. ნაწ. I, ძველი სამყარო, ნაკვ. I, ძველი აღმოსავლეთი და ძველი საბერძნეთი. თბ., 1946.

კლიმოვი—И. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.

კლუმბ.—Rudolf Klutmann. Analyse des national-grusinischen Obligationenrecht; im Kodex östlich Wachtangs VI. „Zeitschrift für vergleichende Rechtswissenschaft“, XXI (მადლობას მოვახსენებ დ. ფურცელაძეს, რომელმაც თავაზიანად მასარგებლა რ. კლუმბანის ამ ნაშრომის მისეული თარგმანის ხელნაწილი).

კოლერი—И. Колер, Введение в науку права. СПб., 1903.

მარი—Н. Я. Марр, Вопросы Вепхисткаосани и Висраминин. Подготовка сборника к печати, исследование, комментарии и примечания И. В. Мегрелидзе. ТБ., 1966.

მთიელთა სამართ. — ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის. თბ., 1964.

მოგზაურობანი — თეო სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აქარა, სამურხაყანო, აფხაზეთი). თბ., 1950.

მონასტრ. ისტ. საბ. — ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ. ფოთი, 1903.

მურომც. — С. Муромцев, Гражданское право древнего Рима. М., 1883.

ნ. ჩუბინ. — ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I. აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., 1971.

ნარკვ. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი ჯამია დუმბაძე. თბ., 1973.

ნიკოლსკი—Б. В. Никольский, К истории дарения между супругами. Исследование по римскому праву. Юрьев, 1915.

ნიჟარ. — ბესარიონ ნიჟარაძე (თეისუფალი სვანი), ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I. თბ., 1962.

ნოვიკო—И. Б. Новицкий, Основы римского гражданского права. М., 1972.

ოხთ. სიმფ. — ი. იმნაიშვილი, ქართული ოხთაის სიმფონიალექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1948—1949.

ოს. ეტიმ.: I, II — В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка: I—т. I, М.-Л., 1958; II—т. II, Л., 1973.

პახმ. — С. В. Пахман, Обычное гражданское право в России. Юридические очерки. Т. I: собственность, обязательства и средства судебного охранения. СПб., 1877.

პეტრიწონ. ტიპიკ. — აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბ., 1971.

რუს. ეტიმ. — Макс Фасмер, Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и дополнения О. Н. Трубачева. Т. II. М., 1967.

რუს. სამართ. ძგლ., VI—Памятники русского права. вып. VI, М., 1957.

რუსთვ. — შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. ტ. I, ტექსტი და ვარიანტები. თბ., 1966.

რუსთვ. 1712 — შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი. პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ., ფოტორეპროდუქციული გამოცემა 1975 წ. თბ., 1975.

რუსულ. — რუსუდანინი. ილია აბულაძისა და ივანე გიგინე-
ი შვილის რედაქციით. თბ., 1957.

ხაზა: I, II — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი: I — ტ.
IV₁, თბ., 1965; II — ტ. IV₂, თბ., 1966. — „ლექსიკონი ქართული“. ავტოგრა-
ფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ.

ხაშლივანხ. ხახაშ. შახ. — თ. ენუქიძე, მასალები ქართლის სამეფოს სამ-
ღივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის (1755—1760 წწ.). — კრებულში:
„XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“. თბ., 1964.

ხაშოკ. კან. — Законы гражданские (Свод Зак., т. X. ч. I), с разъясне-
ниями Правительствующего Сената и комментариями русских юристов, т.
II, сост. И. М. Тютрюмов. Петроград, 1915.

ხაშოკ. სჯულე. — სამოქალაქო სჯულელება, II. ტექსტი, ლექსიკონი და
საძიებლები გამოსცა და ეით ფურცელაძემ. თბ., 1966.

ხაშოხ. წყობ. შახ. — მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყო-
ბის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო
შოთა მესხიამ. — „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათ-
ვის“, 1948, ნაკვ. I (26). თბ., 1948.

ხაშლდბრ. შეხახ. — ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს.
საქართველოში. — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხე-
ბი, წიგნ. IV. თბ., 1967.

ხაქ. ხიფვ.: 1899, I, II, III — საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვი-
ლის რედაქტორობით: 1899 — ტ. I, ტფ., 1899; I — ტ. I, გამოც. II, წიგნ.
I, ტფ., 1920; II — ტ. II, ტფ., 1909; III — ტ. III, ტფ., 1910.

ხაზოკ. — თედოსაზოკია, ქართული ანდაზები. თბ., 1967.

ხაშოლ. — А. А. Симолиш. Влияние момента безвозмездности в гра-
жданском праве. Казань, 1916.

ხინ. შრავალთ. — ივანე იმნაიშვილი, სინური შრავალთავი. გამოკე-
ლევა და ლექსიკონი. თბ., 1975.

ხინაისკი — В. И. Синайский, Русское гражданское право, вып. II.
Обязательное, семейное и наследственное право. Киев, 1918.

ხოლ. ისტ. დოკ.: I, II — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტო-
რიიდან (ბატონყმური ურთიერთობა), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით:
I — [ნაწილი] I (XV—XVIII სს.), თბ., 1940; II — [ნაწილი] II (XV—
XIX სს.), თბ., 1953.

ხოტგ. — ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეო-
დალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. — სტალინის სახელო-
ბის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXVII, 1949.

ხოტგ. 1888 — И. И. Сургуладзе. История государства и права
Грузии. Тб., 1968.

ხოწვლ. და სიბრძნ. — სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. გამოსა-
ცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშ-
ვილმა. თბ., 1969.

ხვისშვილ. შინ. — დ. ფურცელაძე, სხვისშვილობისა და მისი სა-
მართლებრივი შინაარსისათვის. — „საბჭოთა სამართალი“, 1974, № 2.

სჯულდება — იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. ვ. სურგულაძემ. თბ., 1957.

უმჯაშფ. — პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II. თბ., 1964.

უმოვი — В. А. Умов, Дарение, его понятие, характеристические черты и место в системе права. Сравнительное исследование по римскому праву и новейшим законодательствам. М., 1876.

უჩანეთ. — დ. უჩანეთიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII—XIX სს.). თბ., 1967.

ფრენკ.-ბაქრ. — Сборник законов грузинского царя Вахтанга VI. Издание А. С. Френкеля, под редакцией Д. З. Баκραдзе. Тифл., 1887. გათვალისწინებული და გამოყენებულია აგრეთვე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ოფიციალური რუსული თარგმანის ბირევილი გამოცემა, რაც განხორციელდა მმართველი სენატის განკარგულებით პეტერბურგში 1828 წელს.

ფურც. — Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ (материалы для истории древней Грузии). Составил Д. П. Пурцеладзе. Тифл., 1882.

ფუძის უძვ. აგებ. — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ., 1942.

ქ. ცხ.: I, II — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ: I — ტ. I, თბ., 1955; II — ტ. II, თბ., 1959.

ქართ. სამართ. ისტ.: I; II, ა; II, ბ — ი. ვ. ჭავჭავაძის შრომა, ქართული სამართლის ისტორია: I — წიგნი I, ტფ., 1928; II, ა — წიგნი II, ნაკვ. I, ტფ., 1928; II, ბ — წიგნი II, ნაკვ. II, ტფ., 1929.

ქართ. სამართ. ძგლ.: II, III, IV — ქართული სამართლის ძეგლები, — ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ: II — ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.). თბ., 1965.

III — ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.). თბ., 1970.

IV — ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს.). თბ., 1972.

ქართ. საოჯ. თემი — Русудан Харадзе. Грузинская семейная община, II. Тб., 1961.

ქართ. საოჯ. სამართ. — გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან. თბ., 1965.

ქეთევ. ცხ. — ტრიფონ რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“. — „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. V, 1949.

ქოიავა — ნიკოლოზ ქოიავა, ფულის შიმოჭყევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ., 1963.

ქრონიკ.: II, III — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ:

II — წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლამდე). ტფ., 1897.

III — წიგნი III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამო-საცემად მოამზადეს გივი ე ო რ დ ა ნ ი ა მ და შ ო თ ა ხ ა ნ თ ა ძ ე მ. თბ., 1967.

სე. I — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, ა — ატოცი. თბ., 1975.
ღლოტი — ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შეადგინა ალ. ღლონ-ტმა. ტ. II. თბ., 1975.

ყოფშ.—И. Кипшидзе, Грамматика мшггельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. СПб., 1914.

შერშენ.—Г. Ф. Шершеневич, Учебник русского гражданского права, т. II. М., 1915.

შულანი—Фридрих Шулин, Учебник истории римского права. Перевод с немецкого И. И. Щукина, под ред. В. М. Хвостова. М., 1893.

ჩეულ. ხჭ.— ი. დოლიძე, საქართველოს ჩეულებითი სჭული. თბ., 1960.

ჩიქობ.— არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფ., 1938.

ჩიქოვ.— მიხეილ ჩიქოვანიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების რსტორია. თბ., 1956.

ცენტრარქ.— საქ. სსრ ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა საცავის ფონდები.

ძვ. აღთქმ. აპოკრიფ.— ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსი-ები (X—XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქუ რ ც ი ა ძ ე მ. წიგნი I. თბ., 1970.

ძვ. აღმ. სამართ.— ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი. თბ., 1960.

ძვ. ქართ. სამართ — ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი. თბ., 1953.

წიგნ. ძუელ. აღთქ.— წიგნი ძუელისა აღთქემისანი. 978 წლის ხელნაწე-რის მიხედვით. ტ. I, ნაკვ. I, დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ. გამოსცა აკაკი შ ა ნ ი ძ ე მ. თბ., 1947.

ხელნაწ. აღწ., VI — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელ-ნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზო-გადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (II კოლექცია). ტ. VI. შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს, ლ. მ ე-ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს, ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ქ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით. თბ., 1953.

ხელნაწ. ინსტ.— კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები.

ხელოსნ. წარმ. — შოთა მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში. — „მომომბილველი“, I. თბ., 1949.

ხვოსტოვი—М. В. Хвостов, История римского права. 1919.

პეროლოტი, I — პეროლოტი, ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. ტ. I. თბ., 1975.

ჰომერ. — ჰომეროსი, ოდისეა. ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა. თბ., 1975.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის უცხოური თუ ეროვნული სჯულმდებლობის მასალები, რომელთა პუბლიკაციაც მითითებული არაა, მოყვანილია გამოცემიდან: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, — ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963. ვახტანგის კრებული, როგორც ცნობილია, მოიცავს: მოსეს, ბერძნული და სომხური (სირიულ-რომაული და მხითარ გოშის) სამართლის ქართულ ვერსიებს; კათალიკოზთა, გიორგი ბრწყინვალის. ბექა-აღბულას (ბექას, აღბულას, ბაგრატ კურაპალატის. კანონიკურ) და საკუთრივ ვახტანგის სამართალს. კრებულს ერთვის აგრეთვე ზანდუკი ანუ საძიებელი.

შინაარსი

წინასიტყვა	3
ნაჩუქრობა	
შესავალი	5
ნაჩუქრობის ცნება	12
ნაჩუქრობის ძველქართული ტერმინოლოგია	12
ნაჩუქრობის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები	21
ჩუქებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი	32
ჩუქების მოტივები	32
ხელშეკრულების დადების მომენტი	36
მუდლოსა და შეილის დასაჩუქრების შესახებ	39
ნაჩუქრობის დამძიმება	45
ხელშეკრულების ფორმა	54
ქონების ძირავენობის ხელშეკრულება	
შესავალი	59
„ქირა“ და „მიზღი“	64
ქონებრივი ძირავენობის წესები და პირობები	69
ცნებისათვის	69
ვადა ნივთის ძირავენობის ხელშეკრულებაში	72
მხარეთა უფლება-მოვალეობანი	77
ხელშეკრულების ფორმა	90
ქონებრივი ძირავენობის შეწყვეტის შესახებ	92
პირადი ძირავენობის ხელშეკრულება	
შესავალი	95
ტერმინოლოგიისათვის	101
პირადი ძირავენობის შინაარსი .	102
საგანი და მხარეთა ურთიერთობის ხასიათი	102
„ჩამაგირის ყმა“	111
სუბიექტების შესახებ	117
„მიზღი მუშაკობისაჲ“	121
ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ფორმის საკითხი	127
პირადი ძირავენობის ვადა	132
მხარეთა უფლებების უზრუნველყოფა	134
შემთხვევითობის რისკი	137
ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა	140

ქონებით უსასყიდლო სარგებლობა

შესავალი	143
ტერმინთა შესახებ	147
უსასყიდლო სარგებლობა და ნათხოვრობა	148
ქონებით უსასყიდლო სარგებლობის მნიშვნელობა	150
უსასყიდლობის საკითხი	155
ხელშეკრულების დადების მომენტი	158
ნათხოვრობის საგანი	160
მსგავსი ინსტიტუტებისაგან გამიჯვნა	162
ხელშეკრულების ფორმა	165
ქონებით უსასყიდლო სარგებლობის ვადა	168
უსასყიდლო „უცხოთ სადგური“ და „მასპინძლის“ ეტიმოლოგია	170
„უსასყიდლოდ კურნება“	174
მხარეთა უფლება-მოვალეობანი	177

სამისდღეში რჩენა

შესავალი	184
ვალდებულების წარმოშობის საფუძველი	186
„ნაბიჭვართა ვინცა შობდენ“	190
„ცოცხალი... შემინახოთ“, „მოვეკდე... დამმარხოთ“	193
წყაროებისა და ლიტერატურის შემოკლებათა განმარტება	196

37(C 41) (09)
34(47.9.22)(09)
ფ 985

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. თოდუა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 5.V.76; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.X.76;
ქალაღის ზომა 60X90^{1/16}; ქალაღლი №1; ნაბეჭდი თაბახი 13;
საღარიცხო-საგამომცემლო თაბახი 10.94;
უე 01567; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1762;

ფასი 1 მან. 10 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“ თბიღისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тბიღისი, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბიღისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбიღისი, 380060, ул. Кутузова, 19

**ЯКОВ ВАЛЕРИАНОВИЧ ПУТКАРАДЗЕ
ОЧЕРКИ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО
ОБЯЗАТЕЛЬСТВЕННОГО ПРАВА**